


האניני

4

1978



3. 0. 305050

სსსს

251

გამოცემის მეოცე წელი

4

აპრილი

1978

თბილისი

საქ. კვ. ცვ.-ის გამომცემლობა

ლიბერატორულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი



უი ნ ა რ ს ი

- 3. ალექსანდრე ბარბიძე — საკართველოს სსრ ახალი კონსტიტუციის კომიტეტი.
პროზა, პოეზია
- 6. მურგან ლეხანიძე — ახალი წიგნიდან. ლექსები
- 16. ირაკლი ბერიაშვილი — მოთხრობები
- 25. ოთარ მელიძე — ლექსები
- 28. ლევან ხანიკიძე — მკვლევარობა ხოგინწყდის პირას. მოთხრობა
- 40. ბიძინა შინღაძე — ლექსები
- 42. ივო ცარციძე — ლექსები
- 42. მზია მაღალღაძე — ლექსები
- 43. ლია ბედოშვილი — ლექსები
- 44. პაპუა ბალაჩიშვილი — გაზაფხული. ლექსი
- 45. ლერი ბარათელი — მოთხრობები
- 63. მანანა ავალიშვილი — მოთხრობები
- 74. ზურაბ რცხილაძე — ზუსტ მშენებლობის. მოთხრობა
ახალი თარგმანები
- 81. ვიტორ ლიხთენოსოვი — რაღაც უნდა მოხდეს. თარგმანი ოთარ ნოღიაშვილის მიერ
- კრიტიკა
- 94. რევაზ ჯაფარიძე — „მნათობი“—77
- 104. რევაზ თვარაძე — ათას ერთი საფიქრალის წიგნი „ცისკრის“ ანკეძა
- 111. საბუარი პოეზიაზე: ჯამალ აჯიშვილი, გიორგი ბაქანიძე, თედო ბეჭიშვილი, გიორგი ბაქანიძე, აბაში ბაჭყალია, ვახტანგ ლავიტაია, ნოდარ კაკაბაძე, გურამ კანაშვა, კონსტანტინე ლორთქიფანიძე, ოთარ მელვინიძე, ირაკლი მარჯანიძე, ირაკლი მარჯანიძე, მიხეილ ძვლიშვილი, ჯანსუღ ლევიანი, ვახტანგ ჯაფარიძე, გურამ ახათიანი.
- ხელოვნება
- 137. ტარიელ მანუჩარი — ფრესკიდან გადმოღებული ბიჭი
- 140. ლილია თაბუკაშვილი — გოგონა, რომელიც სილაგაზე მამის კინო
- 142. რეზო ჩხეიძე — „ღონ კინოტი“ მითითებით მარანიშვილი
- პირველი შთაბეჭდილება
- 145. გივი კახაიძე — სიმღერები; სერგი ტოპანიძე — პირველი წიგნი — პირველი შთაბეჭდილება; გივი ალხაიშვილი — საპირი წიგნი; ემზარ კვიციანი — სინტაქსი, სხარტალო...; ალექსანდრე ბაბელია — როცა დაბეჭდილი წიგნი გადაუღებელი რჩება; მაღალა ბაბუაშვილი — მწვენი გავიღის ახალი რაინდი.
- სკოლები
- 152. არჩილ გოგელია — დიდი მადრიას პატარა პრინცი
- საბიბლიო, იუმორი, კაროლია
- 156. მთავარი ბარათია — რომელიც გასტანს ასე?
- 158. კულტურული ცხოვრების ქრონიკა

მთავარი რედაქტორი გურამ ფანჭვიანი

სარედაქციო კოლეგია:
 ვახუაშვილი, გურამ ბერიანი, გივი ბერიანი, რიხაძე გიორგიანი, გიორგი გუგულია, ნოდარ ლევიანი, მერაბ მელიქიანი, ელზა მანაშაძე, იოსებ მარჯანიძე, ოთარ მარჯანიძე (მთ. რედაქტორის მოადგილე), ჯანსუღ მარჯანიძე, ნუგზარ მარჯანიძე, ტარიელ მანუჩარი, რეზო მელიქიანი.

საქართველოს სსრ ახალი კონსტიტუციის პროექტი

24 მარტს ჩვენს პრესაში გამოქვეყნდა საქართველოს სსრ ახალი კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) პროექტი. ეს პროექტი მოამზადა სპეციალურმა კომისიამ, რომელსაც თავმჯდომარეობდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხანაგი ედუარდ შევარდნაძე. საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით კონსტიტუციის პროექტი გამოტანილია საყოველთაო-სახალხო განხილვისათვის ჩვენს რესპუბლიკაში.

საქართველოს ახალი კონსტიტუციის პროექტი სავსებით შეესატყვისება საბჭოთა კავშირის ამჟამად მოქმედ კონსტიტუციას, მაგრამ იგი ითვალისწინებს ჩვენი რესპუბლიკის სპეციფიკურ პირობებს. როგორც საბჭოთა კავშირის მოქმედი კონსტიტუცია, საქართველოს კონსტიტუციის პროექტიც საბჭოთა მოქალაქეებს ანიჭებს ფართო უფლებებს. ამასთან ერთად, რა თქმა უნდა, მათ აკისრებს გარკვეულ მოვალეობათ საზოგადოებისა და სახელმწიფოს წინაშე.

კონსტიტუციის პროექტი ნათლად ასახავს იმ მიღწევებს, რაც რესპუბლიკას მოპოებული აქვს საზოგადოებრივ-პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ცხოვრების ყველა სფეროში. მიღწევები კი მართლაც დიდი და შთამბეჭდავია.

დიდმა ოქტომბრის რევოლუციამ ჩვენს ქვეყანას ბევრი სიკეთე მოუტანა — ნიანჭა ეროვნული და სოციალური თავისუფლება, სკოლას (დაწყებითს, საშუალოსა და უმაღლესს) დაუბრუნა მშობლიური ენა; საფუძველი დაუდო ეროვნული მეცნიერების აღორძინებას, შეაპირთა ეროვნული მწერლობისა და ხელოვნების ნამდვილი აყვავება. პირადად მე მოვესწარი იმ დროს, როცა ქართული ენა მხოლოდ ნებაყოფლობის წესით ჩსწავლებოდა სკოლაში, მას დათმობილი ჰქონდა კვირაში ერთი საათი და ისიც სასწავლო დღის ბოლოს, მეექვსე გაკვეთილად. გიმნაზიაში ოფიციალურად გვიკრძალავდნენ ერთმანეთს შორის დედაენაზე საუბარს.

რევოლუციამდელ პერიოდში ქართული კულტურის, მეცნიერებისა და მწერლობის სარბიელზე მრდვაწუბდნენ ცალკეული სახელოვანი მამულიშვილები. საბჭოთა სინამდვილეში კი მეცნიერებაზე, მწერლობაზე და ხელოვნებაზე ზრუნვა დაკისრებული აქვს სახელმწიფოს. მეცნიერულ კვლევა-ძიებას ახლა ეწევიან სპეციალური სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები და უმაღლესი სკოლების კათედრები, მწერლობისა და ხელოვნების საქმეებს აწესრიგებენ შემოქმედებითი კავშირები. ყველაფერ ამას შესაფერისად ასახავს კონსტიტუციის პროექტი. პროექტის 26-ე მუხლში ვკითხულობთ: „საზოგადოების მოთხოვნილებათა შესაბამისად სახელმწიფო უზრუნველყოფს მეცნიერების გვემაზომიერ განვითარებას და მეცნიერული კადრების მომზადებას, ორგანიზაციას უწევს მეცნიერული კვლევის შედეგების დანერგვას სახალხო მეურნეობასა და ცხოვრების სხვა სფეროში“.

— კონსტიტუციის პროექტის 45-ე მუხლი ეთმობა ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარების საკითხს. აქ აღნიშნულია, რომ: „სახელმწიფო ქმნის საინტელექტუალურ პირობებს“. პროექტი არ ივიწყებს, „პროფესიულ ხელოვნებისა და ხალხური მხატვრული შემოქმედების განვითარების“ ხელის შეწყობას (მუხლი 27).

საბჭოთა სახელმწიფოს დიდი ზრუნვის შედეგია, რომ საქართველოში თვალსაჩინოდ დაწინაურდა წიგნის, კერძოდ, მხატვრული მწერლობის ძეგლების გამოცემის საქმე. აკაკი წერეთელი ერთ დროს ჩიოდა: „ოცდაშვიდი წელიწადია, რაც ვწერ და ჯერ კიდევ ჩემს ნაწერებს ცალკე წიგნად გამოსვლა არ ღირსებია“. ახლა დიდი ტირაჟებით გამოდის აკაკის როგორც ცალკეული ნაწერები, ისე თხზულებათა კრებულები. მეცნიერულად, კომენტარებითა და გამოკვლევით გამოქვეყნდა 15 ტომად აკაკის თხზულებათა სრული კრებული. ასევე სრულად რამდენიმეჯერ დაიბეჭდა ნიკოლოზ ბარათაშვილის, ილია ჭავჭავაძის, ვაჟა-ფშაველას, ალექსანდრე ყაზბეგის თხზულებანი. სრული კრებულების სახითაა გამოცემული გამოჩენილი საბჭოთა მწერლების ნაწერებიც, არ დარჩენილა ძველი ქართული მხატვრული მწერლობის არც ერთი ძეგლი, რომ მას ჩვენ დროში არ ენახა მზის სინათლე. ქართული პოეზიის გვირგვინთ-გვირგვინი „ვეფხისტყაოსანი“ საბჭოთა პერიოდში გამოვიდა ოცდათთხმეტჯერ. ხშირად იბეჭდება ქართული ხალხური სიტყვიერების ძეგლები.

არაჩვეულებრივად წავიდა წინ, განსაკუთრებით ბოლო დროს, მხატვრული მწერლობის ძეგლთა თარგმნის საქმეც. ქართულ ენაზე ითარგმნება უცხოური და მოძველებული საბჭოთა ხალხების ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშები, ასევე ქართული ძეგლები ბლომად ითარგმნება მოძველებული ხალხთა ენებზე და უცხოურად. საყოველთაოდ ცნობილია, როგორ აასლოვებს და აკავშირებს ხალხებს მათი სულიერი საუნჯის, უწინარეს ყოვლისა, მხატვრული მწერლობის ურთიერთგაცნობა. ეს ამდიდრებს ხალხთა სულიერ სამყაროს. საბჭოთა პერიოდში ქართული მწერლობა ორგანულად ჩაერთო საერთაშორისო ლიტერატურული ცხოვრების მიმოქცევაში. საინტერესოა აღინიშნოს, რომ უკანასკნელი 5-6 წლის განმავლობაში გამოქვეყნდა „ვეფხისტყაოსნის“ თოთხმეტი ახალი თარგმანი სხვადასხვა ენაზე. მარტო 1976-1977 წლებში გამოვიდა „ვეფხისტყაოსნის“ ორი ახალი ინგლისური თარგმანი (სტივენსონისა ნიუ-იორკში, ვივიანისა — ლონდონში), ორიც გერმანული (ბუდენზიგისა თბილისში, ვიკტორია რუიკა-ფრანცისა — ბერლინში). რუიკა-ფრანცის თარგმანი წარმოადგენს რუსთველის პოემის მოზარდთათვის დანუშვებულ ტექსტს. ავტორ-მთარგმნელის სიტყვით, შოთა რუსთველი მთელი ჩვენი პლანეტის ერთი უდიდესი პოეტია. პირველად გამოქვეყნდა 1977 წელს (თბილისში) „ვეფხისტყაოსნის“ ფრანგული თარგმანი ელისაბედ ორბელიანისა და სოლომონ იორდანიშვილისა. შარშან „ვეფხისტყაოსნის“ სამი რუსული თარგმანი დაიბეჭდა (მოსკოვსა, ლენინგრადსა და თბილისში) 440000 საერთო ტირაჟით...

ქართული მწერლობის ძეგლთა შესწავლასა და პუბლიკაციას ხელსაყრელ პირობებს უქმნიდა ხელნაწერი ფონდების კონცენტრაცია, მათი აღწერილობებისა და კატალოგების შედგენა. ამჟამად ძირითადად დამთავრებულია როგორც ცენტრში, ისე ადგილებზე დაცული ხელნაწერი კოლექციების აღწერილობა-კატალოგიზაცია. მკვლევართა განკარგულებაშია საზღვარგარეთის (იერუსალიმის, სინას მთის, ათონის, ლონდონის, ოქსფორდის, პარიზის, ვენის, გრაცის...) ქართულ ხელნაწერთა ფონდების მნიშვნელოვანი ნაწილის მიკროფილმები და ფოტოპირები. მაგრამ საერთოდ ამ ფონდების ბედი მანც დიდ შემფოთებას იწვევს, ზოგი რამ იქიდან გაქრა და დაიკარგა, ზოგიც გაიფანტა. გვაქვს უტყუარი ცნობები, რომ სინას მთიდან თუ იერუსალიმიდან მიტაცებული ქართული ხელნაწერების უძვირფასესი ფოლიანტები დროდადრო იყიდება ამერიკის წიგნის ბაზრებზე. ჩვენს სახელმწიფოს და ფართო



საზოგადოებრიობას მოეთხოვება შეუნელებელი ზრუნვა წინაპრების ნამაგარი დაუდებელი სულიერი განძის შეგროვების, სათუთად მოვლა-პატრონობის და საკულ-დაგულოდ დაცვის უზრუნველსაყოფად. ახალი კონსტიტუციის პროექტი საამისო პირობებსაც გვიქმნის.

ფართო მასშტაბებით და წარმატებით ხორციელდება ჩვენი არქეოლოგიური გათხრები. საქართველოს მადლიანმა მიწამ უხვად შემოგვინახა მსოფლიო მნიშვნელობის განძეულობა. მოპოვებულია, თავმოყრილია, ნაწილობრივ შესწავლილია დიდძალი არქეოლოგიური მასალა. გაკეთებული მანაც წვეთია ზღვაში. ჩვენი ქვეყანა მეტად მდიდარია მატერიალური კულტურის დიდებული ძეგლებით. ბევრი რამა მოსაგვარებელი ამ ძეგლების დაცვისა და შესწავლისათვის. დაცვა, მოვლა-პატრონობა და მუდმივი მზრუნველობა სჭირდება ჩვენი ქვეყნის მშვენიერ ბუნებას, მის მიწა-წყალს, მის ჰაერს, მის ფლორასა და ფაუნას. საქართველოს კონსტიტუციის პროექტი ითვალისწინებს ამ უმნიშვნელოვანეს საკითხსაც. პროექტში ჩაწერილია (მუხლი 18): „ახლანდელი და მომავალი თაობების ინტერესებისათვის საქართველოს სს რესპუბლიკაში ხორციელდება საჭირო ღონისძიებანი მიწისა და მისი წიაღის, წყლის რესურსების, მცენარეული და ცხოველთა სამყაროს დაცვისა და მეცნიერულად დასაბუთებული, რაციონალური გამოყენების მიზნით, ჰაერისა და წყლის სისუფთავის შენარჩუნების, ბუნებრივ სიმდიდრეთა აღდგენა-გამრავლებისა და გარემო ბუნების გაუმჯობესების მიზნით“.

გზა უნდა გადაეღობოს ყოველი ჯურის ბრაკონიერს!

კონსტიტუციის პროექტის 75-ე მუხლი სახელმწიფოსაგან მოითხოვს ბეჯითად ზრუნვას ჩვენი უდიდესი ეროვნული განძის, ჩვენი დედაენის ყოველმხრივი განვითარებისათვის. პროექტი აკანონებს ქართული ენის ფართო, შეუზღუდავი სარგებლობის უფლებას საზოგადოებრივი, სახელმწიფოებრივი და კულტურული ცხოვრების ყველა სფეროში. დედაენის სიწმინდისათვის ზრუნვა სახელმწიფოებრივი მასშტაბით დაკისრებული აქვს ქართული ხალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენ მუდმივ სახელმწიფო კომისიას, რომელსაც ხელმძღვანელობს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე. მშობლოურ ენას მეურვეობენ ჩვენი შესანიშნავი მხატვრული მწერლობა, ჩვენი ეროვნული აკადემია, ჩვენი უნივერსიტეტი. მესხიერებიდან ვერ ამოიხოცება ის გრანდიოზული სახალხო ზეიმი, რომლითაც აღინიშნა იაკობ გოგებაშვილის უკვდავი „დედაენის“ ასი წლისთავი. შთამბეჭდავი ზეიმი მოუწყო, ჩვენმა ხალხმა ქართული ენის დიდსა და დაუცხრომელ მკვლევარს აკადემიკოს აკაკი შანიძეს მისი დაბადების 90-ე წლისთავზე.

ქართული ენის მშვენიებას ჯერ კიდევ X საუკუნეში მიუძღვნა წარმტაცი ჰიმნი პალესტინისა და სინას მთის ქართული კულტურული კერების მოღვაწე მწიგნობარმა იოანე-ზოსიმემ — „ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი“. მწერალი ქართულს უწოდებს ყველა ღირსებით უხვად „შემკულ და კურთხეულ“ ენას. ამ „შემკულ და კურთხეულ“ ენაზე დაიწერა „შუშანიკის წამება“ და „ვეფხისტყაოსანი“. ამ ენაზე ჰქმნიდნენ წარუვალი ღირებულების შედევრებს სულხან-საბა ორბელიანი და დავით გურამიშვილი, ნიკოლოზ ბარათაშვილი და ილია ჭავჭავაძე, აკაკი და ვაჟა, გალაკტიონ ტაბიძე და გიორგი ლეონიძე...

მთელი თავისი ხანგრძლივი ისტორიული ცხოვრების მანძილზე ქართველობა სამაგალითო ჰუმანურობასა და შემწყვანარებლობას იჩენდა ჩვენს ქვეყანაში მცხოვრები თუ დროებით შემოხიზნული სხვა ხალხების შვილების მიმართ, არ აკლებდა მათ მფარველობასა და კეთილდღეობისათვის ზრუნვას. საბჭოთა საქართველოს ახალი კონსტიტუციის პროექტიც თავიანთი ენებით შეუზღუდავი სარგებლობის უფლებას აძლევს აქ მცხოვრებ ყველა ერისა და ეროვნების წარმომადგენლებს.

გულით ვიწონებთ საქართველოს სსრ ახალი კონსტიტუციის პროექტს.

ახალი ღიბნიღან



შემოდგომაა.

არა მარტო ტანზე ფორეჯით,
რაღაცით ჰგვანან
ლეოპარდებს, ოღონდ პატარებს,
ეს კალმახები.
სახე ბიჭის ამბობს: „მომეშვიო!“,
მეორე ბიჭი
ფეხშიშველი რიყეში ტანტალებს,
ბიჭი მესამე,
თუმც კალმახის აცმულას ჰყიდის,
ეტყობა, ნაშრომს
ნაწეტნავად აფასებს ძვირად,
რაკი ეს ტიპი
ნერვიულად „ვოლგისკენ“ მიდის,
დულს ოქროსფერი
შემოდგომა არაგვის პირად...
ყოჩად, ბიჭუნაჲ!
არ დაუთმო არამც და არამც!
არ ჩაგითვალონ
ვგ არაგვის კალმახი ხეკად!
მატიფი ეცი,
ფასი დასდე მშობლიურ არაგვს,
იზარდე აგრე,
შენი შვიდი არაგვის ლეკვად!



აკაკი გაწვრვლიას

სადმე ტყავგაკრულ კართან
ორიოდ წუთით ვსვდებით —
საინტერესო ხართ და
საინტერესოს ჰყვებით.

ვიცნობ მელნისას მხარჯველს
ბარე რვაასს და ცხრაასს —
თქვენ შეგაგებებთ მარჯვენს,
თქვენთან ვიჩქარი ბაასს.

ცხოვრობთ ხანჯლებით გულში,
კაცს რამდენ ნაღველს ჰგვრით!
ეს თქვენ მითხარით გუშინ:
— «Отрадной камнем быть!»

მე შეგასხენებთ, გნებაეთ,
ლიტერატურულ ტბორებს,
წყებად, წყებად და წყებად
თქვენს დაუნდობელ ბრძოლებს.

და, ტიუტიჩევის გარდა,
სულის და გულის სარჩოდ
სწავლულს (პოეტიც ხართ და)
თქვენ გუმილიოვიც გახსოვთ.

სადმე ტყავგაკრულ კართან
ორიოდ წუთით ვსვდებით —
საინტერესო ხართ და
საინტერესოს ჰყვებით.

თქვენ ჩაიქნით ხელი:
— „არკმაყოფილმა სვედრის
სცადე, შეიძლო ძნელი —
აღუშფოთვლობა ცხედრის!“

მიყვარს ბაასი თქვენი!
მიყვარს მკაცრის ბასრის,
ხატოვანის და წრფელის
თქვენგან ნათება აზრის!

მაგრამ ეს — მხოლოდ ფარად!
გიცნობთ მეომარს კარგად:
თქვენ — ხმლიანი ხართ მარად,
თქვენ — მინორული არ ხართ!

ვიცნობ მელნისას მხარჯველს
ბარე რვაასს და ცხრაასს —
თქვენ შეგაგებებთ მარჯვენს,
თქვენთან ვხარბდები ბაასს!



ვცნობ წიგნის ჭიებს, —
წაკითხული წიგნების ეშხით
მათს რემინგტონით
(უცხოვრებლად!) დაწერილ წიგნებს;
ვცნობ უწიგნურებს,
მწარმოებლებს წიგნისას ჩეჩქად —
ჩემი სალამი...
წიგნიერ და
უწიგნურ ჯივრებს!..

მძაგს წიგნის ჭიაც
(ეგ აზრს მაინც გაგიზიარებს!),
მძაგს უწიგნურიც —
წიგნებს წერს და მალიზანებს.



საქონელი რომ დაეჩვენება ბაგაზე მარილს.
 ზუსტად ასე,
 დღეში სამჯერ,
 რეფლექსურ დროზე,
 იღება ჩვენი სასადაილო დარბაზის კარი,
 შემოდის პოეტი,
 ტომით ჩუქჩი,
 რატომღაც ხოსე;
 მონდოლოიდი, უწვერული, თვალურ სახის,
 ჯუჯა, თვალწერილი,
 მოწიწებით
 არიგებს საღმებს,
 რიგითი მდგმური ბიჭვინთური მწერლობის სახლის
 ჯდება სარკმელთან
 და მოწყენით
 გაჭყურებს პალმებს...
 მიქცეულია ლურჯი ზღვისკენ თვალეზი ირიბი,
 რა შეიძლება
 იყოს ახლა
 პოეტის ტვინში? —
 ხევსურულ ძროხასავით ტანნორჩილი თეთრი ირმები,
 სელაპის ლორი,
 ირმის შაშვი,
 იურტა თვისი!
 მოქცეულია ჩემსკენ უცხო ძვალმსხვილი კეფა,
 რა შეიძლება
 იყოს კიდევ
 პოეტის ტვინში?!
 მათრახის სტვენა, გაფრენილი ძაღლების ყეფა,
 მარხილის სხლტომა
 და პოლარულ
 ქარების ტვისტი.



„მოდითა ერთზე ასი!“
 დარჩენილხარ ვალში როდის!
 იყო — ასე, ახლა ხმაღლი
 ერთზე —
 ორჯერ ასი მოდის!

ასს რომ თვითონ იწვევ ხმაღლი
 სულით-ხორციტ კვაზიმოდოს,

სხვა მეორე გიდრენს ასი,
 ერთზე —
 ორჯერ ასი მოდის!

გინაროდეს, გჭირს ძმათათვის,
 რაც სოფელმა დღე გაშხამა!
 „არა მართო ტკბილ ხმათათვის
 გამოგვზავნა
 ქვეყნად ცამა!“



გამარჯვება და
 დამარცხება — წყვილად ძმებია,
 ერთიც მინახავს
 და მეორეც სწირად მრგებია.

გაგმარჯვებულვარ,
 მაგრამ ბევრჯერ გამჭირვებია,
 სიმწრის სიცილით
 დამარცხებულს ჩამცინებია.

სად დამარცხების
 უკაცური ნაპირებია,
 ვგდებულვარ ზღვისპირ,
 გამოუცდელს გამკვირვებია.

რომ თანაგრძნობით
 დამარცხებულს თუმცა ეპყრობა,
 ყრუა დემოსი —
 გამარჯვებულს უმალ ემხრობა.

არ შეაქცია
 ზურგი ძლეულს დემოსმა რომელს?!
 ტაშს უკრავს იგი
 გამარჯვების კვარცხლბეგზე მდგომელს!

და დასკვნა ჩვენი
 თუმც ნკატრია, მართებულია:
 დამნაშავეა
 ვინც დამარცხდა, ბრალდებული!

გინდ იყავ კაცი,
 გინდ ერის კაცთ შეთქმულთა დასი,
 გინდ თვითონ ერი, —
 დამარცხებულს გროში გაქვს ფასი!

რად დაგამარცხეს?
 რად დამარცხდი? რახან აგრეა,
 მაშასადამე —
 რაღაც გიჭირს, რაღაც გაკლია!

წიაგწიავე
 და ბუმბული ქარს რომ გაჰქონდა,
 შენ სუსტი იყავ,
 დაგამარცხა, სხვა გ'ზა არ ჰქონდა...

და ამიტომაც,
სასაცილო თუ ვსურს არ გახდე,
საქმე — უსიტყვოდ!
წარბი შეჰკარ, სცადე ამაღლდე!

ნოემვი ბუზღუნს
და გინებას დამმარცხებლისას?
დამუნჯდი ბოღმით,
ჩასწვდი, ჩახვდი თამაშს ქვეყნისას!

გაცაძლიერდი,
სამუდამოდ ჩათვლილმა სუსტად,
ნიჭი ყოველი
ისერიგად შეჰკარი მუშტად.

ის სუსტი იყოს,
ძალი შენი ცად ამთავორდეს,
ის მარცხდებოდეს,
ამარცხებდე — სხვა გზა არ გქონდეს!



მოგვინდონეს
გურულუმმა დათრობა:
„აი ყანწი
ჩვენს ცეცხლაძე გრიშასო!“
„სვითო, ძამა!“ —
ვსვით, მოგვიხდა დათრობა,
პირში გვითხრეს:
„ქათამს ტურაც კი ჭამსო!“

ის დრო სჯობდა,
შალვა — დადანიობდა,
მასშევილად —
იყო მაშინ ალიო,
დემნამ თავი
გადადო და გალომდა —
ჩაის ჭიქით
ხელში შევხვდით ალიონს...

ჩვენ გურია —
სამეგრელოს ვსტუმრობდით —
ხალხი წიგნის,
ხალხი მეღნის ხელობის —
ომის შენდევ
ვსტუმრობდით და ვპურობდით,
ზარ-ზეიმი
იყო ქართულ მწერლობის.

თავდებოდა
შეხვედრები ღზინით,
იყო სმა და
გადარევა მეტწილად,
სასტუმროში
ვბრუნდებოდით დილით
და მომავალ
შეხვედრამდე გვეძინა.

ვიღვიძებდით,
უფროსობა ბჭობდა, —
უმცროსები
მორიდებით ვიდექით, —
წელს მასპინძლად
ვინ-რომელი სჯობდა:
სანეგრელო
თუ გურია პირიქით?!

ომისშემდგომ
აზიას და ვერობას
ჯერ შიმშილით
ფერი ედო მარტვილის,
მასპინძლობდა
თავის ქართულ მწერლობას,
შეჰხაროდა
პოეტს ერი ქართველი.

და მწერლობაც
პროვინციის სცენაზე
ხალხს თავის მხრივ
აღმავლობას უქადდა;
რიტორობდა
დადიანი ენაზე,
გოგლას მწერა
წყვილ ნადევრდალს უგავდა...

სად წასულან
ღირსეული გვამები?
(დადიანის
ხმაში მახსოვს ალერსი!),
მიმოვმარხეთ
ბიძეები და მამები —
სადგურობენ
მოგონებათ მხარეში.

დანაკარგი
კი, ახლებით დავძლიეთ!
აქ — დიდუბის,
იქ — მთაწმინდის ტარიგად,
ოპ, რამდენი
მწარე კუბო ავწიეთ,
კუბო-კუბო
ვინ-სად მიმოვარიგეთ!

რიგი წავალს,
კვალად მოვალს სხვა რიგი,
ცათა ქვეშე
რაც ყოფილა იგია!
რა თქმა უნდა,
მოვალს წასვლის თარიღი,
რიგში ვდგავართ,
ახლა ჩვენი რიგია!..

და თუ წიგნი,
ჩემი წიგნი სავსეა
მოგონების
იისფერი ბლონდებით,
ვინც ჩვენს უკან
ვინც ჩვენს შემდგომ გზაზეა,
ჩუმის წყენით,
ალბათ, მოგაგონდებით...

ცოდვა-მადლი —
აწონილი წვეთებით!
მოგონება —
არ ყველაფრის შენდობით!
უმრწმენსო,
გმადლობთ მოგონებისთვის!
მე. პირადად —
ღმერთი-რჯული, გენდობით!



(იუმორესკა)

„რაფრად ხარ?“ — „რაფრად ვიქნები?“
„ხომ კარგად“ — „ასე, საშვალოდ!“
„ონს გაგირეკავს თიკნები!“
„ჰო, ბიჭი ფულს მწერს საჩქაროდ!“

„სხვაფრივ? სახლისას რას შერები?“
„რას ვიზან?! შეჯდენ უარზე!“
„წელსაც თავლია დარჩები?“
„აპა! ვარ ასე, შუაზე,

არც იქით — მჯობნის-მჯობნებში,
არც მთლად ობლებში აღრევით,
ვარ (თუ გინახავს!) ღობეში
გაკვებებული ძაღლივით!“



ჩემი პორდიდან
 მზის ამოსვლას
 გადევნებ თვალ-ყურს
 ყურს ვუგდებ სოფელს,
 ხერხის ღრჭიალს,
 ნაჯახის კაკუნს.

სოფლის გაცლაზე
 რამდენს ვწუხდი.
 და რამდენს ვწერდი,

ახლა იწყება
 ისტორიის
 ახალი გვერდი...

ვიშ, ზუღლის აღმართს
 „გრუსოვიპი“
 შემოსდგა ხვნეშით,
 მობობღავს თუმნად —
 დატვირთული
 რიონის ხრეშით.

იქ რონელიდაც
 ლებანიძე
 ოდა-სახლს ხურავს —

თეთრი თუნუქი
 უმოვია,
 ეტყობა, გურამს!

შეტეხის წითელს
 თითო ათასს
 იშოვნი ასად,

კარზე მიტანით
 ტონა ცემენტს —
 იგივე ფასად!

ოცი მანეთი —
 დღიურ მუშას
 ყოველდღე ხელში —

წაჭერილი გაქვს
 მუშის ხელი
 მშენებელს ყელში.

ჩემს ყრუ ხეობას
 ვიხსენიებ
 ამჯერად ქებით:

თენდება დილა
 სასურველი
 შენების ხმებით!



(იუმორესკა)

ერთი კაცი ხშირად ხმარობს
„რამეთუს — და ეგზომს“,
ტყვილა წერს და ტყვილა წვალობს —
ქართულ სიტყვას ვერ გრძნობს.

წერს: „არ ვამბობ, რომ ერთი ვარ!“
წერს: „რამეთუ ვლექსობ,
მაშასადამე, პოეტი ვარ“ — და
იქვე დასძენს: „ეგზომ!“..

კაცი თუკი მელექსეა,
მდარეც იყოს თუნდა,
ენა — უპირველესია,
ეს ახსოვდეს უნდა!

წერეთ, ძამა! არ შეფერხდეთ
ქალაღლით და მეღნიით!..
მარკებს უნდა აწებებდეთ
მაგისტანა ენით!



არ ვთამაშობ, თამაშიდან გავღივარ,
ფარ-ხმალს ვაწყობ,
ვეფერები ბალახებს;
ყრუ ხეობის თავზე ვარ და ცამდე ვარ,
უკეთ ვხედავ
მახრჩობელა ქალაქებს.

კუბოს ვაგებ, ეს შეშვიდე წელია,
სისხლი მწვეთავს,
გვედები კარგა ხანია;
ეს სიკვდილი — ძველის-ძველის-ძველია,
ეს გაქცევაც —
ვიცი, არახალია.

ყრუ ღამეში შერკინულმა მხედრებმა
გადუქროლეს
ჩემსას მთა-ბარს ჭენებით,
იყო ჯვარცმა, იყო კენესა-ვედრება,
რკინის დროში
ვბრძოდით ლამანჩელები...

მე მინდოდა შეცვლა ქვეყნიერების,
(გულუბრყვილო
ბიჭი მახვილს ლესავდა!),
კაცთა შორის — ძმობა, ბედნიერება,
ხალხთა შორის —
სათონება მკწადა.

რაც ყოფილა — ცისქვეშ იხი იქნება,
ის ოცნება —
ქამმა დაასანარა,

შეე ჯინჭველად მესვევიან ფიქრები,
სიკვდილის წინ
ვრჩები კითხვის ამარა:

გაჩენილა კაცთა მოდგმა ღვთისაგან, —
მძვინვარებდეს,
ბრძოდეს, კვნესდეს, ჰგოდებდეს:
სატალახო გზებით სრულყოფისაკენ!
მაგრამ ჯვარცმა
ოპ, როდემდის, როდემდის!

არ ვთამაშობ, თამაშიდან გავედივარ,
ფარ-ხმალს ვაწყობ,
ვკოცნი, ვკოცნი ბალახებს;
ყრუ ხეობის თავზე ვარ და ცამდე ვარ,
უკეთ ვხედავ
მანჩრობელა ქალაქებს.



მთის ჩიტი
მთას შააკვდაო, —
თოვლი თოვს,
არ ჩანს საფრენი...
მთას ჰკითხეს:
„რა შაგაკლდაო?“
მთამ:
„დიდი არცარაფერი!“
„ვა, ბეჩა,
მაგას სტყუედები!
არ გაცოცხლდების
ბედკრული,
მაგრამ
შენც გამაჰყრუედები,
გამაგელევის
ერთგული!“

შენ მპირდები პურს და მარილს,
ჭომას,
რანუნის და დელას,
პურს და მარილს, გულს და ხალისს.
ტკბილ-ქუთათურ
ტაბლას ფერადს —
ანზორ, წამიყვანე გელათს!

იქ ნანგრევი უხმოდ ჰკივის,
იქ მზე ჩამავალი ღვივის,
იქ სურთა
იდუმალი
იქ სუროში შაშვი ჩივის
ჩვენსას
მოურჩენელ ტკივილს...



ობოლს შეჰკითხეს:
— რა გახართო?“
— „რას მახარებთო?“
— „ზამთარი მოდის!“
— „მოდის და, მეც აქ ვარ
საკანკალოდო...
მობრძანდებაო,
ბატონო, როდის?“

ანზორ! წამიყვანე გელათს!
იქ ოცნებებს მიმეც ფერადს!
იქ ვეება
სიპქვეშ სძინავს
ჩვენსას, ჩვენთვის დაღლილ ბელადს —
ანზორ,
წამიყვანე გელათს!

იულიუს ფუნიკი

თავის მოკრით კაცი არ პატარავდება.

იულიუს ფუნიკი

დიან დღეები

უგემური, ბილწი და მჟავე —

გელიან უღლის

და სირცხვილის მე ვარ მზიდველი.

კისრიდან სისხლი

გამთქრიალებს, ის არის შავი —

არ შეიძლება

ჩემი სისხლი

იყოს წითელი!

ამდენი ბოღმა,

დამცირების ამდენი შხამი!

ამდენი ტანჯვა,

გაცრუება და გამყიდველი!

კისრიდან სისხლი

გამთქრიალებს, ის არის შავი —

არ შეიძლება

ჩემი სისხლი

იყოს წითელი!

მივათრევ დღეებს,

სადღაც სუსტი ყვავილი ჰყვავის,

არამც და არამც

არ დაცხრება ბედთან ჭიდილი,

კისრიდან სისხლი

გამთქრიალებს, ის არის შავი —

არ შეიძლება

ჩემი სისხლი

იყოს წითელი!



ქ ა შ მ ბ ი

დღევანდელ დღეს აღარაფერი ეშველება. ნატა — თვითონვე შეგვეცე ეს სახელი — რომელიღაც ახლო ნათესავთანაა სტუმრად. დღევანდელი საქმეებიც, ავად თუ კარგად, მოთავებულია. უცხო ქალაქის სადამოები კი აღმა-დაღმა ყიალისა და თვალების უმისამართოდ ცეცების მეტს ვერაფერს მოგცემს: უსახელო ქუჩები — რა აზრი აქვს კედლებზე გაკრული ფირფიტების კითხვას? უსახელო ადამიანები — სხვა საქმეები, სხვა ფიქრები... სასტუმროში სართულის მორიგის მოყამული სახე — დავიწყებულ ვალს თუ გიხსენებს, ორიოდ ნაცნობი ნივთი ორას ოცდარე ნომერში და სახელდახელოდ გასწორებული ლოგინი, ეს ერთი კვირაა რომ თელავ.

ნატა სტუმრადაა და ეს დღეც უიმისოდ უნდა დაილიოს.

არა, ისეთი არაფერია. ჯერ მალული, წამიერი გამოხედვა იყო, მორცხვი თვალების გულუბრყვილო მზერა. ვიცი, სერიოზული არაფერია. უცნობი ქუჩები, უცნობი ადამიანები და ერთადერთი ნაცნობი ქალიშვილი, დროდარო სასაცილოდ რომ აფახულეებს თვალებს. ეს არის და ეს.

ტროტუარზე ხმაურით მოდის ჭინსიანი გოგო-ბიჭების ჯგუფი. არ ვიცი, იქნებ მობერებული სამყაროს ჭიბრზე და გულის გასახეთქადაც უჭირავთ თავი ასე გამომწვევად. იქნებ მეჩვენებდა კიდევ. ეს კია, ტკივილი და შური მოტივტივდება ხოლმე მათი დანახვისას — უამრავ სანუკვარ სურვილს, ოცნებებსა და მოლოდინის წლებზე რომ უნდებოდა, ეს ახლად დაჩეკილი თაობა უპატიყოფ, ურცხვად და იოლად იკმაყოფილებს.

ნატაც თვრამეტი წლისაა. მოლიავებული საზაფხულო კაბიდან თეთრი და მკვრივი მკვრიდი მოუჩანს. ნახევრად შაშველი კანუებიც დაყინებით და მალე მახსენებს ჩემს სამ ათეულსა და კიდევ რამდენიმე წელიწადს. ეს თუ მიკრავს ხელ-ფეხს. ჰო, ალბათ ასეც არის. სამი ათეული მარტო სათქმელად თუა იოლი: „ის რას იფიქრებს, მე, სხვები!..“

ქალის არასდროს მშინებია, არც ახლა. ეს არის, თავს ცოტა განზე გავუდექი, იქიდან დაუწყვე ცქერა. მოურიდებელი, სხვისადაქცეული თვალთვალი თან მაღიზიანებს, თან მართობს კიდევ. რა გასაკვირია, რომ ამ მესამე თვალს ვაბრალებ ყველაფერს. იქით კი აღარც სურვილი მიდის, აღარც ფიქრი... მხოლოდ თვრამეტი წლისაა ნატა.

— ალბათ გუუხერხულებათ ჩემს გვერდით სიარული... — სწორედ ასე მითხრა იმ დღეს.

შუა ქუჩაში ვიდექით. გულუბრყვილო და სასაცილო სახე ჰქონდა.

საოცრად ჩუმი გოგოა. იქნებ აქვს კიდევ სათქმელი, მაგრამ რატომღაც უფრთხის აზრების გამომწეურებას. ყვავილებზე თუ ალაპარაკდება.

კინოთეატრთან დავეჭვით პირველი შეხვედრა. იმავე კაბით მოვიდა.

კინოში ნუ შევალთ, აქვე ვცხოვრობ, ჩემთან ავიდეთო. ჭირვეულობა არ დამიწყია. პური, ძეხვი და რაღაც კონსერვი ვიყიდეთ, — დილას აქეთ არც იმას ჩადო პირში ლუქმა, — ბოთლი არაყიც გავიყოფეთ. შესასვლელთან ლოყებჩამომჭნარი, დაღეული ქალი იჯდა. უხიავად დაგვადგა პატარა თვალები. კიბუხეც ვგრძნობდი ამ უნდო ცქერას. ყურადღებას ნუ მიაქცევო.

ჩვეულებრივი ოთახი იყო. სამი სა-
წოლი იდგა (სასტუმროშიც ასეთ სა-
წოლზე მეძინა), იმ საწოლების პატ-
რონებიც შინ დაგვხვდნენ — ერთი
ქერა და ერთიც შავგვრემანი ქალიშვი-
ლი. მერეღა მითხრეს — ერთ კურსზე
ვსწავლობთო სამივე.

ძველი ნაცნობებით შემხვდნენ. ერ-
თმანეთი გამაცნეს, მერე კითხვები და-
მაყარეს — ვინ ვიყავი, საიდან, რა-
ტომ...

გულახდილად რომ ვთქვა, ჯერ ვი-
ნანე, ისევ კინოს ნახვა სჯობდა-მეთქი,
თუმცა მალევე დამავიწყდა — ძალიან
მხიარული გოგონები გამოდგნენ. მე-
ტისმეტ უშუალობას ხშირად არამკი-
თხაობაც ამოუდგება ხოლმე გვერდით,
მაგრამ მომხიბვლელობა მაინც მეტი
აქვს. მალე გავშინაურდით.

ვიცეკვოთო. რიგრიგობით ვეცეკვე-
დი სამივესთან. ნატას რბილი, მოქნილი
წელი ჰქონდა. ოდნავ თავგადაწეული
ცეკვავდა და ცისფერი თვალებით მი-
ცინოდა.

ისეთ არაფერია. ეს არის, ორი ღლის
შემდეგ თვითმფრინავიდან რომ ვადმო-
ვხედავ ამ უცხო ქალაქს, ეს წყნარი,
ცისფერი გამოხედვა გამახსენდება. მე-
რე კი, კარგა ხნის სინანულადაც ჩამრ-
ჩება.

სინანულადაც. ეს სიტყვა მალიზია-
ნებს და თავს ვახსენებ, რომ დასაქად-
ნი ამაში არაფერია, რომ კარგა ხანია
ოცდაათზე მეტისა ვარ, რომ სამარ-
ცხვინოდ სენტიმენტალურია ჩემი ქცე-
ვა, რომ საცაა გავბრაზდები. მერე კი,
გასართობად მაინც, უშედეგოა ელყით
გაწბილებულ ჯარისკაცს შევადარებ
თავს. ვერაფერს იტყვი, მშვენიერი გა-
რთობაა.

გუშინწინ „ჩემს“ სასტუმროსთან ჩა-
ვიარეთ. მოვიმიზეზეებ, რაღაც დამრჩა-
მეთქი, გავიფიქრე და მაშინვე სართუ-
ლის მორიგე გამახსენდა, მერე ნატას
გაკვირვებული სახეც წარმოვიდგინე
და... ალბათ ვაზვიადებ ყველაფერს,
ალბათ სისულელეა სხვის მაგივრად

„პოს“ თუ „არას“ ძახილი, ალბათ
არც სართულის მორიგე ითაკიერებას
გასესხებულის განაღდებას... ალბათ.

ფანჯრებში სინათლეები დანთებულა.
მთელი ქუჩა რომელიღაც უცნობ სად-
გურზე ჩამომდგარ ორ მატარებელს
ჰგავს. ეს ხალხიც თავთავიანთ ვაგონე-
ბისკენ, თავთავიანთ სინათლეებისკენ
მიფარფატებს. დახუჭავ, გაახელ თვალს
და აღარც სინათლეები იქნება, აღარც
ვაგონების გრძელი რიგი. ერთხანს გა-
ნათებული ფანჯრების თეთრი ჩრდი-
ლები ილივლივებს მესხიერებაში, ისიც
გაქრება.

დღეს მაინც არ წასულიყო ნატა.

ჯერ კიდევ არ გამოგიცვლია პასპორ-
ტიო? გუშინ იყო რომ მითხრა. აერო-
ფლოტის კრიალა დარბაზში ჩვენს
რიგს ვუცდიდით.

ხელი თუ მოვუჭირე პასპორტს და
შემატყო. ჩემთვის, ჩვენთვის რა მნი-
შენელობა აქვსო. მაინც ამარიდა თვა-
ლი. მერე ამომხედა, ჩემთან წავიდეთო.
ყოველთვის ასე მეუბნებოდა — ჩემ-
თან წავიდეთო. მივდიოდით. ის გოგო-
ნებიც შინ გვხვდებოდნენ, ის ლოყებჩა-
მომქქნარი ქალიც.

ნეტავ რამდენისაა. სამოციის... ოთხ-
მოცდასუთის... საუკუნის... რა მნიშე-
ნელობა აქვს. ალბათ აღარავან ეყოლე-
ბა. პირგამეხებულნიც იმიტომ თუ შე-
სკეპრის ქვეყნიერებას: ერთი — მთელ
სამყაროს.

არ უნდა წასულიყო დღეს ნატა.

ქუჩა, მოსახვევი და ისევ ქუჩა. თავ-
თავიანთ სინათლეებისკენ დაძრული
ხალხი — გაღიმებული, მოღუშული,
გულგრილი... სულ ეს არის უცხო ქა-
ლაქი. ძალიძალიად გაბმული ძაფები
რომ არა, ასეთადაც დარჩება, ესეც და
სხვებიც.

როგორ არ ვიცი, სუსტი და უდღე-
ურია ეს ძაფი, მაგრამ მაინც, მაინც
ექსოვ და ვინლართები, ჩემივე სურვი-
ლით, ისეთი ქინით, თითქოს ამაში იყ-

ირაკლი ბარბაქაძე
მომთაზრებნი

ოს ხსნა, თითქოს ეს გადაარჩენს კიდევ ამ ერთ დღეს, უსახელოდ და უსახურად რომ უწერია გაქრობა.

ისევ ქუჩა, მოსახვევი და... ჰო, რა თქმა უნდა, თავისთავად არაფერი ხდებდა, ჩემივე ფიქრმა მომიყვანა ამ შესასვლელთან. „ადი!“ — ამასაც ფიქრი მკარნახობს. იქნებ გადაიფიქრა, იქნებ...

კიბე ყოველთვის ერთი სიგრძისაა. უბრალოდ, ან ნელა ადინხარ, ან — ჩქარა. შიგნით, ოთახში აწკრიალებული ზარი ჩემს სურვილსა თუ თხოვნას ემსგავსება: ნატა შინ უნდა იყოს! იმედიაანი პაუზა. ისევ სურვილად თუ თხოვნად აწკრიალებული ზარი. მერე ლითონის ჩხაკუნი და ნაცნობი, შიშნარევი ხმა.

წარმოსახვა, ერთიმეორის მიყოლებით რომ ხატავს უცნაურ სცენებს, პასუხის გაცემას მიშლის.

ხის კარი, იქით ქალის საოცრად რბილი ხელი, შეკვივლება, თამბაქოს სუნით გაყენებული სიბნელე და ჩემგან გაქცეული ლანდი...

საწოლზე სიფრთხილადაა შეწარში გახვეული სხეული...

ალბათ ზედმეტია ხელების ქნევა, ყვირილი.

ახლა კი დაგრძელდა კიბე. სადღაც მქვასე სართულიდან ვეშვები. შემოსასვლელი ცარიელია. საოცარია, არც წელან დამხვდა ის ლოყებდამკნარი ქალი. მაინც კარგა ხანს ვგრძნობ ბეჭებში ჩაჭედებულ ორ თვალს.

გრძელი, ცარიელი ქუჩა — უცნობ სადგურზე ჩამომდგარი ორი მატარე-

ბელი. სიბნელეს ერთიანად აუხვევტია კაცის ნასახი. დროდადრო გაბაკუნდება სადღაც, ალბათ ჩემნაირი მგზავრი. დანარჩენები დანომრილ კედლებს შეჭფარებიათ, წყვილ-წყვილად, სამ-სამად, ოთხ-ოთხად — უცნობ-ნაცნობები, ნაცნობ-უცნობები, ათასი გამოწვანით დახლართულები...

„ჩემი“ სასტუმრო ორი, ათი, ასი კვარტალის იქითაა. მორიგე პატარა მაგიდასთან თვლემს. იქვეა პრიალა სამოვარი, კოლოფში ჩაწალიკებული „ცუკორის“ მართკუთხედები და გასაღები — ორას ოცდაორი ნომერი.

ვერ გამოხსენებია, მივალაგე თუ არა ლოგინი. ჩანთა და ორიოდ ნაცნობი ნივთი საწოლის თავთან მიწყვია... კიდევ ორი დღე ვივლი ამ უცხო ქალაქში, მერე სხვა იქნება.

ქუჩები, ძილსმიცემული სახლები — ქვებში ჩაჭედებული სიჩუმე, ჩემივე ნაბიჯების უჩვეულოდ გაძლიერებული ხმა.

ხვალ დილით, დახლართულ რკინის ბილებს დაირბენს საგანგებოდ დაფილტრული წყალი, თეთრ, პრიალა პირსაბანებში ახმაურდება, დამის გოგნებას ჩამორეცხავს და გადასუფთავებულ ასფალტზე გამოჰყრის თმადავარცხნილებს, პირგაპარსულებს. სალაღობოდ გამოეფინება ახლად შეკერილი კაბები, ნაირ-ნაიფი ფეხსაცმელი, „პომორინითა“ და „მერთით“ აპრიალებული კბილები. მეც ამ არსაით დაძრულ დინებას შევეუერთდები ხვალ დილით და როგორღაც უკითხვავად, თავისთავად დაწყდება კვირის მანძილზე ძლიერ-ძლივობით გაბმული წვნიკა, უნდელი ძაფებიც.

დ რ შ ბ ლ მ ბ ი

მართს სანახევროდ მოქსოვილი სვიტრი უდევს მუხლებზე, მეორეს — წიგნი.

ახლახან ისადილეს. აივნიდან ხელისგულივით მოჩანს

ქვემო უბანი — წითელკრამიტისანი სახურავები, ბაღები და ტკბილანთ წყაროსკენ გაქცეული ორღობები.

მზე ცერადლა გამოსცქერის სიციხის საბანგადამრობილ სოფელს და ველარც

გორებიდან დაძრული ნიავისთვის და-
უშლია რამე.

გრილა რიკულებიან აივანზეც.

— რაო, თავმჯდომარემ? — წიგნს
რომ კითხულობდა, იმან იკითხა.

— რა ეშველებოდა, შენ რომ არ
ჰყავდე ამ სოფელსო. ისე, ყველაფერი
თარაზოში აქვთ გასწორებული, კლუ-
ბიდა აკლიათო სწორედ, ეგვეც არ იყო-
სო, მინდორში არ მყოფნის ხალხი,
კლუბისთვის მოაცდენსო ჭკუათმყო-
ფელი კაცი!

— გეტყოდა. შარშან წიგნები რომ
ვთხოვე ბიბლიოთეკისათვის, უარესები
თქვა.

— ეგვეც გამიხსენა. ერთი ძლივს მო-
ვიცილე, ახლა მეორე მომადგაო. ქა-
ლი არა ხარო, ქალოო? ეგრე ერთ თა-
რგზე როგორ გამოგჭრათო ცხონებულ-
მა მიხაკამ. კიდევ კარგი, დროზე გაგას-
წროთო იმ ბედნიერმა. არაო, აღარ და-
მედგომება სოფელშიო.

ორღობეში ყანიდან მობრუნებულმა
კაცებმა ამოიარეს, გამარჯობა უთხრეს
დებს. თვითონაც მიესალმნენ.

აიარეს კაცებმა და ერთხანს ჩუმად
ისხდნენ დები.

— მერე? — ცოტა უხალისოდ თქვა,
წიგნი რომ ეჭირა ხელში.

— მოჰყვა და მოჰყვა მერე... ინსტი-
ტუტი კარგი იცითო. დაიილიავებთო
იმ ფერად კარდონებს და გაჯიქდებით,
გაგვიშვით, ჩვენ ავაშენებთო ქვეყანას.
ეგპ, ისევ იმ კარგი კაცის ხათრით,
თორემ გიჩვენებდითო მე თქვენ კლუბს.

გრილა აივანზე.

სხედან დები, ერთი სვიტრსა ქსოვს,
მეორე კითხულობს.

წვნიკა ჩხირები ძაფის ყულფებში
დაძვრებიან. ყულფი ყულფს ემატება,
დღეს თუ ხვალ ტანსაცმლად იქცევა
ძაფის გორგალი. ეს უკვე მესამეა ამ
ძაფისა: ხან კაბა იყო, ხან ქვედაკაბა,
ხან ვარდისფერი, ხანაც ცისფერი. იქ-
სოვება და იშლება.

დროდადრო წიგნის ფურცელიც გა-
შრამუნდება. ლურჯი, ლამაზი ყდა

აქვს წიგნს. რომელიღაც ფრანგი ავტორის
რომანი უნდა იყოს, ეტყობა, სან-
ტერესოც. სანტერესო წიგნებს კი რა
გამოლევს ქვეყანაზე, თუნდაც სოფლის
ბიბლიოთეკაში. ფრანგიო, ინგლისე-
ლიო, რუსიო... დრო და სურვილი იყოს
ოღონდ.. ახლა, კითხვაც არის და კით-
ხვაც... ძნელად, იმის ნახევარზე თუ
ექნება სოფელში ვინმეს წაკითხული.

იმდენად მცირეა დებს შორის განს-
ხევება, რომ ტყუბები ეგონება უც-
ხოს. მარტო ვარეგნობით როდი ჰგვა-
ნან ერთმანეთს. ერთად და ერთნაირად
ცხოვრებამ ფიქრიც კი ტყუბისცალი-
ვით დაუშვაგასათ. იქნებ სხვაც იყოს,
მაგრამ ერთი კია — მოსწყდება რო-
მელიმე საქმეს, მეორეც აიღებს თავს,
რადაც ფარული ნაღველით შეხედავენ
ერთმანეთს, მერე თავიანთ ფიქრებს-
ვე თუ დაუფრთხებიან და ერთი ისევ
წვნიკა ჩხირებს დაუბრუნდება, მეორე
— წიგნს.

პატივით ექცევიან სოფელში მიხაკას
ქალიშვილებს — მტერსაც არჩევენ, მო-
ყვარესაც, სტუმარიც იციან და მეზო-
ბელიც. გულმართლობაცა და სიკეთეც
მამისა გამოჰყვა ორივეს.

ტიტლიკანა გოგო-ბიჭებმა ჩამოიბ-
ბინეს ორღობეში... აბა, მიხაკაანთ ქლი-
ავებს როგორ აუფლიან გვერდს და, ბე-
ღურებავით შესხდნენ ტოტებზე. რა-
ტომაც არა, ვინ-ვინ და დები არ და-
იფრენენ, კარვად იციან.

გოგო-ბიჭების ყოვევზე ბაღჩისაკენ
გაქცევათ თვალი. აი ის. ცხვირპირ-
მოთხუნილი სოსიასია, მეორე, მწი-
ფე ქლიავით რომ ივსებს უბეს —
გოგისი, სანდროს წვრილკანჭება გო-
გო გაღულ ტოტზე გასულა, ცოტაც
და, ჩამოუტყდება დაზნექილი ქლიავის
ტოტი.

გარინდებული გაცქერიათ დები ბე-
ღურებით დახუნძლულ ქლიავს. ერთს
სანახევროდ მოქსოვილი სვიტრი უდ-
ევს მუხლებზე, მეორეს — წიგნი, საქ-



მემოთავებული მზეც საცაა გორებს ჩა-
ფარება და ეს დღეც, სხვა მისი მსგავ-
სივით, გუშინდლად, გუშინწინდლად
იქცევა...
დები კი სხედან.

იმ ღრუბლებს ჰგვანან, შეველად...
იმედად რომ გამოჩნდებიან დიდ გვალ-
ვებში, ჩაივლიან, ჩაივლიან და წვეთი
რა არის, წვეთს არ გაიმეტებენ მოლო-
დინით დადლილი მიწისთვის

ლურჯი აივანი

— მსლბ მაკლდა დღეს, თითო ჭირს
აღარ დაღევენი!

სახლმმართველი ქოშინით აუყვა მე-
სამე სართულის კიბეს.

— ვერაფერი შევავანებინე ამ ხალხს.
ახლა ედავე, უმტკიცე, მე შენ გეტყ-
ვი, თავს დაგიკრავენ, უდავიდარაბოდ
დაგყვებიან. ისე, გულდაგულ კი შეუ-
ღებავთ, ლურჯად — ორ კილომეტრზე
აჭყეტს თვალს.

ის იყო ეზოში გავიდა, რომ მესამე
სართულიდან გადალურჯებულმა აივან-
მა ჩამოპხედა. კარგა ხანი იყო, სიმყუ-
დროვე არავის დაერღვია — სარეცხიც
მოიშალეს, ნაცრისფერ აივნებსაც შეე-
გუვნენ.

— მიინც რა ჯანდაბამ ამახედა, წავ-
სულიყავი ჩემი გზით. გაუძელი ახლა
ცოლის საყვედურებს — სახლისთვის
ვერ იცლი, შეიღებისთვის ვერ იცლი,
კვირა აღარ იცი და დასვენება. სამ-
სახური, თორემ ათასები შემოგაქვსო.

„ნეტავ რომელია?“
კითხვამ თვითონვე გააკვირვა. ბო-
ლო საფეხური რომ აათავა, ერთხე-
ლაც დაფიქრდა. მარჯვენა მხარეზე
სულ ერთოთახიანები იყო — ეს კარგად
იცოდა სახლმმართველმა. მესამე სარ-
თული... არა, ნამდვილად არ ახსოვდა.

სული მოითქვა და ცერად გახედა
კარს. ვერც ფირფიტაზე ამოკაწრულმა
გვარმა უთხრა რამე. ახლა კი მართლა
გაოცდა.

„ეტყობა, ამ შეიდი წლის მანძილზე
ვერაფრით გამოიჩინა თავი?“

მით უფრო უცნაურად ეჩვენა აივნის
ამბავი.

კარი ასე, ოცდათხუთმეტი წლის ქა-
ლმა გაუღო.

— მობრძანდით!
ეს სახე ახსოვდა, მაგრამ...

ბინა ჩვეულებრივი გამოდგა — მარ-
ტოკაცის სამყოფი ოთახი.

დიასახლისმა სკამი შესთავაზა, თვი-
თონაც მაგიდასთან ჩამოჯდა. ლამაზი
არ ეთქმოდა, უფრო სასიამოვნო გა-
რეგნობის იყო.

— ქალბატონო...

— ვიცი, ვიცი. რატომღაც თვალში
არ მოვდით ლურჯი ფერი. გაგაწბი-
ლებთ. აივანი ჩემია და, როგორც მიწ-
და, ისე შეველებავ.

ვიღრე კიბეზე ამოდიოდა, კარგად
იცოდა, რითაც დაიწყებდა და რასაც
იტყოდა. იქნებ ასეთნაირ მკვანე მას-
პინძლობას არა, მაგრამ რაღაც აძლ-
გვარს მაშინვე ელოდა. ეს არაფერი.
საქმე ის იყო, ამ ქალის ხმა და სი-
ტყუები როგორღაც ვერ ერგებოდა ერ-
თიმეორეს. ხმა თბილი ჰქონდა, უბო-
როტო.

— კი მაგრამ...

სახლმმართველს უნდოდა ეთქვა, რომ
აქ მოვალეობამ მოიყვანა, რომ ყველა
აივნის ერთი ფერით შეღებვა წესი და
კანონიც არის, რომ ნაცრისფერი უმე-
ტესობამ აიჩიოა და, სხვაც არა იყოს
რა, ამგვარი საქციელი უბატეცემუ-
ლობა სხვების მიმართ. აპირებდა, თე-
მით კი არაფერი თქვა. რაღაც უშლი-
და ხელს. იქნებ მასპინძლის სახის გა-
მომეტყველება, იქნებ უძრავი სიჩუმე,
კაცს ლაპარაკის ხალისსაც რომ დაუ-
კარგავდა.

— საკამათო არაფერი. ხომ გითხა-
რით, აივანი ჩემია-მეთქი. ნაცრისფე-
რი... უბრალოდ, მომწყინდა.

სახლმმართველი მიხვდა, რომ შეც-



დომა მოუვიდა, მისი საქციელი თხოვნას ჰგავდა და სწორედ ამით ისარგებლებს. ახლა ძნელადღა შეიცვლებოდა რამე. მაგრამ ვერც ასე გაბრუნდება — აღრე თუ გვიან, აივანი უნდა გადაიღებოს. ბოლოს და ბოლოს კანონი... ამ უკანასკნელმა არგუმენტმა გააბედვინა კიდეც:

— თქვენ ვერ გამიგეთ, მე სათხოვნელად არ მოვსულვარ. კეთილი ინებეთ და...

დიასახლისმა ისე გაიცინა, რომ ხელისუფლების წარმომადგენლის მანტიაში დარჩენა ნამდვილად აღარ ღირდა.

„ყველა ქალი დასწყევლა ღმერთმა“, — გაიფიქრა და მშველელისა თუ ვინმე ღვთისნიერის მოსახმობად იმედით მიმოატარა მზერა. ოთახში სხვა არავინ იყო. ერთ კუთხეში საწოლი იდგა, ბატარა მაგიდა და ტორშერი. იქვე კედელზე რომელიღაც მადონას რეპროდუქცია. აქვე — წიგნების კარადა, ტელევიზორი. ეკრანი პირდაპირ საწოლისკენ იცქირებოდა.

„ეს ქალი ყოველ საღამოს მარტო უყურებს ტელევიზორს, მარტო იძინებს და მარტო იღვიძებს, რატომღაც ასე იფიქრა და საკანს მიამგვანა ოთახი. საკანი არასდროს ენახა, მაგრამ თუ საღმე იყო, ასეთი უნდა ყოფილიყო. „საკმარისია ტელევიზორი, წიგნის კარადა და აი, ის სურათი მოაშორო“.

უსიამო სიცივემ დაუარა, შეიმშუშნა. იმასაც მიხვდა, აივანზე კრინტს აღარ დასძრავდა. მერე ბავშვების რიბა, აღრიკლებული ტელევიზორი, ცოლის გაუთავებელი მონოლოგიც მოაგონდა და თითქოს შერცხვა კიდეც. ახლა უფრო ჩუმი და ცარიელი ეჩვენა ოთახი, აღარც მასპინძელი აღიზიანებდა, აღარც — სიცილი. უცბად ძალიან მოუუნდა საღმე სხვაგან, ქუჩაში, თუნდაც გაქვდილ ავტობუსში ყოფილიყო. წამოდგომა დააპირა.

— ერთი წუთით, ჩაის მოგართმევთ.

ისევ ის თბილი ხმა. ხომ არ დასცინის ეს ქალი? იქნებ ამ მოულოდნელად დამტკბარი სიტყვებით ახალ თამასაც სთავაზობენ. ჯერ ვერ გარკვეულიყო. ერთი კი არის, უარის თქმას აზრი არა აქვს — გაურკვეველობამ, დიასახლისის საქციელი კიდეც უფრო რომ აბუნდოვნებდა, წინააღმდეგობის უნარი წაართვა.

ჩაი წამებად ექცა. მასპინძელი ზანრას გადმოაწვდიდა, ხან — რას. გაუღიმებდა, რალაცას ჰკითხავდა. სახლმმართველი ყველაფერზე ყაბუღს იყო — ეს უცნაური საუზმე საღამდე გასტანდა!

ქალი კი ისევ უღიმოდა, იღუმალი, ათასი რამის მოქმელ ღიმილით. ლამაზი შუბლი ჰქონდა, თვალები, თმა... „ყოველ საღამოს მარტო უყურებს ტელევიზორს, მარტო იძინებს“. წამით მისდია ფიქრს. ფიქრმა კი არც სადავე იცის, არც სავალისა ეშინია. იმ თეთრ ყვრიმალებს უკოცინდა, წელზე, თეძოებზე დატარებდა აკანკალებულ თითებს, გაშიშვლებულ მკერდზე ეკნროდა და იმასაც გრძნობდა, თანდათან როგორ ახვევდა თავბრუს ქალის სხეულის სითბო და სურნელი.

— რა გადაწყვიტეთ, გადავლებოთ? — კითხვას ისევ ის ნაცნობი სიცილი მოჰყვა — ნაძალადევი, ნერვიული.

სახლმმართველი შეიმშუშნა. „მიანც რა ჯანდაბამ ამახედა, წავსულიყავი ჩემი გზით“. ვიღაცას აგონებდა ეს ქალი. სახით ვერ მიამგვანა, არადა... დანამდვილებით ძნელიც კი იყო თქმა, მაგრამ იცოდა, ასეთი რამ ხდება — ჩაგვედებოდა თავში რომელიღაც პერსონაჟი და მერე ხან ერთ, ხან მეორე კაცში უკითხავად გახსენებს თავს. უთუოდ ის ბატარა ნოველა იყო: ქალი და კაცი, ყოფილი თანაკლასელები ხვდებიან ერთმანეთს. ქალი გასათხოვარი, მამა არა ჰყავს, დედაც ოთხი წელია გარდაეცვალა. სკვერში, სკამზე ჩამოსხდნენ.

ირაკლი ზირიაშვილი
მომთარბობები



რა არ გაიხსენეს—ერთ მერხზე რომ იხსდნენ, თმას რომ წიწკნიდნენ ერთმანეთს... კაცმა როგორღაც უნებურად თმაზე დაუსვა ხელი, ნახად, თბილად. ქალმა მხარზე დაადო თავი და ატირდა. მოეხვია კაცი, მერე, წავიდეთო, უთხრა, ხუთ წუთში მივალთ მანქანითო... სულ სხვა გამოდგა. დედის მერე არავინ მიაღერებოდა ქალს, ის ტირილიც იმ გახსენებისა ყოფილა. ვერაფერს მიმხვდარა კაცი. ის თუ უნდოდა ეთქვა ავტორს, ერთ თარგზე ვართ გამოჭრილი ყველანი და ერთნაირად გაუგებარნიო.

კარგა ნაცრემლევი ნოველა იყო, მინც დაახსოვდა.

— თქვენ ალბათ გიყვართ ნაცრისფერი.

არ უყვარდა. მაგრამ არა, ასე ირჩია უმრავლესობამ. ასეც შედეგეს. ისე კი, ჭირსაც წაუღია ყველა აივანი და ყველა ფერი. კმარა უკვე!

ქალი ღიმილით ათვალთვლებდა. შეცბა — დაცინვა წაიკითხა ამ ღიმილში. ახალა მიხვდა, სულ სხვა რაღაც ჰკითხეს.

ნაცრისფერი...

„სულ ტყუილად ირჩებით, ქალბატონო. — გაიფიქრა სახლმმართველმა და შევბაძ კი იგრძნო. — არცთუ ურიგო სამსახური მაქვს, მეგობრები, ცოლი, სამი შვილი, ხმაურიანი ოჯახი... უსიცოცხლო და ნაცრისფერი მართლაც არ ეთქმის ჩემს ცხოვრებას. ასე თუ ისე, მოსაწყენ დროს მაინც ძნელად ვნახულობ. ნაცრისფერიო. მერე, საღებულებიან — ოთახში, სინამდვილე რომ ვერ განძრეულა შიშით. ანდა, რა ამ ქალბატონის საქმეა!“ გაღიზიანებულმა

თავმოყვარეობამ უფრო მკვახე ველებს დაუწყო ძებნა. ვერაფერი წარმოიდგინა, უფრო კი ინატრა, რა ნიშნისმოგებით გადაუშლიდა უტყუარ მტკიცებებს ამ უცნობ ქალს.

ასანთის კოლოფში მივიწყებულ ხოქოსავით აუნაჭუნდა ფიქრი.

... ოთახი. პიუბიტრზე გაშლილი ნოტები, ჭიაყელასავით წაგრძელებული გამები... დედა სამხარეულოდან უგდებს ყურს. ფანჯრიდან დროდადრო ბიჭების ყიყინა შემოვარდება, მერე ცოტათი მიჩუმდება ყველაფერი და ჭინჭყელი გოგაის ხმაღა ისმის. გამებს კი ბოლო არ უჩანს, აღარც საათის დადი ისარი აპირებს ადგილიდან დაძვრას... მეორე დღეს სადგურზე დაიჭირა მამამ. ესეც შენი სოფელიო! ესეც შენი ბებიო! — ხან ზურგზე, ხან კანკებზე გაუდიოდა ქამარს ტყლაშუნი...

„შესანიშნავი სამსახური მაქვს, ოჯახი, მეგობრები!“

...მთელი თვე აწუხებდა, გული ვერ დაუდო სამუშაოს. არც მივლინება უთხოვია, არც შინ უთქვამს რამე, ისე გამეგზავრა. საქმენი და საპოვნი არაფერი ჰქონდა — როგორც წავიდა, ისეც დაბრუნდა. ცოლისა და უფროსის საყვედურებიღა შერჩა...

ფინჯნის წკარუნმა გამოარკვია. დისახლისი ფეხზე იდგა, ნაჩრდილვეი ღარებით დასეროდა სახე.

— ხვალ ისეც ნაცრისფრად შევღებავ, — რაღაც უცნაური ღიმილით თქვა და შებრუნდა.

სახლმმართველი სახეს ვერ ხედავდა, მაგრამ გუმანით მიხვდა — ტიროდა ქალი.

ქუჩა ცარიელი იყო

დაცარიელებულ დერეფანში, ფანჯარასთან იდგა და სველ ქუჩას გასცქეროდა. პირველკლასელებიდან აღარაინი დარჩა — ზოგი იქვე ცხოვრობდა, დანარჩენებიც მშობლებმა წაიყვანეს. საცაა დედაა უნდა მოსულიყო.

რაღაცნაირად სასაცილოდ წვიმდა. ზოგან ჩანდა, ზოგან კი არა. ორსართულიანი სახლის შესასვლელს ან გუბებებს თუ გაუშტერებდა თვალს, წვიმა მართლა მოდიოდა, ისე კი არა. შესასვლელის მუქ ოთხკუთხედში უთვალა-



ვი ნემსის წვერი ჩამორბოდა, პატარა-პატარა წრეები ჩნდებოდა პრიალა გუბებშიც, ჩნდებოდა და აქეთ-იქით გარბოდა. ნაცრისფერ ქუჩას ნელა ჩამოხაზავდა ხოლმე დონდლო ფიფქი, დაეტყუებოდა ასფალტს და მაშინვე ქრებოდა. მაინც ყველაზე მეტად ეს სველი ფიფქები უხაროდა. შარშანაც ეგრე დაიწყო, მერე ითოვა, ითოვა და ახალი წელიც მოვიდა.

ცივ მინას მიადო ლოყა და ქუჩის ბოლოს გახედა. დედა არ ჩანდა.

გუშინ გათბობა ჩართო მამამ. დედამ ჩაართვევინა. ისეთი ცივი აღარ იყო ლოგინი. ეს ერთი კვირაა სულ წვიმს. წუხელაც წვიმდა. გოგიას ძაღლის წკავწკავიც ისმოდა, სველი თუ იყო და სციოდა.

გიო ალბათ მოიყვანეს ბაღიდან—მამა მოიყვანდა. დაბაჯბაჯებს ახლა ოთახიდან ოთახში. იმ დღეს წიგნები ამოუყარა ჩანთიდან. იატაკზე გაშალა და თვითონაც დიდი კაცივით მიუჯდა. კითხვა მაინც იცოდეს. რა სულელი ბავშვია. სარკეში თავისი თავი რომ დაინახა, სხვა ეგონა. ვაშლი გაუწოდა. მერე ისევ გაიმეორა და სიცილი დაიწყო. შენც ვეგეთი იყავიო, დედამ უთხრა, ერთხელ პამიდორი მოგეცით გასარეცხად, საპნით გავერეცხაო.

— აქ რას უდგებარ?!

აიხედა და რაღაცის თქმა დააპირა. დარაჯმა ისევ გაუმეორა.

— აბა, მოუსვი სახლში!

ჩანთა აიღო და კარისაკენ წავიდა.

ქუჩა ცარიელი იყო. ზ ზ ზ! — გაიზუზუნა წითელმა „მოსკვიჩმა“, ორი თუ სამი გუბე თვალის დახამხამებებში გადმოღვარა ტროტუარისკენ, დანარჩენებშიც არაა წრეები და მოსახვევში მიიმალა. ფეხსაცმლის პაკაპუკით ზაიარა ქოლგაიანმა ქალმა.

ნეტავ, რატომ არ მოდის დედა?!

ისე სასაცილოდ აღარ წვიმდა. მუქ ოთხკუთხედშიც ახლა უფრო კარგად ჩანდა ნემსის წვერები. ოღონდ უფრო ცივი და წვეტიანი. შესასვლელის

თავზე, ფანჯარასთან, ბიჭი იდგა. თეთრი ლეკვი ეჭირა ხელში. ბიჭი ქუჩისკენ იშვერდა თითს, თან ძაღლს ელაპარაკებოდა. მერე რაფაზე დასვა, მიწაზე ორიანი მოხაზა და ვითომ ცრემლის მოსაწმენდად, თვალებსკენ წაიღო ხელისგულები.

მეტი რომ ვეღარაფერი მოიფიქრა, თეთრი ლეკვის პატრონს ენა გამოუყო და შემობრუნდა. ქუჩა ისევ ცარიელი იყო.

სახლში ახლა თბილა. ალბათ მარტო გოგიას მურა დარბის ქუჩაში.

რომ არ მოვიდეს?!

სკოლის მერე საბავშვო ბაღია. მერე — გადასასვლელი. ჯერ მარცხნივ უნდა გაიხედოს, მერე — მარჯვნივ. კინოს აფიშასთან ჩერდება ექვსი ნომერი...

მეორე სართულზე ფარდა ჩამოეფარებინათ. ისევ იმ ქოლგაიანმა ქალმა ვამოიარა. რძის ბოთლები და მწვენილი ეწყო პარკში.

ვიღაცამ ფანჯარაზე მოუბრახუნა. დერეფანში, მინებს იქით, დარაჯი იდგა. თითოთ ემუქრებოდა. მერე ხელითაც ანიშნა, წადიო. მარჯვენაში გადაიტანა ჩანთა და კედელ-კედელ გაუქცა სველ ასფალტს. სკოლის კუთხესთან ერთხელაც მიიხედა უკან და ნაბიჯს აუჩქარა. სიცივეზე აღარ ფიქრობდა, ვეღარც იმას ხედავდა, ასფალტზე დაცემისთანავე რომ ქრებოდნენ ვეება, დონდლო ფიფქები.

გუშინ კინოსთან პატარა ბიჭი გაუტანია მანქანას. მთვრალი ყოფილა შოფერი. რით ვეღარ ამოიხსენს მუცელიო, მთელი საღამო ჯავრობდა დედა. გუშინ არც ისე ძალიან შეეცოდა ის ბავშვი...

ქუჩაში ძალიან ჩქარა დაჰქროდნენ მანქანები.

ჯერ მარცხნივ უნდა გაიხედოს, მერე... ნეტავ რა მანქანა იყო, ფიატი თუ მოსკვიჩი?!

იხრავი ზარიაზვილი
მოთხრობები



გადასასვლელი ორმა ბიჭმა გადაირბინა, მერე ჩანთიანი ქალიც გადავიდა. მანქანები მიჰქროდნენ დამოჰქროდნენ.

გუშინ, ვიდრე მეორე მხარეს გადავიდოდნენ, ხუთი ფიატი, სამი მოსკვიჩი და ერთი ვოლგა დაითვალა.

პირდაპირ კინოს აფიშა ჩანდა, იქვე იყო ტროლეიბუსის გაჩერებაც. ერთიც გაიხედა სკოლისაკენ და მაღალ კაცს მიჰყვა, გაზეთს რომ მიაფრიალებდა. შუა გადასასვლელზე კაცი გაჩერდა და გაზეთს დაუწყო თვალღებება. რამდენიმე მანქანამ ჩაუქროლათ ცხვირწინ. მერე ისევ წავიდნენ.

გაჩერებასთან მარტო ჩანთიანი ქალი იდგა.

ორმა ავტობუსმა ჩაიარა, ესენი სხვა მხარეს მიდიოდნენ. კაცს ხელები გაზეთიანად ჩაეწყო ჯიბეში და ქუჩას გასცქეროდა.

„არ მოგიყვანა მამაზეციერმა“, — ბუზღუნებდა ჩანთიანი ქალი.

ნეტავ რა მოუვიდა იმ ქალს? საავადმყოფოში წაიყვანესო. ტროლეიბუსშივე გასივებია ხელი. სისულელეაო, მამამ. შენ ეგრე იცი ყველაფერზეო, გაბრაზდა დედა, მეორე შემთხვევაზე ყოფილა გუშინო, ისეთივე ნახვლეთი ჰქონიაო ხელზე.

ექვსი ნომერი ჩამოდგა. კაცი ავიდა. ქალი კი იქვე დარჩა და უფრო უმატა ბუზღუნს.

ნეტავ რით ჩხვლეტენ. ის ორივე ქალი ყოფილა, იქნებ...

აჲ, ჩამოივლის ექვსი ნომერი და...

გიო ახლა ოთახიდან ოთახში დადის. გუშინწინ იმდენი იწყებუტუნა, სანამ კონსტრუქტორი არ გაახსნევინა მამას. არც ექსკავატორი მოეწონა, არც — ამწე. ბოლოს ისე დაფანტა ყველაფერი, ძლივს შეაგროვა დედამ. დღეს თვითონვე აუწყობს მანქანას. ან არადა, ხუთკუნუტულას მოუყვება. ზღაპარს რომ უყვებიან, მაშინვე ჩერდება. რა სულელი ბავშვია.

კიდეც ერთმა ტროლეიბუსმა გააჩერო სკოლის შესასვლელთან არავინ გამოჩენილა. ქუჩა ისევ ისეთი სველი იყო, სახლებიც. მარტო ერთმანეთზე დადგმულ სართულებზე არ წვიმს, არც შინ. ფანჯრიდან გოგიას სახლის სველი კრამიტები მოჩანს. წინა კვირას ასფალტზე დახაზული მოედანი ალბათ სულ გადაიშალა, ეს ერთი კვირაა, აღარც მაკას უშვებენ გარეთ. ოთარი ძია დაიჭირესო, სახელმწიფო ქონება შეუტყამია. მალე მინც გამოუშვან...

აფიშის ცალი მხარე ვილაცას ჩამოეხნა. ასობის წაკითხვა არც უცდია, ავტობუსთან ჯარისკაცს უცქეროდა ერთხანს. ტელევიზორში ნანახი ფილმი მოაგონდა — ბოლი, მკვებარტი, წითელი ცეცხლი, მიწიდან ამობობლებული ნანგრევები, ქერათმიანი ბიჭი, პატარა ხელები წრემლითა და მურით აზვილილ სახეზე და დიდი, გაკვირვებული თვალები. მამა ფრონტზე ჰყავდა, დედა — აქ, ნანგრევებში...

ომი რომ დაიწყოს!..

ხალხით სავსე ექვს ნომერში ხელიკივით აძვრა. ერთხანს პალტოებში ტრიალებდა, მერე ტროლეიბუსი გაჩერდა და ბილეთების ყუთთან აღმოჩნდა. ჩანთა ფეხებშუა ჩაიღდა, ჯიბეში ჩაიყო ხელი. ლითონის პატარა, ცივი ფირფიტაც მოიქცია თითებში, მაგრამ ხელი აღარ ამოუწვვია.

ათკაპიკიანი ამ დილით მისცა დედამ, საუზმისთვის.

გამკვირვალე ხუფში ჩხაკუნით ცვიოდნენ ხუთკაპიკიანები, ათკაპიკიანები. ყუთისკენ აღარ იხედებოდა, ცალ ხელში ჩანთა ეჭირა, მეორეში — თავისი ათკაპიკიანი...

გამვლევები ღიმილით შესცქეროდნენ ჩანთიან პატარა ბიჭს, თავქუდმოგლეჯილი რომ გარბოდა ქუჩაში.

ოლა-გალაღა ბორის პაიჭაძეს

ვნახე წუთისოფლის ასპარეზზე
ცეცხლი თაობათა ესტაფეტის,
კოლხი კურულების ნაკვალევზე
ტორეადორები ესპანეთის,
ლელოს მოთამაშე ქართველივით
გზნება ნისლოვანი ალბიონის,
ფეხქვეშ დედამიწა გათელილი,
მსგავსად უზარმაზარ სტადიონის.
და რაც თამაშია რაინდული
მწვანე ბურთისებრი სამყაროსი,
ყველას აკვანზუა გარინდული
ძველი იბერიის ავგაროზი...
მაგრამ დაქსაქსულა მატინე,
კარის ბადესავით დახლართულა-
აწმყოს ბავშვობისკენ ვატრიალებ,
სადაც სიზმრებია ფრთახატულა,
სადაც სასწაულად, საოცრებად,
ხსრუნის გალავანში ჩამარხული
მთხოს და მევედრება გაცოცხლებას
ერთი ომამდელი გაზაფხული:
აზრიალებული სტადიონი,
ოხვრა — თაღებიდან გადმოსკდარი,
და ჩვენ — უასაკო მდაბიონი —
კიბე-რიკულეზე ჩამომსხდარი.
ვაგებთ, დამარცხებით ივკალება
გული საგულევი მოტირალი,
ჭრიან მოჭიმენი გრიგალებად,
ზღვაებრ მძვინვარდება ომტირალი.
ყველა იარუსზე საგანგაშო,
გამაყრუებელი ყყანია:
— ბორის პაიჭაძე სათამაშოდ,
ველარ გამოენთო რახანია!..
— გარდუვალა დამარცხება!..
— ახლა არაფერი შეიცვლება!..
— ბედი სადაცაა გადაწყდება!..
— თუმცა გადარჩენაც შეიძლება!..
ვაგებთ ჯერარნახულ ანგარიშით,
ვგონებ, სათვალავიც ავეერიც...

პირზე, უსაშველო გასაჭირში
„ბორის პაიჭაძე“ გვაკერი-
რებ დერეფნებში გახიდული
გულშემატკივრები გაიტანჯენ,
ხალხი გაიძახის გახვითქულთ:
— გვიხსნას პაიჭაძემ!.. პაიჭაძემ!..
ირგვლივ საფეთქლების გათეთრება,
ძაბვით დაძაგრული კისრებია;
ასე ფეხბურთელის გაღმერთება
თბილისს არასოდეს ღირსებია.
უღვთოდ დასეტყვილი ვენახივით
ხალხმა მოედანი მიმოხვერა,
შეგებით აღმოსდება შეძახილი:
— ბორის პაიჭაძე მინდორზეა!..
თითქოს სამუდამოდ გაისტუმრა
მწვანე დამარცხება — თავდახრილი,
უცებ გაინაბა, გაიტრუნა
მთელი სტადიონი ბალახივით.
და პა, საწადელი შეგვისრულა —
წრეში გაიქროლა კაპიტანმა,
ბურთი გაიტაცა ელვისუმაღ,
გოლი კარიანად გაიტანა.
— ბორის პაიჭაძე!.. უნებლიეთ
ექო დიდუბიდან აგუგუნდა,
ცაში ასროლილი ქუდებივით
ყველას სითამაშე დაუბრუნდა.
შიში საგულედან გადაბარგდა,
როგორც ახალბედა — თადარიგში;
ბოლოს გაიქვითა, გათანაბრდა
დაღლილ შეტოქეთა ანგარიში.
წუთი განმიცდია გადარჩენის,
ოღონდ არასოდეს — ამისთანა,
როცა პაიჭაძემ გამარჯვების
ბურთი ჯადოქრულად გაიტანა.
მერეც, ზარზეიმთა მაუწყებლად,
ოც წელს გრიალებდა სტადიონი,
და ჩვენც ვიზრდებოდით განუწყვეტლად —
ერთ ღროს უბილეთო მდაბიონი.



განა დედამიწას ავიწყდება
 ბურთის გამტაცებლად შემართული
 ბორის პაიჭაძის გაფიცება,
 ფრენა; გაქროლება შევარდნული.
 და ვინც გამარჯვებას გვაძლებდა
 სისხლის აჯანყებით, ამბოხებით,
 ახლა თმაჭაღარა დაბრძანდება,
 ოდნავ ნალვლიანი გამოსხედვით.

ხმა იმ ატეხილი ზარგუგუნის
 სულში ჩავგრჩენია სიყმაწვილედ,
 ვინც დღეს ნახევარი საუკუნის
 საზღვარ-სამანამდე მივადწოვით.
 ვისი თავდადებაც საოცარი
 ერის ძლიერებას ქადაგებდა —
 დადგამს საქართველო სალოცავი
 ბორის პაიჭაძის ქანდაკებას.

თავის უშვარება

გავიღე მძიმე კარი და მაწვიმს,
 ზედ შიშველ გულზე მცემენ ქარები,
 გზას მიმოკლებენ და მცირე მანძილს
 თუ გავლევ, ცივ სახლს შევეფარები —
 სადაც მიცდიან კედლები შავი,
 წვიმით და თოვლით სველი სარკმლები,
 ყორის ნანგრევზე ბებური ყვავი,
 ეზოში ჭა და ძველი კაკლები.
 ნუ მკითხავ — რისთვის მარტოობს ოდა,
 ოდა და მერე განა მდიდარი!
 მის პატრონს, არა, არ ედო ცოდვა,
 სიმართლის გარდა, არავითარი.
 მშიერი მგლების ჯავრიან ძახილს
 აღარ პასუხობს ძაღლი ყმუილით,
 მწირი და კარებჯვრიანი სახლი
 თვლემს საწუთროდან გარიყულივით.
 შიში მიმოდის მის ახლომანლო,
 წაშლია ფერი და სილამაზე,

იმ კარმიდამოს, იმ სამოსახლოს
 ახლაც უკლიან... ცხრა დღის სავალზე.
 რიკულებიან კიბისკენ ბილიკს
 ხვართქლა-ბარძათი აბალახებულს
 მიჰყვება მკვდარი შენობის ჩრდილი,
 როგორც ტკივილი გადასახლებულს.
 ვილას არ უწყის, ჩემსავით რამდენს
 ნახვა აღონებს ამგვარ ოდების,
 ალბათ, ტაივის უღრანში სადმე
 დაეცა მსხვერპლი თავგამოდების.
 დაეცა, მაგრამ სიკვდილის წინაც
 ხალხის, სიმართლის იყო ერთგული
 და ხსოვნად დარჩა წმინდათა წმინდა
 კერა — სოფელში მიტოვებული.
 ნუ მკითხავ: როგორ მათთვის და მაწვიმს,
 ზედ შიშველ გულზე მცემენ ქარები,
 გზას მიმოკლებენ და მცირე მანძილს
 თუ გავლევ, იმ სახლს შევეფარები.

შავი საათი


მომაპყარ თვალი
 და ჩამომხედე სულში — რა ხდება,
 დროის საზომი რად მანგრევეს, რად მშლის?
 არა ვარ მთვრალი,
 არ მინდა ჩხუბით ქურჩის აღება,
 საათთან ხვედრი მადარდებს ბავშვის.
 რა მემართება?
 ეგებ ვარ სულ სხვა სისხლგადასხმული,
 ეგებ ამიცრეს სხვათა გუნება
 და მემატება
 სხვისი ხმა, აწმყო, სხვისი წარსული
 და სხვისი სენით დაძაბუნება.

სხვისი რა მშურდა?..
 გარდა ერთისა, — ისიც უღირსმა
 კვირტში მოწყვიტა და გადამალა,
 ვისი ბავშვობაც
 ქურჩის საათთან მიცდის მწუხრისას,
 თან ახლავს ფერმკრთალ დების ამალა.
 ეგებ იცანი
 შენი სახება და ის საათიც —
 მძიმედ მბრუნავი შავი ისარნი?
 ერთი ხნისანი
 დღეს მივხვდით დროის წესით, ადათით —
 ხვალ რომ ვართ შავი საათისანი.

ტელევიზორი და პატარები

პატარებს ვინ რას გამოაპარებს,
ტელევიზორი უყვართ პატარებს:
ბიძებს ამაყებს და ამპარტავნებს
მცირე ეკრანი აპატარავებს.
ყველა თავისი ტოლი ჰგონიათ
ტანით, ასაკით, ჭკუით, მანერით,
ყველა ქონდრისკაცს, ბრძენს თუ გოლიათს
მათ უთანაბრებს ყუთი ფანერის.
თუ ორატორობს ვინმე ხმამაღლა,
სთიშავენ ქადაგს ხელემაშვერილს,
მათ არ გაგვიცხავ და ვარ თანახმა
ყალბისმოძულე ჩემი ბავშვების.
თავი რომ უკვდავ ღმერთებს ადარეს —
ფუჭად რამდენი სჭექდა დიდება,

მეტყვიან, აბა, ჰკითხეთ პატარებს
რა არის ქვეყნად ჭეშმარიტება.
რას იჭიმება ვიღაც მანჭია —
ცისფერ ეკრანზე მწუხრის მომფენი, —
ის არ ეყოფა, როგორც ბაჭიას
ხვალ რომ გაჭიმავს წუთისოფელი,
ავახარხარებ ბავშვებს გამოთქმით,
თან მწარედ მჩხვლეტენ ეჭვის ნემსები:
„მოდი და ამის შემდეგ გამოდი
ტელევიზორში შენი ლექსებით“.
პატარებს ვინ რას გამოაპარებს,
თავის ტოლები უყვართ პატარებს,
ბიძებს ამაყებს და ამპარტავნებს
მცირე ეკრანი გვაპატარავებს.



მკვლელობა სოპისწყლის პირას

ამისარი იუსტინიანი, საერთოდ, ძალიან ცოტას ჰკამდა. უფრო მწვანის-სა და ხილს ეტანებოდა. ხორცეული-დან მხოლოდ ღორის მაჭიკი უყვარ-და, — ძველრომაელ იმპერატორთა სა-ყვარელი ულუფა.

ახლაც, ინახის მოახლოების ჟამს, ტანტზე მოშლილად მჭდარი კეისარი ორთქლმორეულ, მითრთლვარე მაჭიკ-ზე ფიქრობდა.

მაგრამ სანეტარო ფიქრს იოანე ელ-კინოვალატი უშლიდა, ციხე-გოჯიდან კონსტანტინოპოლს საიდუმლოდ ჩამო-სული ფაიქი. ეგრის-ლაზეთში მდგარი ბიზანტიური ჯარების სტრატეგოსებს — მარტინესა და რუსტიკეს რომ გამო-ეგზავნათ ფრიად საგანგაშო ამბით...

— მაინც ვერ დამიჯერებია ლაზი-კის მეფის ღალატი, — აგერ მერამდენ-ედ ამოდერდა იოანეს ჩიჩინით გასა-კათებულმა იუსტინიანემ.

— უნდა გვერწმუნო, ღვთაებრივო ავტოკრატორო, უნდა გვერწმუნო! გუ-ბაზ მეფემ სპარსელებთან შეკრა კავ-შირი. დღეს თუ ჭვალ ხოსრო ანუ ში-რვანის ჯარები დაიჭერენ სრულიად ლაზიკეს.

— მერა, თქვენ, ჩემი სტრატეგოსე-ბი, რილას მაქნისად გამიგზავნიხართ ლაზიკეში?

— ჩვენ ისევ შევებმებით, როგორც მანამდე...

— მაშ, ისევ მარცხს მპირდებით, არა? — ზიზღით სახე დაემეწყრა კეი-სარს.

— ის წინარე ბრძოლებიც სწორედ გუბაზ მეფის ღალატის წყალობით წა-გვიგია; ახლა შევიტყვეთ ეს, ღვთაებრი-ვო იმპერატორო!

სიტყვა „ღვთაებრივი“ გაეჩხირა იუსტინიანეს მთვლემარე გონებას. მას კიდევ ერთხელ გაახსენდა, რომ იგი, ეს „ღვთაებრივი იმპერატორი,“ ამ ორმოცდაათი წლის წინათ ღორებს მწყემსავდა ილირიის მიყრუებული სო-ფლის, ბედერიანის შმორიან წუმპებე-ში...

— ღვთაებრივო! — ხელახალმა შე-ძახილმა გამოარკვია იუსტინიანე.

ნაყვავილარი, წითელი სახე და-ღრეჯოდა იოანეს. განკებული ზედა ზაგე ორ ჩარბად გამოსჩენოდა: გა-რეთა — გამხმარი და ქერცილიანი, შიგ-ნითა — სველი და ღირწიანი.

კეისარი დააშტერდა იოანეს დუხ-კირ სახეს, დააშტერდა და სიცილი აუეარდა (მახინჯი მამაკაცების ცქერა უდიდეს სიამოვნებას და სიხარულს ან-იკებდა იუსტინიანეს, რადგან მის ცოლს, დედოფალ თეოდორას, სძულ-და ისინი ჭირის დღესავით).

— ღვთაებრივო! — დაიგმინა ჩარა-დოვანმა სახემ.

— ჰო, აკი გისმენ, — ძლივს მოი-თავა ხითხითი კეისარმა.

— გუბაზ მეფე გვალატობს-მეთქი!

— ეს მერამდენედ მითხარი უკვე!

— გითხარი, მაგრამ... როგორ მო-ვიქცეთ?

— როგორ და... როგორ... — ფი-

ქრს ჩაულრმავდა კეისარი ნაოქებით დანხულმა ქუთუთოვებმა სავსებით დაუვიწროვეს ყვითელი თვალები (მას დანდალუკია სჭირდა — სიყვითლის სენი).

— თავად გუბაზ მეფე მოვიდეს ჩემთან, კონსტანტინოპოლს, — მეფური ღირსებით თქვა ბოლოს.

ახლა კი დავიდუპეთო, — გაუელვა იოანეს. ლაზიკის მეფე რომ კეისარს პირადად შეხვედროდა, ეს იქნებოდა მართლმხილება ბნელი და ტრელი განაზრახისა. გუბაზ მეფე იუსტინიანეს თანისი მიმართლესაც დაუმტკიცებდა და მისი სარდლების სილაჩრეს, სიჩუკენს, უნიჭობასა და დალატსაც გამოაშკარავებდა.

შიშმა მუხლები ჩაუკვეთა, მაგრამ ისევ შიშმა დაუბრუნა წამიერად დაკარგული გონი იოანეს.

— რომ არ წამოვიდეს, კეისარო?

— როგორ თუ არ წამოვიდეს?! — გაუქვირდა იუსტინიანეს.

— შენც ხშირად ვითქვამს, ღვთაებრივო სებასტოკრატორო, კოლხეთის მეფე ამპარტავანი არისო.

— მერე, რაო, ამპარტავანიცაა, თავმომწონეც, მაგრამ რაკი ვბრძანებ, უარს როგორ გამიბედავს?

— თავმომწონე კი არა, თავხედია გუბაზ მეფე!

— აგრეც რომ იყოს, ჩემს ბრძანებაზე უარს ვერ იტყვის.

— რომ თქვას?

— ჩემი სახელით უთხარით.

— ვუთხარათ, თუ ვუბრძანოთ? — ჰკითხა იოანემ და პასუხის მოლოდინში კეისარისკენ წაიგრძელა ისედაც წინწაზრდილი და წაგრეხილი ყურები (ჯაშუშებს აქვთ ამნაირი ყურები).

— უთხარით! — ამოიხრიალა გვირგვინოსანმა.

— მაინც რომ არ წამოვიდეს?

— რას დაგიჩემებია, არ წამოვიდესო! რას ჰქვია, არ წამოვიდეს! ეს ხომ ნამდვილი აჯანყება იქნება!

— აჯანყებულა-მეთქი კოლხთა ხელმწიფე, ღვთაებრივო! — გულმყარად შესძახა იოანემ.

— აჯანყებულო?! — დაფრთხა კეისარი.

— დიახ, — აჯანყებულო! — უჯიათად გაიმეორა ფაქიმა.

ისევ დაეწურა თვალები იუსტინიანეს. ისევ მტკივანი ჰვალევით შეუდგა საფიქრალი მთვლემარე გონებაში. ბოლოს ძლივს გამოლექა:

— რა სჯულის ხალხი არ გვემორჩილება და გვემსახურება ჩვენ ამ ცისქვეშეთში, მაგრამ მე არ ვიცი უფრო ერთგული სამსახური, ვიდრე სამსახური ქართველებისა.

— ქართველებს ისევ სომხები სჯობიან, კეისარო, — შეაგება იოანემ.

— აბა, მე ქართველები და სომხები ვერც კი გამირჩევია ერთმანეთისგან.

— სომხები დიდი ხანია ჩვენს მორჩილებას შეურიგდნენ, ქართველები კი თავს გვიტოლებენ და „რომაელი ხალხის მოკავშირე-მეგობრის“ ტიტულზე ქვემოთ ჩამობრძანებას აღარც კადრულობენ.

— ერქვათ, მერე, „მოკავშირე და მეგობარი“, რა გვენაღვლება, ოლონდ კი ერთგულად გვემსახურონ.

— მაგრამ, თუკი ვვალატობს გუბაზ მეფე?

„გუბაზ მეფე... გუბაზ... გუბაზი...“ — ისევ ჩაპყვა ფიქრებს კეისარი.

გუბაზ მეფე წარმოუდგა თვალწინ, სახით სახიერი და ტანით ზეანდანი.

მაშინვე იჭვი და ბრაზი წაუკიდა გულზე: ლამაზი ვაჟაკები ჭირის დღესავით სძაგდა იმპერატორს, რადგან მის ცოლს, ავგუსტა თეოდორას უყვარდა ისინი (თეოდორას ანთრაკა სჭირდა — მძუნაობის დაუოკებელი და დაურწყულმებელი ქინი).

ფეხისგულეები გაუხურდა იუსტინიანეს. ყოველთვის ასე ემართებოდა, როცა მისი თანამეცხედრის საროსკიპო კალმასობანი ვაახსენდებოდა.

ერთხელ თეოდორას სარეცელზე ნებივრობის ქამს წამოსცდა კიდევ:

ლევან ხანიკიძე
მავალშობა ხობისწყლის პირას

ეტობა, კოლხეთის მეფეს აღმასივით მკრელი კბილები ექნებაო. იუსტინიანემ ამის გავონებაზე ყვითელი თვალები წამოქაჩა ბრაზით, რადგან თეოდორას კბენა უყვარდა...

— შე ჰიპოდრომის როსკიპო! — უყვირა მაშინ იუსტინიანემ.

— შე წვირიანო მელორე! — უბასუხა თეოდორამ.

— მამ, დარწმუნებული ხარ, რომ ჩემს წვევაზე უარს იტყვის ლაზიკის მეფე? — იკითხა იუსტინიანემ და ისევ დააშტერდა იოანეს მწიკვილიან სახეს.

— უარს იტყვის, არ წამოვა, კეისარო, არ წამოვა! — თითქოს გამოაჯავრა ფაიქმა.

— მაშინ მოექცით ისე, ვითარცა ნამდვილ მოღალატეს.

— ესე იგი, მოვკლათ, არა?! — ისევ განებო იოანეს ზედა ბაგე ლირწიან და ქერცლიან ჩარბებად.

— მოვკლათო? — დაფრთხა კეისარი.

— ჰო, მოვკლათ, მოვკლათ! — მწყურვალედ ამოიხრიალა ფაიქმა.

— მაგრამ, იმასაც ხომ აზრობენ, შეუძლებელიაო ლაზიკის მეფის მოკვლა?

— როგორ შეუძლებელიაო?

— სიკვდილშეუღწველიაო...

— აჰ, თილისმა... ეგეც ვიცით და... მაგასაც მოვუვლით.

— მაგრამ, მაინც ნუ მოკლავთ. თუ წამოსვლაზე უარი გითხრათ, ძალით წამოიყვანეთ და ცოცხლად მომგვარეთ აქ, კონსტანტინოპოლს, საღმრთო კონსისტორიონს.

— რომ არ დაგვემორჩილოს? — არ ეშვებოდა სახეჩარადოვანი კაცი.

და მაშინ სამი რამ საფიქრალი ძვლის მტეხელი შაკიკივით შეეჭრა და გაეჭედა იუსტინიანეს ფლეგამორეულ გონებაში: კოლხთა ხელმწიფის მშვენიერი ხატები, თეოდორას ანთრაკა და მოხარშული ღორის მაჭიკი.

როგორ მომშინიაო, გაუელვა იმპერატორს, ტახტიდან წამოიჭრა და წააფრთხილა წრაფევი ნაბიჯით გაეშურა ტრიკლინიუმისკენ.

— გუბაზე მეფე?! — ისევ წამოეწია ისტერიული ძახილი უკვე კრეტსამელს მიფარებულ კეისარს.

— მოჰკალით!.. — ისტერიულად აღმოხდა კეისარს.

და საოცარმა გარინდებამ მოიცვა სატახტო ბიზანტიონისა.

იოანე ელინოგალატი აღარსად ჩანდა.

„მოჰკალითო!“ ეს ერთადერთი სიტყვა ყოფილა საკმარისი სიკვდილივით ჩაფრენილი და ჩაცეხული აბეზარი კაცის მოსაგერიებლად.

ღვთისგან რჩეულ გვირგვინოსნებსაც უჭირთ ხოლმე იმ ერთადერთი, „ღვთაებრივი“ სიტყვის მიგნება.

იუსტინიანემ კი მიაგნო, სწორედ დროზე მიაგნო: საყვარელი ულუფის სურნელი დაქინებით უხმობდა მას ტრიკლინიუმიდან...

გუბაზე მეფე ფატალისტი იყო.

ოცი წელი ემოსა ტანზე შვილმკვდარ მეფეს შავი კვართი, გულისპირზე გველისპერანგჩატანებული.

ოცი წლის წინ მოუკვდა კოლხეთს თეთრი კახა, ღვთაებრივი უფლისწული (ღმერთს უბიდან გადმოუტყურდა კახა და კოლხეთის მეფე-ღედოფლის სარეცელზე დაეცა. ხუთი წელი იცოცხლა კოლხეთის უფლისწულმა, მერე ისევ ღმერთმა წაიყვანა ზეცად).

ოცი წელი ეს ორი რამე აკვიბატებოდა განუშორებლად ეგრისის ხელმწიფეს: კახას სულის თეთრ ბუნებაში განფენილობა და გველისპერანგისანი სამგლოვიარო კვართის მფარველობრივი ძალმოსილება.

გაზაფხულის თეთრფურცლოვანებაში გამორჩეული ძალისხმევით გრძობდა გუბაში კახას სულის აღორძინებას. თეთრი ყვავილი შექნილიყო მისთვის ყოველი თვალხილულისა და



თვალთუხილავის საწყისად, არხედ, აპერონად.

შავი კვართიც განუშორებელ სხეულებრივ ნაწილად გადაქცეოდა. თანაც ბუნების შემოქმედს, ალბათ შვილზე წუხილის საფასურად, ის შავი კვართი მგლოვიარე მეფის მფარველ თილისმად გადაექცია. გუბაზ მეფე შიგნით შავ პერანგს ჩაიცვამდა, გარედან წელზე შიშველ, უქარქაშო ხალიბურის ოდრიკალად შემოირტყამდა და მისი უაბჯრო სხეული შეუღწეველი ხდებოდა პირდაპირი თუ იბედივი ხელით ნატყორცნი იარაღისთვის. შვიდჯერ სპარსელებმა სცადეს მისი მოკვლა იღუმალ შეთქმით, შვიდჯერ — ბიზანტიელებმა, შვიდჯერ — შინაურმა აზნაურებმა, ოცდაშვიდჯერ სამკვდრო-სასიცოცხლო ხმალთაყვეთებაში შეხვდა პირისპირ სიკვდილს შავკვართიანი ხელმწიფე, მაგრამ სწორედ სამგლოვიარო თილისმის წყალობით დარჩა იგი სიკვდილისგან შეუღწეველი და სხეულგანურღვეველი.

„მრუმედ მომხედა მე მზემან, რამეთუ ისევ გამექცა სიკვდილი“, — იტყოდა მეფე კაეშნიანი სიცილით, როცა იგი თავის ძლიერ, შუქმოსიერ თვალს მოავლებდა მტრის გვაშებით დარეცილ ბრძოლის ველს...

იდგა უამი ადრიანი ღანუყობისა. გუბაზ მეფე ყანას ხნავდა — ტელეფისის ბრძოლაში მოკლული წვრილშვილიანი ეგრისელი მეომრის ყანას. ადრე, დღე-ღამის განსადრეკელზე მოვიდა უბელო ცხენით, მარტოღმარტო, უამალოდ და უმსახუროდ. გარდახდა, წამით მოოჭვილ მინდორზე მიუშვა ცხენი.

ობოლთავან უფროსი ბიჭი გამოიხმო.

ხარები შეაბგს. გუბაზმა ყანის ბოლოდან აღმა, სიფართეზე, შვიდი ნაბიჯი გადაზომა, წელიდან ხმალი შემოიხსნა და მიწაში ჩაასო.

ასე მოინიშნა პირველი ნიხა გუთნისდღედა.

ხნავდა მეფე. ობოლი ბიჭი მიუძღოდა ხარებს, უღელზე შემომჯდარი დილეული სიგრილით შეკუმშული.

მიწაში ჩასმულ ხმალსაც მანამ მიატანეს, სანამ მზე შემოადგებოდა ვერცხლის ზარივით გადმოშობილ ცას. ხოლო როცა მზის პირველმა სხივმა სალმასურ ფოლადზე, გაიელვა, გუბაზმა ხარები დააყენა, კიდეც შვიდი ნაბიჯი გადაზომა და ახლა იქ დაასო ხმალი.

— „კიდეც შვიდი“, — გაიფიქრა ბიჭმა.

ცხენის ჭიხვინი გაისმა. გუბაზ მეფის მზისფერი ჰუნე ურბენდა ნავარდს.

ღამეული ფანტასმებით ზარტეხილი დედამიწა ოხშიერის კმევით და ყრუოლა-ზმორებით შეეგება მზეს.

ესმოდა გუბაზს, რა ნეტარებით ოხრავდა მიწა, ხარის ჩლიქებით ნაჯირგაღვევი და სახვნელ-სახნისით მკერდგანრღვეული.

თითქოს საღდაც შორიდან საკუთარი სისხლის თქრიალიც ესმოდა მეფეს.

მძიმედ აწეებოდა სახვნელის ვადას. სვრელის გასწვრივ ისროდა მზერას. ხარებს და ბიჭს ვასცქეროდა უამ-უამად.

ბიჭი თვალს ვერ აშორებდა მზისა და ზღვისფრად მობრკიალე ხმალს.

ხარები ამაყად ქედაზიდულნი ეწეოდნენ უღელს.

ობლებს ალერსიან ხელებს ნაადრევად მოეშორებია მათთვის ნაზამთრალი ბალანი. ტანად ერთტანოვანნი იყვნენ ხარები, ფერად — სხვადასხვა: ერთი — ინგუშა, მეორე — ვეყანა. ორივეს ღვინისფერი რქები ენთო სარქეებზე, ოდრიკალად მოღაული მთვარეებივით.

სამივენი ერთი ხნისა უნდა იყვნენო, ბიჭიც და ხარებიც, — გაუელვა გუბაზს და ისევ ბიჭს მიაპყრო თვალი.

„ათი წლისა იქნება... ხოლო ჩემი..“

ლევან სანიკიძე
მავალეობა ხობისწყლის პირას



ახლა ოცდახუთი წლისა შესრულდა...
 ყრუ გმინვა შემოესმა ბიჭს. წამსვე
 ხმაღს თვალი მოსწყვიტა და მეფეს შე-
 ხედა.

ერთფერნი იყვნენ მეფე და მიწა.
 ბიჭი თითქოს რაღაცას მიხვდა და გა-
 ბედულად თქვა:

— ჰო, ჩვენ ყველანი ერთი კბი-
 ლა ვართ.

— ვინ თქვენ? — გაუკვირდა გუ-
 ბაზს.

— მე და ეს ხარები.

— ჰოო, ეგ მეც ვიცოდი, — გაე-
 ღიმა მიწისფერ მეფეს.

— რანაირად? — ახლა ბიჭმა იკით-
 ხა გაოცებით.

— მამაშენმა მითხრა.

— ჩემმა ბაბაიამ?

— ჰო.

ბიჭი წყნარად ჩამოხტა უღლიდან,
 ვეყანა ხარს თავით თავზე მიეყრდნო
 და აქვითინდა.

მეფე შეწუხდა, — როგორ ვატყი-
 ნეთ გული ობოლ ბიჭს! სახენგელს ხელი
 უშვი, ბიჭს მივარდა და ხელში აიყვანა.

— შენი ბაბაია ვაჟკაცი იყო. ტი-
 რილი არ უყვარდა, — მერე ძირს ჩამო-
 სვა და უთხრა, — ახლა წადი და შენ
 გადაზომე ახალი ნიხა.

უცებ გამოიცვალა ბიჭი. მის თვა-
 ლებში სიხარულის სხივს დაეთრგუნა
 კაეშანი.

— ხმლით გადავზომო? — იკითხა
 თრთოლვით.

— მაააა! — დინჯად დაუდასტურა
 მეფემ.

ბიჭი გაიქცა. ხმალი ამოაძრო და
 მძიმედ აღმართა ორივე ხელით.

— ფრთხილად! — ხმა შეაშველა
 მეფემ.

— შვიდი ნაბიჯი? — იკითხა ბიჭმა.

— ჰო, — ისევ დინჯად ბრძანა
 მეფემ.

შვიდჯერ გადახტა ბიჭი — მეფის
 ნაბიჯთა ტოლი ნაბიჯები რომ გადაე-
 ზომა — და დიდის ამბით დაარქო ხმა-

ლი. აღარ უნდოდა მოშორებოდა უც-
 ნაურად მობრკილვე იარაღს.

აი, როგორი ყოფილა გუბაზ მეფის
 საღმასურნი ხმალი, ბაბაია რომ ამბობ-
 და... ხმლის პირზე რაღაც კდეული შე-
 ნიშნა. შვიდ ჯგუფად (ალბათ შვიდ სიტ-
 ყვად) ეწყო წარწერა. ბიჭმა წერა-კით-
 ხვა არ იცოდა, მაგრამ ბაბაიასაგან ჰქო-
 ნდა გაგონილი რაც ეწერა მეფის ხმა-
 ზე:

„მე ვარ ავი გასიტყვებაკო-
 ლხთა მეფე გუბაზისა“.

სიტყვები გადათვალა ბიჭმა.

„ისევ შვიდი!“ — გაუკვირდა და
 ვაჟკაცურად დაჰკრა ხელი ვადაზე
 ხმაღს.

ავად დაიზრიალა ფოლადმა. მიწა-
 მდე დაიზნიქა, განიმართა და ელვასა-
 ვით ამოიწვართა და ამოსხლტა მიწი-
 დან.

— დაწექ! — დაიღრიალა გუბაზმა.
 უმაღლვე ისკუბა, დაცემულ ბიჭს გადა-
 ევლო და გაშლილი ხელი ზემოდან ძლი-
 ერად დაჰკრა გველივით აწივლებულ,
 გაფრენილ ხმაღს.

მიდი და თავის ადგილზე დაასვიო ხმა-
 ლი.

ბიჭი წამოდგა. მეფეს თითქოს არ
 „შეუმჩნევია“ შიშისაგან ფერნამკრთა-
 ლობა მის სახეზე, ისევ მშვიდად ანიშნა.
 მიდი და თავის ადგილზე დაასვიო ხმა-
 ლი.

ბიჭმაც ისევ ორივე ხელით აზიდა
 ხმალი, მიიტანა და ფრთხილად დაასვა
 მისგანვე ნაიარევე მიწაზე. ისე გამობ-
 რუნდა და წამოვიდა, თვალი არ მოუშო-
 რებია უცნაური იარაღისათვის, რომელ-
 საც ფრენისა და მლტოლვარების ჯადო
 ჰქონდა.

ხელი რომ დავკარ, იგულისწყრომა
 და მიტომ გამომედევნა ხმალით, —
 ფიქრობდა ბიჭი.

ხნავდნენ.

ნეტარებით კვნესოდა ტანგანრდვეუ-
 ლი დედამიწა.

მზე აღმართ მიიწევდა გახელებუ-
 ლი.

ავად ვარვარებდა მზენარქენი ხმა-
ლი.

ჭიხინებდა მზისფერი ჰუნე გუბაზ
მეფისა.

მზის საშუადღეო დაყუდებისას დაა-
სრულეს ხენა.

მეფემ ხმალი მიწიდან ამოაძრო და
წელზე შეირტყა ოდრიკალად.

ხარები გამოხსნეს და მდინარეზე
ჩარეკეს დასარწყულეზლად.

უცნაური როკვით მისდევდათ ცხე-
ნი.

მერე მეფე ყვავილაშლილი ტყემ-
ლის ძირში დაჯდა სადილად.

შვიდი ობოლი შემოისვა გვერდით.
მხალი, ლობიო, ღომი და მწვანილი

გაეფინა სუფრად ობლების დედას.
მთელმა ეგრისმა იცოდა: ამ დროს გუ-
ბაზ მეფე სახსნილო საჭამადს პირს არ
დააკარებდა, რადგან თეთრი უფლის-
წულის გარდავლენის დღეები იდგა მა-
შინ ეგრისში.

სამარხვოს ჭამდა მიწასთან ბრძო-
ლით სხეულნაჯერი მეფე. სვამდა სამა-
შვრალო ჯიბრიკა ღვინოს.

ჯერ, თეთრადაშლილი ხისკენ აის-
როდა მზერას და ისე მოიგდებდა
ტუჩზე ხელადას.

ობლები უცქერდნენ მეფეს და
უკვირდით, რომ მათი მამაც ამნაირად
ხნავდა და თესდა ყანას, ამნაირი ოფლი
სდიოდა შუბლსა და მკერდზე. ფეხებიც
ამნაირი ჰქონდა ბაბას — შიშველი და
ნახანა-ნამზვლევი მიწით შეზინულუ-
ლი. ჭამაც ამნაირი იცოდა ბაბამ, ჯიბ-
რიკა ღვინოც ასე უყვარდა, ხელადასაც
მარჯვენა ხელით ასე მოიგდებდა ხოლმე
ტუჩზე და ყელიც ასე უთრთოდა, ჩამ-
დინარე ღვინით ათრთოლებული. უხა-
როდათ, რომ მათი ბაბაიას ნატუჩარი
ხელადით სვამდა მეფე ჯიბრიკას. უკვი-
რდათ და უხაროდით, რომ მეფე ასე
ჰვავდა მათ ბაბას, თუ — მათი ბაბაი
ჰვავდა მეფეს! მხოლოდ ამით არ ჰვავ-
დნენ ერთმანეთს მეფე და ბაბა: მეფეს
ტანზე შავი პერანგი ემოსა, წელზე, ზო-
სტერის ნაცვლად, შიშველი ხმალი შე-
მოერტყა და თანაც ღვინის სმის დროს

ქათქათა ფერით დატვირთულ ტყემლის
ხეს აპყრობდა მზერას, თითქოს ფეხში
დაცას ჰხედავდა და უსიტყვო იდუმა-
ლებით ესიტყვებოდა კიდევ.

მეფე ობლების თვალებს ურიგებ-
და მზერას რიგრიგად და სევდიანი
ფიქრით ფიქრობდა:

„შვიდივე ობოლს მძკალული მამის
ნაღველი უდავს თვალებში, შვიდივეს...
და ცალკე ყოველ შვიდავანს, ყველა
შვიდის ნაღველი ერთად“...

ფაიქი მოიჭრა და მოახსენა მეფეს:
ბიზანტიელი სარდლები ითხოვენ შენ-
თან შეხვედრასო.

უსიამოდ სახეალეწილი წამოდგა
გუბაზი.

- სად არიან?
- ხობისწყალს მოსდგომიან.
- სასახლეში არ მოიწვიეთ?
- მოვიწვიეთ, მაგრამ...
- მაგრამ, რაო?
- უარზე დგანან.
- დაეხსენით! — მოკვეთა მეფემ.

ობლების დედა მოიხმო, ხელში ოქ-
როს ფული ჩაუდო, ობლები დალოცა,
ცხენზე შეჭდა და ისევ შიკრიკს მიუ-
ბრუნდა:

— წადი და უთხარ, სადაც დგანან
იქ დამელოდონ. მზის დასალიერზე მე
თვითონ მივეგებები. ამაღა არ დამჭი-
რდება.

ფაიქმა გაქუსლა.
გუბაზმა ხობისწყალს გადამდგარ
ბეჭობზე შეაყენა ცხენი.

აქაც ჰყვოდა ტყემლის ხე.
მზერა ჩაყოლა მდინარეს და შორს,
სამხრეთით, ცხენოსანთა მცირე ჯგუფი
დაინახა.

„ექვსი“, — გადათვალა მეფის ძლი-
ერმა თვალმა.

„დაე, მელოდონ!“ — გაუელვა.
ცხენიდან გარდახდა.
ხალიბური შეიხსნა.

კალმახივით გასხლტა და ზრიალ-
ბრკილით განიმართა ხმალი.

ლევან სანიკიძე
გავლალთა ხობისწყლის კირას



ტანთ გაიძრო. გაშიშვლდა.

შავი კვართი ტყემლის თეთრ ტოტზე დაჰკიდა.

ფლატეზე ჩაცურდა, ხმლით ხელში, თილისპისგან განკვართული.

ხმალი წყლისა და მყარის შესაყარში დაარჭო.

მდინარეში გადაეშვა უხმლოდ და უთილისმოოდ.

უსაზღვროდ ეამა ძველი მდინარის ახლად ნაშობი წყალი...

ცხენის ჭიხვინი მოესმა.

აიხედა. ცხენი არ ჩანდა.

ალბათ ფაშატი იგერშაო, გაიფიქრა და ტყემლის ზეს აჰხედა.

ტყემლის მხოლოდ ზედაწელი ჩანდა, მაღალი ფლატის პირით გადაკვეთილი.

არ ჩანდა ხის ქვემოწელი, რომელზედაც ეკიდა შავი კვართი.

ეს თითქოს არ შეუძმნეგია მეფეს, არც არად ჩაუგდია. ხმალი ხომ მის თვალწინ იყო დარჭობილი...

საოცარი სიმშვიდე და მღუმარება სუფევდა ქვეყანაზე. ზობისწყალი უხმოდ მოაგორებდა ტალღებს. არც ერთ ხეზე ფოთოლი არ ირხეოდა. მუდამ მოცანცანე ვერხვიც უძრავად მისცემოდა ძილს ნასიცხარ მღუმარებასა და უძვრელობაში.

მხოლოდ ტყემლის ხე შეირყა ერთჯერ და...

არც ეს შეუძმნეგია გუბაზს.

იგი ხმალს შესცქეროდა, მზენარქენს, გველივით ამართულს.

ისევ გასცოცხლებოდა გონსამზირში ოცი წლის წინანდელი სურათი...



ზემხურვალი აწვა დედამიწას.

მდინარის პირას მზით შეპყრობილი ქვა ვარვარებდა.

ქვაზე ანკარა იძვროდა.

პერანგს იძრობდა.

ჯერ წარბებთან ვასკდა ჭრელი, სიფრიფანა კანი და ლორწოიანი თავი ამოისხლიტა.

მერე წელამდე ამოძვრა გველივით რანგიდან. ბოლოს კულამდე ამოშვებულა: გაიძრო, განავდო, გასრიალდა.

ქარქაშიდან აღმოხდენილი მახვილივით ელაგდა კანნაშიშვლარი გველი — გუბაზ მეფის აღმასის მახვილივით ბრკიალებდა.

ნელიად მიშხორკალობდა ანკარა. ტანი ეწვოდა და სტკიოდა, ახალნაშობი ტანი.

უცებ გველმა იგრძნო: მზით ნასროლ სხივზე უარესად ადამიანის თვალი უწვავდა და უკორტნიდა ლორთქო სხეულს.

შედგა და შეიშარბა.

ორი წყვილი მზერა შეეჭრა ერთურთს — კაცის და გველის.

ორივე იყო შიშველი, აშვეტილი, ტანკენარი, გულუძვრელი და შემმართებელი.

კაცს გუბაზი ერქვა და კოლხეთის (გინა ლაზეთის, გინა ეგრისის) მეფე იყო.

გველს სახელი არ ერქვა და მხოლოდ გველი იყო, — ანკარას ჯიშის გველი.

თვალეზით ჩასციებოდნენ ერთურთს გველი და კაცი, შეგრძნებულნი, ჯადოქმნილნი.

გველი თვალებს არ ახამხამებს, არც შეუძლია, რადგან ქუთუთო მისი უძრავია და თვალთა გუგუბზეც აფსკი აქვს გადასალტული. იმ აფსკის მიღმიდან იმზირება უძრავი და მძლავრი სამზირით. მიტომაც უჭირთ ადამიანებს თვალი გაუსწორონ გველის თვალს. ვერც მის სიმშვენიერეს დაინახევენ მისგანვე შეძრწუნებულნი.

ისე კი ძალიან ლამაზი თვალეზი უნდა ჰქონდეს, თუმცა შემზარავი და თავზარდამცემი.

ნეტავ თვალის აფსკსაც თუ იცვლის გველი, როცა პერანგისგან შიშველდება?

გველმა კაცის თვალეზში საფრთხე ვერარა ამოიციწო და გზა განავრძო. ქვიდან გორგლად ჩაგორდა და წვეტიან ზეინზნარზე ნელი შეწვივლებით

დაეცა. გაშხორკალდა, ტანი გაიწვიართა, ლაჯის სიფართოზე გადამტკავლა და წყლის მდინარებას მისცა თავი.

ერთი რამ ვერ შეამჩნია ჩვილი ტანის ტკივილით გამწარებულმა ანკარამ: იქ, სადაც მისი პერანგი დარჩა, სულ ახლოს ადამიანის პერანგი ეგდო — შავი კვართი.

ახლა ორი პერანგი იდო გვერდი-გვერდ — კაცის და გველის. გუბაზმა ორივე აიღო. მას შემდეგ გავიდა ოცი წელი...

დიდხანს იბანდა ნაოფლარსა და ნამუშავეც სხეულს.

თვალდამცხრალი მზე უკვე ცისა და მიწის შესაყარზე ეშვებოდა, როცა გუბაზი მდინარიდან ამოვიდა, ხმალი მიწიდან ამოაძრო, ფლატეზე შეისროლა, თვითონაც შეღმართი აათავა და ტანსაცმელს მიაშურა.

მიწა შეერყა ფეხქვეშ ხელმწიფეს. მაგრამ, ეს არ იყო მიწისრყევა. ეს იყო ელდა: აღარსად იყო შავი კვართი!

ჩამოხლეჩილი ეკიდა ტყემლის ტოტი, პერანგთან ერთად ფოთლიან-ყვივილიანად ჩამოძარცვული.

თვალთ შემორკინა და შემოჩხრიკა ყოველივე: მიწაც, წყალიც, ჰაერიც, — რა დამეღებოდა მის საოცრად ძლიერ, შექმოსიერ თვალებს, მაგრამ კვართი აღარსად ჩანდა.

დაკარგულიყო თილისმა ბედისწერისა.

რა საკითხავია, ვის ან რას უნდა წარეტაცნა სამგლოვიარო პერანგი მისთვის.

თავიდანვე ასე ჰქონდა გადაწყვეტილი: პერანგის წართმევა მხოლოდ იმას შეეძლო ვინაც იგი ოცი წლის წინათ ჩააცვა ტანზე — ბედისწერას, მორჩა და გათავდა — ბედისწერამ ჩააცვა და მანვე წაართვა.

ასეა თილისმა მარადყამეულად,

უცნაურია მისი მოვლინებაც და გარდავლენაც...

მუხლმოჭრილი და სხეულგანრღმული იდგა ერთხანად.

გასაოცარ გარდასახვას გრძნობდა მთელს აზრებაში.

თითქოს სხეულიც კი გაქცეულიყო მისგან, გაქცეულიყო და გაფანტულიყო სივრცეში, უსაზღვროებაში, ავეირონში. ჰეშმარიტად: სხეულისაგან დაცლილიყო მისი სხეული.

ნაღვლით გატენილმა დიმილმა დაუღრიჯა ლამაზი სახე.

სისხლგაყინული ხელი ანგარიშში-უცემლად დასწვდა მახვილს.

ვალასა და წვეროში ჩაველო ხელეზი და, როგორც სჩვეოდა, ოდრიკალად სცადა თასმასავით მოქნილი ფოლადის შემორტყმა წელზე.

მაგრამ მცირე მოდრეკითვე დაიმსხვრა და დაიღეწა ხმალი საღმასურისა.

კალმახებივით დასხლტნენ და დაცვივდნენ ნამსხვრევები.

თვალდამცხრალი მზე შვიდ სიტყვად მარცვლავდა შვიდ ნაკვეთ-აქუწად დაფშვნილ წარწერას:

„მე... ვარ... ავი... გასიტყვება... კოლხთა... მეფე... გუბაზისა...“

ანაზღაითი ცხელი სუნთქვა მოეჭრა გაყინულ ლოყას. მოიხედა. ცხენი მოსდგომოდა ზედ სახესთან.

ახლა გაახსენდა, რომ სადღაც ქვემოთ, მდინარის დაყოლებით, უცხოელები ელოდებოდნენ — ბიზანტიელი სტუმრები (ჰმ, სტუმრები!), გინა მოკავშირენი (მოკავშირენი, ჰმ!).

ცხენზე შეჯდა და მდინარის მარცხენა ნაპირს დაუყვა.

მიდიოდა, ვითარცა სული უსხეულო, გინა სული სივრცეში განვრცობილი და განზაგებული.

სხეულისგან დაცლილი სხეულით მიდიოდა, მაგრამ გონება მაინც მძლავ-

ლევან ხანიძიძე
მკვლელობა ხოზისწყლის პირას



რობდა გუბაზ მეფისა, რაკი იგი გახელ-
ლებული იგერიებდა კრაზნანს ბარანი-
ვით შემოსეულ საფიქრალს.

„სივრცე ყველაფერზე ძლიერია, რადგან ყოველისმომცველია და აუცი-
ლებელი“ (ეს ვილამ თქვა, ადრე კი-
დევატ იცოდა, ვინცა თქვა, მაგრამ ახ-
ლა ვერ გაიხსენა)...

„ეყოფა ჩემ ხალხს სიტყვით თნევა და საქმით თრევა...“

„არ მომკვდარა თეთრი უფლისწუ-
ლი. იგი მხოლოდ იმან წაიყვანა, ვისაც ზეცად ფრენის უამს უბიდან გადმოუ-
ვარდა. წაიყვანა და სივრცეში, აპეი-
რონში განაზავა, თეთრ ფერებში განა-
სახლა, ყოველი თეთრ, ქათქათა ფერ-
ში...“

„ბუნება მუდამ ტანჯულია, რადგან მუდამ მშობიარეა; მუდამ მოზეიმეა, რადგან მუდამ ცოცხალია; მუდამ მგლოვიარეა, რადგან მუდამ შვილმკ-
ვდარია“...

„მიწას განრთხმია ჩემი კოლხეთი მკერდჩაღლეწილი...“

„ოქროს რქის პირას უბოვნიათ მა-
მაჩემის და გურგენ იბერიელის გვამე-
ბი, ზურგიდან ლახვარნამგერალნი. ჩვიდმეტი წელი გავიდა მას შემდეგ და მკვლელები აქამდე ვერ უბოვიათ. ვერ უბოვიათ, რადგან არ უძებნიათ... არც მტრობას გვიშლიან და არც მოყვრო-
ბას ბიზანტიელნი... ზურგიდან დარტყ-
მის ოსტატები... ზურგიდან!“

„შვიდივე ობოლს მოკლული მამის ნაღველი უდგას თვალეში, შვიდივეს... და ცალკე ყოველ შვიდათგანს, ყველა შვილის ნაღველი ერთად“...

„საკუთარი კბილებით ხორცს იგ-
ლეჯს ტანზე კოლხეთი შვილებამოწყ-
ვეტილი...“

„დედაო ნეიტ, გადამაფარე შენი ფრთები, ვითარცა დაუსაბამო ვარსკ-
ვლავები!“ (სადღაც წაუკითხავს ამნაი-
რი რაღაც წარწერა, — ახსოვდა, ახლა აღარ ახსოვს).

თვალდამცხრალ მზეს მიაშტერდა.

„მზე უთვალავ სულიერ და უსულო სულთა შორის ცხოვრობს ჩაწილადე-

ბული. ამიტომ ყოველ წამიერქმის უთ-
ვალავი მზე იბადება და უთვალავი მზე კვდება...“

„სპარსელნი დგანან უნაგირას ციხე-
ში. ბიზანტიელთა ლაჩრობამ და ლალა-
ტმა დამაკარგვინა უნაგირა...“

„იმ ხარებს რქებად ედგათ მოლაუ-
ლი ნამგალა მთვარენი...“

„სიცოცხლე სიკვდილს უდრის და ამიტომაც არ კვდება იგი“ (ფაზისის მუხათა ტაძარში მოუხმენია მოძღვრი-
სა და განმამბრძნობელის, ქუჯი ლასკა-
რისაგან)...

„ალბათ უნაგირაზე ჩამოავლებენ სიტყვას ბიზანტიელნი“...

„ხილული სინამდვილე ლანდის ქსო-
ვილია, გინა სიზმართა ქსელი...“

„მე ვარ ეპვი უშრეტო, ვერვისგან ხილული და ყოველისგან შეგარძნებუ-
ლი; მე უხილავად ვეწვევები შენს ტვინს და გაქცევ ჩემს მონად...“

ანაზღაითად მოვარდნილმა ქარმა მტვერ-ბორიყად აიტაცა ცხენის ფერ-
ხთაგან ნაშალი ნასიცხარი მიწა.

გუბაზმა თვალი გააყოლა ფრთააშ-
ლილ მიწას.

„დადის მიწა, დადის, მიჰქრის, მიფ-
რინავს. განუწყვეტლივ დადის და აღ-
გილს ინაცვლებს მიწა. მიწა დააქვს ყველას და ყველაფერს: წყალს, ცეცხლს, ჰაერს, ქარს, ცხოველს, მწერს, ფრინველს, ქვეწარმავალს, ადამიანს, ყოველ ქვესკნელთაგანს, ყოველ ზესკნელთაგანს, ყველაფერს, ყველა-
ფერს. განუწყვეტლივ ინაცვლებს აღ-
გილს მიწა, მაგრამ მაინც მიწაზე რჩე-
ბა ადგილნაცვალი მიწა. ჩინ-მაჩინურ ტაიფუნსაც არ შეუძლია მიწიდან მიწის გატაცება. მიწა დადის, მიწაზე დადის, მიწიდან მიწაზე დადის, მიწდება, ცოცხლდება, ისევ და ისევ, დადის, დადის... მიწა მიწას უბრუნდება. მიწა მიწას ვერ გაექცევა...“

მიდიოდა და მიირზეოდა უსხეულოდ ამხედრებულ სული გუბაზ მეფისა, ავსებული უთვალავ ფიქრთა სრბო-
ლით და ბრძოლით. ფიქრები, საღმა-
სური ხმლებით აღჭურვილნი, მისეოდ-

ნენ და გააღმასებით სჩეხდნენ, ჰკვეთდნენ და ჰკეპავდნენ ერთურთს.

„ზეცაში ღმერთი და სატანა ცალცალკეა...“

„მხოლოდ ადამიანში არიან ერთად ჩასახლებულნი ღმერთი და სატანა...“

„მინც რას მიმზადებს საწუთო ესე, წარმდინარე და ქვედამზიდავი...“

„განიფრთხვე ძილი და სიზმარეული!“ — ჩაესმა რისხვეულად.

ცხენი შეაყენა მოწყვეტით.

უკვე მოსულიყო იქ, სადაც უნდა მოსულიყო.

მდინარის გაღმა შვიდი ცხენოსანი იდგა.

„შვიდი?!“

აკი მაშინ ექვსი დათვალა!

ნუთუ თვალმა მოატყუა!

მაგრამ, მზის დაკორტნა შეუძლიათ გუბაზის თვალებს!

მაშ, სად იყო და საიდან მოვიდა მეშვიდე?!“

შვიდი! ბედისწერა ხშირად ვლინდება შვიდში. აკი წელან შვიდ ნამსხვრევად დაიღწეა მისი ხმალი...

შვიდიდან ნუთი იცნო: ძმები რუსტიკე და იოანე ელინოგალატები, მარტინე, იუსტინე და ბუზე. ორიც ლახეროსანი მეომარი უღდა უკან იოანე ელინოგალატს. ორივეს უზარმაზარი აზვერის მხარ-მკლავი და კისრები ჰქონდა.

იოანე და რუსტიკე სძულდა გუბაზ მეფეს. მიტომაც მათ დანახვაზე სული შეუფრქოვდა (სული, — რადგან სხეულის შეგრძნება კვართთან ერთად დაპკარგვოდა მეფეს).

„გულჩუქენია იოანე, და სწორედ გულჩუქენისა უნდა გეშინოდეს...“

კარგა ხანს უთვალთვალდნენ ერთმანეთს გაღმა-გამოღმიდან.

უცებ მეფემ ცხენს ქედზე ჯვარედინად გადააწყო ფეხები, მკერდზე ხელები დაიკრიფა და სავსებით გაქვავდა. მზის ჩაწურვამდე უცქერდნენ ბიზანტიელები ქანდაკადქვეულ კენტავრს.

— ჰხედავ, არ გადმოიღის, ძალდადაც არ გვაგდება! — ამოლოშქრა იოანემ.

რა გაეწყობა, მეფეა და ჩვენ უნდა ვეახლოთ, — თქვა იუსტინემ და პირველმა შეაგდო ცხენი ზობისწყალში.

მას ბუზე მიჰყვა. სხვებიც გამოედევნენ.

მარცხენა ნაპირს გავიდნენ და კენტავრის წინ შეაყენეს ცხენები.

მეფეს თითქოს არც შეუტყვია მათი მოახლოება. ისევ ისე, ფეხმორთხმით ამხედრებული, უძრავი მხერით გასცქეროდა შორეულ თვალსამზირს, სადაც ცას უკვე ჩამოეკიდა ოდრიკალი მთვარე.

„მზე დაწვა და მთვარე შობა“, — გაიფიქრა მან (თუ რალაცამ მასში).

უცებ ეს გაახსენდა გუბაზს:

სწორედ შვიდი წლის იყო, როცა ხიდან ჩამოვარდა იგი. ტკივილი არ უგრძენია მაშინ. მხოლოდ მიწა ატოკდა, ფრთა აიშალა და სადღაც გაფრინდა მიწა. ეგ იყო და ეგ. შვიდი დღე თურმე უგრძნობლად იწვა. მერე შეავკბინა, სათნო სახის ქალი გაახსენდა, — სასთუმალთან რომ უჯდა და ზენაარი ზმით ულოცავდა; შელოცვაც ახსოვს. შელოცვა იგი...

— ხაირე, მეფეო! — ფიქრი გაუწყვიტა მისალმებამ.

გუბაზმა უბრად შეარხია თავი.

ერთხანს მხოლოდ ზობისწყლის კრძალული ტალღათ მდინარება და რწმონის შორეული შეწვივლება არღვევდა რადღაცნაირი სამყაროული იღუმალეობით მოცულ მღუმარებას.

ხრინწიანი ჩახველების ხმამ უამურად შეხძრა გუბაზი.

გახედა და იოანე ელინოგალატის ჩარადოვანი სახე და დამფრთხალი ზირაქის თვალები შემოეფეთა მის მზერას. იოანე მარტინეს ეჩურჩულებოდა რალაცას, ლირწიან-ქერცლიანი ჩარბების ფლაფნით. მარტინე ბიზანტიელთა მთავარი სტრატეგოსი იყო და სწორედ მას პირველს უნდა ეთქვა სათქმელი. იმანაც დაიწყო:

ლევან სანიკიძე

გავლოლა სობისწყლის პირას



— მეფეო გუბაზ, უნაგირაზე ვაპირებთ იერიშის მიტანას, — თქვა და საპასუხო შესმაურებას შეუტყადა.

მაგრამ გუბაზს არც კრინტი დაუძრავს, არც თვალი დაუხამხამებია.

ბიზანტიელმაც განაგრძო:

— სპარსელები უნდა განედევნოთ უნაგირადან.

ისევ მღუმაოდ იდგა მეფე.

ისევ სცადა ბედი მარტინემ:

— დიდი სირცხვილია, რომ სპარსელები ამდენ ხანს ჩამდგარან ლაზიკის უდიდეს ციხე-სიმაგრეში.

— სირცხვილიო?! — უცებ იფეთქა გუბაზ მეფემ, — მერე, ვის უნდა რცხვენოდეს, თუ სირცხვილს მართლა სირცხვილად ჩავთვლით?

— მაინც ვის?! — გამოიწვევად ჩაუჭრა რუსტიკემ.

— თუ ამასაც კითხვა სჭირდება, პასუხიც ინებეთ: სწორედ თქვენი უგუნურების, ლაჩრობის, გულჩუყენობისა და ღალატის წყალობით მოხდა, რომ უნაგირა სპარსელებმა ჩაიგდეს ხელში. მე ტელეფისის ციხისათვის ვიბრძოდი მაშინ. თქვენ კი უნაგირასთან მოვარდნილ სპარსელთა მცირე მხედრობას გამოეჭყეტით თავქუდმოვლევით და უკანალზე ფეხების ცემით.

იუსტინემ სცადა გაცეცხლებული მეფის შეეყნება:

— რაც იყო, იყო, მეფეო. ახლა წამხდარ საქმეს უნდა ვუშველით. ესაა და ეს.

— მაინც რა სიბრძნეს მთავაზობთ?

— დამცინავად იკითხა მეფემ.

— შენ უნდა შემოგვიერთდე შენის კოლხებითა და ლაზებით, მეფეო, და ერთიანის ძალებით დავიხსნით უნაგირას, — ყველას დაასწრო ისევ მარტინემ.

— კოლხთა იმედი სამუდამოდ აღიკვეთეთ, ბიზანტიელნო!

— აღვიკვეთოთ?!

— დიახ, ეყოფა ჩემ ხალხს სიტყვით თნევა და საქმით თრევა! ჩამოგვეხსენით და ჩვენ ჩვენს ქვეყანას უთქვენოლად კარგად...

დასრულება ვეღარ მოასწრო. ერთბაშად შეიძრა ქვეყანა. იძირა და გაფრინდა ფრთასსმული დედამიწა.

მეფეს ტკივილი არ უგრძენია (აკი სხეულისგან დაცლილი იყო მისი სხეული).

მხოლოდ მიხვდა: ზურგიდან რაღაც მძიმე დარტყმამ ჩამოავლო ცხენიდან... ზურგიდან!

ოდრიკალად მოკეცილი დაეცა მიწას. დაცემისას უარესად შეირყა მიწა.

და მხედავს ზურგიდან მახვილნაძგერალი გუბაზ მეფე:

სარტყელზე წევს ყრმა უფლისწული: თავთით ხატკეთილი, სათნო თვალგზიანი ქალი ჩამუხლულა და ზენაარი ხმით ეჩურჩულება:

ანი იძრა,
ბანი იძრა,
მცა იძრა,
ქვეყანა იძრა,
ოთხი კუთხე მცისა იძრა,
ოთხი კუთხე ქვეყნის იძრა,
ნოეს კიდობანი იძრა,
წყალი იძრა,
წისქვილი იძრა,
მიწა იძრა,
ქალის ტკივილი ჭეჭე იძრა...

გულისამრევმა მოტკბო გემომ გაუფსო პირო.

„ესაა გემო სიკვდილისა,“ — ჩაესმა, თუ თვითონ თქვა გულსიტყვად.

„აღსდგე!“, — ვიდაცამ თუ თვითონ უბრძანა საბრძანისი საკუთარ თავს მეფემ.

აღსდგა და აღიმართა ღვარჭნილად. შებრუნდა ზურგისკენ, საიდანაც დასცეს მახვილი უზენაარო მუხთალი ხელით.

სახეჩარადოვანი კაცის თვალები შემოეფეთა, უსაზღვრო შიშით და ძრწოლით გატენილი.

ხელში შავი კვართი ეჭირა იმ კაცს. „ააა!!!“

და ხელებგაწვდილი წატორტმანდა მეფე გაქცეული თილისმისაკენ.

გარბოდა სახეჩარადოვანი და ზირაქის თვალებიანი კაცი-ანთარი და ისტერიული კვილით ვილაცას რაღაცას უყიოდა.

ხოლო ის ვილაც წამოეწია და ხელმეორედ აძგერა მაზრაჟი გუბაზ მეფეს. აძგერა და ძუძუ-გული გაიტანა.

დაცემამდე მოასწრო მეფემ, მეფური ძახილი აედევნებია ფრთასხმული, გაფრენილი დედამიწისთვის:

„განიფრთხვე ძილი და მარად მღვიძარედ იყავნ, კოლხეთო!“

მაგრამ ეს ძახილი ამ ქვეყანაზე მის მეტს არავის გაუგონია.

მძიმე დაცემამ ჩააქრო სრბოლა დედამიწისა.

იწვა მეფე მისი დაცემით ტანნატკენ დედამიწაზე და თვითონ არარა სტკიო-

და, რადგან აკი აღრევე გაქცეულიყო მისი სხეული მისივე სხეულიდან.

ესლა იყო მისი ამქვეყნიური უკანასკნელი მოლანდება: თეთრმა, მთა-ქედნიანმა, ოღრიკალი მთვარეებით რქანაყარმა ხარმა განკვეთა და გადახნა წყვდიადი ნათელი ხნულით მიწისა და ცის შესაყარზე; ხარის ზურგზე თეთრი ყრმა იჯდა— არსთა შემოქმედს უბიდან რომ გადმოუვარდა ზეცად ფრენისას... ყრმა იგი, ზენაარი ღიმილით პირდამშვენებული, ხელის ქნევით იხმობდა მეფეს...

უსაზღვრო სიხარულით ავსებულა გამოედევნა იმ მოლანდებას...

უსასრულო თეთრ ფერში განიბნა და განზავდა სული გუბაზ მეფისა.

ხოლო წყვდიადში დარჩნენ ცოცხალნი.



ზ ა მ თ ა რ ი

თუ გინდა,
თოვლზე მიაბზე რამე,
ან სიყვარულზე,
თოვლქვეშ რომ სძინავს,—
მზეზე!...

თუმცა მზე
რა ხანია აღარ ამოდის.
თოვლმა დაფარა
მზეცა და მიწაც.
გადაუღებლივ ჩამოდის თოვლი.
თუ გინდა,
თოვლზე მიაბზე რამე.

სამრეკლოს თავზე შემჯდარი ჩიტი
ფრთებს ვერ აცილებს გაყინულ სხეულს.

გადაუღებლივ ჩამოდის თოვლი.
თუ გინდა,
თოვლზე მიაბზე რამე.

თოვლზე სკვითივით გადადის ქარი.
ხარი დაკარგულ მიწას ჩაბლუსს.
მე თოვლქვეშ ვწევარ
მღვიძავს და მცევა.

ხოლო თოვლი კი,
ბარდნის და ბარდნის...
თუ გინდა,
თოვლზე მიაბზე რამე,
ზამთარში ვცხოვრობთ, ჩიტო ღაბუა!..

უძილო ღამის ზღაპარი

უძილო ღამის აღმართს ავივლი
დმერთთან,
ბედთან
და შენთან უბირი...
მაგ სიფრიფანა სარაფანივით
გამჭვირვალეა ჩემი წყურვილი.
ჩამომწყდა მხრები ცოდვის ტარებით.
უცოდვილობა უმძიმესია.
ხელუსლებელი მუხლისთავები —
უღაბნოს სვატი, თუ ეკლესია,
გარინდებული მინარეთები,
გაურანდავი, ვით მთის მდინარე,
შიშველი მკერდით კლდეს რომ ეხლება,
თუ კატა,
თავს რომ მოიმძინარებს...
მე მზეზე ვწევარ.
შენზე ოცნება —
სიამოვნება ამაოების,
ნეტარება და გამოგლოვება,
უნაბისფერი საღამოები—
როგორ მოვიდნენ,

საით მიდიან,
მე არ მიჭირავს მათი სადავე.
ცხოვრება ისეც ბეწვის ხილია
და თვალდასუჭულს რატომ მატარებ...
უიშვებოდა ისე ძნელია,
თოვლის ფიფქივით ხელში მიდნები...
ყაჩაღებივით გზაზე მხვდებიან
აუხდენელი შენზე ფიქრები.
შენ კი სიცალით ამბობ „ტყუილია!“
და არა გჯერა, რომ მე საერთოდ,
უამოცნებოდ
არ შემძლია,
როგორც უპუროდ
ან უპაეროდ.
მე ასე ვცხოვრობ.
სიზმრად თუ ზღაპრად
შენზე ფიქრებმა უნდა დამათროს.
დე, ფქვილი იქა
და ქაბო აქა,
ჩემო უძილო ღამის აღმართო.

ქუნა მოედანს, როგორც ზღვას, ერთვის
და ანთებული თვალებით მიმზერს,
მხოლოდ ჩვევას, რომ კვლავ შევჩერდი,
შენი სახლის წინ, გზაჯვარედინზე.

მხოლოდ ჩვევას, სხვა მოგონების
ქარი ესლება ტუჩებს დახეთქილს.
მაღლა, წაგვისის მწვანე გორებზე,
კვლავ დანთებულია შენი სახელი.

ღარწმუნებული ვარ, დაგავიწყდით,
და მოგონება — აჭრილი კარტი
წითელი, შავი, კარგი თუ ცუდი,
ზამთრის ღამეში ბარდნის და ბარდნის.

წითელი, შავი, კარგი თუ ცუდი...
ღღებებს მირეკავს დრო — ქარაშოტი
და ყველაფერს ჭრის კოზირის ტუჩით.
...მე არასოდეს არ ვთამაშობდი.

ნანატრი როლი

ასრულდა მისი დიდი წადილი:
მისთვის ბრწყინავენ ჭაღები ბროლის.
სცენის სიღრმეში დგას თავდახრილი
და ტაშის ცემას არ უჩანს ბოლო.

ჩაფიქრდა მისი გულგრილი მრევლი,
ხართბს ზედმეტად ყმაწვილი ცოლი.

თვალზე ადგება ნამდვილი ცრემლი.
როგორ მშვენივრად სრულდება როლი...

ღარბაზი ყალბი სინათლით ბრწყინავს.
გარშემო აპნევს ბრჭყვიალა მძივებს
და ფარდა, როგორც გილიოტინა,
მოდრეკილ ქედზე ეშვება მიძიმედ.

დაკარგული მეგობრის მონატრება

მაინც, შენ სხვა კაცი იყავ, სხვა ნაბადი გესხა.
ღღეს ძაგება ადვილია, როგორც ხოტბის შესხმა.

მზე თანაბრად ველარ გვათბობს. მთვარე ქარგავს სიზმარს
და თუ სიტყვა ისარია, ნუ მისწვდება მიზანს,

მაინც, ისე გაიქროლებს მტრის ჯინაზე ცაში,
რომ თავიდან მომანატრებს ერთ ღარღვეულ კავშირს.

ძმობასა და დაშორებას, ერთად ღვინის შესმას...
კიდევ ბევრი დაიჩემებს მეგობრობას შენსას.

ბაკურიანში, ათი წლის წინათ,
შუა ზამთარში, არდადეგებზე,
თოვლის მაგიერ მოვიდა წვიმა,
თხილამურები დარჩა კედელზე.

ქათმებზე ადრე ჩათვლემილ სოფელს
ესისმრებოდა — ბარდნიდა თეთრად.
...რაც მე იმ ზამთარს ტალახი ვტოპე —
ყველაზე ღამაზ გოგოსთან ერთად!..

ძველი ახალწლის მშვენიერ ღამეს,
რომელსაც ასე უხდება თოვლი,
ძველი ახალწლის მშვენიერ ღამეს,
სწორედ იმ ღამეს მოვიდა თოვლი.

ჩამოდიოდა თოვლი და ღამე
იწვოდა, როგორც ყვითელი კვარი, —

გამოსულიყვნენ ბიჭები გარეთ
და არ უნდოდათ სინათლე მეტი.

და არ უნდოდათ მეტი ჩვენება —
ჩამოდიოდა ნამდვილი თოვლი.
ალბათ ასეთი არის სიმღერა,
გედის სიმღერა — ქალაქში თოვლი.

იზო ტარსიძე

მ ა მ უ ლ ს

მე არც მაია წყნეთელი ვარ
და არც ზოია,
ჩვეულებრივი ქალი ვარ ერთი,
და ვარ უმწუო,
არაფერი არ გამაჩნია,
შენზე მლოცველი ამ გულის მეტი...

უღრუბლო ზეცას, შენ ალალ ხალხს,
შენს წითელ დროშებს,
დასაბამიდან ასე რომ ვეტრფი,
ო, როგორ ვნანობ,
ვერაფერი ვერ მივუძღვენი,
ერთი გულწრფელი სიმღერის მეტი.

გაზაფხული გენატრებოდა

მე დამესიზმრე, — პეშვს მიწვდიდი,
პურის თავთავებს მთხოვდი,
გარეთ კი სდუმდნენ ორღობეები
და გადუღებლად თოვდა...

მიყურებდი და მოწყენილ თვალებს
ფრთხილად სწყდებოდათ ცრემლი,

ღედის ხსოვნას

მერე მომთხოვე ყვავილიანი
პატარა ტოტი ტყემლის...

...შენ გაზაფხული გენატრებოდა,
მე უსაშველოდ ვთრთოდი,
გარეთ კი სდუმდნენ ორღობეები
და გადუღებლად თოვდა.

მზია მკლდღკე

ჩემს მასწავლებელს

შენი დაღარული შუბლის
სევდაშერეული შუქით, —
გაგინათებია გული,
გაგინათებია გზები;

თუმცა დაგლაღვია მხრები,
თუმცა დაგთოვია თმები —
მაინც იღიმება ტკბილად,
მაინც თვალნათელი მხედები.

შენ რომ შემაყვარე ენა, —
ჩემი ველები და მთების,
შენ რომ ჩამინერგე რწმენა —
მეგობრებისა და ძმების,
შენ რომ შემაყვარე ფრენა
ნიავეგარეული ფრთებით —
ესლა იმ სითბოთი ვდგევარ,
ესლა იმ სითბოთი ვთბები.



გზა გამიგრძელდა, სადღაც სულ ახლოს
მეგულებოდი ნუგეშად ჩემდა..
ყაყაოების ფერით ვთვრებოდი,
იცოდი, ლოცვა გადამარჩენდა.
რწმენის კედელთან ანთებულ სანთლებს
მეც შევუერთე ჩემი სანთლები,
მთვარის ჩრდილებთან დაჩოქილ ლოდინს
მუდამ შენს ლამაზ სახელს ვარქმევდი.

ღმერთმა გაგიგრძელოს გზები,
ღმერთმა გაგიმრავლოს წლები,
მზემდე ამალღებულ ფიქრში.
წმინდა სანთელივით დნები.
შენი დაღარული შუბლის
სევდაშერეული შუქით, —
გაგინათებია გული,
გაგინათებია გზები.

გზა გამიგრძელდა...
მოულოდნელად
გამოჩნდა სევდის მწუხარე სახე,
შენც იქვე ახლოს ყელმოღერებით
იელვე, მაგრამ ვერ დამინახე!...

გზა გამიგრძელდა.. სადღაც, სულ ახლოს —
კვლავ მეგულები იმედად ჩემდა!

ლიკ ბედოშვილი



ნუ გაგაოცებს ჩემი სიკვდილი,
ნურც შეწუხდები ფერისცვალებით,
არ ვიყავ თეთრი
ღრუბელის ქულა
და არ მქონია ნუკრის თვალები.
შენზე მლოცველი —
სული უბიწო,
ჩასასლდა გველის

მოქნილ სხეულში,
ულამაზესი ჭრელი პერანგი
და ვნებიანი ყვრიმალეები
ზიზღს გვერიდა, ვიცდი.
მე კი ვტიროდი და ღამლამობით
მთვარის სხივების სევდას ვსვამდი
გათენებამდე.



წყველინც იყავ
ხორცის ჩემის
ავო სიმძიმევე,
ტლანქ და გრილ თითებს
შემოაკვდა ჭია-მაია,
რალა ვქნა,
ალბათ, ეს მინდორი აღარ მიტირებს,

ქარს ვეცოდები, სველი ქარია.
წყველიმც იყავ
ხორცის ჩემის
ავო სიმძიმევე —
ტლანქ და გრილ თითებს
შემოაკვდა ჭია-მაია.

ველს ედო თრთვილად
გაყინული ჩემი ტირილი,
შუამთის ტყეში გახვეული
მეწვიე სიზმრად,
ცისარტყელები ცვიოდნენ ფიფქად

და ნაკადულში ჩაწურული
ჩვენი დღეები
დიოდნენ სადღაც —
სამყაროს მიღმა.

ბაკდურ ბალარჯიშვილი

ბ ა ზ ა შ ხ უ ლ ი

I

ინე შოვა ხიხარული, როგორც თეთრი აპრილი
და აანთებს როგორც სანთლებს, აღუბლებს და ვაშლებს.
ადიდდება გაზაფხული, გადმოლახავს ნაპირებს
და სიცოცხლე — მწვანე ჩიტი — ფარფატა ფრთებს გაშლის.
მალე შოვა გაზაფხული, მოფრინდება ჩიტი
და ჟივილით აიშლება არემარე, მიდამო,
სხვა რა გინდა, მიპასუხე, სულო, ამის მეტი,
სხვა რა გინდა, რომ მუდმივი გაზაფხული იწამო...
რად ჭოჭმანებ, რად გაურბი იმედსა და მოლოდინს,
ან და რატომ დაივიწყე ზეცა მარად მაღალი,
შენ ხომ იცი, რომ სიცოცხლე საჭიროა ბოლომდე,
შენ ხომ იცი, რომ სიკვდილიც სიცოცხლეა ახალი...
ჰოდა, შოვა გაზაფხული, მოფრინდება ჩიტი
და ჟივილით აიშლება არემარე, მიდამო.
სხვა რა გინდა, სხვა რა გინდა სულო ამის მეტი,
რომ მუდმივი გაზაფხული იწამო.

II

ჩაწოთბა... შეისინეს საკინძე ვერცხლის მთებმა და გაბაცდა ზურბუხტის ბინდი.
მოფრინდა მერცხალი — პირველი ჩიტი, გაისმა ჟივილი პირველი მერცხლის.
და მწვანე ბილიკით სტუმარი მოდის — აპრილის ზღაპარი ციალებს ცადა,
ხანურავს გაჰხავის პირველი კატა, დათბა და საშველი დაადგა ლოდინს.
დათბა და დატოვა დუმილი მრეში: ჩუხჩუხებს სიცოცხლე კამკამა რუში,
დათბა და წყნეთისკენ — ციცაბო ტყეში, აყვავდა ანაზღად პირველი ნუში.

III

და აი: — ქალაქში დადის გაზაფხული და იწოვს სიცოცხლეს სხეული ხარბად,
და ფეთქავს ქალაქი ძალით არნახულით: ახალი ვნებანი იყნოსა ალბათ.
დაუტყო, დააჩნდა აპრილის კვალი და დათვრა თბილისი და ასეც სურდა, —
მე აიღერდა ყვითელი მტკვარი, რომ ახალ სასწაულს ველოდით უნდა.



ფ რ ე ს კ ა

ავტობუსი გზის პირას გაჩერდა. მძღოლი პირველი გადმოხტა კაბინიდან, მანქანა საგულდაგულოდ შეათვალიერა და მერე ღია კარიდან სათითაოდ გადმოლაგებულ ბიჭებს მიაჩერდა. გოგონები გადმოსვლას აგვიანებდნენ, პატარა სარკეში ყურადღებით ათვალიერებდნენ მგზავრობისაგან გადაღლილ სახეებს და ხმამაღლა იცინოდნენ.

„ნეტავი ვის ეპრანჭებიან... ყველანი ერთმანეთის ახლობლები და ნაცნობები არიან, — ფიქრობდა რაღაცით უკმაყოფილო მძღოლი და გაცვეთილ საბურავებს ფეხსაცმლის წვერით სინჯავდა: — „გზაში მაინც არ გასკდებოდეს ეს უპატრონო... რამ წამომიყვანა ამ სიშორეზე!...“

ჭერ ისევ იგრძნობოდა დილის სუსხი. ცა თხელ, მოთეთრო ღრუბლებს დაეფარა. ირგვლივ ნეშომპალას სუნი იდგა. სისველეშერჩენილი თოთლები თანდათან შრებოდა, გადაყვითლებული ყანის იქით ტყე მოჩანდა. იქვე ახლოს ეკლესიის ქანგისფერი გუმბათიც ილანდებოდა.

მალე ყველანი სადღაც მიმოიფანტნენ. ავტობუსთან მხოლოდ მძღოლი და გამხდარი, სათვალისანი კაცი დარჩა. ჩანდა, იგი ექსკურსიის ხელმძღვანელი უნდა ყოფილიყო, თუმცა რაიმე ინიციატივას მაინც და მაინც არაფერში ამქვავებდა და არც ის ხალისი ეტყობოდა, ამ საქმის მოთავე ადამიანებს რომ სჩვევიათ ხოლმე.

სათვალისანი უნივერსიტეტში ფილოსოფიას ასწავლიდა. წლების მანძილზე ახალგაზრდებთან უხდებოდა ყოფნა, მაგრამ აუდიტორიის გაღეთ მათთან კონტაქტის დამყარება უჭირდა და ამის გამო მეტად უხერხულად გრძნობდა თავს.

ფაკულტეტის დეკანმა რატომღაც სწორედ მას დაავალა ხელმძღვანელობა გაეწია სტუდენტებისათვის, თუმცა ამ საქმის გაკეთება სხვებს უკეთ შეეძლოთ.

— ჩემო ბონდო, აბა, შენ იცი... წესრიგი არ დაარღვიონ, არაფერი გააფუჭონ, მაგათი ამბავი კი ვიცი მე, მარა შენი იმედი მაქვს!..

ამ სიტყვების შემდეგ უარის თქმა, ბონდოს მხრიდან, ყოვლად გაუშართლებელი იქნებოდა. მით უმეტეს, ამ მოკლე ხანში საკანდიდატო დისერტაციის წარდგენას აპირებდა და, სხვათა შორის, სამეცნიერო საბჭოში ფაკულტეტის დეკანიც შედიოდა.

ბონდო მაშინვე დაეთანხმა, ნდობისა და ყურადღებისათვის მადლობა გადაუხადა და იქვე გაიფიქრა: „რა მეექვსეჭურსიება და მემოგზაუტრება.. მთელი დღე უნდა გამიცდეს, გაეწვალდე და გავჯახიარდე...“

გზაში ხმა არ ამოუღია. უინტერესოდ ათვალიერებდა ერთფეროვან, გადაყვითლებულ გარემოს და ნატრობდა, ის დღე მალე გასულიყო. მყუდრო სამუშაო ოთახს და საწერ მაგიდას შეჩვეულს, იქაურობა ეუცხოებოდა...



მინც რა სწრაფად გაილია დრო, თი-
თქმის თვალსა და ხელს შუა, კონსპექ-
ტებში თავჩარგულს შემოადნა ახალგა-
ზრდობა.

ბონდოს მეგობრებმა, ასე- თუ ისე,
თავიანთი გზა იპოვეს. ამ ცხოვრებით
კმაყოფილი იყვნენ და არც მომავალი
ადარდებდათ მინცდამინც.

უფროს კოლეგებს უკვირდათ, რო-
ცა სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე ან
კრებაზე სიტყვით გამოსული ბონდო
ზოგჯერ უნებურად აუწვევდა ხმას. დღეს
რა მოუვიდა, რამ გადარიაო, მრავალ-
მნიშვნელოვნად გადაულაპარაკებდნენ
ერთმანეთს და მიმტვევებელი ღიმილით
მიაჩერდებოდნენ კათედრასთან მდგარ
გამხდარ, ფერმკრთალ და სევდიან ბონ-
დოს, რომელსაც, გარეგნობით თუ ვი-
მსჯელებდით, ახლგაზრდა უკვე აღარც
ეთქმოდა. სხვები ხმამაღლა იცინოდნენ
ბონდოს უადგილო გაბრაზებაზე და
მოუბრუნებლად ეჩურჩულებოდნენ ერ-
თმანეთს.

ცხოვრება თავისი წესით და რიგით
მინც მიდოდა წინ. რაღაც ახალი ხდე-
ბოდა, რაღაც ძველდებოდა, მაგრამ სა-
ბოლოო ჯამში არაფერი იცვლებოდა.

ბონდო, მისი აზრით, ჭიუტად მიი-
წევდა სულ წინ და წინ, თუმცა ბოლომ-
დე გადაწვედა თუ არა, ძნელი მისახ-
ვედრი იყო.

— რაა ხარ, ბონდოა, ისევ იქ ხარ,
ხომ?! — თანაგრძნობით ეკითხებოდნენ
ქუჩაში შემთხვევით შეხვედრილი მე-
გობრები.

ბონდო დამნაშავესავით იღიმებოდა.

— რა ნიჟს ღუპავს, თავსაც იღუპავს
და ჩვენც არაფერში გვარგია! — სერი-
ოზულად ამბობდნენ ბონდოს ნაცნობ-
მეგობრები.

ბონდოს ცხოვრება მომავალში ესახე-
ბოდა. დღევანდლობა წარმავლად მი-
აჩნდა და, როგორც თვითონ ეგონა,
ხვალნდელი დღით ცხოვრობდა.

დრო კი არ იცდიდა: უსინარულოდ
გასული დღეები ერთმანეთს ემატებო-
და.

ორმოც წელს მიღწეულ ბონდოს
ხნის მანძილზე განსაკუთრებული არც
სიყვარული რგებია ვინმესი და არც სი-
ძულვილი. თმა გასცვივდა და თვალშიც
დააკლდა. ცხოვრობდა პატარა, ნახევ-
რად ბნელ ოთახში. ღამე მოუსვენრად
ეძინა. ბოლო დროს ხშირად ასხენდე-
ბოდა, რომ ცოლის შერთვა იყო საჭი-
რო, მაგრამ კონკრეტულად რომელიმე
ქალზე ფიქრი არ შეეძლო და ამიტომ
საქმე ადგილიდან არ იძვროდა.

— მაგრად დაცხება დღეს! — თქვა
მოულოდნელად მძლოლმა და ცას ახე-
და.

— დაცხება, კი. შეიძლება გაწვიმ-
დეს....

— თქვენ ასე ფიქრობთ? — დაინტე-
რესდა მძლოლი.

— სხვანაირად არც შეიძლება, ყვე-
ლაფერი გარკვეულ კანონზომიერებას
ემორჩილება, უმიზეზოდ არაფერი ხდე-
ბა. უმიზეზოდ ფოთოლიც არ ცვივა,
რასაკვირველია...

— მდაა!.. — დაამთქნარა მძლოლმა
და მანქანას კაპოტი ახადა.

შუადღისას ცა მოკრიალდა, მზემ
მთელი ძალით დააცხუნა. სტუდენტე-
ბი ეკლესიის ეზოში შეგროვდნენ. კა-
კლის ჩრდილში გაზეთები დააფინეს და
ზედ ჰურ-მარბილი გაშალეს. ბონდო
კუთხეში მიყუჟული იჯდა. უგემურად
ღეჭავდა ჰურის ნატეხს.

— მიირთვით, პატივცემულო! — ჩა-
ლისფერთმიანმა ქალიშვილმა ხაქაპუ-
რის ნაჭრები, შემწვარი წიწილა და სი-
ყვითლეშეპარული კიტრები იმ მხარეს
დააწყო, საითაც ბონდო იჯდა. ბონდომ
თავაზიანად გადაუხადა მადლობა. ქა-
ლიშვილმა სამარილევ მისკენ მისწია
და მომხიბლავად გაუღიმა.

ბონდომ უნებურად მის ხორბლის-
ფერ ფეხებს ააყოლა თვალი და მაშინ-
ვე განზე გაიხედა. მოეჩვენა, რომ ქა-
ლიშვილი მას სხვა დროსაც განსაკუთ-
რებულ ყურადღებას აქცევდა. «აწი
უფრო დავაკვირდები», — გაიფიქრა

და ტანში რაღაც სასიამოვნო სიმსუბუქე იგრძნო.

სტუდენტები მალე აიშალნენ. იქაურობას უჩვეულო სიჩუმე დაეფუტა. მძღოლს ავტობუსიდან ტყავგადაკრული სავარძელი გადმოეღო და გულადმა გამოტილს ეძინა. ჩალისფერთმიანი ქალიშვილი სადღაც გაქრა.

„სად დადიან, რას აკეთებენ, რას ეძებენ...“ — ფიქრობდა ბონდო და მოწყენილი გასცქეროდა სივრცეს.

მზე დასავლეთით გადაიხარა, აგრილდა. ბონდომ ეკლესიის ეზოში შეაბიჯა. ღია კარიდან სათბობისა და ნესტის სუნნი გამოდიოდა. შიგნით ოდნავ ბნელოდა, სარკმლიდან შემოჭრილი მზის სხივი ოქროსფრად იღვრებოდა ფრესკებითა და წარწერებით აჭრელებულ კედლებზე.

ბონდომ რაღაცას ფეხი წამოჰკრა, დაბლა დაიხედა და შეკრთა — საფლავის ქვაზე იდგა... „ერთ დროს ჩვენც აღარ ვიქნებით, წავალთ ამ ქვეყნიდან და არ დაებრუნდებით არასოდეს... მაშინ სხვები ივლიან ჩვენს საფლავებზე.. რა აზრი აქვს ცხოვრებას, შრომას, სწავლას, სიყვარულს... ყველაფერი წუთიერი და წარმავალია...“

— თქვენ მარტო ხართ? — ბონდო შეკრთა, ჩალისფერთმიანი ქალიშვილი ედგა გვერდით და უღიმოდა.

— მე... მე ეს წუთია, რაც...

— ვიცი, დაგინახეთ.

ნეტა როდის დამინახა ან მე რატომ ვერ შევამჩნიეო, გაუკვირდა ბონდოს. ქალიშვილი სულ ახლოს იდგა, მისი სუნთქვაც კი ესმოდა. გრძობდა მის მშვიდ მზერას და რატომღაც აუტანლად სურდა, ხელით შეხებოდა ხორბლისფერ მკლავებს, მხრებზე ჩამოშლილ ჩალისფერ თმას, მოხდენილად ამობურცულ მკერდს... ეს სურვილი მისი ხასიათისათვის იმდენად შეუფერებელი იყო, რომ თვითონვე გრძობდა საოცარ უხერხულობას.

გოგო მკლავზე შეეხო. ბონდო კიდევ უფრო დაიხნა. ასე ახლოს ქალთან არა-

სოდეს ყოფილა, თუ არ ჩავთვლით, ნაღობით გაჭედილი ავტობუსით მგზავრობას, რობას, როცა იძულებული ხდებოდა, ძალაუხერბურად შეგებოდა ვინმეს, თუმცა ასეთ წვრილმანებზე ფიქრისათვის არც მაშინ ეცალა — ან ლექციებზე ავვიანდებოდა, ან — ბობლიოთეკაში...

— აი იქ, კუთხეში, რა არის გამოსახული, ვერ მეტყვიო? — თქვა ქალიშვილმა ხმადაბლა და მალე აიხედა. ბონდო უაზროდ მიაჩერდა კედელს. სახეზე თანდათან მოერია სიწითლე. ქალის თითები უხერხულად მოიცილა მკლავიდან და ნელ-ნელა დაიხია უკან... სუფთა ჰაერმა გამოაფხიზლა. მარტოდ დარჩენილმა წარმოუდგენელი სიხალისე და ძალა იგრძნო. „მოვწონვარ, ეს აშკარაა... ვეტყვი, რომ მეც მომწონს, — ფიქრობდა ბონდო, — ცოლად შევიერთავ... იქნებ ბედნიერებაც ამაშია...“

ქვემოთ, გზისპირას, სტუდენტები უკვე თავს იყრიდნენ. წასასვლელად ემზადებოდნენ. მძღოლი ნაწყვეტ-ნაწყვეტად იძლეოდა სიგნალს. სიბნელე თანდათან ეუფლებოდა იქაურობას. დასავლეთიდან გრილი ნიავი უბერავდა.

ბონდომ ფრთხილად შეაბიჯა ეკლესიაში, დაკვირვებით მოათვალიერა იქაურობა, მაგრამ ჩალისფერთმიანი ქალიშვილი არსად ჩანდა. „სად გაქრა ასე უცებ... მაინც, რა უშნო და მოუხერხებელი ვარ ყველაფერში... ვინ იცის, ჩემი უტაქტო მოქმედებით როგორ ვატკინე გული...“

ბონდომ ყველა კუთხე-კუნძული მოიარა, მაგრამ ქალიშვილი ვერსად ნახა. სიბნელეში რამდენჯერმე ქვას წამოჰკრა ფეხი და განერვიულდა.

გარედან მანქანის წყვეტილი სიგნალი ისმოდა. მძღოლი არცთუ ისე ზრდილობიანად უხმობდა მგზავრებს ავტობუსისაკენ და უმისამართოდ იგინებოდა. „შეიძლება დამტოვონ კიდევ ამ გადაკარგულში... ამათვან ყველაფე-

ლარი ზარათელი
მოთხრობები



რია მოსალოდნელი...“ — შეეშინდა ბონდოს და სულის მოსათქმელად ქვის გრილ კედელს მიეყრდნო. იმავე წამს სულ ახლოდან ქალის ჩურჩული მოესმა. გვერდზე გაიხედა და სარკმილიან ჩაღვრილ სუსტ შუქზე ჩალისფერი თმაც გაილანდა.

ერთბაშად უზომო სიხარული იგრძნო. „ქალი რომ მართლაც შტერია, თერა რაღა დროს დამლობიანას თამაში იყო ამ წასვლისას...“ — გაიფიქრა ბონდომ და ხელახლა დააკვირდა სიბნელეს. მერე წინ ფრთხილად გადადგარამდენიმე ნაბიჯი და ერთბაშად შედგა: ქალს ბიჭისათვის კისერზე შემოეხვია ხელი და სახე მის მკერდში ჩაემალა...

ბონდომ თვალი მოარიდა ორთავეს. ფრთხილად ამოეფარა სვეტს, თვალე-

ბი დახტუა და მერე ისევ გაახილა. მკრთალი მზერა უნებურად მოპირდაპირე კედელზე გამოსახულ ფრესკას და იმავე წამს ეკლესიის სიბნელესა და სიჩუმეში ქალის ვნებიანი სიცილი დაიფანტა...



ავტობუსი ჯაყჯაყით მიუყვებოდა ჩიბნელეებულ, უსწორმასწორო გზას. შორს მკრთალად განათებული სოფელი მოჩანდა. დაღლილი სტუდენტები თვლებიდან დასვამდნენ; უკანა სავარჯელში ვიღაცა გიტარას აწვალებდა.

ბონდო მოწყენილი იჯდა ფანჯარასთან, იხსენებდა თავის ერთციკქნა ოთახს, მაგიდაზე უწყსრივოდ მიმოფანტულ ხელნაწერებს და მომავალ დისერტაციაზე ფიქრობდა.

პ რ ე მ ი ე რ ა

იმ პატარა ქალაქში, სადაც ანთიმოზ კილაძე ცხოვრობდა, თეატრი ჯერ კიდევ დიდ პატივში იყო. ადგილობრივი მცხოვრებლები, მიუხედავად იმისა, რომ ყოველ მათგანს სახლში ტელევიზორი ჰქონდა, სადამოობით კონტრად დავარცხნილნი, ჩაცმულნი და დახურულნი მიაშურებდნენ, საზეიმოდ ვაჩახახებულ თეატრს და რაღაც სასიამოვნოსა და ამალღებულის მოლოდინში, ერთმანეთთან მუსაიფით იქცეოდნენ თავს. კაცმა არ იცის, ეს უფრო მეტ სიამოვნებას ანიჭებდა მათ, თუ სპექტაკლით მიღებული შთაბეჭდილება, მაგრამ ერთი რამ ცხადი იყო — თეატრს მაყურებელი არ აკლდა.

ანთიმოზს ქალაქში იცნობდნენ და რიგითი მსახიობის კვალობაზე აფასებდნენ კიდევ, თუმცა მაყურებელთა უმრავლესობამ არ იცოდა, რომ იგი შეთავსებით რეკვიზიტსაც განაგებდა და ადმინისტრატორის მოვალეობასაც ჩინებულად ართმევდა თავს, რა თქმა

უნდა, როცა ამას დრო და გარემოება მოითხოვდა. ზოგჯერ ბილეთებსაც ყიდდა და შემოსასვლელ კართანაც დგებოდა სპექტაკლის დაწყების წინ. მაყურებელთა ერთი ნაწილი ამას თავმდაბლობაში უთვლიდა მსახიობს და მასებთან დაახლოების ერთ-ერთ თავისებურ ვარიანტად მიიჩნევდა.

ანთიმოზი უხმოდ და მორჩილად ასრულებდა ყოველგვარ დავალებას, თუმცა, კაცმა რომ თქვას, ბედის კმაყოფილი არასოდეს ყოფილა; ჩინებულად ხვდებოდა, რომ ყოველდღიურ წვრილმანებასა და უმნიშვნელო ამბებში შემუშნევლად იკარგებოდა ის მთავარი, რაც თითქმის გაჩენის დღიდან აწვალებდა და რასაც ჯერჯერობით, ან იქნებ სამუდამოდაც ასრულება არ ეწერა.

ის მეორეხარისხოვანი, უსიტყვო როლები, რომელსაც რეჟისორი მისთვის იმეტებდა ხოლმე, უფრო სევდას ჰგვრიდა, ვიდრე სიხარულს, რადგან ატყობდა, ამასაც იმიტომ აკეთებდნენ,

თეატრის ძველი მუშაჲი მთლად არ გა-
ერიყათ კოლექტივიდან. თუ ანთიმო-
ზი ერთმშვენიერ დღეს ადგებოდა და
წასვლის თაობაზე საკუთარი ხელით
დაწერილ განცხადებას მიართმევდა დი-
რექტორს, ეს თეატრისათვის უთუოდ
დიდი დანაკლისი იქნებოდა, რადგან
ისეთი კაცი, რომელიც სხვადასხვა პრო-
ფესიის ერთმანეთთან ასე შეთავსებას
შეძლებდა. სხვა არავინ ეგულებოდათ.

დრო კი უმოწყალოდ გადიოდა. გა-
ზაფხულობით ქალაქის შემოგარეში
ნუშის და ტყემლის ხეები აყვავილდებო-
დნენ, იქაურობა სულ გადამწვანდებო-
და და გადათეთრდებოდა. წითლად
აფეთქებული ატმის კვირტების სურნე-
ლება ქალაქშიც შეიჭრებოდა. ფრინვე-
ლები ბუდის კეთებას იწყებდნენ. ირ-
გვლივ სითბო და სიმყუდროვე ისად-
გურებდა.

ზაფხულობით ტიტლოკანა ბიჭები
ძველთაძველი ხიდიდან თავდაყირა
ხტებოდნენ ჭუჭყიან მდინარეში. გაშა-
ვებულნი და გარუჯულნი მთელი დღე
ცხელ ქვიშაზე ეყარნენ, — არც ჭაპა
ანსოვდათ, არც სმა.

შუადღისას ჩრდილი თანდათან მოკ-
ლდებოდა და მზე უმოწყალოდ აცხუ-
ნებდა ალაპლაპებულ, გამდნარ ასფ-
ალტს. სიცხისაგან შეწუხებული მოქა-
ლაქენი ჩრდილს ეტანებოდნენ.

შემოდგომა ისე სწრაფად გაილეოდა
თვალსა და ხელს შუა, კაცი ვერ შეამ-
ჩნევდა. დაიწყებოდა ზამთრის გრძელი
ღამეები. თოვლი თეთრად მოაარშიებდა
სახლის სახურავებსა და ბაღის კიდე-
ებს. ღამღამობით ყინავდა და ცივი ქა-
რი უბერავდა. დიდთოვლობისას ქალა-
ქი ღამაში სანახავი იყო, მაგრამ გა-
ნუწყვეტელი თოვლ-ჭყაპისა და სიცი-
ვისაგან შეწუხებულ მოქალაქეებს მა-
ინც გაზაფხულის მოსვლა ენატრებო-
დათ... ერთი შეხედვით, ასე უბრალოდ
და მარტივად ბრუნავდა დროის კარუ-
სელი...

ანთიმოზ კილაძეს კი რაღაცაზე ვუ-
ღი სწყდებოდა. დროადრო ბავშვობა

ასენდებოდა, სკოლაში ნათამაშევი
პიესებიც გუშინდელ დღესავით თქუ-
წინ დაუდგებოდა და ის ბედნიერი
დრო ენატრებოდა, როცა უწყინარ
და თვინიერ ბიჭს დიდი მსახიობის ბედს
უწინასწარმეტყველებდნენ ალერსიანი
პედაგოგები. დიდი მსახიობისა რა მო-
გახსენოთ და, საშუალოც რომ არ იყო,
ეს თანდათან ცხადი ხდებოდა. ანთიმო-
ზი მაინც არ კარგავდა იმედს და რაღაც
უჩვეულოს მოლოდინში თითქოს თვლე-
მდა. „ჩემი სტიქიაა ამადლებული,
რანდული როლი...“ — ფიქრობდა იგი,
თუმცა ბოლო ხანებში, ყველასაგან შე-
უმჩნევლსა და დაუფასებელს, საკუ-
თარ შესაძლებლობებში უკვე ეპვი
ეპარებოდა.

უფროსებთან და თანამშრომლებთან
უხმო, უთქმელი და დამჯერი იყო,
არც მეოცნების და პატიმოყვარის არა-
ფერი ეტყობოდა და, ალბათ, ვერც
ვერაგინ იფიქრებდა, რომ ამ კაცს ასე-
თი ფიქრები აწვალებდა.

იმ ხანებში თეატრი ახალ პიესას
ამზადებდა და პრემიერაც მოახლოე-
ბული იყო. პიესა ერთმა ადგილობ-
რივმა დრამატურგმა დაწერა, რომე-
ლიც გავლენიანი პირების ნათესაობით
უფრო იყო ცნობილი ქალაქში, ვიდრე
ნიჭით... თუმცა ამას ჩვენთვის და, მით
უმეტეს, თეატრისათვის მნიშვნელობა
არ უნდა ჰქონდეს, რადგან, როგორც
ვთქვით, მაყურებელი არასოდეს არ
აკლდათ და, ამისდა მიხედვით, არც
ფინანსური სახსრების ნაკლებობას გა-
ნიცდიდნენ მაინცდამაინც.

პიესის ავტორმა მთავარი რეჟისო-
რი სულ ადვილად დაითანხმა (შეიძ-
ლება რეჟისორიც ამას ნატრობდა),
მთავარ როლში დედაქალაქიდან ერთი
ახალგაზრდა მსახიობი ქალი მოეწვიათ,
რომელიც მას ნათესავად ერგებოდა და
სილამაზითაც განთქმული იყო. დრამა-
ტურგი ისე დაეინებით მოითხოვდა ამ-
ას, რომ, ეტყობოდა, მსახიობი ქალი

ლარი ბარათაძე
მოთარგმნა

წინასწარ ჰყავდა შეპირებული, რად-
გან სხვაგვარად არავის შეეძლო დაბე-
ჯივით ეთქვა, დათანხმდებოდა თუ
არა იგი ამ სარისკო წინადადებას...

პიესა აღრევე გაუგზავნეს გასაც-
ნობად დედაქალაქში. შემდეგ ავტო-
რიც უკან გაჰყვა თავის პიესას და მა-
ლე აღფრთოვანებული დაბრუნდა —
პრემიერაზე ცნობილი პირები ჩამოვ-
ლენო. კაცმა არ იცოდა, ვინ იქნებოდა
ეს „ცნობილი პირები“, მაგრამ დედა-
ქალაქიდან სტუმრები რომ ჩამოვიდოდ-
ნენ, ეს აშკარა იყო.

თეატრის დირექტორს, რომელიც
სულ არ აპირებდა ამ ქალაქში და, მით
უმეტეს, მისდამი დაქვემდებარებულ
დაწესებულებაში დარჩენას (რა დასა-
მალია და, დაწინაურებაზე ფიქრობდა),
გულუბრყვილოდ ეგონა, რომ სწორედ
ახლა მართებდა თავის გამოჩენა. ცდი-
ლობდა, ყველა ორგანიზაციული საკი-
თხი, რაც პრემიერასთან და, საერ-
თოდ, თეატრთან იყო დაკავშირებული,
სრულ წესრიგზე ჰქონოდა. ეშმაკი და
გამოცდილი კი იყო, მაგრამ იმდენს მა-
ინც ვერ ხვდებოდა, რომ იმ დღეს მთა-
ვარი ყურადღება სპექტაკლს — ესე
იგი, რეჟისორის ჩანაფიქრსა და, აქე-
დან გამომდინარე, მიღწეულ შედეგს
(რაც, ალბათ, მთავარი უნდა იყოს) და-
ეთმობოდა და, ამდენად, წინასწარ
გაწეული შრომა ტყუილუბრალოდ ჩა-
უვლიდა.

იმ დღეს მაინც ადგილს ვერ პოუ-
ლობდა, მოუსვენრად ცმუკავდა საწერ
მაგიდასთან. მთელ იმედებს ანთიმოზ-
ზე ამყარებდა და არც მთლად უსაუფ-
ძკლოდ.

რაც უფრო ახლოვდებოდა სპექტაკ-
ლის დადგმის დრო, მით უფრო ეჩვე-
ნებოდა, რომ სრულებით არაფერი ჰქო-
ნდა გაკეთებული და თეატრში ყველა-
ფერი თავდაყირა იდგა: ვისაც როგორ
უნდოდა, ისე მიდოდა და მოდიოდა,
არავინ არაფერს ანგარიშს არ უწევდა
და დირექტორს დააწინაურებდნენ თუ
მოხსნიდნენ, ყველას ფეხებზე ეკიდა.

გაბრაზებულმა მაგიდაზე მიმოიფან-
ტული ფურცლები შეაგროვა, უძრავი
გნაკი, სადაც კოხტად და ლამაზად
ჰქონდა ჩაწიკწიკებული უმთავრესი სა-
კითხები, ჯიბეში ჩაიღო და ღია კართან
შემთხვევით ჩავლილ დამლაგებელს უბ-
მო:

— ანთიმოზ კილაძეს დამიძახე!

ანთიმოზი შეუმჩნევლად შემოვიდა
ოთახში და დირექტორის მაგიდასთან
მორჩილად გაჩერდა. ეტყობოდა, დაღ-
ლილი იყო. ეს, სხვათა შორის, დირე-
ქტორმაც შეამჩნია, ხომ არაფერი გი-
ჰირსო, ჰკითხა და მაშინვე იწინა.

— ცოდე ვარ, ბატონო კაკო, მარ-
ტო ვერ ავუდივარ ყველაფერს... მოგე-
სხენებათ, უთვალავი საქმეა...

ანთიმოზისაგან ასეთი სიტყვები პი-
რველად ესმოდა, და დირექტორმა წა-
რბი შეჰკრა, მაგრამ იქვე მიხვდა, და-
ყვავება აჯობებდა.

— უნდა გავუძლოთ... ორი საათი
წყალში ჩადგება კაცი. ხომ იცი, თბი-
ლისიდან რა ხალხი ჩამოდის, მტერი
ჩავარდა იმათ ყბაში. მე თქვენი და
თქვენი ქალაქის სახელი და ავტორიტე-
ტი მალაპარაკებს, თვარა დღეს აქ
რომ ვარ, ხვალ, ვინ იცის, სად გადამი-
სვრიან.. უარსაც ვერ იტყვი, საქმე მო-
ითხოვს, უნდა წახვიდე, სხვანაირად არ
გამოვა...

— კვირკველია სად დაიკარგა, არ
ჩანს ორი დღეა...

— კვირკველიას ახლა მოუნდა წა-
ლენჯიხაში გასვენებაზე წასვლა, მოე-
თმინა ერთი კვირა და მერე წასულ-
იყო!.. — გაბრაზდა დირექტორი.

— გიგინეიშვილი ხომ თქვენ გაუშ-
ვით?

— იმას ცოლი ჰყავს გულით ავად-
მყოფი, ხომ იცი... რომ მოვა, დავსჯი
უსათუოდ, ამის იმედი გქონდეს ნამ-
დვილად!..

ანთიმოზმა უქმყოფილოდ დატოვა
დირექტორის კაბინეტი და დალონე-



ბული გაუყვა ჩაბნელებულ დერეფანს. დაღონების მიზეზი კი ნამდვილად ჰქონდა — სპექტაკლში, მთავარ როლს ვინ დაეძებს, მესამეხარისხოვანიც არ აღირსეს და, საერთოდ, იმ დღეებში ისე უყურებდნენ, თითქოს ამქვეყნად არც არსებობდა. ანთიმოზის შეტყობით კი, მთავარი როლი სწორედ მისთვის იყო შედგამოჭრილი და საშუალება რომ მიეცათ, აქამდე დაფარულ ნიჭსა და უნარს ერთბაშად გამოამყვანებდა.

მთელი პიესა ზეპირად დაისწავლა. ყოველ რეპეტიციაზე დროულად ცხადდებოდა. ჩაბნელებული დარბაზის უკანა რიგებში მოკალათდებოდა თავისთვის და მთავარი გმირის (რომელიც ზოგადსაკაცობრიო იდეებისათვის იბრძოდა და იღუპებოდა კიდევ) მოჭარბებულ განცდებს ბოლომდე ვერ უძლებდა. მსახიობის თამაში ღიძად არ მოსწონდა, მაგრამ პიესის ავტორის ჩანაფიქრს და ზორცშესხმას უდავოდ აფასებდა. სჯეროდა, რომ ეს როლი საგანგებოდ მისთვის იყო დაწერილი, მაგრამ ვილაციების წყალობით სულ სხვა თამაშობდა და გული სწყდებოდა.

სადამოს რვა საათისათვის თეატრთან უამრავმა ხალხმა მოიყარა თავი. ყველას, რა თქმა უნდა, პატარა დარბაზი ვერ დაიტევდა და სალაროებთან, სადაც ადრევე გამოაკრეს წარწერა — „ყველა ბილეთი გაყიდულია“, უკმაყოფილოთა რიცხვი მატულობდა.

— ჩუმად ყიდიან, ბატონო, სპექულაციას ეწევიან!.. სხვების გასაგონად ხმამაღლა აცხადებდა შუახანს გადაცილებული, არცთუ ისე სასიამოვნო შესახედაობის მანდილოსანი, რომელსაც ირგვლივ შექმნილმა აჟიოტაჟმა უფრო გაუმძაფრა თეატრში მოხვედრის სურვილი და ახლა ქმარსაც არ ინდობდა — გლახა და მოუხერხებელი ხარ, არაფრის შნო და მარიფათი შენ არა ვაქვსო.

სპექტაკლი დროულად დაიწყო. მსახიობებისა და რეჟისორის მღელვარე-

ბა არავის შეუმჩნევია. ყველაფერი მიდიოდა, როგორც წესი და მაყურებელთა მქუხარე ოვაციებსა და ტანისცემასში ჩაიარა პირველმა მოქმედებამ. ტაში მეტეც არ შემწყდარა და, როცა მესამედ ახადეს ფარდა, რეჟისორი უკვე წინასწარვე ზეიმობდა გამარჯვებას.

მაგრამ სწორედ აქ მოხდა ის მთავარი, რისთვისაც ჩვენ ამ ამბის თხრობა დავწყეთ და რამაც გარკვეული გავლენა იქონია სპექტაკლის მსვლელობაზეც.

მესამე მოქმედების დასაწყისში, პიესის მიხედვით სცენაზე უნდა შემოსულიყო მსახური, რომელიც ქალბატონს (ცნობილ ლამაზ მსახიობ ქალს) ბრძოლის ველიდან უვნებლად გაიყვანდა და თან ორიოდ სიტყვით ანუ გეშებდა საქმროს გმირულად დაღუპვის გამო. მაგრამ, მოულოდნელად, მსახურის როლის შემსრულებელი მსახიობი, რომელიც ადრევე იყო შემჩნეული გულმავიწყობასა და დაბნეულობაში, ადგილზე არ აღმოჩნდა. ზოგმა თქვა, ავად გახდაო, ზოგმა მეტად საეჭვო ვერსიაც წამოაყენა — ვილაცას დაუნახავს, გოგოსთან ხელგადახვეული ქუჩაში მისეირნობდაო.

არავინ უწყობდა, მართალი იყო თუ არა ეს, მაგრამ ზაქტი ფაქტად რჩებოდა — მსახური აღარ იყო.

რეჟისორი ნერვიულად ისრესდა შუბლს და ადგილს ვერ პოულობდა. ბროსს ერთბაშად გაეზადრა სახე და იყვირა:

— ანთიმოზ იბერიელს დამიძახეთ!

რეჟისორს, სხვა სიკეთესთან ერთად, ზედმეტი სახელების შერქმევაც ეხერხებოდა და ამით თავი მოჰქონდა.

ერთიანად დაბნეულ და გულაჩუყებულ ანთიმოზს სასწრაფოდ გადააცვეს მსახურს ტანსაცემელი და სცენაზე სულ ჯიკავ-ჯიკავით გააგდეს.

ქალბატონი, რომელიც გუმანით მი-

ლარი ბარათელი
მოთხრობები

ხედა, ფარდის იქით რაღაც რიგზე ვერ იყო, საკუთარი ფანტაზიით ცდილობდა მსახურის დაგვიანებით გამოწვეული სიცარიელის შევსებას და, თითქმის სასოწარკვეთილებამდე მისული, თანდათან იზნეოდა.

ანთიმოზის გამოჩენამ იგი კიდევ უფრო გააოცა, მაგრამ მაშინვე მიხვდა ყველაფერს და ჩვეული სითამამით განაგრძო თამაში.

ანთიმოზი ჯერ კიდევ ვერ გარკვეულიყო, რა ხდებოდა მის ირგვლივ და ხმა ოდნავ უკანკალებდა:

მსახური — ქალბატონო, მოწყალო ქალბატონო!.. ისინი აქეთ მოემართებიან. ხედავთ მოგვიახლოდნენ!.. იჩქარეთ, ქალბატონო!..

ქალბატონი — არა, ეს არ მოხდება! ცოცხალი თავით მტერს არ დავანებებ ჩემი ხალხის ცრემლით და სისხლით განზანდილ მამულს...

მსახური — ყოველი წუთი ძვირად ფასობს, იჩქარეთ, დიდო ქალბატონო!

ქალბატონი — (მსახურს) მხოლოდ შენ დამჩნი განსაცდელის ქამს, შენ უნდა მიპატრონო ბოლომდე... (მკლავზე დაეყრდნობა მსუბუქად, სისხლიან თითს უჩვენებს.) ხედავ, დაქრილი ვარ. მაგრამ არ მეშინია! სამშობლოსათვის სიკვდილი შევბაა ჩემთვის...

ანთიმოზმა პირველად დაინახა ეს ქალი ასე ახლოს და გაკვირებული დარჩა: ლამაზი რომ იყო, თვითონაც აღიარებდა, მაგრამ ასეთი, მაინც ვერ წარმოედგინა.

მსახური — იჩქარეთ, დიდო ქალბატონო! ღმრის გულისთვის... გემულარებით!

— უკვე ნამდვილი გულწრფელობით შეჰღალადებდა ამ ლამაზი ქალის ბედით შეწუხებული ანთიმოზი და ვერ გარკვეულიყო, ყველაფერი სინამდვილეში ხდებოდა თუ სცენაზე.

ქალბატონი — ჩემთვის ყველაზე ძვირფასი ადამიანი უპატრონოდ გლია ბრძოლის ველზე, ყვაე-ყორნები უკორტნიან ალბათ გულს... მტრები!.. მტრები ზეიმობენ ახლა გამარჯვებას, მაგრამ არაფერია!.. ისევ დაისადგურებს მშვიდობა ზეთისხილის რტობეჭევეში... უშენოდ ჩემთვის დამეა... ოჰ, ღმერთო! სადა ხარ, სად, ჩემო ძვირფასო!..

ქალბატონი შეკრღზე მიეყრდნო თავის მსახურს და საწყალობლად დაეხმუნა თინდა. ანთიმოზს დენივით დაუარა ქალის სხეულის სითბომ და იმავე წამს იგრძნო, რომ მთელი სცენა ვარდისფერ ბურუსში ჩაიძირა, მაყურებლები, აქვითინებული დარბაზი, ყველა და ყველაფერი ნისლივით გაქრა და ანთიმოზმა წარმოიადგინა ღმრის კვამლით დაბურული ბრძოლის ველი, რომელიც დაქრილთა გვაგებითა მოფენილი, ირგვლივ სროლის და აფეთქების ხმა აზანზარებს სივრცეს, ცხენთა ფლოქების თქარათქური აყრუებს მიდამოს, ანთიმოზი ხმალმოწყდილო იკაფავს გზას, ტანჯვითა და წამებით, მაგრამ გამირულად მიიწვეს წინ. შორიდან ნისლივით მსუბუქად და შეუმჩნეველად მოცურავს მისკენ ლამაზი ქალბატონი — ხელებგაწვდილი და თმაგაშლილი, მაგრამ არ იღუფა გზა... „სადა ხარ, სად, ჩემო ძვირფასო!..“ ხელმეორედ ჩაესმა ეს ხმა და სწორედ აქ მოხდა ის, რისი ახსნაც შემდეგში ვერავინ შეძლო: ანთიმოზმა მოულოდნელად გაიხადა მსახურის გრძელი ხალათი (ამ ჩაცმულობის მიხედვით, ალბათ ვერავინ გაარკვევდა პიესის მოქმედების დროსა და ადვილს) და თავის ყოველდღიურ სამოსში დარჩენილმა ფართოდ გაშალა მკლავები.

— აქ ვარ, სულზე უტკბესო ჩემო!.. შვირიკებმა შეცდომით გაუწყეს ჩემი დაღუპვის აზრები. შენს წინაშე ვდგავარ საღ-სალამათი და მედგარი რაინდი შენი!..

სიტყვა „რაინდი“ ანთიმოზმა განსაკუთრებული ხაზგასმით წარმოთქვა და მისმა თვალებმაც უცნაურად გაკვესეს სიბნელეში.

ეს ყველაფერი მოწმენდილ ცაზე ნების გავარდნას უფრო ჰგავდა, მაგრამ მაყურებელთა უმრავლესობას არაფერი შეუმჩნევია და მთავრი გმირის (რომელიც სამუდამოდ დაღუპული ეგონათ) მოულოდნელმა გაცოცხლებამ წარმოუდგენელი აღფრთოვანება გამოიწვია.



დარბაზი ქუხდა და ზანზარებდა.

ერთმა ადგილობრივმა კრიტიკოსმა, რომელიც გაზეთის იმდღევანდელი ნომრისათვის სასწრაფო წერილს ამზადებდა, იქვე ჩაინიშნა: „მთავარი გმირის სცენაზე თანამედროვე ტანსაცმლით მოულოდნელმა გამოჩენამ ერთხელ კიდევ დაგვარწმუნა რეჟისორის ორიგინალური ჩანაფიქრის სისწორე — ისტორიულ თემაზე შექმნილი სპექტაკლი ამით კიდევ უფრო დაუახლოოს დღევანდელობას...“

რეჟისორი, რომელიც ქანდაკაზე იჯდა და იქიდან კმაყოფილი ადევნებდა სცენას თვალს, იმდენად დაიბნა, პირველად ვერც მიხვდა, რა ხდებოდა. მერე კი გაცეცხლებულმა ჩაირბინა კიბე, სულ ბოლო საფეხურთან წამით შეჩერდა და ერთხელ კიდევ გადაავლო სცენას თვალი, რათა დარწმუნებულყო ეს ყველაფერი ნამდვილად ხდებოდა თუ ეჩვენებოდა.

— ფარდა, ფარდა!.. — იყვირა ვიღაცამ.

მაყურებელთა დარბაზი არ ცხრებოდა. მთავარი გმირის სცენაზე გამოხვლას დაეინებით მოიძხოვდნენ.

რეჟისორს სწორედ აქ გაუელვა შექმნილ სიტუაციაში ყველაზე რეალურმა აზრმა — აქვე დაემთავრებინა სპექტაკლი, მით უმეტეს, ბოლო სცენა ისედაც არ მოსწონდა და დღემდე ამოდ იმტვრევდა თავს შედარებით უკმაყოფილო დაბოლოების შესარჩევად.

დარბაზი ქუხდა და ზანზარებდა.

ფარდის ახდას არ აპირებდნენ, არადა, ტაშიც არ ცხრებოდა.

— ხედავ, ბიჭო, დაკარგულად რომ ვთვლიდით, მაგია თურმე ყოველთვის მთავარ როლში... მაგრამ, რად გინდა, ვერ იცნობ, ისე იცვლის სახეს, — გადაულაპარაკა უკანა რიგებში ხნიერმა მამაკაცმა მეზობელს და კმაყოფილი ღიმილით მიაჩერდა სცენას.

ამასობაში რეჟისორი კისერტეხით შემოვარდა სცენაზე.

მსახიობები გაიტრუნენ. იცოდნენ,

რისხვა ყველას თანაბრად დაატყვევებოდა თავს და ამისათვის წინასწარვე შეემზადნენ.

— სადაა ანთიმოზ იბერიელი?! — მთულოდნელად იცითხა რეჟისორმა.

ყველაფერი შეიძლებოდა ეფიქრათ, მაგრამ ახლა, ამ წუთში, როცა თვეობით ნაჯახირევი და ნაწვალები სპექტაკლის ყოფნა-არყოფნის ბედი წყდებოდა, როცა თითქმის ჩიხში იყვნენ მოწყყვდებულნი და, წესით, უკეთესის იმედი არც უნდა ჰქონოდათ, მთავარ დამნაშავეს ზედმეტი სახელით თუ მოიხსენიებდა რეჟისორი, არავის ეგონა.

ზოგიერთებმა ღიმილიც შეამჩნიეს სახეზე. აქ რაღაც ეშმაკობას უნდა ჰქონდეს ადგილიო, დაასკვნეს და ყოველ შემთხვევისათვის, ჯერ აქა-იქ, კანტიკუნტად გაიცინეს. ამას რომ არავითარი რეაგირება არ მოჰყვა, უფრო ფრთხილებმაც მიჰბაძეს დანარჩენებს და სულ მალე ისეთი ხორხოცი ატყდა, დროზე რომ არ შეეკავებინათ თავი, მათი ხმა მაყურებელთა დარბაზსაც მისწვდებოდა.

საბედნიეროდ, დარბაზში სტვენა, ტაში და ყვირია ისე მძვინვარებდა, არაფერი შეუტყვიათ.

გარეთ წვიმდა.

სველ ასფალტზე მსუილით დაჰქროდნენ ავტომანქანები. მალაზიის ვიტრინებიდან გამოსული შუქი ათასფრად ირეკლებოდა ტროტუარზე აქა-იქ შემორჩენილი მოქალაქენი შინისკენ მიიჩქაროდნენ. ყოველდღიური საწუხარისა და საზრუნავისაგან გაათავისუფლებულნი, თბილ თათხსა და ტკბილ ძილს ეშურებოდნენ, რათა დილიდან ისევ ჩვეული ენერგიით შესდგომოდნენ ცხოვრების ჭაპანს.

დაფიქრებული და მხრებჩამოყრილი ანთიმოზი მძიმე ნაბიჯით მიუყვებოდა

ლარი ბარათელი
მოთარგმნა



ქუჩის კიდეს. სახურავიდან ჩამოდგენ-
თილი მსხვილი წვეთები თავზე ეცემო-
და, მაგრამ ამას არაეითარ ყურადღე-
ბას არ აქცევდა. საყელოაწეულსა და
ერთიანად ჩათბუნულს, გარკვევით ჩა-

ესმოდა მაყურებელთა აღტაცებით
ყიჟინა და დროდადრო რაღაც
თბილი ღიმილი უნათებდა სახეს, თუმ-
ცა წარმოდგენა არ ჰქონდა, ამით იწყე-
ბოდა თუ მთავრდებოდა ყველაფერი.

სამწახარო ამბავი

იმ დღეს რომ საშინელი სიციხე იქ-
ნებოდა თბილისში, ამის შეტყობა დი-
დილიდანვე შეიძლებოდა, თუმცა ბე-
ნო კაკაურიძე ნაკლებად ფიქრობდა ამ-
ინდზე. ეს ფაქტი თავისთავად არაფერ-
ზე მეტყველებს, მაგრამ, მოგეხსენე-
ბათ, რა უხერხულ მდგომარეობაში
შეიძლება ჩავარდეს ადამიანი, თუ იგი
ავისტოს ცხელ, მზიან დღეს შალის
კოსტუმში გამოწყობილი გამოვა ქუ-
ჩაში და თანაც თეთრ, გახამებულ საყე-
ლოზე ძველმოდურ ჰალსტუხს საგულ-
დაგულოდ გამოინასკვავს.

ვერ ვიტყვით, რომ ბენო თავის დრო-
ზე საკუთარ ჩაცმულობას ნაკლებ ყუ-
რადღებას უთმობდა, მაგრამ, რაც
ხანი გადიოდა, ამ საქმისადმი ინტერე-
სი თანდათან უნელდებოდა; სხვათა
შორის, ამას თვითონაც ჩინებულად
გრძნობდა. შეიძლება ეს ამბავი ეკო-
ნომიური სიციხეებისა იყო განაპი-
რებული. მით უფრო, რომ ბენოს, ნა-
ცნობ-მეგობრების აზრით, მეტად ლა-
მაზი ცოლი ჰყავდა და, ვფიქრობთ, ად-
ვილი მისახვედრია, ასეთ შემთხვევაში
კაცმა საკუთარი თავისათვის ვერ მოი-
ცალოს.

ბენო კაკაურიძე ერთ-ერთ მეტად
ავტორიტეტულ დაწესებულებაში ვახ-
ყოფილების გამგის მოადგილედ მუშა-
ობდა. როგორც ყველა მოკვდავი, ისიც
ფიქრობდა დაწინაურებაზე და უკეთეს
მომავალზე. თუმცა, სიმართლედ რომ
იტყვას, ბუნებით კარიერისტი არასო-
დეს ყოფილა. ეგონა, ოჯახურ სიამტკ-
ბილობაში ბედნიერად გალევდა წუთი-
სოფელს. მაგრამ ცოლქმრული ცხოვ-
რების რვა წლის პრაქტიკამ დაარწმუნა,

რომ ამქვეყნად ყველაფერა ისე არ
ხდება, როგორც თავად გსურს.

ახალგაზრდული ფიქრები და ოცნე-
ბები თანდათან გაფერმკრთალდა, გა-
ხუნდა და გაუხეშდა შეუძმნეველად,
წასული წლების გახსენება აღრინლე-
ლივით აღარ ხიბლავდა; ბენოს ძველი
ძმაცაცების შეხვედრაც არ სიამოვნებ-
და მიინცდამაინც. ამისათვის არც დრო
ჰქონდა და არც სურვილი. ახლა უფრო
პრაქტიკული თვალთ უყურებდა ცხო-
ვრებას. რამდენი დრო დავკარგე უაზ-
როდ და უშიზნოდ... ჰკუთა რომ მქო-
ნოდა, რას არ მივადწევდი აქამდეო,
ფიქრობდა. თუმცა რაღაცას რომ კარ-
გავდა, რაღაც რომ განზე რჩებოდა და
უმოწყალოდ შორდებოდა, ესეც ცხა-
დი იყო...

ბენოს დრო ასტრონომიული თვალ-
საზრისით არასოდეს აინტერესებდა. მას
საკუთარი კალენდარი ჰქონდა შედგე-
ნილი და ყოველ უმნიშვნელო წარმა-
ტებას ცხოვრებაში უჩვეულო გრავა-
ზე სათანადო ნიშნებით ასახავდა.

ძნელი სათქმელია, ამ საკითხით და-
ინტერესებულმა კაცმა, თუნდაც მო-
მავალში, შეძლოს მისი გამოგონების გა-
ანალიზება, თუ ვნებათ, განზოგადება,
მაგრამ, რაკი ბენო ასე გულმოდგინე-
ბით და თანმიმდევრულად ხელმძღვანე-
ლობდა საკუთარი კალენდრით, ჩანს,
რაღაც სარგებლობას ხედავდა. თუმცა
ხუთი გრძელი წელიწადი ილეოდა და
ბენო ისევე ერთსა და იმავე სკამზე იჯ-
და. ეს არაპირდაპირი მნიშვნელობით,
რასაკვირველია, თორემ ამ ხნის მან-
ძილზე სკამი, მაგიდა და, საერთოდ,
სამუშაო ოთახი სამჯერ გამოუცვალეს,

რაც ბენოს დამსახურებას არვითარ შე-
მთხვევაში არ უნდა მივაწეროთ.

სამსახურიდან დაბრუნებული ბენო
თავს დაღლილად და უხალისოდ გრძნ-
ობდა. ცოლი ან ტელევიზორს უყუ-
რებდა, ან ტახტზე წამოწოლილი წივს
კითხულობდა. ორივე შემთხვევაში მე-
უღლის დაბრუნებას ხაზგასმული გულ-
გრილობით ხვდებოდა, რაც ბენოს სა-
ფუძვლიან უკმაყოფილებას იწვევდა.
რა თქმა უნდა, ამ უკმაყოფილებას უმ-
ეტესად პასიური ხასიათი ჰქონდა, რა-
დგან გარეგნულად არაფერს ამკლავებ-
და.

ბენო, ოჯახში დადგენილი წესის მი-
ხედვით, ფეხსაცმელს კართან იხდიდა,
ფლოსტებში წაყოფდა შიშველ ფეხებს
და კოსტუმს, პერანგსა და შარვალს
გულმოდგინედ შეინახავდა მიჩნეულ
ადგილზე. შემდეგ ზოლებიან შარვალ-
ხალათში გამოწყობილი სამზარეულოს
ესტუმრებოდა და, უპირველეს ყოვ-
ლისა, მაკივარს მაკითხავდა.

„... დრო მოვა, მეც მივალწვევ რა-
ღაცას, მეც მელირსება პატივი და დი-
დება... მაშინ დამათასებენ ღირსეუ-
ლად, მაშინ გავხდები ყველასათვის სა-
ყვარელი კაცი... ცოლი კართან დამე-
ლოდება, თუგინდ შუალამემდე არ მო-
ვიდე...“ — ფიქრობდა სამზარეულო
მაგიდასთან დახრილი ბენო, როცა პა-
მიღვრის სალათას იმზადებდა თავისი
ხელით.

გვიან ღამით, მოულოდნელად გამო-
ღვიძებულს, ათასი ფიქრი აწუხებდა: მა-
ინც რატომ სჭირდებათ ადამიანებს
ასეთი თვითგვემა, რაში მდგომარეობს
ცხოვრების აზრი, რა არის წარმატება
და წარუმატებლობა, რას ნიშნავს თა-
ნამდებობა, ოდითგანვე რატომ აწვა-
ლებს ადამიანთა მოდგმას ერთმანეთის
დამონების ჟინი, რატომ ამაყობენ სა-
კუთარი უპირატესობის გრძნობით, რა-
ტომ უმწარებენ ცხოვრებას ერთმანეთს,
როცა ყველაფრის უფრო მარტივად
და უბრალოდ მოგვარება შეიძლება.
ანდა, აქვს ყველაფერს ამას აზრი, თუ

კი ერთ მშვენიერ დღეს აუცილებლად
უნდა მოკვდე?..

ასეთი ფიქრები ბენოს, როგორც მო-
გახსენეთ, გვიან ღამით, სიბნელესთან
პირისპირ დარჩენილს ესტუმრებოდა
ხოლმე, თორემ ყოველდღიური ცხოვ-
რება მაინც თავისას მოითხოვდა: დი-
ლით ადრე დგებოდა, იზანდა, იცვამდა,
სამსახურში მიდიოდა, ბრუნდებოდა
დაღლილი, უხალისოდ ჭამდა, იძინებდა,
ფიქრობდა... ასე გრძელდებოდა დღი-
დან-დღემდე, წლიდან-წლამდე.

დრო კი თვალსა და ხელს შუა იღო-
და.

ერთ დღეს დაწესებულების ჩვეულ
ბრივი ცხოვრება მოულოდნელად შეი-
ცვალა. დირექტორმა დღის სამ საათზე,
ყოველგვარი გაფრთხილების და წი-
ნასწარი განცხადების გარეშე მოიწვია
კრება და თანამშრომლებს გულახდი-
ლად გაანდო, ზემდგომი ინსტანციე-
ბიდან ჩვენი დაწესებულების მუშაობის
შესამოწმებლად ხვალდღან ფრიად ავ-
ტორიტეტული კომისია გვეწვევა და
თავს მოვალედ ვთვლი, ეს ამბავი შეგა-
ტყობინოთ.

— რამდენი კაცი იქნება, ალექსანდ-
როვიჩი? — ისე იკითხა ერთ-ერთმა გან-
ყოფილების გამგემ, თითქოს ეს ყოფ-
ილიყო მთავარი, და არა სხვა რამე.

— აქვს მაგას მნიშვნელობა? — ცალ-
ყბად უპასუხა დირექტორმა და შე-
წყვეტილი საუბარი განაგრძო; — ში-
ში და პანიკა შექმენით-მეთქი, არ გე-
უბნებთ, მაგრამ არც დამშვიდების და
უქმად ყოფნის უფლება გაქვთ... ამ
ხნის მანძილზე რაც გიკეთებიათ და
რაც არა, ხელისგულივით გამოჩნდე-
ბა. ამიტომ თუ რამე წინადადება, შე-
ნიშვნა ან მოუგვარებელი საკითხი გა-
ქვთ, უმკობესია, დროზე თქვათ, რომ
იმ უცხო ხალხთან არც თქვენ შეირცხ-
ვინოთ თავი და არც მე...

კრების დასასრულს დირექტორმა შე-
კრებილთ ისიც გაანდო, რომ კომისიას,

ლერი ბარათელი
მითხრობავი

მართალია, არაოფიციალურად, მაგრამ, ეტყობა, საგანგებო დავალებით, მოპყვება თანამდებობის პირი, რომელიც ჩვენი დაწესებულების პროფილით არის დაინტერესებული და, ადგილი შესაძლებელია, ყველაზე ღირსეულთ დასაწინაურებლად რეკომენდაციაც კი გაუწიოსო.

კრება მალე დამთავრდა და დარბაზიც დაცარიელდა. მართოდ დარჩენილი ბენო ზედ გამოსასვლელ კართან შეეჩეხა ღირექტორს. განზე გადგა და გზა დაუთმო. ღირექტორმა განგებ შეანელა ნაბიჯი, ალბათ, რაღაცის თქმა უნდა და, იმითომ მელოდებო, იფიქრა, მაგრამ ბენო ადგილიდან არ დაძრულა.

ღირექტორი ცოტათი გაბრაზდა, რადგან ვარაუდმა არ გაუმართლა. გუნებაში ბოთეც კი უწოდა ბენოს და აჩქარებით გაიარა დერეფანი.

ბენომ მშვიდად ჩაუარა თავის ოთახს და განყოფილების გამგის კაბინეტში შევიდა.

განყოფილების გამგე საკმაოდ მოხუცი კაცი იყო. წესით, პენსიაზე კარგა ხნის გასული უნდა ყოფილიყო, მაგრამ საქმე არ ეთმობოდა. მთელი ცხოვრება ამ ოთხ კედელში გაეტარებინა და ამ ხნის მანძილზე იმდენი ავტორიტეტი კი აქონდა მოპოვებული, წადიო, ამის თქმა არ ეკადრებინათ.

თავს საკმაოდ ჯანმრთელად გრძნობდა და, მიუხედავად ასაკისა, იუმორის გრძნობაც არ აკლდა. ამის გამო თანამშრომლებს მასთან ყოფნა უხაროდათ. ზოგჯერ ისეთ ადგილებშიც პატიყებდნენ, მისი ასაკის კაცს ნამდვილად რომ არ შეეფერებოდა.

ბენო მისი შემყურე შურით და ბოლმით ივსებოდა. ეჩვენებოდა, რომ ეს კაცი განგებ ეღობებოდა გზაზე. იმითომ არ მადიოდა სამსახურიდან, ბენოს არ დარჩენოდა მისი ადგილი, რომელიც, წესით ეკუთვნოდა კიდევ.

„ცას ხომ არ გამოაკერება, დღეს თუ ხვალ მოკვდება... არ ურჩევნია, შვილი-

შვილებთან გაერთოს, ბაღში, სულ უკუაპაერზე ისეირნოს, დრო გაატაროს...“
— ფიქრობდა ბენო, მაგრამ, მისდა სამწუხაროდ, არაფერი იცვლებოდა.

ეგონა, კომისიის მოსვლა ააფორიაქებდა და აანერვიულებდა მოხუცს, მაგრამ საოცრად გაკვირვებული დარჩა, როცა ამის მსგავსი ვერაფერი შეატყო. პირიქით, განყოფილების გამგე უფრო დამშვიდებული და ბედნიერი ჩანდა. თვალბეც უცნაურად უცმოციმებდა და ღია კარიდან დაცინვით ათვალეირებდა დერეფანში უთავბოლოდ მორბენალ კოლეგებს.

„ამან თავისი დრო მოჰამა, სულ ერთი არ არის, დააწინაურებენ თუ მოხსნიან?.. რა ენაღვლება... — ფიქრობდა ბენო, — არა, ღირექტორთან უნდა შევიდე, — ყველაფერი ვუთხრა... ბოლოს და ბოლოს, ცოტა რაღაც მეც დავიმსახურე. ერთი-ორი კაცური სიტყვა რომ შემაწიოს, მეტი არც მინდა...“

მაშინვე გამოვიდა განყოფილების გამგის კაბინეტიდან, ჩაბნელებული დერეფანი გაიარა, მეორე სათულზე ავიდა და ღირექტორის მისაღებში აღმოჩნდა.

მდივანი გოგონა ტელეფონით ვილაცას ელაპარაკებოდა, უფრო სწორად, უსმენდა, რადგან სკამის სახურავზე მიყრდნობილს, ყურმილი უგულოდ ეჭირა მარცხენა ხელში და სახემოლიმარი და პირდაღებული ხმას არ იღებდა.

ბენომ რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ ქალიშვილმა ხელით ანიშნა, დაჯექიო. ბენო უნებურად დაემორჩილა და იქვე, სვარძელში ჩაჯდა. ასე გავიდა რამდენიმე ძნელი წუთი. მდივანი ყურმილის დადებას არ აპირებდა, არც ხმას იღებდა. რას ეუბნებოდნენ ასეთ უსაშველოს და გაუთავებელს, შორისდებულის ჩართვასაც რომ არ სპიროებდა, ძნელი გასაგები იყო.

კედელზე ჩამოკიდებული საათი ჯიუტად ითვლიდა წუთებს. ბოლოს ბენოს მოთმინებამ უღალატა. გაახსენდა,

რომ ახლა დგებოდა გადამწყვეტი წუთი, სწორედ ახლა იყო ცოტა აქტიურობის გამოჩენა საჭირო და, მისი აზრით, ყველაფერი მოგვარდებოდა.

ის იყო, უკმაყოფილოდ წამოდგა სავარძლიდან, რომ მდივანმა გოგონამ ყურმილი დაღო.

— რა მოგივიდათ, რატომ ხართ ასეთი მოუთმენლები... ყველას რომ გეჩქარებათ, ნეტა რა გაქვთ ასეთი საქმე, გამაგებინა!.. — მიმართა მან ბენოს და სრულიად უმიზეზოდ ტელეფონს ადგილი მოუწაცვლა.

— დირექტორი აქ არის?

— კი, აქ არის.

— ჰყავს ვინმე?

— კვახაძეა შესული. გამოვა და შედი შენ.

— კაი აბა, დავიცდი.

ქალიშვილი ისევ ტელეფონს მიუბრუნდა. ნომერი აერიფა და მოსასმენად მოემზადა. ბენომ ხელები ზურგზე დაიწყო და ოთახის ერთი კუთხიდან მეორეში დაიწყო სიარული.

გარედან ქუჩის ხმაური შემოდიოდა. მანქანის გაბმული სიგნალი პირდაპირ ტინში ურტყამდა ბენოს. ფანჯრიდან გადაიხედა, ასიცხებულ ტროტუარზე ხალხი მიმოდოდა. ქუჩის კუთხეში, შადრევანთან, ბიჭები იდგნენ და რაღაცაზე ლაზღანდარობდნენ. გაჩერებასთან რამდენიმე კაცი ავტობუსს უცდიდა.

ბენოს მათი ბედი შეშურდა. საკუთარ თავთან შედარებით ყველა ბედნიერი ეჩვენა, რადგან იმ წუთას არც ერთ მათგანს დირექტორის მოსაცდელში ლოდინი არ უხდებოდა და არც რაიმეს სათხოვნელად მოუწევდათ შესვლა.

ამსობაში კაბინეტის კარი გაიღო და კვახაძე ერთიანად აწითლებული და დაბნეული გამოვიდა. მოსაცდელში ბენო რომ დაინახა, ჯერ მისკენ გაემართა, მაგრამ უცბად მიტრიალდა და ჩქარი ნაბიჯით გავარდა დერეფანში.

ბენომ ვერაფრის თქმა ვერ მოასწრო. ახლა თვითონაც არ იცოდა, როგორ

მოქცეულიყო და უადგილო ადგილას გაჩხირული, არც იქით მიდიოდა და არც აქეთ.

— შედი, მარტოა. — უთხრა მდივანმა გოგონამ და დირექტორის კაბინეტზე მიუთითა.

— შევიდე ვითომ? — შეეკოყმანდა ბენო.

— შედი, შედი!..

— არა, ახლა არა... შემდეგისთვის იყოს... — დაბნეულად უპასუხა ბენო. ერთხელ კიდევ ეკვით შეათვალეირა კაბინეტის მიხურული კარი და გასასვლელისკენ გაემართა.

— ეს ხალხი გამაგიყებს ნამდვილად! — თავისთვის ჩაილაპარაკა მდივანმა და კიბეზე ჩამავალ ბენოს გააყოლა თვალი.

საერთოდ, იმ დღეს დაწესებულების თანამშრომლები ძნელი საცნობი იყვნენ, ყველა რაღაცას ცდილობდა, ყველას საღდაც ეჩქარებოდა — რეკავდნენ, მიდიოდნენ, მერე ისევ მოდიოდნენ, დერეფნებში, ოთახებში, ბნელ კუთხეებში ჩუმად რაღაცას საუბრობდნენ, ფუსფუსებდნენ, ერთმანეთს საეჭვოდ ათვალეირებდნენ.

ხასიათწამხლარი ბენო ზვევითკენ ამომავალ თანამშრომელს შეეჩვენა.

— დირექტორი აქ არის თუ იცი? — იკითხა მან, თუმცა პასუხისათვის არ დაუცდია, ისე განაგრძო გზა.

— კი, აქ არის და ძალიან კარგ ხასიათზეა... შედი თუ გინდა, — უპასუხა ბენომ და გულზე ცოტათი მოეშვა.

— პატარა საქმე მქონდა რაღაცა.. ვნახავ აბა, — თქვა თანამშრომელმა და თვალს მიეფარა.

იმ საღამოს ბენომ მეუღლეს გაანლო მოსალოდნელი წარმატების ამბავი. ცოლს მაინცდამაინც დიდი ინტერესი არ გამოუჩენია, რადგან პირველი შემთხვევა არ იყო და, ალბათ, არც უკანასკნელი იქნებოდა. ყოველ შემთხვე-

ლარი ზარათელი
მოთხრობები



ვისათვის, უნდა იყოჩალო, უნდა იაქტიურო, უთხრა ქმარს და მეორე დღისთვის ძვირფასი შალის კოსტუმი გაუმზადა, რომელსაც ბენო სავანგებო შემთხვევისთვის ინახავდა.

ბენომ იმ საღამოს გვიანობამდე ვერ დაიძინა. ოთახიდან ოთახში დადიოდა, რაღაცას ეძებდა, წერდა, შლიდა და ფიქრობდა.

ცოლი წიგნს კითხულობდა. საწოლს ტორშერის მკრთალი შუქი ანათებდა. ოთახში საშინლად ცხელოდა და ქალი ვერ ისვენებდა: ცალკე ქმრის გაუთავებელი სიარული უწყალებდა გულს, ცალკე თავისი ფიქრები აწვალებდა და ნერვიულობდა.

შუალამე გადასული იქნებოდა, ბენო დასაძინებლად რომ დაწვა. შეეცადა ახლად მიძინებული მეუღლე არ გაედღეძებინა, მაგრამ საწოლის უსიამო კრაკუნმა მაინც გამოადვილა ქალი.

- კარი ჩაკეტე? — იკითხა მან.
- ჩაკეტე, — უპასუხა ბენომ.
- კარგად ნახე?
- ახლა ვნახე, ამწუთას...
- რა მოხდება, კიდევ რომ ნახო... რატომ არ გეცოდებით არავის. მოკვდები და მოისვენებთ სუყველა, -- ძალით ანერვიულდა ქალი. იგი ხშირად იმუქრებოდა სიკვდილით და ვერ ზვდებოდა, ამ სიტყვებით გულს რომ სტკენდა მეუღლეს. სხვა რომ არაფერი, ბენოს ცოლი უყვარდა. თუმცა ბევრი რამ არ მოსწონდა მისი. ქალი თავის საქციელით ისედაც დაბნეულ კაცს ბევრ სადარდებელსა და საფიქრალს უჩენდა, მაგრამ ამის გამო რომელ მამაკაცს არ ყვარებია ღამეში ცოლი. ბენო მეუღლისადმი მორჩილებას ყველგან ამჟღავნებდა: სახლშიც, გარეთაც, ახლობლების წრეში. ნაცნობები ზურგს უკან დასცინოდნენ ბენოს და მის ცოლზე ისეთ რაღაცეებს ლაპარაკობდნენ, რაც ქალს არავითარ შემთხვევაში არ დაემსახურებია.
- ნახე, გასაღები თუ გადაატრიალე... ცუდი სიზმარი ვნახე ამწუთას,

გული ცუდს მიგრძნობს რაცხარსა და კარს ნუ დატოვებ ღიას... — შეეხვეწა ქალი.

ბენო წამოდგა. სიბნელეში ძლივს მიაგნო ფლოსტებს და ხელის ცეცებით ოთახიდან გავიდა. კარი სავანგებოდ შეამოწმა, საკეტი ორჯერ გადაატრიალა და ისევ ოთახში შემობრუნდა.

- ჩაკეტე? — ჰკითხა ცოლმა.
- ჩაკეტული იყო, რაღა ჩაკეტვა უნდოდა, — უპასუხა ბენომ.
- მაინც...

ბენოს ცოლს ამ ბოლო დროს უცნაური შიში დასჩემდა. დამდამობით ხშირად ეჩვენებოდა, რომ კარი ღიად დარჩენოდათ, ოთახში უცხო მამაკაცები შემოსულიყვნენ და საწყალ ქალს სადღაც მიათრევდნენ ძალით. მოგვხსენებთ, ამ ქვეყანაზე უმიზეზოდ არაფერი ხდება. ყველაფერი რაღაცით იწყება და მთავრდება, ყველაფერს თავისი წესი და ლოგიკა აქვს და, რა უცნაურადაც არ უნდა გვეჩვენოს, ყველაფერი უცნაური სრულიად უბრალოდ ამოიხსნება ხოლმე; ბენოს ცოლს ასეთი შიში იმის შემდეგ დასჩემდა, რაც ერთხელ, სრულიად შემთხვევით, ბერანგისმარას უცხო მამაკაცმა შემოუღო კარი. მაშინ სულ არ შეშინებია. ხალათი, რომლის ჩაცმაც ვერ მოასწრო, მომიშვლებულ მკერდზე აიფარა ორივე ხელით და ოთახში შემოსულს მშვიდად მიაჩერდა. დაბნეულმა კაცმა ბოდიში მოიხადა, მაპატიეთ, ოთახი შემეშალაო, თქვა და სასწრაფოდ გავიდა.

ცოლს ბენოსათვის არ გაუმხელია ეს ამბავი, მნიშვნელობაც კი არ მიუნიჭებია არავითარი, მაგრამ იმის შემდეგ, რაც ზედიზედ რამდენიმეჯერ სიზმარში იხილა უცხო მამაკაცი, მოსვენება დაკარგა. ერთი კვირის შემდეგ ცნობილ ნევროპათოლოგს მიაკითხა საავადმყოფოში.

ექიმმა ყურადღებით გასინჯა ქალი. ყველაფერი დაწვრილებით გამოჰკითხა. ეს რა არის, ამისთანები კი არა, უფრო

უარესებიც ხდებოდა, უთხრა, ერთი ჩემი ნაცნობი დამე საწოლქვეშ იძინებდა, მაგრამ ამისათვის თავი არ მოუკლავსო. სხვა ბევრი სასაცილო ამბავიც მოუყვა, თვითონაც იცინა და ქალიც გაამხიარულა ძალიან.

სხვა დროსაც შემოიარეთო, დაბაბა და, მისი აზრით, ყველაზე ტკბილი სიტყვები ბოლოსთვის შემოინახა: მე თუ მკითხავთ, თქვენისთანა ჯანმრთელ და ლამაზი ქალი მთელ თბილისში მეორე არა დაიარებო...

მაგრამ, სამწუხაროდ, ექიმის რჩევა-დარიგებას არავითარი შედეგი არ მოჰყოლია. იმავე ღამეს ქალს ისევ ესიზმრა უცხო მამაკაცი და ყველაზე საოცარი ის იყო, რომ ამჯერად სტუმარი ნერვოპათოლოგის სახით გამოეცხადა...

ჩემი საშველი მაინც არ ყოფილა და ეს არისო, გადაწყვიტა გუნებაში შეწუხებულმა ქალმა და მთელი იმედები იმაზე გადაიტანა, როგორმე კარი არ დარჩენოდა დამე ჩაუქეტავი.

ეს უცნაურად აკვატებული შიში ძილსა და მოსვენებას უკარგავდა, ირგვლივ მყოფთა მიმართ შურიტა და სიძულვილით უვსებდა გულს, რადგან ეგონა, მასზე უბედური არავინ დადიოდა ამქვეყნად.

ძილატეხილი ქალი ვერც მეუღლის მოჩვენებით სიმშვიდეს იტანდა. სიბნელეში ქმრის დახუჭულ თვალებს უყურებდა და რატომღაც დარწმუნებული იყო, ბენოს არ ეძინა. თუმცა მისი თანაბარი სუნთქვა და მშვიდი სახე ასეთი ფიქრისათვის არავითარ საფუძველს არ იძლეოდა.

მეორე დღეს ჩვეულებრივი აგვისტოს მზიანი დილა გათენდა. ბენომ საგანგებოდ შეამოწმა თავისი ჩაცმულობა სარკეში და ჩინებულ ხასიათზე დადგა. თანამდებობის პირს, რომელიც, მართალია, არაოფიციალურად უნდა სტუმრებოდა მათ დაწესებულებას, არ შე-

იძლებოდა, არ მოსწონებოდა ასეთი გარეგნობის მამაკაცი. თუმცა ვარგუნობას რომ გადაამწყვეტი მნიშვნელობა არ ენიჭებოდა ასეთ ვითარებაში, ესეც ცხადი იყო.

ბენოს სახლში გული არ დაუდგა. ნაადრევად გავიდა ქუჩაში. სამსახურის დაწყებამდე ჯერ კიდევ დიდი დრო იყო დარჩენილი. გასტრონომთან, რისი მოლოდინში, საკმაო ხალხს მოეყარა თავი. ბენომ რიგში რამდენიმე მეზობელი შენიშნა და თვალი ააჩრია. საკუთარ ფიქრებთან დარჩენილს, არ უნდოდა ვინმეს გამოსაუბრებოდა — ეს ცუდად ჰქონდა დაცდილი.

ყოველგვარი მოულოდნელობის თვიდან ასაცილებლად, წინ მიმავალ ბიჭს დააკვირდა, ბიჭი ბამბუკის გრძელ ჯოხზე გამოზმულ ანკესს მიაჩანავენდა და უდარდელად უსტვენდა. ასე ადრე რამ ააყენაო, ერთი კი გაიფიქრა და, მერე ისევ თავის საწუხარს მიუბრუნდა. გუნებაში ერთხელ კიდევ დაალაგა სათქმელი, კმაყოფილი დარჩა და ერთბაშად მოზღვავებული ენერგიაც იგრძნო.

ქალაქში უკვე ასიცხებელიყო. ვამელელები საგანგებოდ აკვირდებოდნენ კოსტუმში გამოწყობილ ბენოს. ბენო ცდილობდა, მათთვის თვალი აერიდებინა და საჭირო შემთხვევაში მხერა ანკესიან ბიჭზე გადაჰქონდა, რომელიც ისევ მის წინ მიაბიჯებდა არხეინად.

ასე თუ ვიარე, შეიძლება სამსახურში დამავიანდესო, გაიფიქრა მოულოდნელად და წინ მიმავალი ბიჭისათვის გვერდის ავლა სცადა. ბიჭმა, რომელიც, სხვათა შორის, სულაც არ ყოფილა უზრდელი, ვიწრო ტროტუარზე გზა დაუთმო უფროს ადამიანს, მაგრამ უნებურად ბამბუკის ჯოხი სწორედ იმ მხარეს შეაბრუნა, საითაც ბენო აპირებდა გაეღას. კოსტუმის შესხნილი კალთა ისე მოულოდნელად გამოედო

ლარი ბაკთელი
მოთხრობები



ანკესს, ბენომ სიფრთხილის გამოჩენაც ვერ მოასწრო...

ჩანახევი იმდენად უმნიშვნელო იყო, თუ კაცი საგანგებოდ არ დააკვირდებოდა, ვერც შეამჩნევდა. ბენომ რაღაც ჩაიბუზღუნა თავისთვის და სწრაფად განავრძო გზა.

ამ სიტყვში ეს კოსტუმი რამ ჩააცვაო, ერთი კი გაივლო გუნებაში ბიჭმა და ბედზე გადარჩენილი ანკესი მოსინჯა. ის კი არ გახსენებია, ახალთახალი კოსტუმი რომ აზარალა ამ უცხო კაცს.

ამ ამბავმა, ცოტა არ იყოს, ხასიათი გაუფუჭა ბენოს, თუმცა ის მოზღვავებული ენერგია, რომელიც სახლიდან გამოსვლისას იგრძნო, სრულებითაც არ განელებია. სამსახურში ზუსტად დროზე მივიდა. თავის ოთახში არ შესულა, ისე, პირდაპირ, დირექტორის მისაღებს მიაშურა.

— დაკავებულა! — უთხრა მდივანმა გოგონამ.

— მალე გათავისუფლდება, თუ იცი? ჰკითხა ბენომ.

— რა ვიცი მე... ყველაფერი რომ ვიცოდე, აქ კი არ ვიჯდებოდი!

ბენომ გამოცდილებით იცოდა, მდივანთან კამათი კარგს არაფერს მოუტანდა და გადაწყვიტა, ხელსაყრელ მომენტს დალოდებოდა.

დრო გადიოდა. დირექტორის კაბინეტიდან ჩამიჩუმი არ ისმოდა.

— სხვა კარიდან ხომ არ გავიდოდა, ნეტავი... — ერთხელ კიდევ სცადა საუბრის დაწყება ბენომ.

— სხვა კარით დირექტორი სარგებლობს, უცხო კაცი ამ კარიდან შედის და გამოდის... — განუმარტა მდივანმა.

— რავე, უცხო ჰყავს ვინმე? — გამოცოცხლდა ბენო, მაგრამ ამ კითხვებზე პასუხი ვერ მიიღო.

კიდევ დიდხანს იწრიალა დირექტორის მისაღებში, მერე გარეთ გამოვიდა და თავის სამუშაო ოთახს მიაშურა. რამდენჯერმე უაზროდ მოუწაცვლა

სკამს ადგილი, ფანჯარა გამოლო, მერე ისევ მიხურა.

კარადის მინაში საკუთარი სახე შეათვალიერა. არ მოეწონა — გაოფლილი და დაღლილი ჩანდა.

„ნეტავ, რაზე ვიკლავ თავს, ვიცოდე... დღესვე დავწერ განცხადებას და წავალ შეგებულებაში. შაბათი ჩემთვის არ არის და კვირა, ვინ მიმადლის, თორემ კი... — ფიქრობდა ბენო, — მივხედავ, ბატონო, საკუთარ თავს, დავისვენებ, გავივლი, გამოვივლი, დროს ვავატარებ... როგორც სხვები იქცევიან, ისე მოვიქცევი მეც...“

მაგიდის უჯრიდან სიგარეტი ამოიღო, ასანთი გაჰკრა და მოუკიდა, მაგრამ იქვე შეეძტო, მწვეელი არ იყო. რამდენჯერმე გააბოლა და ჩაუმქრალი სიგარეტი საფერფლეზე დაადგო. ისევ გამოალო ფანჯარა, ქვევით გადაიხედა.

კონდრით დაფარული ეზო მწვეანედ ხასხასებდა. მოხუცი მებაღე, რომელსაც ტილოს თეთრი ხალათი ეცვა, მუხლებამდე ბალახში იდგა და თიბავდა. ცაზე ღრუბლის ფთილაც არ ჩანდა. ცარგვალი იყო საოცრად ლურჯი და კამკამა. „ხვალ უსათუოდ ქარი იქნება...“

— გაიფიქრა ბენომ. ამ სურათმა მას რაღაც შორეული და ბუნდოვანი გაახსენა, იმდენად ბუნდოვანი, რომ ვერაფრით ვერ მიხვდა, ასეთი რამ ადრე ბავშვობაშიც ჰქონდა ნანახი თუ ახლა უყურებდა ყველაფერს და ეგონა, ბავშვობაში მინახავსო...

მოულოდნელად ტელეფონმა დარეკა. ბენო მაშინვე დასწვდა ყურმილს. განყოფილების გამგე იყო: ეს წუთია, დირექტორი მელაპარაკა, იმ უცხო ადამიანს თანამშრომლებთან საუბარი სდომებია და პირველად ჩვენს განყოფილებაში მოჰყავსო.

— ახლავე მოვალ, ბატონო მიშა, ახლავე! — უპასუხა ბენომ და სახეზე უცნაურად წამოწითლდა, მერე გალურჯდა და გაყვითლდა. ოთახის კარი

გაიხურა და სწრაფად გაიარა ჩაბნელებული დერეფანი.

განყოფილების გამგე მშვიდად იჯდა თავის მაგიდასთან. ბენოს განსაკუთრებით გულთბილად შეხვდა ამ დილით. ხელი ჩამოართვა, მოიკითხა. დღეს ცოტათი დამაგვიანდა სამსახურში მოსვლა, ისე დამთენებია, ვეღარც გავიგეო, თქვა და დაუმატა:

— სიბერის ბრაღია, ალბათ, ჩემო ბენო, ეს ამბავი... ჩვენი დრო წასულია უკვე, ჩვენ მივდივართ, თქვენ მოდიხართ... ამაშია ცხოვრების ძალა!

— რა დროს თქვენი სიბერეა, ბატონო მიშა, დიდხანს უნდა იცოცხლოთ! — ასიამოვნა ბენომ.

ბატონმა მიშამ სკამი შესთავაზა, მაგრამ ბენო არაფრით არ დაჯდა, ასე მიჩვენიაო, თქვა. გუნებაში ხელმოორედ ალაგებდა და ასხვაფერებდა სათქმელს. თუმცა იმის იმედი მაინც არ ჰქონდა, რომ ყველაფერს ისე მოახერხებდა, როგორც თავიდან ფიქრობდა. ფიქრი და სინამდვილე ერთმანეთს რომ იშვიათად ემთხვეოდა, ეს უკვე ცხოვრების გამოცდილებიდან კარგად იცოდა...

გარედან ნაბიჯის ხმა მოისმა. ბენომ უნებურად პერანგის საყელო და ჰალსტუხი შეისწორა. მალე კარი გაიღო და დირექტორი მაღალ, სიმპათიური შესახედაობის კაცს შემოუძღვა ოთახში. კაცს საკმაოდ დახვეწილი მანერები ჰქონდა და ეტყობოდა, საჭიროების შემთხვევაში, შესაფერისი პოზის მიღებაც არ გაუჭირდებოდა.

ეს მაშინვე შეამჩნია ბატონმა მიშამ, როცა თანამდებობის პირმა, ესე იგი, მაღალმა, სიმპათიურმა კაცმა, შემოსვლისას მოწყალებულად გაიღიმა და წამსვე ისეთი სახე მიიღო, უცხო კაცს უთუოდ დააბნევდა.

ბატონმა მიშამ თავი დაუკრა შემოსულს და ადგილზევე დარჩა. ბენომ ინსტინქტურად ნახევარი ნაბიჯი წაღვა წინ და განყოფილების გამგის გვერდით აღმოჩნდა. როგორ და რანაი-

რად, თვითონაც ვერ მიხვდა, მაგრამ მაშინვე დაანება ამ უსარგებლო თავი და შემდგომი მოქმედებისათვის მოემზადა.

— გაიცანით! — თქვა დირექტორმა და გაიღიმა.

ბენომ კვლავ ნახევარი ნაბიჯი წაღვა წინ, რათა ჩამოსართმევად გამოწვდილი ხელისათვის თავისი ხელი დროზე შეეგებებინა, მაგრამ სტუმარი, როგორც მოსალოდნელი იყო, უფროს-უმცროსობასთან დაკავშირებულ ყველა წესს ზედმიწევნით იცნობდა და, ჩანდა, ამ წესების დარღვევას არც ახლა აპირებდა. მან მშვიდად აუარა გვერდი ბენოს წინგამოწვდილ მარჯვენას და განყოფილების გამგეს, რომელიც თანამდებობით თუ არა, ასაკით მაინც იმსახურებდა ამ პატივისცემას, გულთბილად ჩამოართვა ხელი.

ბენო ისე დაიბნა, რომ ჰაერში უაზროდ გაშეშებული მარჯვენის ჩამოშვებაც ვერ მოახერხა. სიტუაცია იმდენად კომიკური იყო, თვით დირექტორმაც ვერ დამალა ღიმილი, თუმცა საკმე მთლად სასაცილოდ რომ არ იყო, ამა-საც მიხვდა.

თანამდებობის პირმა ბატონი მიშა მოიკითხა, ჯანმრთელობითაც დაინტერესდა. თქვენზე ბევრი რამ კარგი გვსმენია, ახალგაზრდების დამრიგებლად და მასწავლებლად კიდევ დიდხანს უნდა იყოთო, უთხრა და წარმატებები უსურვა.

ბენომ დროის ამ მცირე მონაკვეთში რამდენჯერმე დალანდა სტუმრის მრისხანე მზერა. ყველაფერი დამთავრებულად ჩათვალა და სრულიად მოულოდნელად ისეთი სიმშვიდე დაეუფლა, თვითონაც გაკვირვებული დარჩა. როცა თანამდებობის პირი მისკენ მიბრუნდა, ბენოს უკვე ხელი ძირს ჰქონდა ჩამოშვებული და ფანჯარაში იყურებოდა უაზროდ...

ლერი ბარათელი
მოთხრობები

ამ უსიამოვნო ფაქტით შეცბუნებულ-
მა დირექტორმა ოთახიდან გასვლისას
ისეთი თვალით გადახედა ბენოს, ქვას
გახეთქავდა. ბენო მშვიდად უყურებდა
მას და ილიმებოდა.

„უზრდელი... უფროსი ამან არ იცის
და უმცროსი!..“ — გაიფიქრა დირექ-
ტორმა. ახლა გაახსენდა გუშინ ბე-
ნოს ბოთე რომ უწოდა გუნებაში. სა-
დღაც ესიამოვნა კიდევ, ვარაუდმა
რომ გაუმართლა.



ბენო მეორე დღეს, და საერთოდ,
ამ ამბის შემდეგ სამსახურში აღარავის
უნახავს, იგი წინაღმით მოულოდნე-
ლად გარდაიცვალა.

ახალგაზრდა, ჯანმრთელი კაცის ასე
უეცარმა სიკვდილმა ყველას გული დას-
წყვიტა.

გასვენებაზე უამრავმა ხალხმა მოიყა-
რა თავი. შავებში გამოწყობილი ცოლი
დღედაღამ არ სცილდებოდა კუბოს. ბა-
თუმიდან ბენოს შვიდი წლის ბიჭი ჩა-
მოიყვანეს სასწრაფოდ, რომელიც,
ექიმის რჩევით, საზაფხულო არდადეგე-
ბის გატარებას ნათესავთან აპირებდა
ზღვაზე. ბიჭმა ცოტა წაიტირა, მაგრამ
დღეა რომ ცოცხალი დაიგულა, დამ-
შვილდა და გასვენებაზე მოსულ ხალხს
დაუწყო თვალთვლება.

თანამშრომლები ჯგუფ-ჯგუფად იდგ-
ნენ და გაკვირვებას გამოთქვამდნენ ამ
ყოვლად მოულოდნელი ამბის გამო.

აგვისტოს მზე უმოწყალოდ აჭერდა
უჩრდილო ეზოს. ზოგიერთებს ქუჩის
გადაღმა. ბროწეულისა და ლევის
ხეების ძირში შეეფარებინათ თავი. ისხ-

დნენ, მასლათობდნენ და მოთმინებით
უცდიდნენ გამოსვენებას.

ზუსტად ოთხ საათზე პროცესია მი-
ხვეულ-მოხვეულ ვიწრო შუქას დაადგა.
ნათესავები, ნაცნობ-მეგობრები უკანა-
სკნელ გზაზე აცილებდნენ მიცვალე-
ბულს.

დირექტორი გულწრფელად იყო შე-
წუხებული და მოკლე გამოსათხოვარი
სიტყვაც წარმოთქვა. ბატონ მიმას ბე-
ნოს პატარა ბიჭი ამოყეყნებინა გვერ-
დით და ცრემლებს ვერ მალავდა. ბავ-
შვი გაკვირვებით უყურებდა მტირალ
კაცს. დედასთან მისვლას ცდილობდა,
მაგრამ უფროსები არ უშვებდნენ, ბიჭს
ევონა, დედასაც მართმევენო და თვი-
თონაც ატირდა. ქალებმა ბავშვი დააწყ-
ნარეს და იქაურობას გააშორეს.

ყველაფერი რიგისა და წესის მიხედ-
ვით შესრულდა. საღამოხანს საფლავის
ბორცვი მოასწორეს, საგანგებოდ მო-
ტანილი ყვავილები შემოუწყეს ორგვ-
ლივ და მალე ხალხიც დაიშალა.



დრო გადიოდა. ზამთარს ზაფხული
ცვლიდა. ბენოს ბიჭი იზრდებოდა.
კლასიდან კლასში გადადიოდა და მამის
სახე თანდათან ფერმკრთალდებოდა
მის ხსოვნაში.

თვეში ერთხელ ცოლი ადიოდა სასა-
ფლაოზე, ახალი ყვავილები მიჰქონდა
და მწარე ცრემლით დასტიროდა ქმარს,
რომელიც, ვინ იცის, ეს სამწუხარო ამ-
ბავი რომ არა, კიდევ რამდენ სიბა-
რულს, რამდენ ტანჯვას ნახავდა, რამ-
დენი გაზაფხულის მოსვლას შეესწრე-
ბოდა ამქვეყნად.



შეხვედრები ბაბარჯიანის პარკში

— მე, ჩემდათავად, უშეცდომოდ ვემსახურე ჩემ საქმეს, — თქვა მოხუცმა, პირხმელი სახის კაცმა და ხაკისფერი კიტელის ზედა დილი შეიხსნა; მერე ხელჯოხის მოკაუჭებულ თავს დააყრდნო ხნოვანებისაგან მოჩუჩნული, მკეწარი ხელები და გაირინდა.

— ლაშა, აქეთ, შვილო, აქეთ მოდი.
 — წამოიძახა ხნიერმა ქალმა და ბავშვისკენ გაემართა.

კაცის ტბასავით გამტკნარებულ მზერას თითქოს კენჭი ესროლესო, ისე შეარხია გუგები და ქალს დაადევნა მეძებარივით გეშაღებული თვალი. მღალა ქალი მისი ასაკისათვის უჩვეულო, მოხდენილი ნაბიჯით მიდიოდა. საინტერესო და სათვალთვალო აღარაფერი იყო და კაცის თვალით ანაკვერცხლება სულის ერთი შეხებრვით მიინაცვლა.

— ბატონო სეფე, ხვალამდის, — ხეივნის ჩრდილებიდან გამოსძახა ქალმა.

მეორე დღეს, როცა დილის მსუბუქ ქაელებში დაცურავდა მზე და სხივთა კამარას ზეცის კვამლისფერი საბურველი დაჰკანკალებდა, როცა ნიავი თმა-აწეწილი ალივით გარს უვლიდა ხეთა რტოებს და ფოთლებს ტაშს აკვერციებდა, საუბარი ქალმა წამოიწყა:

— იცით, მთელი სიყმაწვილე მეგონა, რომ მსახიობი ვიყავი.

პარკში მოდურად ჩაცმულმა გოგონებმა ჩაიარეს, მიდიოდნენ სიცილით,

ახალგაზრდული სითამამით და უშურველად აბნეოდნენ ირგვლივ ფრთებშეუკვეცავე ცხოვრების ალაღანებულ დიმილს, ქალმა გულნაკლული მზერა გააყოლა. გრძნობდა, რომ წელთა განქარვების, წუთისოფლის ჯავრთან მოყვრობის მიუხედავად, სიზმრისეული სიცხადით გაიკვესებდა ყმაწვილქალური აღტაცება. თითქოსდა თვითონაც თანაზიარი იყო ახალგაზრდების სისხლსავსე ცხოვრებისა და წამიერად მხარდამხარ მიჰყვებოდა მათ წარსული ფერებისა და ხილვების გამონმობით.

— მერედა, მოტყუვდით არჩევანში, პატყეცემულო როდამ? — დაინტერესდა კაცი და ეკლიანი მზერა მიაპყრო ქალს. როდამი ფიქრიდან გამოერკვა. მიმტყევებელმა ღიმილმა გაუნათა თვალები და წყნარად თქვა:

— მე, „ქალბატონო“ უფრო შემეფერება, ბატონო სეფე.

— ბოდიშს მოვითხოვთ, დიდ ბოდიშს, — სკამზე მიწოლილი სხეული შეატოკა კაცმა.

— არ ვიცი, მოეტყუვდი თუ არა პროფესიის არჩევაში, მაგრამ მსახიობის ცხოვრებამ სხვა რამ მომიტანა.

— საყურადღებოა, მაგალითად, რა?

— ისეთი რამ, რისთვისაც ღირდა შინაბერად დარჩენა.

სეფემ გადაიხარხარა, მსუყედ, ხევერიელად. ქალის ფეხებთან მოთამაშე ბიჭის თვალებიდან აღქაჯივით გადმოხტა გაკვირვება.

წარსული ამ ქალისა, მზის მილეუ-

ლი სხივივით ლამაზი იყო. ცხოვრება ამ ქალისა, ერთი გრძელი ღიღინი იყო გატანჯულ პატიოსნებაზე, სიყვარულზე.

ქიაკოკონობა ღამეს, ღიდ ეზოში დანთებულ ცეცხლთან, ათიოდე წლის თმაგაშლილი გოგონა იდგა და ფიქრიანი თვალებით ჩასცივებოდა ცეცხლის როკვას.

— არული კუდიანებს! — სიბნელის უდაბურებას ელვასავით კვეთდა ცეცხლწყაიდებული ხმა ყიჟინისა. თმაგაშლილი ბავშვი მონუსხული იდგა და ცეცხლის შუქი უბრაილებდა თვალებში.

— როდამა გოგო, შემოდი შინ! — გადმოსძახა აივნიდან მოხუცმა დედაკაცმა.

— ბაბო, რა ავია ცეცხლი! — თქვა ბავშვმა და მოხუცის დაკემსილ წინსათარში ჩამალა სახე.

— ეპ, შვილო, ცხოვრება უფრო ავია, ისე დაგხრუკავს, ისე რომა, ცეცხლი იმასთან რა სახსენებელია.

ერთხელ გიმნაზიელი გოგონები ქუჩაში მიდიოდნენ. მოპირდაპირე მხარეს, მოსახვევიდან, შავი გედის მსგავსი ქალი გამოჩნდა. ხვეული თმის მსხვილი კონა უჩანდა სიფრიფანა მამიებით გაწყობილი ქუდიდან. ქალი ცნობილი მსახიობი იყო და გოგონები დანახვისთანავე გამოედევნენ, ხალებიანი პირბადიდან ერთი წამით შეიფრთხილა დაბინდულმა თვალებმა და როდამს თვალში მოხვდა ფაქიზი, ოდნავ ფერმიხდილი სახე ქალისა. გოგონამ გაიფიქრა, რომ მხოლოდ მსახიობი ქალი შეიძლება იყოს ასე მიმზიდველი და ზამბახივით სათუთი. მის თვალებში დაინახა რაღაც არამიწიერი და გულში ფარული სურვილი აჩქარდა სცენაზე ცხოვრებისა.

ვარდყავილობის თვეში, თბილისის


სადგურში დროშების ტევრი, შრივა-
ლებდა. ეკლესიიდან ზარებსა წყროსა-
ლი ისმოდა. კონკები ხმაშეწყობილად დაარაყუნებდნენ ოთხკუთხა ქვით მოკირწყულ ქუჩებში. მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, ეკლესიის გუმბათებს შუა, გარდასული რბევის მოსავონრად მწვანე მეჩეთი მოჩანდა. ქაოსი სუფევდა გარშემო. ქალაქს დღესასწაულის შიშნეული იერი დასტყობოდა. პარიზიდან ჩამოსული რეჟისორი რბილი, ფრანგული აქცენტით სასცენო მეტყველების ოსტატობას აზიარებდა ოციოდე წლის როდამს. დროის არეულობას მოყოლილი სილატაკე და უსახსრობა გაძვალტყავებული ხელებით აგროვებდა წარსულის დამხობილ ნაშთებს. თეატრი კრიზისს განიცდიდა. ქოსების სარდაფში ახალგაზრდები ღვინოს ეძალებოდნენ, ხოლო ქართულ კლუბში ლეგენდადქვეული სახელები კიბეზე აღიოდნენ და ჩამოდიოდნენ. მოსკოვის სამხატვრო თეატრი გასტროლებს ამთავრებდა თბილისში. ლადო მესხიშვილი საქართველოში ბრუნდებოდა და ბათუმი შეძახილებით ხვდებოდა ერის შვილს. ცხოვრების უთავბოლო სრბოლისას, სცენაზე იდგა მაღალი გოგონა და პატარა, ქალური მხრებით, გრძელი ნატიფი მკლავებითა და ჩამოსხმული ტანით ამშვენებდა თეატრის სცენას. ყოველი სიტყვა ლირიზმით იყო აღსავსე და დახვეწილი პლასტიკური მოძრაობით მიიწევდა სცენაზე მდგარი პარტნიორისაკენ.

როდამს განუშორებლად თვალწინ ედგა ახალგაზრდა კაცი, გულგამგმირავი დაძაბულობით, აღმოდებული თვალებით რომ ლაპარაკობდა; ათიწელი სიტყვაშეუბრუნებლად, მოწამეობრივი ერთგულებით ემსახურებოდა, სცენასა და თავის რეჟისორს. უხმოდ, უდრტვინველად მალავდა სულის ბნელ საყდარში დავანებულ გულისთქმას.

ხედავდა, როგორ კარგავდა ბრწყინ-

ა
ს
ე
პ
ა
ს
ს
ე
პ
ა
ს
ს
ე
პ

ს.წ.
ნ.წ.
ნ.წ.



გობონა
მგავილეობით





სასახლი



გომიჯულის
ქვაკვილი

გომიჯულის
ქვაკვილი



მსახიობი სვენაზი
ჯამოსვლის დღე



ელენა პორტრეტი



საპლატი

პეიზაჟი







კაკაბაძე



ნატურმორტი



სოფელი





ვალეზას თმისა და თვალების ფერი. წელთა ხავსი ედებოდა კრიალა დაწვებზე. მერე პროლეტარული თეატრისადმი დალატი დასწამეს და ათეული წელი ვეღარ ნახა ცეცხლწაკიდებული ბროწეულის ყვავილი და სამშობლოს ცა, ცრემლივით წმინდა და ანკარა. სამშობლოში გარდაცვლილი თვალებით დაბრუნდა. ძმა, რძალი, ძმისშვილები უცხოსავით ათვალეირებდნენ და მოგონილი გულისხმიერებით ეპყრობოდნენ.

ურეცხავდა, უმზადებდა, ჰბანდა, ასეირნებდა ძმისშვილებს. სახედარივით დატვირთული ბრუნდებოდა ბაზრიდან. ისევე უხმოდ ემსახურებოდა შინაურებს, როგორც ერთ დროს თეატრსა და სიყვარულს. ერთხელაც არ უხსენებია, რომ მსახიობი იყო და ახლა უკვე თეატრის ისტორიაში ეტაპებად ცნობილი დროის თვითმხილველი და მონაწილე.



მალული განცვიფრება ბინდივით ედებოდა ქალის გონებას. უკვირდა, რატომ უყვებოდა ახლად გაცნობილ კაცს თავისი ცხოვრების ამბებს, ღრმა ნაჭდევივით რომ გასდევდა ქალის დაწიწკნილ მეხსიერებას. ქუთუთოებზეშუბებული, მოგრძო თვალები ჰქონდა მოხუცებულ კაცს. კუნთიანი სახის ნაკვთები ახლა უფრო დარბილებოდა და სიბერის ორი ნკაცრი რკალი აჩნდა ტუჩის კუთხეებთან. უყურებდა როდამს და ხედავდა მას ახალგაზრდას, ყაყაოს შავი გულივით პრიალა თვალებით, აყვავებული ღიმილით. სახეზე თან ფიქრობდა. მე, ასე დაბერებულს, რა საქმე მაქვს ამ გოგონასთანო.

ქალი გატაცებით ლაპარაკობდა.
— მისი სპექტაკლები ხელოვნების დღესასწაულად იქცეოდა. ყოველი მიზანსცენა უჩვეულო ემოციებით გვავსებდა ყველას, რიტმს, პლასტიკას, პიესის იდეის წარმოსაჩენად იყენებდა. რეჟისორული მეტაფორების სიმდიდრე ამალეებდა სპექტაკლის პროფესიულ

დონეს. იმ წლებში ქართული კულტურის სხვა და სხვა სფეროს შემოქმედებთად აფორიაქებდა ლიტერატურულ და თეატრალურ მიმდინარეობათა სიმრავლე. ებოქა იყო მეტად რთული და უკომპრომისო. მაშინ შემთხვევით წავაწყდი ერთი ჩინებული პოეტის ლექსს და სული შემირყია ამ სტრიქონებმა:

ქვესკნელს დასთბრიდნენ შენი ფესვები,
მიწას პოეტად რომ არ ეშობე,
საქართველოში შენი ლექსები,
მშვიერ მგლებივით დათარეშობენ.

მრავალი წლის გასრულების შემდეგ, ხმის კანკალით, მოწაფესავით კითხულობდა ლექსს სამოცდაათს გადაცილებული ქალი. კაცს არც ერთი სიტყვა არ ესმოდა ნაამბობიდან, მაგრამ ხედებოდა, რომ რალაც მნიშვნელოვანი და დამაფიქრებელი ხდებოდა. ქალი განაგრძობდა:

— ეჭვი შემეპარა ჩემ შესაძლებლობაში, ჩემს მოწოდებაში, იმდენად იმოქმედა ლექსმა და, სწორედ მაშინ დავპარგე, ყველაფერი... ეჰ; რომ იცოდეთ, რამხელა ეროვნულ სიამაყეს განვიციდილით მისი სპექტაკლების ნახვისას. თეატრი იყო ჭეშმარიტად ეროვნული, ვინდაც უცხოელი დრამატურგის პიესა დაედგა.

კაცმა მოგრძო თვალები მოჭუტა, მძიმედ წაბოღვა, კიტელის ღილილოში თითი გაუყარა, თოფის ლულასავით მიბაჯინა ქალს თვალები და დაკრეპილი კბილებიდან გამოსცრა:

— მე, თქვენ მოგსპობთ, ვაგაქრობთ!

ამ სიტყვების წარმოთქმისთანავე ცხადად იგრძნო თავისი ახალგაზრდობა, მუდამ პირქუში და უსულგულო. ქალს სიცოცხლის ნიშანწყალი აღარ ეტყობოდა გაქვავებულ სახეზე.

— ძველი დროის კახა! — მიიძახა კაცმა და წაფორხილდა ხეივნისაკენ.

როდამმა ვერ გაიგო, როდის მიუახლოვდა ძმისშვილიშვილი. ქალმა გა-

მანანა ავალიოვილი
მოთხრობები



თოშილი ხელი ჩაჰკიდა ბავშვს და წითელ ფხვნილს დააცქერდა. მეერ ბორძიკით გაჰყვა ბილიკს. სული შეუფუტბდა, ცრემლები მოაწყდა თვალებს. მიდიოდა ნინოშვილის ქრისტიანული გაუბედუ-

რებული, გალანძღული, გრძობადანასა ხიჩრებული.

პატარა ლაშა შეჩერდა, მუხლებზე მოეხვია მოხუცებულს და შესთხოვა.

— ბაბუღა, ამიყვანე ხელში!

გ ა მ ნ ო ბ ა

ზღაპრის კითხვისას სკამზე ჩამოეძინა და ბოლო სიტყვები ძლივს და წაიღულღულდა:

„არ იცი იმისთანა ქვეყანა, სადაც სიკვდილი არ არისო?“

ბავშვები აყვიციდნენ. მაგრამ ქალს ისეთი სიწყნარე ეფინა შავგვრემან სახეზე, რომ გოგო და ბიჭი უხმოდ გავიდნენ ოთახიდან.

ათიოდე წუთიც არ სძინებია. გამოღვიძებულმა აფორიაქებული მზერა მოავლო ოთახს და ვერ გაარკვია, რა დრო იყო.

ჭოტის გაცივებული თვალებით ჩაჩერებოდა შუქი სახეში. ფანჯარასთან ბინდი ცახცახებდა, ქარი ხეთა ტოტებს აქეთ-იქით დააწიალებდა.

ლასლასით წამოდგა, წამოკრიფა გამხდარი ხელ-ფეხი. დაღლილობას მისხალ-მისხალ გაეტანა სხეულიდან ღონე. ფარფიტასავით დაიწყა ტრიალი. მიაღაგა ოთახში გაბნეული ნივთები; აადულა ზაი; გააწყო ვახშამი; დაბანა ხელ-პირი ბავშვებს, დააძინა. კარგად დასწავლილი ვაკვეთილივით იცოდა ყველაფერი. სიზმარში სულ გამწყრალ სახეებს ხედავდა, მუღამ სადღაც აგვიანდებოდა, სულ ბოდიშს იხდიდა.

ღილით თავატიებული იღვიძებდა. დაღლილობის ჩრდილები სახეზე ადგა და მაინც ჩქარობდა.

ბიჭს სკოლამდე მიაცილებდა. გოგოსთან ერთად ცხადებოდა სამსახურში — საბავშვო ბაღში. შესასვლელ კართან ცხრას რომ ხუთი წუთი აკლდა, ხელისუფალის მედიდურობით სახედამშვენებული ხნიერი ქალი იდგა.

— ისევ დაივვიანე? — ქალის თვა-

ლებში მახვილის ბასრმა წვერმა იელვა.

— ველარ შევქელი, ქალბატონო ელისაბედ!

ელისაბედს დაცინვის ჩრდილმა გადაუარა სახეზე და თქვა:

— აქ უმანკო ბავშვთა დაწესებულებაა და თუ თავიდანვე უფროსები უღისციპლინობას მივაჩვევთ, მაშინ ჩვენი მომავალი ცხოვრების მესაქე რა შეგნების ადამიანი დადგება, გეკითხებით თქვენ?

ღედის გვერდით მდგარი ოთხიოდე წლის გოგონა წრიალებდა და ქალი ცდილობდა, როგორმე ეგრძნობინებინა ბავშვისათვის, გაჩერებულიყო.

— მომსახურე პერსონალისთვისაც საჭიროა ელემენტარული ცოდნა პედაგოგიური დისციპლინისა, რათა მეტი პასუხისმგებლობით მოეციდოს საქმეს.

— ქალბატონო ელისაბედ, ვავლილი მაქვს პედაგოგიის სრული კურსი, ვიცნობ ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების მეთოდიკასაც, ასე რომ სასაყვედურო არაფერი გაქვთ, — დაცინვის სუსხმა დაქროლა ქალის ხმაში.

— ეს როგორ!

— პუშკინის სახელობის პედინსტიტუტი დავამთავრე.

წამიერად ელისაბედს გოროზი გამომეტყველება შეეცვალა, შიშმა შავ კატასავით გაურბინა თვალებში, მაგრამ გონს მოეგო და ისევ ხელისუფალის კვარცხლბეკზე შედგა.

— დაამთავრეთ და დამლაგებლად მუშაობთ?

— გარემოებამ მაიძულა და მეც გემორჩილებით თქვენ.

— გეტყობა, ოჯახის დამოს მობრეც ბრძანდები, — გაიშხულია ქალის ყურთან ხმა.

— გრძნობათა და შთამომავალთა გადახალისების წინააღმდეგ დემონსტრაციას ხომ ვერ მოვაწყობდი... — თავს ძალა დაატანა ქალმა და არაბუნებრივად გაიცინა.

სამსახურში იატაკებს აპრიალებდა, წმენდა მტვერს, ასწორებდა პატარების ლოგინებს, რეცხდა ჭურჭელს. მერე გარბოდა მაღაზიაში, იდგა გრძელსა და მოსაწყენ რიგებში. ხანდახან რიგი აიზღარებოდა, საფანტივით ისროდა სიტყვებს.

— მე სტომატოლოგი ვარ, გენაცვალე, აქვე ვმუშაობ, პოლიკლინიკაში, და თუ დაგჭირდეთ... — ტკბილი ხმით ფეარისევლებოდა ვიღაც ქალი გამყიდველ ბიჭს.

— ტყუილად ირჯებით, ქალბატონო, მაგარი კბილები აქვს, — ეპასუხებოდა დარბაისელი კაცი.

ქალი იდგა რიგში და კეთილსინდისიერების დაღლილი სხივი ეფინა სახეზე. ირგვლივ ხალხი ფორიაჟობდა და ცხოვრების უცხადეს პეიზაჟს თავისი სულიერი დოვლათიანობით აფერადებდა.

შინ არეული ლოგინი, უწყესრიგოდ გაბნეული ნივთები ზვდებოდა. პალტოგაუხდელად მიჰყოფდა ხელს დალაგებას. უცებ უადგილო ადგილას დადებული მაკრატელი აუშლიდა ნერვებს და ბავშვებს შეუბრალებლად ტუქსავდა. ხანდახან სარკის წინ გავლისას, თვალს მოჰკრვდა თავის გამხდარ სილუეტს, გრძელ კიდურებს, ჩამოყრილ მხრებს და გრძნობდა, როგორ გაიჩანავა თავი. ჩაძირული ნავივით მძიმდებოდა გული და თვალებიდან ცრემლი იჩქეფებდა.

ბუდიდან გადმოცვნილი ბარტყევივით ეყარა კალთაში ხელები და სევდილიაგან ფერნაცვალი სახე ჰქონდა.

წამოდგა, ბავშვს საბანი ამოუკეცა და ამოიხრა, მაგიდაზე ღია ბარათი იდო. ქმარი შვილებს 7 ნოემბერს ულოცავდა. ქალი კარგა ხანს დაჰყურებდა გაკრული ხელით ნაწერ ბარათს და ხედავდა, რომ მეუღლის უწინდელი შეხედულებებიდან, განწყობილებებიდან ნასახიარიც აღარსად დარჩენილიყო. მხოლოდ ქალის გონებას ეპიტაფიად შემორჩენოდა მეუღლის ადრინდელი ცხოვრების კვალი.

ყოფილი მეუღლე შვებულებისას ფერსავსე, ღიმილადქცეულ ქალს შეხვდა. უცხო ასულს ოქროსფერი თმის ჩანჩქერი ბეჭებამდე ეშვებოდა და რბილი, დამყოლი ხასიათი ჰქონდა. გამაბრუებელი სიცილი სჩვეოდა. გულისხმიერად ჩაგხედავდა თვალბუმში და მიწელებული ხმით იტყოდა: „რაიმე ხომ არ გჭირდებათ?“ კაცი გზებისა და ხიდების ინჟინერი გახლდათ, შვილებს კეთილსინდისიერად უგზავნიდა ფულს, თან ურჩევდა მირიანსა და ნანას, ჰყვარებოდათ ახლად შექმნილი ძმა — ვიტალი...

ქალი გრძნობდა, რომ პირნათელი და ბავშვის ცრემლივით სუფთა იყო შვილებთან, ადამიანებთან, იმ ადგილთან, სადაც დაიბადა და გაიზარდა.

ის ადგილი თბილისის ერთ-ერთი უბანი იყო. ძველებური ყაიღის ორსართულიან სახლს გარშემო დიდი ეზო ერტყა ნაძვებითა და იასამნის ბუჩქებით დამშვენებული. ეზო ქალისთვის ზღაპრული სამყარო იყო, სადაც გზაბნეული უფლისწულივით დაიარებოდა მოგონება. ამ ეზოს საინტერესო კუნძულები ჰქონდა დამალობანას სათამაშოდ, ამ სახლს იღუმლებით მოცული მაღალი სხეენი ჰქონდა, სადაც საკუთარი ხმა შეთქმულივით ხმაინებდა. თვალისთვის ახლობელი, განუშორებელი ნიშანი იყო, ეზოს კუთხეში ჩარიგებულ სარდაფების კედლებზე ყოველი ამონაკაწრი, სახელი, მეტსახელი თუ თარიღი.

განანა ავალიშვილი
მითხრობავი

იწყებოდა ორი დროშის თამაში:

— არჩევანი მე!

— არადანი მე!

— თინა მე!

— თამრიკო მე!

ანდა სარდაფის კედელთან გამწვრივლებოდნენ, თინა თამაშის მეთაურად ითვისებოდა და მაღალი ხმით გაიძახოდა:

— ილუშა, ორი ქოლგა, — ილუშა ბზრიალ-ტრიალით გადადგამდა ორ ნაბიჯს.

— თამრიკო, ოთხი გიგანტი. — გოგონა უზარმაზარი ნაბიჯებით მიიწევდა წინ. ავღრიანობისას, ანდა დიდი სიცხისას, პირველი სართულის ბინაში შეიყრებოდნენ თინიკოსთან.

ფაშფაშა დედაბერივით იღგა ოთახში უზარმაზარი ბუფეტი. თამრიკო შეჰყურებდა ბუფეტის ხვეულებს და თავს ცეროდენა გოგონად წარმოიდგენდა, მუხუდოს მარცვლიდან რომ გაჩნდა, დაიარებოდა ცეროდენა ჩუქურთმებს შორის და ყოველი ხვეულის ქვეშ ჰქონდა მყუდრო ბინა. ოთახის ერთ კუთხეში მინიატურული, წვრილფეხება მაგიდა იდგა. ზედ მუცელგაბერილი წყლით სავსე გრაფინით და რამდენიმე ჰიქით, კედელზე ეკიდა ძალზე მსხვილ, ვარაყიან ჩარჩოში ჩასმული პაწაწკინტელა ბუნების პეიზაჟი, მეორე ოთახში გასვლისას, კუთხეში მიყრილ კეგლს მიცვივდებოდნენ. თინიკო ოდნავ ბოხი ხმით აწესრიგებდა თამაშის წესებს და იწყებოდა ბუტიოზა.

როცა თუთა დამწიფდებოდა, მთელი დღე ხეზე ისხდნენ. თითოეულს თავისი საყვარელი ტოტი ჰქონდა ამორჩეული. აიტანდნენ ხეზე საკითხავ წიგნს, ისხდნენ ტოტზე და კითხულობდნენ. იტანჯებოდნენ უხერხულად ჯდომისაგან, ჩუმად აპარებდნენ ერთმანეთისაკენ თვალს და ჯიუტად განაგრძობდნენ კითხვას.

ყველაზე შინაარსიანი, საიდუმლოებით აღსავსე წუთები იყო ნაშუადღევს ჰიშკართან დგომა და ლამაზი ქალის ლოდინი. ბავშვები გაფაციცებული

იკვირებოდნენ გზისკენ ქალი მიდიდა ოდნავ თავდახრილი, ნელი ეფენი ნით. შავი, ხავერდივით თვალბრწყინდა. შუაზე გაყოფილი ოდნავ ხვეული თმა შავ არშინსავით ეხვია პირისახეზე. ერთხელ თამრიკო ფიქრიანი სახით მიუბრუნდა თინას და ჰკითხა:

— ეგ უფრო ლამაზია თუ თამარ მეფე?

თინამ ყურადღებით შეხედა ამხანაგს და უყოყმანოდ უპასუხა:

— თამარ მეფე.

მრავალი წლის გასრულების მერე გაიგეს, რომ მათი ხატება ბნელი სასიყვარულო ინტერესების დიდოსტატი გახლდათ.

თამარს გაეხარა, რომ ბავშვობაში არ შეეძლო ამ ამბის გააზრება და შეფასება. ახლა კი გრძნობების გაწბილება გულს აღარ სტკენდა.

ერთხელ სახსოვარივით შემოინახა მცირეოდენი დრო და თინა მოინახულა. მოწყენილი უცქერდნენ ერთმანეთს. თინას ზურგს უკან ისევ ის ბუფეტი იდგა. ისევ ის პატარა წვრილფეხება მაგიდა. თამარი უცქერდა ბუფეტს, როგორც იშვიათი ხელოვანებით ნაკეთებ ნივთს, თინა სკამის საზურგეს ისე მძლავრად ჩასჭიდებოდა, რომ უცნაურად ლამაზი თითები გასთეთრებოდა. იდგა თამარი წარსულთან მიახლოების გამო დაღონებული, აკვირდებოდა ბავშვობისდრთინდელი მეგობრის გამხდარ სახეს, მოკლედ შეჭრილ სწორ თმას და ახსენდებოდა, როგორ შენატროდა ბავშვობისას თინას პრიალა წითელ ბაფთებს. ახლა ცხოვრების თითოეულ ნაწიბურს კარგად იცნობდნენ..

თამარმა ძლივს შეთქავა ხმის კანკალი და წყნარად თქვა:

— კეგლი ისევ გაქვს?

თინამ გულნაკლულად გაიღიმა და თავი გააქნია.

ხანდახან, უცებ მოვარდნილ შხაპუნა წვიმასავით მოველინებოდათ მეზობელთან სტუმრად მოსული გოგონა. სტუმართან ვერ ახერხებდნენ კლასობანას,



დამალობანას, გაფუჭებული ტელეფონის თამაშს. ლურჯად შეღებილ სკამზე, თუთის ძირას, გოგონა წელგამართული იჯდა და მრავალმნიშვნელოვანად ჩურჩულებდა. სტუმარს თეთრ გახამებულ კაბაზე წითელი ძაფით ბევრზე ბევრი მარწყვი ჰქონდა ამოქარგული. თინამ ფრთხილად შეახო ხელი კაბას და ჩუმი აღფრთოვანებით ჰკითხა:

- რა ლამაზია, ვინ გიყიდა?
- კოტიკომ.
- შენმა ძმამ?
- არა, მამინაცვალმა.

სახტად დარჩენილი ბავშვების თვალებში კითხვისინიშნები აცეკვდნენ.

იმ კაცისთვის, უწინ თამარის მეუღლე რომ ერქვა, თვალშეუდგამი სიწმინდის წუთებიც არსებობდა. თბილ მზერას დაადევნებდა მობაჯაბაჯე შვილს და მოწოლილი გრძნობისგან შეცვლილი ხმით იტყოდა:

— რა დიდი წყალობა გაიღო ბუნებამ, ბავშვი მომივილინა იმ ადამიანისაგან, ვინც მართლა მიყვარს, — ამ სიტყვებს რომ ამბობდა, თამარს ესაუბრებოდა როგორც უახლოეს ამხანაგს, გულისთქმათა თანამონაწილს, ხოლო ამ დიდი გრძნობის დამბადებელი იგივე თამარი, ცალკე ეგულებოდა.

მერე მეუღლემ მიატოვა ბუნების დიდი წყალობა და სხვაგან დაიდო ბინა. სხვაგან დაიდო და ისე შეეთვისა გარემოს, როგორც ახლებურად გადასხვაფერებულ ძველ ტანსაცმელს მოირგებენ ხოლმე სხეულზე.

თამართან გატარებულ წარსულ დღეთა სილამაზეს, ადამიანურ ურთიერთობათა სიკეთეს დრო გზა და გზა შლიდა და აცამტვერებდა.

თამარი გრძნობდა, რომ ადამიანურ ღირსებებს ცხოვრების აურზაური ძირში მოწყვეტილი ყვავილივით აფარფალებდა და სადღაც მზედაუკრავ საჩრდილობებში გარდევდა. ხნულში ჩამდგარი მთესველივით მიჰყვებოდა შვილებს. ბაღიდან სკოლაში, სკოლიდან — უმაღლეს სასწავლებელში. ამ

ინსტიტუტში მისი შვილები სწავლობდნენ და სასწავლებლის ზღურბლის დაბიჯებაც მოუხდა. შვილების ბედობალი ანთებული კვარცივით მიჰქონდა ცხოვრების გზებზე და ეშინოდა, ხელში არ გაქრობოდა.

კატალოგისტად მუშაობდა, ფიქრისა და გარემოს გულდასმით აღნუსხვის დროც ჰქონდა. ხედავდა, რომ სულ ახლოს, ერთი გოჯის თვალსაწიერზე ბუბუნებდა განათლებულ ადამიანთა ცხოვრების ავ-კარგი.

ზოგანი ავტორიტეტული სიზვიადით, მოჩვენებითი განსწავლულობით ზომავდნენ ქვეყნის ინტერესებს. ნაწილი გაპრიალებული ავეჯის მსგავსი მოხდენილობით ავგარებდა მომავალ სამეცნიერო კარიერას, სხვები უჩვეულო რუდუნებით იმეორებდნენ ერთსა და იგივეს ცხოვრების ნაფეხურებზე, დროისგან გამოთხოვილი ალაფით ხელში და უკვალოდ დაღდაუსმელად არაფერი იკარგებოდა.

გრძნობდა, რომ მხოლოდლა მეთვალეურე იყო და საკუთარ თავს დიდი, ცხოვრებისეული წარმოდგენის პროგრამას სთავაზობდა.

სანიშნეჩადებულ წიგნს მიუბრუნდა და კითხვა განაგრძო:

„შენი სახელი? — გაისმა მისი კითხვა ქართველისადმი.

- ქართველი! — იყო პასუხი.
- წლოვანება!
- ორი ათასზე მეტი წლის ვარ.
- რას აკეთებდი ამდენ ხანს ქვეყნად?
- თავს ვიცავდი.
- სულ მუდამ?
- დიახ, სულ მუდამ, ქრისტეს დაბადებამდე და ქრისტეს დაბადების შემდეგაც თავს ვიცავდი მე. თავს ვიცავდი მე მაკედონელის ლაშქრისგან, მე ვებრძოდი მურვან ყრუს, ვებრძოდი ოსმალოს, სპარსეთს, ვებრძოდი ლეკებსა და კიდევ სხვებს. — ურიცხვია სახელი ჩემი მტრებისა.“

მანანა ავალიოვილი
მოთხრობები



თავს ვიღაც წაადგა. ქალმა აიხედა და ქალარაშერეული პირხმელი სახის კაცი დაინახა. ეს სახე ბევრჯერ შეუმჩნევია დერეფანში, სამკითხველო დარბაზში, ავტობუსის გაჩერებასთან. კაცს ქსავით ღრმა, ბინდისფერი თვალები ჰქონდა. ქალი მაგიდაზე დადებულ კალამს დააჩერდა.

— რას კითხულობთ?

— ქოლა ლომთათიძეს.

კაცმა დაუფარავი ყურადღებით შეათვალიერა. ქალს უკან გადავარცხნილი ხშირი, შავი თმა ჰქონდა. სახის ლამაზი მოხაზულობა სინატიფეს მატებდა. შავი ყაკეტიდან თამბაქოსფერი პერანგის საყელო და სახელოები მოუჩანდა. ყელზე ქარვის მძივი ეკეთა.

— თქვენი სახელი?

— თამარი.

გარშემო ხალხი მიმოდინდა. ხმადაბალი საუბრით, დაფიქრებული სახეებით, შემართული იერითა და თვითკმაყოფილი განწყობილებით აღსავსე.

სახეზე ღიმილშეფრქვეულმა მამაკაცმა ჩამოიარა, ხელკავი გამოსდო თამართან მოსაუბრეს, უბოდიშოდ განზე გაიხმო და უბრუნველად ჰკითხა:

— რაო, დაიცავით თქვენი ლუბრობის შესახებ?

თამარის ნაცნობმა შუბლქვემოდან გახედა კაცს და დინჯად მიუგო!

— ვიქტორ, გენაცვალე, წოდება, თანამდებობა აიკიდე ხურჯინივით და ატარე, თუ მხოლოდ ნეკროლოგისთვის გინდა.

ვიქტორი შეცბა, რაღაც მუქარისმგვარი წარმოთქვა, მაშინვე ღირსეული იერი აღამივით აზიდა მაღლა და ისე ჩაიარა დერეფანი.

ქალარა კაცი ისევ თამარს მიუბრუნდა. მიუქარები სიმშვიდით ჩახედა თვალებში და ხმადაშვებით თქვა:

— ანაღვლე ბრმას, ლამაზში ნავთი არის თუ არა.

თამარს თვალები დაუდიდდა. ფიქრთა დინებას ნაფოტივით მიჰყვა და უცებ იგრძნო, რომ ადამიანის სულას ამხეგებას, მღელვარე აზრებს, კეთილსინდისიერების გამო ჩადენილ შეცდომებს, მთელი სიცოცხლე მოწოდებისთვის ტანჯვას ელისაბედისთანა ადამიანები აწესრიგებდნენ უცილობელი სიზუსტით, კანონიერებისა და ჭეშმარიტების მაღალი გადასახედიდან.

ერთხელ, ექსკურსიაზე

ძველისძველი კიდეებშემოცრეცილი წიგნი ძლივს გადმოიღო თაროდან, გადაფურცლა და უეცრად შიგ ჩარჩენილი ფოტოსურათი დაინახა. გაცეების უხმო შეძახილი შეაცივდა სახეზე. წელთა სიმრავლისაგან გადათქორილმა დრომ მტკივნეულად გაიშრაილა მეხსიერებაში. სურათზე გამოსახულ პირტიტველა ბიჭს თვალები უკრიალებდა და ღიმილის მალული სხივი შერჩენოდა ოდნავ გახსნილ ბაგეზე. დახურა წიგნი და უკარფანჯრო, ცარიელ ოთახს დაემსგავსა ერთ წერტილს მიჩერებული ხანდაზმული კაცის თვალები.

ჩაფიქრდა, მოგონებებს მისდია და სადღაც ვაკრეფილი წლების დაბრუნება ინატრა.

...მაშინ ალაზანზე სხივანკარა დილა იდგა. ცის ლურჯი თვალის ქვეშ, მშვიდად, ავაზას სიზანტით გართხმულიყო ალაზნის ველი. აბოლქვებულ ნისლეებში ალავერდი ყელყელაობდა. აჭიხვინებულ ცხენებს მისდევდა ცამეტი წლის ბიჭი და ცრემლდადენილ ბალახს სხაპუნით კვებდა. გარინდულ ზღვას წაავავდა შორს ცისკიდური და მთები ბეჭებამდე ჩაძირულიყვენ სილაყვარდში. დილის ჰაერით მთვრალი და აერკოლებული დაბრუნდა შინ. ნუშისმგვარი თვალებიდან სინათლე მოედინებოდა და ეს სინათლე ათბობდა ოთახის კედლებს, განჯინას, ხის განიერ, მუთაქქებდამშვენებულ ტახტს.

— ისე ლამაზია ჩვენი ბიჭი, რომ

არტიტი უნდა გამოვიდეს, — შემადგენელი ხმით თქვა ბაბუამ.

ბებიამ როდინის ქვას ხელი უშვა და მზერა შუბის წვეროვით მიაბჯინა მეუღლეს.

— კარგი, ქალო, რა მოხდა, — წყნარად თქვა კაცმა.



ის პირტიტველა ბიჭი ლამაზი გარეგნობის კაცი დადგა, მაგრამ არტიტი არ გამხდარა, მალხაზის გამგედ მუშაობდა.

იცლებოდა მანქანები არყითა და ღვინიანი ყუთებით სავსე. ლაგდებოდა ვიტრინებში ძეხვეული. გამალებით ახარისხებდა მალხაზის გამგე პროდუქტებს. თვალის ერთი შეველებით ამოწმებდა ფაქტურას და ნაცადი ხელით აწერდა გვარს. როცა მალხაზის კარი იკეტებოდა, თითქოს მიწა-წყალს კარგავსო, ისე განადგურებული იდგა ვიტრინების იქით, — ქუჩაში და ხანდახან ყოვლისმომცველი შიში შეაყრიდალბდა კაცის ყულაბასავით სულს.

ერთ ჩვეულებრივ დილას, საწყობში შესვლისას, ღვინის ყუთებს შორის ჩამჯდარი გამყიდველი ქალი შენიშნა, ქალი ტიროდა ჩუმად, და მალიმალ იშემილდა ცრემლს.

— რა მოხდა? — სიტომ ხმა გაუფაქიზა მალხაზის გამგეს.

ქალი დამნაშავესავით გაჩერდა და სველ ცხვირსახოცს დააკეჭრა.

— ჰო, რა მოხდა, თქვი!

— ბავშვი მყავს ავად, ბატონო მალხაზ, სულ მარტოა სახლში, ოთხი წელი ჯერ არ შესრულებია, ვინ იცის, ახლარა დღეშია, — თქვა ქალმა და აქვითინდა.

— მერე რად მოხვედი?

— მაშ, რა ვქნა, ფული დამეჭვითება და სესხება აღარ შემიძლია.

— რამდენი დღეც გპირდება, დარჩი შინ, ჯამაგირი სრულად მოგივა სახლში.

— გამადლობთ, ბატონო მალხაზ, გამადლობთ! — ქალმა თავი დახარა და უკან დაიხია. უცებ ცარიელი ბოთლების ყუთს წამოედო და კინადამ წამოაქცია.

— ნელო, ქალო, რო ამტერევ, ფული ღირს ეგ, — ცივად ჩამორეკა მალხაზის ხმამ.

როცა მალხაზის გამგე ქუჩაში გავიდა და აზიზიმებულ ხალხს წააწყდა, წელანდელი საქციელი ბავშვობად მოეჩვენა; ავტობუსში ავიდა და ფანჯარასთან მოკალათდა. უცებ ქუჩაში მიმავალ ამხანაგებს მოჰკრა თვალი. მოდიოდნენ ხელჩართული საუბრით და ვერაფერს ამჩნევდნენ...

მალხაზმა დაკვირვებული მზერა გადადევნა ქუჩაში მიმავლებს და უცებ გამოცოცხლდა. სახის ნაკვთები გაეშალა, ხვალინდელი წვეულება წარმოიდგინა და ისიც, რასაც იქამ ორზე იტყოდა.

ერთ გოგონაზე უთხრეს, ძალიან უყვარხარო, პირდაპირ შემოხედვას ვერ გიბედავსო. თითქოს მაისის აალებული ვარდი მიუტანეს და შესთხოვეს, თუ შეიძლება დაყნოსეო; თითქოს დაყნოსა კიდევ, ისე ესიამოვნა და ძუნწი ღიმილი გამოიმეტა. როცა ის გოგონა ნახა, მის გამოხედვასა და გარეგნობაში შინაგანი სიფაქიზე და უჩვეულო გრძობიერება შეამჩნია. გოგონას ლამაზი არ ეთქმოდა, მაგრამ წყლიანი თვალებიდან იმდენი ხიბლი გამოკრთოდა, რომ კაცმა ცოტა უცნაურად იგრძნო თავი.

მერე ის გოგონა ცოლად შეირთო. მისდა გასაკვირად, ცოლად შეირთო ისე, რომ არ გამოუჩენია არც ანგარიშიანობა და არც წინდახედულება. ქალის ყოველი ჩვევა, მისი ხელების მოძრაობა, რაიმეზე თავმინებებული საუბარი და უშუალობა მარცვალ-მარცვალ ამოკენკა და მერე გულგრილი გამომეტყველება აღარ მოშორებია ლამაზი პიკისახიდან.

ერთხელ გულდაგულ გადაჩხრიკეს მალხაზაში საქონელი, თავბატიყი შორს დაიჭირეს, პირწმინდად უანგარიშეს დანაკლისი და სამი წლით გადაასახლეს; ამხანაგებმა, ნაცნობებმა შორი მანძილიდან ანუგეშეს და მისგანვე გაგონი-

მანანა ავალიშვილი
მომთხრობავი

ლი მოსაზრებანი გადმოუშალეს. მაშინ
კაცმა გაიფიქრა, რომ განუკითხობა
დათარეშობდა აზრთა სამყოფელში.

მეუღლე უცხო მხარეში გაჰყვა და
პატიმრობის თვალდაშრეტილი დღენი
გაინაწილა.

ნიავის ყოველ წამობერვაზე ქალის
კაბასავით გაიშლებოდა ქეიშა და ადა-
მიანს თვალისჩინი ებურებოდა. მზე
წვავდა მიწას და მზის მსურვალემა
ახმოვდა ჰაერს. ქალი მჭიდროდ დაგმა-
ნულ ფანჯარასთან იჯდა და საათობით
ელოდა მეუღლეს. ბავშვური გულახდი-
ლობით ესაუბრებოდა ქმარს. მზრუნ-
ველად ჰკითხავდა უგუნებობის მიზეზს.
კაცი ქოფაკივით შეუღრენდა, გააგება
დარევდა ხელს და დამპყრობელივით
აჩანაგებდა ქალის სულიერ სამყაროს.
მერე დუმილის მძიმე მოსასხამში გავ-
ხვეოდა და დიდხნობით არ ახსენდებოდა
ცოლი, დამგლოვიარდებოდა ქალის უს-
იტყვო მზერა და ტკივილი უფატრავდა
გულს.

როცა პატიმრობისაგან თავისუფალი
სადგურში მიაბიჯებდა, ჩემოდნებით
წელმოწყვეტილ ქალს ისე უტკიერდა,
თითქოს შორეულ ამბავს იხსენებო.

თბილისში ჩამოსვლისას გარეული
კატის შიშნეული სიფრთხილით მოფხო-
ჭნა ატმოსფერო და ხშირ უღვაშებში
ჩამალა გადატანილი დღეების მძიმე
კვალი.

ერთ დღეს, შინ დაბრუნებულმა ცო-
ლის კეთილშობილებითა და სიფაქი-
ზით სავსე არსებობა ვერ იგრძნო
ოთახში და აწრიალდა. ქალი არც მეო-
რე, არც მესამე დღეს არ გამოჩენილა.

კაცი სადარბაზოს კარებს აუყვავა. კი-
ბის ჩუქურთმიანი ხვეულების ჩრდილი
მოპირდაპირე კედელს ნახატავით ამშვე-
ნებდა. ზარი გაუბედავად დარეკა. კარი
მეუღლემ გაუღო. ფერწასულმა ქალმა
მოდიავებული ჭრილიდან შემოხედა
ქმარს. კაცმა დაინახა თუ არა მეუღლის
სახე, წინანდელი სისასტიკე დაუბრუ-
ნდა და თქვა:

— რა დღეში ხარ, რა ამბავია, უკუშ
ფეხი გამოჰყო, მეც...“

ქალს სახის ნაკვთები ნერვიულად
შეუტოვდა. უცებ მთელ სახეზე ყრუ-
ლისმომგვრელ იარასავით დააჩნდა ღი-
მილი და ყრუდ წარმოთქვა:

— ახლავე წაიდი

შეურთაცხოფისაგან, ტკივილებისაგან
აღრეული თვალებით შეხედა ქმარს.
თითქოს სანთლებს სული შეუბერესო,
ისე ჩაქრა ქალის არსებაში პატიებაც,
მიმტვევებლობაცა და მოთმინებაც. ქა-
ლი კარის ჭრილში გაუჩინარდა და სა-
კეტმა უსიამოვნოდ გაიჩაყუნა; კაცი
არეული ნაბიჯით დაეშვა კიბეზე, ქუჩა-
ში რომ გავიდა, სინათლემ თვალები
ატყინა, დაღამებული მზერიით დადიოდა
ქალაქში.

ერთხელ ძველმა ნაცნობებმა ექსკუ-
რსიაზე წაიყვანეს. ავტობუსმა კახეთი-
საკენ აიღო გეზი. ოჯახისკაცებივით დი-
ნჯად იდგნენ თივის ზვინები მოთიბულ
მინდვრებში.

როცა ალაზნის ველზე აღმოჩნდა,
მოეჩვენა, რომ შორიდან ცამეტიოდე
წლის ფეხშიშველა ბიჭი კისრისტეხით
მორბოდა მისკენ. ქარი დროშასავით
უფრიალებდა ხალათს. კაცმა თვალები
დახუჭა და იგრძნო, რომ მის გამოფუ-
ტურთებულ სხეულში ცამეტი წლის ბი-
ჭი შესახლდა. თითქოს მთებს მიმსხვ-
რეული ეჭო დაუბრუნდაო, ისე მოეხა-
ლა ბავშვობა და თამამად შემოარღვია
სულის გადასახედს აფარებული მჭვარ-
ტლიანი ქსოვილი. ტაძრის კედელს მი-
ეყრდნო, მხრებით იგრძნო ამ ნაგებო-
ბის ხელშეუვალი ძალა და საუკუნეო-
ბრივი სიამაყე. იგრძნო, რომ ახლად
თვალახელოლ სულს უმძიმდა ძველ სა-
მოსელში ყოფნა. შემოდგომის მცხრალი
მზე დაღვრილი თავლივით მოედინებო-
და მკერდგაშლილ ალაზნის ველზე.

თავდადრეკილმა მორჩილად შეაბიჯა
ტაძარში. იქ გრილოდა და წმინდა ჰაე-
რი მტრედის ბუმბულოვით ფარფატე-
ბდა მალალი გუმბათის სივრცეში.

მაცხოვრის ტანჯვით შეკვამლულ

თვალეებში დიდი დემილი ლივლივებდა. კაცი იდგა ტაძრის შუაგულში, დაპატარავებული, მხრებჩამოყრილი. გაბზარული დოქიდან წყალი რომ გამოეოწნავს ხოლმე, ისე გამოეპარა თვალთაგან ცრემლი და ხმელ დაწვზე გაიბრწყინა. ასე ლამაზი ბავშვობის მერე, აღარც ყოფილა. ფართოდ გახელილ თვალეებში ვარსკვლავივით ციმციმებდა სულისშემძვრელი სიცხადე პატიოსნებისა.

... და იმედი დედებოძივით წამოიშართა კაცის გულში, რომ მთლად არ წამხდარა, რომ სხეულში ყრუანტელმა დაუთარა მაცხოვრის წამებული თვალეების დანახვისას.

როცა ფაბრიკა-ქარხნებით, უმაღლესი სასწავლებლებით, კინოთეატრებით, მაღაზიებით, მანქანებით, ავტობუსებით, კაფეებით, რესტორნებით გავსებულ და ჭრელა-ჭრულა ხალხით აჭიკვივებულ ქალაქში ჩამოვიდა, ქუჩებში ისე ჩაი-

რა, რომ ალაზნის ველიდან წამოყოლილი ხელშეუხები სიწყნარე და უბიწოება ერთხელაც არ შეუშფოთებია.

ოთახში შესვლისას მოეჩვენა, რომ მისი მეუღლის შინდისფერკაბიანი ლანდი დადიოდა სკამებს, მაგიდას, ტახტს შორის: მოძრაობდა ჰაეროვანი რხევით და ნელ-ნელა წყალში გახსნილი საღებავივით ფერმკრთალდებოდა. „მე ახლა შვილებში უნდა ვიჯდე და ვასწავლიდე: — „დედამ დიდ ქებაში თათარა მოაღულა“...

უცებ ფანჯრიდან ვიდაცის მონჯორეული ხმა მოისმა:

— გარიკ, ზნაჩიტ, სამოცი თუმნის ამბავია, არა?

კაცმა ყურებზე აიფარა ხელი და ფიქრი განაგრძო!

„უხარიათ ქეთოს, თინას, ლადოსა და ჭოლას“.





გზა მშვიდობისა

ჩემიანებს ეგონათ, დიდი და სახე-
ლოვანი კაცი დავდგებოდი, მაგრამ იმე-
დი, მოგეხსენებათ, წშირად ღრუბელსა
ჰგავს, ქარი რომ დაჰკრავს და შორს
გადარეკავს...

სტუდენტობა რომ გავლიე და მეც-
ნიერ მუშაკობაზე უარი ვთქვი, ოჯახში
იწყინეს. მშობლების უხმო საყვედურ-
ზე ერთი კი თავი ვიმართლე, ყველას
თავისი გზა აქვს-მეთქი და მოვრჩი...
ვთქვი და გავჭერი — დავჯექი და რა-
ჭაში წერილი ვაფრინე: ბებია, ნატერა
აგისრულე, ნატერა! სულ ერთთავად
რომ გაიძახოდი, სანამ გზაზე არ დაგა-
ყენებ, რა მომასვენებსო, ახლა დღედა-
ღამ გზაზე ვდგავარ, — ავტოინსპექტო-
რი ვარ და მილიციის ფორმა მაცვია.

თურმე ნუ იტყვიო და, იმ კონვერ-
ტით ელდაც გამიგზავნია. ბებიას კრიჭა
შეჰკვრია და კარგა ხნის მერედა უთქ-
ვამს, ქვე სად გავამხილო, ხალხო, მთე-
ლი რაჭა კანდიტერია და ჩემი ბიჭი მი-
ლიციაში წასულაო.

იმედის გაცრუება ძნელია, ვერც ისე
ერთბამად მიეჩვევი და ბებიაჩემიც,
ერთი გამრჩე და სოფლის პირობაზე
ფრიად განათლებული ქალი, ჩემთვის
კარგა ხანს „ადამიანური“ სამსახურის
ძებნაში იყო.

ჩემი სამსახური ხაშურის ვადასარ-
ბენია... დედაქალაქიდან იმერეთისკენ,
ბორჯომ-ბაკურიანსა და მესხეთ-ჯავახე-
თისკენ და აქედან დედაქალაქში მიმა-
ვალი მანქანები ჩვენს საგუშაგოსთან
სვლას უკლებენ, თითქოს გვესალმებინან.
ძვირსალმიანებს ჩვენ თვითონ ვუხსნით
ავტოთავაზიანობის წესებს და გზას მე-
რედა ვულოცავთ.

საქმე არ ილევა. სხვა ასეთი შფოთი-
ანი უბანი საქართველოში იქნებ ვერც

კი დაგისახელოთ. მერე რა ზამთარი
იცის! მოვა და გულანაბლდს აღარ აიკ-
რავს. სხვაგან ყოჩივარდა მოილევა, ია-
ენძელა ჩაიკეკლუცებს და აქ კი თოვლს
საშველი აღარ დაადგება. თოვლი ბავ-
შვობაში მიყვარდა, ახლა პირველ
მტრად გადამექცა. რიკოთზე ზვავი ჩა-
მოწყება — იქით უნდა გაენთო, ჩარხის-
წყალთან მანქანა მოცურდება და უნდა
გაფრინდეს, დღე და ღამე სწორდება და,
ძილის ვარდა, ქვეყნად აღარაფერი მე-
ნატრება, თუმცა, ბედს მინც არ ვემ-
დღური — არჩევანი ჩემი იყო და, არა-
ღანზე რა გული დამწყედეს!

სურამში ვცხოვრობ, მამისეულ სახ-
ლში. ღვთის წყალობით, მშობლები ჯან-
მაგარნი არიან, ამაზე დიდი შედავათი
ცხოვრებაში რა უნდა იყოს. ვიდრე ცო-
ლი აქ ღუზას ჩამაშვებინებდა, დედა-
ქალაქისკენ თვალი ხშირად გამიბო-
და. ახლა სამი შვილი მყავს: ნანა, გია
და ხათუნა და აქაურობა სამოთხეს
მირჩევნია. ჩვენი ოჯახი სურამში რა-
ჭიდან გადმოსახლდა, ერთი სიტყვით,
გაქართლელბული რაჭველები გახლა-
ვართ, კარგა ხანია კილოც ქართლური
მოგვდევს და აქაურბიცი თავისიანად
გვთვლიან. რაჭაში მხოლოდ ბებიაღაა
და იმასაც მალიმალ მოგვევრი ხოლმე
ჩემს შვილებს და აბა მაშინ არის ჩვენ-
თან ზემი და გახარება.

სტუმრად ჩამოსული ბებია ორიოდე
კვირის თავზე მოიწყენს და იმის გუ-
ლის. დარდს ხელდახელ ვხვდები, რამ-
დენიმე ხანს კიდევ ვაცდი და მერე, ვი-
თომდა ყასიდად, ვამბობ: ხვალ რაჭაში
მგზავნიან, უმშველად უნდა ავიდე-
მეთქი.

ბებია გახარებულა, მაგრამ შორიდან
მივლის: ხომ არ მგონია, რომ სოფლის-

კენ ჩქარობდეს! სულაც არა, უბრა-
ლოდ, თუ მანქანაში თავისუფალი აღ-
გილი მაქვს, დამემგზავრება, ეგ არი და
ეგ, ისიც იმიტომ, რომ მერე წაყვანაზე
საგანგებოდ აღარ შევწუხებ. ადგილიც
მქონია? — კეთილი და პატიოსანი, მამ
ხვალ დილაადრიან გავდივართ.

ჩემი შვილებისა და ბებიას დამშვი-
დობებს რომ არ ვუტყვირო, გათენები-
სას მანქანასთან ვთადარიგიანობ. შინ,
ვიცი, დიდი დაპირებები, ხვევნა-აღერ-
სი და ცრემლის ფრქვევაა. წინათ ვითომ
არაფერიო, ახლა კი გულაჩუყება დამ-
ჩემდა და მირჩევნია, ამ ამბავს გავე-
რიდო. ეტყობა, წლებს თავისი გააქვთ.

ღეთის მაღლით, საქართველოში კარგი
გზები დავიყვანეს და მისელა-მოსვლა გავ-
ვიადვილდა, მოხუცი რაჭაში ამყავს და
უძალ სამსახურისკენ ვჩქარობ. ბებია
მშვენივრად იცის, რომ აქ სხვა საქმე
არაფერი მაქვს, იღიმება და მლოცავს,
მშვიდობით იარეო.

ერთი კვირაც არ არის, რაც ბებია შინ
ავიყვანე და მისი წერილი, სასწრაფოდ
ჩამოდიო, რაღა თქმა უნდა, შემამინებ-
და. ნეტა რად მეძახის, ალბათ რაღაცა
უჭირს-მეთქი.

... გორი გადავჭერი, ცხინვალს გავ-
ციდი, კეხვის კეხურებს ჩავუჭროლე,
კეისის სამადნო ჩამოვტოვე, ქვედრუ-
ლას გადასახვევს ავუარე, დამეწყრილ
ნასოფლარ სომიწოს თვალი ვკიდე, ონი
ჩავათავე, ნიგვზნარას აღმართს შევუ-
ტიე, წესამდე დარჩენილ თღრთოლოდ
ბოლო მოვუღე, უბანი ავანმაურე, მან-
ქანა ნაცნობ ჭიშკარს მივაგდე და ჩა-
მოვქვეითდი.

ჩემი წინაპრის სამოსახლო სუფთა და
ლამაზი ეზო-კარია, მაგრამ ახლა ვერა-
ფერს ვამჩნევ — დარდი მკლავს, მოხუ-
ცი ავად არ იყოს-მეთქი.

გაბადრული, მკლავგაშლილი ბებია
ეზოშივე ქოთქოთით მეგებება, მეხვევა,
მკოცნის და მლოცავს.

— როგორა ხარ, ბებია? — ვეკითხე-
ბი, — წერილმა შემამინა, ავად მეგონე.

— რას ამბობ, შვილო, ჩემს ავადობა-
ზე შეგაწუხებდი? თავი ნუ მომიკვდება,

საქმე მაქვს, საქმე, რომ, ამის დარღვი-
ძილი გამიკრთა...

წინათ ოჯახის ამბებს დაწვრილებით
რომ გამომკითხავდა, ახლა მოსმენაც არ
უნდა, და თუმცა ახლომანლო კაცის ჭა-
ჭანება არ არის, თვალებს მაინც აქეთ-
იქით აცეცებს, ღობისკენ მეწვევა — რა
არის, საიდუმლოს ყური არავინ მოჰკრა-
სო და რაღაცას ჩურჩულით მანდობს:

— კალინიკე კაციტაძე, ბაჩუნია ქვის-
როლიას ბაბუა, იცი შენ!

— ვიცი, ბებია, მაგრამ, რა ცეცხლის
კიდებაა, ჯერ შინ შევიდეთ, დავსდეთ,
ვისაუხშობთ...

მოხუცი ხმალშემართულია და ჩემი
სულაც არ ეყურება.

— იმხელა საცხობი, მაგას რო აქვს,
მთელ რაჭაში რომ არ არი, ისიც გეცო-
დინება!

— ვიცი, ბებია.

— ჰოდა, შვილო, ლაპარაკი მოსვლია
უფროსებთან და სამსახურიდან ითხო-
ვენ.

— ლაპარაკი კი არა, ბებია, ჩხუბი
მოსვლია.

— მერე, შე კაცო, ეგ სულ ერთი არ
არის?

— სულ ერთი როგორ არის, მე ყო-
ველდღე ვლაპარაკობ, მაგრამ სამსახუ-
რიდან არავის მოვუხსნივარ.

კლდე რომ კლდეა, დღეს ბებიაჩემი
იმზე უფრო უტყბია.

— როგორც მითხრეს, შვილო, საცო-
დავ კალინიკეს პენსიაში გააგდებენ.

— პენსიაში გააგდებენ, რას ჰქვია,
ბებია?

— პენსიაში თავის ნებით რომ არავინ
გადის, არ იცი შენ?

კალინიკე კაციტაძე არც ჩვენი ნათე-
სავია და არც ახლო მეზობელი, რა ხა-
ნია ამ სოფლიდან აყრილა და ახლა
იმისი თავი ბებიას ასე რატომ აღარ-
დებს?

მოხუცის გაკვირვებას საზღვარი არა
აქვს. ამოდენა კაცი ვარ და ერთი ბეწო

უხრავ რცხილამ
გზა მშვიდობისა



გამჭირახობა არა მაქვს. როდემდე უნდა ვიყო სხვისი საპატრონო, დრო აღარ დადგა, მე თვითონ გავანძვრიო ჭკუა, მივდგე-მოვდგე, შორს გავიხედო და ამ ცხოვრების ავ-კარგი შევიტყო? სწორედ რომ, საკვირველია. ბევრი რომ არ გააგრძელოს, ამას ფიქრი აღარ უნდა, ეს ცხოვრება ბებიამ უყეთ იცის, მე ყველა მიცნობს, უარს არავენ მეტყვის, საცხოობის გამგის ადგილი ყოველდღე კი არ თავისუფლდება, კალინიეე კაცი-ტაძე აგერ ოცდათხუთმეტი წელია იქ ზის, ამაზე კარგ ადგილს მე ვერ ვიშოვი, მხოლოდ ერთი დატრიალება დამჭირდება. ხალა საქმე დასწრებაზეა, ასეთ ადგილს უქმად ვინ გააცდენს, ნახევარ რაჟას თვალი უჭირავს ზედ. ამიტომ და იმიტომ და, კიდევ ბევრი რაღაცეების გამო, ბებია ღამის გასათევად არ მეპატიებება, ხელდახელ მასაუზმებს და გზას მილოცავს. მე გულს ვუმშვიდებ: ნუ გეშინია, ბებია, ისე ჩათვალე, თითქოს ეგ საცხოობი აი აქეთ, მარჯვენა ჯიბეში შედოს. კალინიეეს თუ პენსიაში გაუშვებენ, მაგ ადგილს ვერავენ წამართმევს-მეთქი.

ბებია განარებულა.

— ჰო, შვილო, იქჩარე, თორემ მიღარაჯებულა ხალხი, დმერთმა გიშველოს!

— მიშველის, ბებია, აბა არ მიშველის? დარდი ნუ გაქვს, კარგად იყავი, კარგად!

მოხუცი ისე გულამოსკენით მოლოცავს, — საჭეს ხელიც რომ გავუშვა, მგონია, ხიფათს მინც არ გადავეყრები...

ფერდებჩალეწილ გზაზე მანქანა ონამდე ხენეშის და ოხრავს, ონიდან ოსეთამდე შვებით ამოისუნთქავს, მერე გორამდე ნავარღზე გადადის და შუა ქართლის გზის სარკვეზე გალაღებულ ფრინველს ემსგავსება.

ნაშუადღევს საგუშაგოზე ვცხადდები. მორიგე ინსპექტორი, ზემდევი ხვედელიძე ჯიხურში შესულს მხედრულად მესალმება და პატაკს მიაბარებს.

ღილიდან აქ სიმშვიდე ყოფილა, მხო-

ლოდ ერთი მთვრალი შოფერი დაუკვებიათ.

— ვინ არის?

— იაგორას ბიჭი...

— ნასვამი იყო, თუ მთვრალი?

— გალენილი. თავს ახლაც ვერ იღებს, შუა ძილშია.

იაგორა მალაციძე ხაშურელი კაცია. ომიდან ხეიბარი დაბრუნდა, ჯანგამოცლილს ეგ ერთადერთი მარჩენალი ბიჭი ჰყავს, ხე-ტყის დამზადებაზე შოფრად მუშაობს, მაგრამ, რა გინდა, ბოლო დროს ღვინოს მიეძალა, ბევრჯერაც გავაფრთხილეთ, მაინც არ გაჯრა.

— სად ჩამოსვით? — ვეკითხები ხვედელიძეს.

— ჩუმათელეთთან.

— გავიძლიანდათ?

— არც მაგის თავი ჰქონდა.

— ეგრეა. წვროლმანზე თვალი რომ დავხუჭეთ, თავს იმიტომ გაუვიდა... უბედურება რომ დაეტრიალებინა, ჩვენი ბრალი იქნებოდა. საბუთები ჩამოართვი?

— ყველაფერი. ექიმის დასკვნაც არის...

— სანამ გაიღვიძებდეს, საბუთებიცა და ოქმიც გადაგზავნე.

ჯიხურიდან უგუნებოდ გამოვიდვარ. მოვიღალე კიდევ, საკმაოდ მომშვიდა და თავიც მტკივა. საგუშაგოს შორახლო, გზიდან ოციოდე ნაბიჯზე, ფიცრული ღვას — ინსპექციის საგზაო შტაბი — დამრეცი კიბე და ოჩოფხებზე შემდგარი ორიოდე ვიწრო ოთახი. ღრეჩობებიდან, ავდრისას, ქარი შიგ არხეინად დასეირნობს, სიცხეში კი ისეთი ბული ტრიალებს, ორთქლის აბანო მონაგონია. კარს გასაღებით ვაღებ, ვიწრო ოთახში შევიდვარ და ხმელ სკამზე ვჯდები.

აქ ავტომობილის სამყაროა: კედლებზე მოძრაობის წესები, საგზაო ნიშნები, ნავარიები მანქანების სურათებია. თვალს ვერ აარიდებ, თუმცა, მე თუ მკითხავ, მთელი ეს სასარგებლო ჭკუის დარიგება იმ ერთ ფრთიან თქმად არა ღირს, ამ ბოლო ხანს მანქანებს ძარა-

ზე რომ წავაწერეთ: — მძლოლო, ნუ ჩქარობ, გახსოვდეს, რომ შინ გელოდებიან!

მწვანე მათემატიკურ მავიდაზე ქაღალდები, საწერ-კალამი, ქართული წყლიანი ღოჭი და ტელეფონია.

ჩვენი ფიცრული გზიდან ოდნავ მოშორებით დგას და მანქანების ხმაური აქამდე ძნელად აღწევს. მყუდროება შეამება და ერთხანს გარინდული ვზივარ, მერე ერთბაშად ყურმილს ვიღებ და ვრეკავ:

— გარაჟია?

— ღიახ...

— გამარჯობა, ეკა, როგორა ხარ?

— გამარჯობათ, ბატონო, როგორ გიკითხობთ? — ეკა ხმაზე მცნობს და მბირდება, რომ უფროსს ახლავ და მალაპარაკებს. ყურმილში ტაკუნის, შრი-ალი და ისეთი ხმები ისმის, თითქოს ქვის იატაკზე ღილები დაეხანათ.

ცოტა ხანში უფროსი, ვანო ლოლაძეც მესმიანება. ეტყობა უთხრეს, ვინცა ვარ და ცოტა შეშფოთებულია, ღმერთმა ნუ ქნას, ისევე ავარიის თაობაზე ვრეკავდე. ვაწყნარებ, მშვიდობაა-მეთქი და შინაურულად ვესაუბრები.

... იაგორა ხეიბარს ვანო კარგად იცნობს. ისიც იცის, რომ იაგორას შვილი შოფერია, ხე-ტყის გადაზიდვაზე მუშაობს და ოჯახის ერთადერთი მარჩენალია, მაგრამ ის კი არ იცის, რომ ახლა გარაჟში სამუშაოდ უნდა მიიღოს.

— იაგორას ბიჭი? ლოთი ლევანა?! — ვანომ ქვა აავდო და თავი შეუშვირა, — თქვენი დიდი ხათრი მაქვს, მაგრამ მაგას მანქანაზე ვერ დავსვამ, უბედურებას გადამყრის და თვითონაც გადაყრება...

— მოიცა, მოიცა... რა გაცხარებს. ვერ ერთი, ეგ ბიჭი ლოთი არ არის. ღვინოს რისთვისაც მიეძალა, შენც კარგად იცი. ხვალ ან ზევ ის აბაიძის გოგოც მოტყდება, ცოლობაზე დათანხმდება და ეგ სმაზე ხელს აიღებს. მეორეც — გულითაც რომ გინდოდეს, მანქანაზე ვერ დასვამ, მართვის უფლება ერთი წლით ჩამოვართვით. ამას წინათ არ და-

იჩივლე, გარაჟში ხელოსანი მაკლიათ, ჰოდა, მაგ ბიჭს მანქანა რომ არ ესწავლება, კარგად იცი. რახან ერთი გზას ასცდა, ახლა ამ გზიდან მთლად ხომ არ გადავჩეხავთ! შოფრობა მაგის ხელობა და ერთი წლით ხელი ავადებინეთ, თუ ჰკუთ ისწავლა, კარგია, არადა, თავის თავს დააბრალოს. მოკლედ, ხელოსნად უნდა აიყვანო... რა იყო, რას გაჩუმდო?..

— იმას გავჩუმდი, რომ იმ გოგომ ისევე თუ არ გაიკარა, ეგ ბიჭი სმას არ მოიშლის...

— არ მოიშლის და, დაითხრე — არ მეწყინება. ან არადა, ის გოგო რაღამ გაადიდგულა, შენი მდივნის ამხანაგი არ არის? გაიგე, რა აქვს გუნებაში.

— აბა ჩემგან რა ხანუმა გამოვა?

ყურმილში კვლავ სიჩუმე ჩამოწვა, რაც იმას ნიშნავს, რომ იაგორას ბიჭს ხელობა გამოვუტყვალეთ. საქმე რაკილა მოვათავე, დავემშვიდობები-მეთქი, მაგრამ ანკესი ახლა იქიდან მესროლეს:

— ჩვენთან როდის გამოვილი?

მივხვდი: გასამარჯელოს მთხოვდნენ.

— საქმეა რამე?

— ის დაღეწილი ავტობუსი აღვადგინეთ და შენ უნდა შეამოწმო.

ხვალ გამოვივლი-მეთქი, — დავბირდი, დავემშვიდობე და თანაც გამიხარდა, რომ იაფად გადავრჩი.

ფანჯრიდან ვამჩნევ — ხვედელიძემ რიკოთისკენ მიმავალი მანქანა გააჩერა. მძლოლი ისე მარდად გადმოხტა, ვიფიქრე, საბუთები რიგზე უნდა ჰქონდეს-მეთქი. ცოტა ხანში ზემდეგი მძლოლს დაეხსნა, — ესე იგი, ალღომ არ მიმტყუნა. კარგია. მთავარი კი ის არის, რომ ხეიბარის ბიჭი — დაბღური ლევანა სამსახურში მოვაწყე, თორემ იაგორას ცოდვით დავიწვევბოდი.

ფოსტაში ვრეკავ და ვთხოვ, ამბროლაურში რაიკომის მეორე მდივანი დამაკავშირონ. ცოტა ხანში, გაბმულ ზარზე ყურმილს ვიღებ, ჩემს ყოფილ თანაკურსელს ვეხმიანები, როცა ვინაობას ვუმედავებ, იმის გაცეხას სახლვარი

ფურაბ რინილაძე

გზა მშვიდოვისა

არა აქვს — საიდან, როგორ, მე უგუ-
ლოს რამ გამახსენა, თორემ მას ყვე-
ლაფერი ახსოვს — სტუდენტობა, სესი-
ები, სიცივე, შიმშილიც და, ასე გასინ-
ჯეთ, წესში ბებიაჩემთან ხშირი სტუმ-
რობაც. მეც ეგ მინდა.

— მაშ ბებიაც ვახსოვს?

— რას ამბობ, იმას რა დამავიწყებს?
გვაქეიფებდა, დაგვტვირთავდა, გამოგ-
ვატანდა... ცოცხალია? როგორ არის?

— ცოცხალია, ყოჩაღად არის და ასე
გითვლის, დიდი კაცი რომ გახდი, ჩემი
პურ-მარილის მადლი ხომ არ დაგვიწ-
ყებიაო.

— ვისა? მე? რა დამავიწყებს... რა
მოხდა, რა ამბავია?

— რა ამბავია და, მომისმინე... კალი-
ნიკე კაციტაძე თუ გავიგონია?

— მაგის საკითხი ხვალ წყდება.

— მერე, ღმერთი აღარა გწამთ? კაცს
ამდენი ხანი უსაყვედუროდ უმუშავია
და კინწისკვრით უნდა გააგდოთ?

— ვინ ვითხრა, რომ უნდა გავაგდოთ?

— აბა რა გაქვთ გუნებაში.

— საყვედურს აკვიდებთ.

— აგაშენათ ღმერთმა! ბებიაჩემმა
დამაბარა, ასე გადაეცი, შარვალ-ხალათს
რომ გიუთოვებდი, დილდილობილ კეცის
ხაჭაპურს რომ მოგართმევდი, არ და-
გავიწყდეს და, კალინიკე კაციტაძეს პენ-
სიაზე ნუ გაუშვებო.

ყურმილში დაპირება მესმის, რომ
ბებიაჩემს ხათრს შეუენახავენ და საც-
ხობის გამგეს, მხოლოდ მისივე თონე-
სავით შეახურებენ.

მგონი, ეს საქმეც გაიჩარხა. ნელ-ნელა
გუნებაზე მოვდივარ. ხვალ ბებია-
ჩემს წერილს გავუგზავნი და სინანულ-
ლით მოვახსენებ, იღბალი არა მქონია,
კალინიკეს საყვედური აკმარეს და სა-
მუშაოდან არ დაუთხოვიათ-მეთქი.

ხანი გადის და სამსახურის კიბეზე კი-
დეგ ერთი საფეხურით მაღლა მივიწევ.
მეზობლებს რას გამოაპარებ და, შენი
შვილიშვილი გზის უფროსი გამხდარაო,
უმალ ბებიაჩემისთვის ჩაუკენჭაოთ. გზას
რა უფროსობა უნდა, მოხუცს კარგად
ვერც კი გაუგვია, მაგრამ სიტყვა უფრო-

სი თურმე მაინც ეამა. რა მნიშვნელობა
აქვს, რას ვუფროსობ, მითავრია,
რომ უფროსი მქვია და, რადგან ამას
მივალწიე, დღეის ამას იქით, მოხუცი ჩე-
მი ხელობის გამოცვლაზე ნატვრას გუ-
ლიდან საბოლოოდ გადაიგდებს. ბედი
ყოფილა და ყისმათი, რას იზამ, კაცს
რაც გიწერია, იმას ვერ გაექციე...

შულადამისას ტელეფონის ზარი მადვი-
ძებს — დატვირთული თვითმცლელი
მოცურებულა, მსუბუქ მანქანას დასჯა-
ხებია, ჩხერიმელაში გადაუჩებია და
თვითონაც გადაჰყოლია.

ამწე, მუხლუხა მოამზადეთ, საგზაო
ბრიგადა ფეხზე დააყენეთ. ტროსები
მოიმარაგეთ, სასწრაფოს შეატყობინეთ,
მოვდივარ-მეთქი, და ტანსაცმელს ვე-
ტანებ. ღია კარს იქით, ვხედავ, მოხუ-
ციც გამალუბით იცმევს.

— რა მოგივიდა, ბებია, — ჩურჩუ-
ლით ვეკითხები, ბავშვები რომ არ გა-
ვალეძო.

— არ მეძინა, შვილო, და ტელეფო-
ნით რაც ილაპარაკე, გავიგე ყველაფე-
რი, უშენოდ ეგ საქმე არ მოგვარდება?

— არა, ბებია...

— ქვე მაგის გულისთვის მიღიხარ ამ
ავღარში?! შენ დაიძინე, მე წავალ.

— არა, ბებია, ამ ერთხელ მე წავალ,
შენ მოისვენე, სხვა დროს შემეშველები.
ქარი გლუჯს ყველაფერს და ბებიას
ამიტომ ვეცოდები, ძალიან ვეცოდები,
აქი მეუბნებოდა, რომ უბედური სამსა-
ხური მაქვს, მაგრამ ჯიუტი ვარ, ჯიუტი,
თორემ საქმეს აქამდე ათჯერ გამოვიცვ-
ლიდი.

კარგა ხანია გამოიდარა, ეს იმას ნიშ-
ნავს, რომ მანქანების სისწრაფეზე თვა-
ლი უნდა გვექიროს. ცნობაც მივი-
ღეთ—ბორჯომს იქით მტკვარი მოუწამ-
ლიათ და უამრავი თევზი გამწყდარა.
დილიდანვე ყველა გზაჯვარედინს ვდა-
რაჯობთ. ბევრი თევზი თუ დახოცეს,
მაშ გასაყიდად სდომიათ, რაკი გასაყი-

დად უნდათ, დღეს ან ხვალ გაზიდავენ...
თითქმის ყველა გზადმიმავალს ვაჩე-
რებთ, მაგრამ კვალი არა და არა ჩანს.

... მოკრიალებულ გზატკეცილზე,
შორს, ცხრამუხასთან, თეთრი წვრტილი
ჩნდება და საოცარი სისწრაფით გვიახ-
ლოვდება. წამშომს ერთვ — ას ოცს
მაჩვენებს. მანქანა ჯიხურთან დინჯდება
და არხეინად გვერდის ავლას ცდილობს.
ვაჩერებ. მძღოლს ვადმოსვლას ვთხოვ
და საბუთებს ვუსინჯავ, მანქანის შიგ-
ნიდან ორი ბუთხუზა ბიჭი — ტოლად
ვაჭირილი ერთი ვაშლი — ფანჯარას აწ-
ყვდება: ნეტა რა ხელი აქვს ამ შარბან
ინსპექტორს ამით ლამაზ და უწყინარ
მამასთან. მამა კი მართლა კარგი ვაჟკა-
ცია, მიღიმის, მაგრამ, ღმერთო შეგცო-
დე და, მეჩვენება, თითქოს ქედმაღლუ-
რად მიცქერის. ვაკვირდები: იღბლიან,
ქულებდიან კაცსა ჰვავს, ცხოვრება ად-
ვილად რომ მოსდის.

— ჩქარობთ... — ვეუბნები დინჯად.

— საქმე ვაჩქარებს, — ისე გულ-
დაჯერებით მიბასუხებს, თითქოს მე აქ
სალაღობოდ გამოვსულვარ და ამას კი
ქვეყნის მისალაგ-მოსალაგებულ წუთებს
ვაკარგვინებ. ვიცი, რომ სიბრაზე ჩემი
საქმის მტერია და ვცდილობ გრძნობა
აქვე მოვთოკო.

— წესებს არღვევთ!

— ბევრს არაფერს, ცოტა სწრაფად
მოვდიოდი...

— თქვენ ცოტა სწრაფად კი არ მო-
დიოდი, ძალიან ნელა მოფრინავდით, —
და წამშომს ვუჩვენებ. — ეს ხელსაწყო
სისწრაფეს ზუსტად აღნიშნავს, ოჯახი
მოგყავთ?

— დიას.

— თავი არ გებრალბათ, მაგრამ შვი-
ლები?!

ერთმანეთს თვალებით ვზომავთ. რა
ვქნა, რა გავაკეთო! ეს ისეთი ჭურის
კაცსა ჰვავს, საბუთებიც რომ ჩამოვარ-
თვა, ეტყობა, დიდად არ ინადვლებს.
არც ახლის აღება გაუჭირდება. თითქოს
ვილაცეებისაგან რჩევას ველოდი —
იქაურობას თვალი მოვავლე და... სწო-
რედ „იქაურობამ“ რალაც მიკარნახა.

— წამომყევით! — ვეუბნები.

უყოყმანოდ, არხეინად მემორჩილება,
გზიდან მოშორებით, სახელდახელო
შემოღობილში ბრეზენტგადაფარებულ
მანქანასთან მიმყავს.

— აბა, ერთი ეს ბრეზენტი ასწიეთ!

გაკვირვებული მძღოლი ბრძანებას
უხალისოდ ასრულებს.

— უფრო მალა, ცოცხლად, კიდე! აი
ასე, ხედავთ?

ხედავს, კარგად ხედავს ამ ჯართს,
ავარიამდე მანქანა რომ ერქვა — ჩაღე-
წილ შუშებს, სახურავამდე ამოხნეწილ
გალუნულ საჭეს, ანჯამამოგდებულ კარს,
გადატეხილ სახურავესა და ზედ ფართო
ლაქებად შემხმარ სისხლსაც.

მე ახლა თავს რად ვიტეხავ? რად და
იმაღ, რომ ამ მიამიტმა, მაგრამ ნაღმა
გაკვეთილმა ვინძლო ამაოდ არ ჩაია-
როს, მოწმობაში ჩაწერილ გაფრთხილე-
ბაზე უკეთ ვაჭრას და ამ ახოვან რეგ-
ვენს ცოტა ხნით მაინც დაახსომოს, რომ
გზა და ხიფათი ტყუბი ძმები თუ არა,
კარის მეზობლები მაინც არიან.

საბუთებს ხელუხლებლად ვუბრუნებ
და გზისკენ ვჩქარობ. მძღოლი კი, მგო-
ნი, ნირწამხდარია და საყუთარი მანქა-
ნისკენ მიმედ მიემართება.

— სხვათა შორის, ვამბობ იმის გასა-
გონად, — ამ მანქანაში ოჯახი დაიღუ-
პა, — და ჩემთვის, გუნებაში ვამთავ-
რებ: — თქვენ ჯვარი გწერიათ.

ფეხდაფეხ, ჩემს შესვლაზე ჯიხურში
ტიკივით დასიებული ორი უცნობი მო-
ურიდებლად შემოგორდა.

ერთ-ერთი, უფროსს რომ ჰვავს, ვი-
ნაობას მეკითხება, ჩემი ნახვით დიდად
გახარებულა, მესალმება და წერილს
მაწვდის, რომელსაც ლამაზად აწერია:
ლერი მაისაშვილს.

ბებიაჩემის ხელს ცნობ და ლამის
მუხლები მომეკვეთოს, სწრაფად ვხსნი,
ვკითხულობ და თანდათან ვწყნარდები.
მოკითხვა-სალმის შემდეგ მოხუცი მე-
ტად მნიშვნელოვან და საგულისხმო

უპრავ რხხილაძე
ზაზა შვილიძისა



საქმეზე გადადის, რაც ჩემს ენაზე „ყვე-
ლას მამიდობას“ ნიშნავს: ამ ბარათის
მომტანი თურმე ჩვენი კაი მეზობლის,
კოტე კერესელიძის ვაჟია, ამის მამას
ქვეყანაზე რომ არაფერი უჭირს, კარ-
გად მომეხსენება, ვაჟიშვილს „ვოლგას“
და „ფიატს არ დააკლებდა, მაგრამ ამან
ერთი რომ თქვა, „ვილისიო“, არ იქნა
და არ გადათქვა, ეგებ რამენაირად მო-
ვუხებო, ცოდვია ბავშვი, დარდით ჩა-
მოხმაო.

გულზე მომეშვა — ბებია ყოჩაღად
ყოფილა და მეც სხვა არაფერი მალელ-
გებს.

ხან გვარიანად დაჰმუჭნილ წერილს
და ხანაც ჩემს სტუმრებს ვაკვირდები
და ძალიან მინდა შევიტყო, ამ ღვინით
გატენილი ორი ტიკიდან რომელია
დარდით ჩამოხმარი.

ტიკები კი დგანა და ჩემგან საჩუქრად
„ვილისს“ ელიან.

— რა გქვია? — ვეკითხები ბარათის
მომტანს.

— მე, ჯიბილო, ამას — სერგო. —
მოყვარეა ჩემი...

— მაშ „ვილისი“, უეჭველად „ვილი-
სი“, არა?... „უეჯული“ ან „ვოლგა“ არ
გინდა?..

— ჩვენკენ, მთაში, მხოლოდ „ვილი-
სი“ თუ გამოდგება, — და ცოტახნის
შემდეგ შემზარავად ამთავრებს: — კარ-
გი იქნებოდა, ორკარიანი.

ვამა! ორკარიანი სდომნია. ძალიან
კარგი. იქნებ ოთხკარიანზე უარი თქვას,
მაშინ ეს საქმე უცბათ მოთავდება და
ვეკითხები:

— ოთხკარიანზე... ოთხკარიანზე რას
იტყვი?

— ორკარიანი კარგია, სოფლად ის
უფრო ფასობს...

აქამდე წერილმა საგონებელში თუ ჩა-
მაგდო, ახლა რომ ვაკვირდები, მგონი,
თითონღე მიშველოს: თარიღიდან ჩანს,
კარგა ხნის გამოგზავნილია, რაც უეჭვე-
ლად ხელს მიძლევს. სახეზე ჯავრს ვი-

წებებ, ხმაში ბრახს ვისხამ და შემტან-
ზე გადავდივარ:

— თქვე კაი დედ-მამიშვილებო, ამის-
თანა საქმე გქონიათ და სად იყავით აქ-
ამდე, რამდენი ხანია, ამ წერილს ვე-
ლოდები, იმედიც გადაწყვიტე, ალბათ
გადაიფიქრეს-მეთქი, თბილისს სწორედ
გუშინწინ შევეუთვალე, მანქანები წელს
არა გვჭირდება-მეთქი. ისე კი, გული
ნუ დავწყდებოთ, როგორც გადმომცეს,
წლელს მხოლოდ ოთხკარიანები ჰქო-
ნიათ, — და ცოტა ხნის მერე სინანუ-
ლით ვამთავრებ; — არა, მაინც სად იყა-
ვით აქამდე!..

— აღარაფერი ეშველება? — შეიც-
ხადა ორივემ.

— აკი ვთქვი, შევეუთვალე-მეთქი...

მთავარი ტიკი აფეთქდა, მიტრიალდა
და მოყვარეს დაეჭახა: — შენი ბრალია,
შენი!..

— ჩემგან რა გინდა? — არ დაიჩუტა
მეორე ტიკი.

— ჭიათურაში, შენს ნათლიასთან რომ
არ გაგვევლო, მოვუსწრებდით... აიტე-
ხე და აიტეხე!..

— შე კაცო, ჭურის თავს ვეღარ მოგ-
წყვიტე, ძალა რო არ მეხმარა, იქ იქნე-
ბოდი ახლაც.

წაიკიდნენ, ნათელ-მირონი დაივიწყეს
და ერთმანეთს რალა არ უთხრეს. არ
ჩაგრეულვარ, დავაცადე და გულიც მო-
ვიოხე. მერე მინდოდა მეთქვა, აქ საჭი-
დაო ხალიჩა არ არის-მეთქი, მაგრამ
თქმა აღარ მაცალეს, დაუმშვიდობებ-
ლად გამეცალნენ. მგონი, ანგარიშის გა-
სასწორებლად სხვა ადგილს მიაშურეს...

მე კი წერილი გავკეცე, ნაკეცზე
ფრთხილად გადავხეი, წინა ნაწილი მო-
ვაცალე და მაგიდაზე, შუშის ქვეშ ისღა
ამოვდე, რომელზეც გარკვევით ეწერა:
გოცნის შენი ბებია.

მართლა, რამდენი რამე გიამბეთ და
ბებიჩემის სახელი კი არ მითქვამს.
თუმცა რა, საქართველოში არც ერთ
ბებიას სახელი რომ არა აქვს, თქვენც
კარგად მოგეხსენებათ. ჩვენში ყველა
ბებიას მხოლოდ ბებია ჰქვია.



სსსრ კულტურის მინისტროს

ვიქტორ ლინონოსოვი

რალან უნდა მოხდეს

ახალ სახლში მთელი დღე ლესავ-
დნენ კედლებს, ეზიდებოდნენ, ზელ-
დნენ და ჯინებით მოათრევდნენ თიხას.
მოუმათავრებელი ოთახების საფანჯრე
სიოებიდან ტყაპუნი და ქალების ლა-
პარაკი ისმოდა. ახალშექმნილი ოჯახი
ახალი სახლის შენებას ამთავრებდა,
დამხმარედ მეზობლები მოეწვია.

ვერ შეამჩნიეს, მზემ ისე დაიწია და
დამრეცი გორაკიდან ფართო ველდამ-
ლობზე გამოანათა. ასე ექვს საათზე
ოჯახის დიასახლისს, ვალიას, მუშაობა
უკვე მიეტოვებინა, ეზოში სახელდახე-
ლოდ დადგმული ღუმელი აეგოზგიზე-
ბინა და ვახშმისათვის კარტოფილის
საფტქვენლად ჩამომჯდარიყო.

რვაზე დანარჩენებმაც მოათავეს ლეს-
ვა. მამაკაცებმა თამბაქო გააბოლეს, ქა-
ლები კი დასაბანად წავიდნენ.

— მგონი დავამთავრეთ, — თქვა ოდ-
ნავ ელამმა ზინამ, დიასახლისის მეგობ-
ბარმა ქალმა. — ვალია, აბა ერთი ჩა-
მომისხი ვედროდან. — მან თამამად
წამოიძრო ტანიდან მამაკაცის ძველი
პერანგი.

— ფარდულს მაინც მოფარებოდი, —
დაარცხვინა იგი ვალიამ. — ირგვლივ
ქვეყნის მამაკაცებია.

— მეტი საქმე არ აქვთ, მე მიყურონ.
ზომ ხედავ, თავისთვის ეწვევიან.

— მაინც, ყოველ შემთხვევისთვის,
ძაან ნუ გათამამდები ახლა.

— რისი უნდა მეშინოდეს! — თქვა
ზინამ და ფარდულს უკან, ბოსტანში

გადაინაცვლა. — მე თვითონ ვარ ჩე-
მი თავის პატრონი.

— ამ ბოლო დროს რალაც მხიარული
მეჩვენები.

— რა ვქნა, ვიტყვი? ცოტ-ცოტა და-
მისხი.

ზინამ ყელ-კისერი და მკლავები ჩა-
მოიბანა. ვალიამ სუფთა ტანსაცმელი
გამოუტანა და ჰკითხა:

— დღეს თუ იქნება სურათი?

— ამბობენ, მექანიკოსი წასულა.
მგონი მოუტანია.

— ნეტავ კომედია იყოს, თორემ
სულ ერთსა და იგივეს ატრიალებენ.
რალაცნაირი მექანიკოსი გვყავს.

მალე ვახშამმაც მოაწია. ზინა კუთ-
ხეში დაჯდა; ვალიას ქმარმა, ზორბა, გა-
უპარსავმა მამაკაცმა, მაშინვე მისკენ
გადმოინაცვლა.

— დეე, უფრო ახალგაზრდებთან ვი-
ყო ახლოს.

— ეგ ყოჩალი გვყავს, — შეაქო ვიდა-
ცამ. — ჩვენ დროში ასეთები ცოტაა.

— ეს რა არი, კოვზები რომ არ მო-
გაქვს, ქალბატონო? — წამოუძახა ვალი-
ას ქმარმა.

— უო, ამ გაწამაწიაში სულ დამა-
ვიწყდა.

— თითო ჭიქა არაყიც გამოგეტანა.

— ხვალ გამოგიტანთ, — შეჰპირდა
ვალია, — დღეს მოითმინეთ. ხვალ რო-
გორმე მოვრჩებით, მაშინ ყველაფერს
მოგართმევთ.

აუჩქარებლად ვახშობდნენ, თან სა-

მუშაოზე ბჭობდნენ, ხუმრობდნენ. ერთი საათის შემდეგ კი, როცა მეზობლის ქალები თავიანთ საოჯახო საქმეებზე მოჰყვენენ ჩვილს და წასასვლელად აწრიალდნენ, ზინას ქუჩიდან ბავშვის ხმამ გამოუხმო. იგი გავიდა და ვიღაცას ჯერ ჩურჩულით დაუწყო ლაპარაკი, მერე კი უცებ ხმამალა, მკვანხედ უბასუხა:

— უთხარი, აქ არ არის თქო! სადღაც წავიდათქო!

— ვინ იყო? — იკითხა ვალიამ.

ზინამ უქმყოფილოდ ჩაიქნია ხელი.

— მეტი საქმე არა მაქვს სწორედ!

დაბინდა, ქუჩაში ბავშვის ჭკანება არ იყო. შორიასლო ქალი ძროხას უჯავრდებოდა. იწყებოდა ყუბანური შემოდგომის ღამე. ცოტა ხნის შემდეგ მეროდე მოიბრინა ბიჭუნამ:

— ზინა, წამოდი ახლა, გელოდებიან. მე დაქირავებული კი არა ვარ, აქეთიქით რომ მარბენინოთ.

— აქ არ არის თქო გადაეცი, — მოცილია ზინამ ბიჭი. — ნუ მომაბეზრე თავი.

— რაო, იჩხუბეთ უკვე? — ხმადაბლა ჰკითხა ვალიამ.

— შენ რა, უქველად უნდა იცოდე? ზინა ნერვიულად წამოხტა და ბოსტანში გაუჩინარდა.

— ჩვენც რაღას ვუდგვივართ, — თქვა და მძიმედ წამოდგა მეზობლის ქალი. — გმადლობთ.

— პირიქით, მადლობელი ჩვენ ვართ დახმარებისათვის.

— უი, მეც წასასვლელი ვარ, — თქვა მეორემ. — როგორც დავტოვე, ისევეა ალბათ ყველაფერი. აბა რა იქნება უღედაკაცოდ.

— წავიდეთ, ცოცხალი თუ ვიქვინით — ხვალ დავამთავრებთ კიდევ. ვალიამ მეზობლები გააცილა, დაბრუნდა და მეგობარიც გაახსენდა. ზინა ბოსტნის ბოლოში დახვდა.

— მე კიდევ შენ გეძებ! — მხიარულად წამოიძახა ვალიამ. — რა ვემართება? — ზინას ცრემლები ახრჩობდა, ეს-ესაა ატირდებოდა ქალი.

ზინამ თავი დახარა და გაუყუჩდა.

— მითხარი, ვის ემალეები?
— არავის, ისე....
— ჰაუ-უ, *სულელი. თვითონაც არ იცი, რა გინდა.

— წავიდეთ, — თქვა ზინამ და ცრემლები მოიწმინდა. — კარგი, გამაცილე. ვალიამ მეგობარი ეზოდან შარავნაზე გადაიყვანა.

— ცოტა ხანს კიდევ ყოფილიყავი.

— ხვალ ხომ უნდა ვლესოთ, დავიღალე.

— შენ იცი. აბა, თუ გინდა, ამაღამ ჩვენთან გაათიე.

— არა, არა, წავედი.

ვარსკვლავები ზედ ხუტორის თავზე კიაფობდნენ.

„ნეტა იცოდნენ, როგორ არ მეხალისება შინ დაბრუნება. გააღებ კარს — ხმას არავინ გაცემს, არავინ შეგეხმინება, მხოლოდ საათია, მაგიდაზე რომ წიკწიკებს“. ამ ბოლო ხანს, რად შესძულდა ეს საღამოები და ღამეები? არ იცოდა, ვინ მოეწვია მეგობარ ქალთაგან, გული ვისთვის გადაეშალა, უფრო მალე რომ გასულიყო დრო. უკვე ორი კვირაა, სადაც არ უნდა წავიდეს, ყველა დაკითხვას უწყობს: — მარტო რატომ ხარო, ხომ არ იჩხუბეთო?

ქუჩის მარჯვენა მხარე უფრო მაღალი იყო. თავზევით ყვითლად გასდევდა მყუდრო ფანჯრები. მწკრივად მიყოლებული სახლების ბოლოში შავად ისახებოდა ფიცრული კლუბი, ღია კარიდან აპარატის კაკანი მოისმოდა. დაგვიანებული წყვილი სეანსზე მიიჩქაროდა. ზინას გული აუტკვარდა. არც იმდენი ხნისაა ჯერ, მაგრამ ყოველ შემოდგომაზე მისი ბედიც ახლოვდება, საცაა ის მიჯნაც უნდა გამოჩნდეს, რომლის იქით ცხოვრებაში ყველაფერი რთულდება, და უნებურად ყოველი წყვილის გამოჩენაზე, ზინა მწარედ ჩაფიქრდებოდა — უკვე დროაო, მეც ვინმეზე ვიზრუნო, ყოველ დილა ცისმარე წამოვხტე ხოლმე და ქმარი სამუშაოზე წასასვლელად მოვამზადო.

ქუჩის ბოლოში, ბუჩქებს იქით, სადაც ბილივი მინდორზე ეშვებოდა, მისი

თეთრი ხატა იდგა. კართან ვილაც იჯდა და პაპიროსს ეწეოდა. ზინამ იცნო.

— აქ ვის დარაჯობ? — შეეკითხა მკაცრად.

უხეში, დაწვმადალი პირისახის ახალგაზრდა კაცი, რომელსაც სალდათური შარვალი ეცვა და პერანგის მკერდი მოლელიოდა, ბარბაცით წამოდგა და გზა გადაუღობა.

— ვითომ ეს რას უნდა ნიშნავდეს? — ვაცხარდა ზინა. — აი, ახალი ამბავი თუ გინდა!

ახალგაზრდა ხელებგაწვდილი ვადაქანდა მისკენ.

— ნუ მოძვრები, ფიქრადაც არ გაივლო!

— რას ვაშავებ?

— ვითომ არ გესმის, თავს იგდებ. იცი, ვისთან მოისულელე თავი?

— ვისთან?

— უ-უჰ, იცინი კიდევ. გაგილაწუნებდი ერთს.

— გამილაწუნე.

— გეყოფა. დაიმსახურებ და სხვა გაგილაწუნებს.

ახალგაზრდამ მოურიდებლად მოიმწყვდია ქალი მკლავებში. ზინამ ხელიდან გასხლტომა სცადა, მუშტება მკერდზე დაუბრაგუნა და წამოიყვია:

— გამიშვი! შენ მხოლოდ ეგ გინდა, გამიშვი, თორემ ვიყვირებ!

— იყვირებ და ისევ შენ თავს შეირცხვენ. მიდი, იყვირე!

— უს-სინდისო, — მხოლოდ ესღა უთხრა ქალმა და ახალგაზრდამაც ხელი უშვა.

ზინა ოთახში შევიდა, ლამპა აანთო. ვაჟი უკნიდან მოეხვია.

— კოლკა! ნურც იფიქრებ, — მტკიცედ უთხრა ქალმა. — ნურც ეცდები. მე ყველაფერი გითხარი უკვე, ტყუილად აქ დგომას და ბავშვების მოგზავნას აზრი არ აქვს.

— კარგი, დავივიწყოთ.

— ეჰ, ამოიოხრა ზინამ. — ახლა რომ ასე იქცევი, მერე რაღა დადგება შენგან?

— მაინც, რა მოხდა ასეთი?

— არ მსურს, თორემ გეტყოდი მე შენ.

— რას?

— ყველაფერს.

— აა, ყველაფერს.

— დიახ, ყველაფერს! წადი! წადი-მეთქი, მომშორდი! ხელს ნუ მახლებ. დაგიღევია — ფეხზე მაინც დადექი კარგად.

— ვლგავარ, — როგორღაც უაზროდ ჩაილაპარაკა კოლკამ.

ბიჰს რომ აგზავნიდა და თვითონ კი აქ, კართან იყო ატუშული, ეჰვიც არ ეპარებოდა, რომ ზინა მოვიდოდა, ცოტა გაიბრანჭებოდა, შეიძლება ორიოდ ცრემლიც გადმოეგდო, მაგრამ ერთი მიხუტება და, — ისიც აღარ გაუძალიანდებოდა. ახლა კი დაიბნა...

— იმდენ ხანს გელოდე, — ალაპარაკდა ზინა. — რას მწერდი ჯარიდან? დაგავიწყდა? მალე გავიწყდებათ თქვენ ყველაფერი.

— დაიწყო ისევ!..

— არ გახსოვს? რომ გაცილებდი, როგორ მეფიცებოდი: ზინოჩკა, ძვირფასო, დავბრუნდები ჯარიდან, ხელს მოვაწერთ, გათხოვება არც გაიფიქრო. გასაგებია ყველაფერი; არ უნდა ბევრი ახსნა. მერე რა ბიჰი მეძლეოდა, მე კიდევ, სულელი, — ხმა გაუწვრილდა, ატირდა, — სულელი, სულ ამას ვუცდიდი! ვანა საწყენი არ არის? რომ მცოდნოდა...

ზინამ მწარედ მოიგონა ფუჰად ჩავლილი დრო, როცა ვაჟი თვალებით ესაუბრებოდა და ახლოს მისვლაც ვერ გაეებდა. თვითონ კი ნიკოლაის უცდიდა, წერილებს სწერდა, მაგრამ...

ნიკოლაიმ სცადა წაებურტყუნებინა რაღაც ალერსიანი, თან თავისი სიტყვების თვითონვე ეუხერხულებოდა ზინამ უთხრა:

— წადი, წადი. შეიგნე აწი მაინც, აღარ ექნება ფასი ასეთ ცხოვრებას. თუ კაცს რაიმე სერიოზული აქვს გადაწყვეტილი და არა ის, რომ როგორმე ლო-

ვიპრო ლინონოსოვი
რალაც უნდა მოხდეს

გინში შემოვიტოვებ და მერე გულ-
ნაბადი აიკრას, არაფრის დიდებით ასე
არ მოიქცევა. თავი გამანებე, წადი, სა-
დაც მიდიოდი.

ნიკოლაი აღარ ატორღიალებია და
აღარც სანუგეშო უთქვამს რამე, გულ-
გრილად უყურებდა ქალს და მხოლოდ
ის არ სიამოვნებდა, რომ სახლიდან აგ-
ლებდნენ. იდგნენ და ორივენი საქუთარ
თავზე ფიქრობდნენ. ზინა იხსენებდა
წარსულ დღეებს, პირველ გაცნობას,
სალამოებს, იმედებს. სამი წლის მარტო-
ობას; როგორ ეძახდნენ გოგოები სტა-
ნიცის კლუბში მეზღვაურებთან დროს-
გასატარებლად და ის კი უარს ამბობ-
და; ყველგან და ყოველთვის — წვიმ-
და თუ გაზაფხულის ტაროსი იდგა,
კლუბში თუ დღეობაზე, ზინა მარტო
იყო და მხოლოდ მის წერილებს ელო-
და, თუმცა ქაბუკი კინომექანიკოსიც
მოსწონდა, თანდათან თვალში მოსდიო-
და და დროდადრო ისეთი ფიქრიც გა-
უვილიდა გულში, რომ ნიკოლაი რომ
არა, თავს ნებას მისცემდა, როგორც
უნდოდა; ისე მოქცეულიყო.

ნიკოლაი კი ჩააგდებდა ყუთში
ზინასთან გასაგზავნ წერილს, აიღებდა
ლათხოვნის ფურცელს, მიდიოდა ცეკ-
ვებზე და, რაც შეიძლება უბრალო
გოგოს ირჩევდა პარტნიორად.

— მოდი, გაგაცილებ, — უთხრა ქალ-
მა. — და ჩემთან ამის მეტი აღარ მოხ-
ვიდე.

მინდვრის პირას მივიდნენ და ნიავეზე
დადგნენ.

— გინდა, ხვალვე მოვაწეროთ ხე-
ლი? — უთხრა ნიკოლაიმ და თან
სახლში შებრუნებას შეეცადა.

— არავითარ შემთხვევაში. გმად-
ლობთ.

— მარტო იცხოვრებ?

— ვიცხოვრებ ერთხანს. თუ შემხვ-
და კაცი — ცხადია, კარგი ადამიანი,
რას ვიზამ... არც მე ვარ სხვებზე ნაკ-
ლები, გავთხოვდები. თავს აღარ გავი-
სულელებ.

შუალამე იყო. ნეტავი ვინმეს ეხმაუ-
რა, ეყვირა ან ამოეოხრა მანც, მაგრამ

არა, ყველას ბედნიერად ეძინა და ზინამ
წყენით გაიფიქრა: „მივალ, დღეობაზე
მოვეგდები, გავსკლები ტირილით და ვე-
რავენი ვერაფერს გაიკვებს“...

— წავედი, სინათლე მინთია, და კარი
ღია მაქვს დატოვებული.

ზინა წავიდა.

ნიკოლაიმ ერთ ადგილზე იწრიალა,
ჯიბე მოიქექა, პაპიროსი გასთავებოდა,
და შეივიცინა.

„დიდი ამბავი! ამდენი ხანი გავიდა,
კიდეც ვერ დაწყნარდა. მოდი, ფერმის-
კენ შევუბერავ“.

და, ფიქრებში წასულმა, წარმოიდ-
გინა, როგორ გაივილიდა ჩაბნელებულ
მინდორს, მთაზე ავიდოდა და სულ რა-
ღაც ნახევარ საათში აღმოჩნდებოდა ბა-
გებით, ფორნებით და საძოვრით გარ-
შემორტყმულ ბალახოვან ფერდობზე.
ტყის მახლობლად, პატარა სახლში უკ-
ვე მხარშეუცვლელად სძინავთ მწველა-
ვებს. იგი უხმაუროდ მიადგება სახლს,
ბოლო ფანჯარაში აძვრება, ფეხაკრეფით
მიეპარება ნიუსკას და თბილ მხარზე
შეახებს ხელს. შეკრთება ნიუსკა,
მთლად ვერ გამოერკვევა ძილიდან, ისე
ამოიოხრებს, პირველად ვერ იცნობს,
შემდეგ კი განზე გაიწევა და თავის
გვერდით ადგილს დაუთმობს. ხოლო
დილაადრიან, უთენია, როცა ჯერ კიდეც
ცივა და ცვარია, ნიუსკა გააღვიძებს,
ჩემმა გოგოებმა არ დამინახონო,
მინდვრის გაღმა თვალსაწიერზე გაიყ-
ვანს და ნისლისა და სველი ბალახისა-
გან მობუზული სასიამოვნოდ მოჰყვება
ბუზღუნს იმაზე, რომ მის გამო ვერც
იმ ღამეს გამოიძინა.

„ასე უფრო სწორი იქნება, — გაი-
ფიქრა გახარებულმა ნიკოლაიმ. —
თავიდანვე ასე სჯობდა. ისე კი გავცულ-
ლულდი. ერთს შეხედავ და ყველა გე-
ცოდება“.

ხუტორი კვლავ ბნელით იყო მოცუ-
ლი და ვარსკვლავებმა რუხ ხაზად გა-
მოკრთოდნენ ჰორიზონტზე. წინ კი,
სტანიციიდან მომავალ გზაზე, მრუშემში
ნათელი წერტილი მიცოცავდა. ვიღაცა
პაპიროსს ეწეოდა.



მივლინება ერთი დღის წამატებით დაუმოწმეს. საღამო ხანს სტანიცას ვასცდა, ხუტორისკენ მიმავალი უქანასკნელი მანქანის დაყენებულ მტვერს გახედა, ერთხანს ჩაფიქრდა და — ისევ ფეხით წავალო, — გადაწყვიტა.

სწრაფად ბნელდებოდა. ნახევარ გზაზე, დასავლეთით, ფერმისაკენ მკვეთრად უხვევდა თეთრი ბილიკი და ამაღლებულ ჰორიზონტზე წყდებოდა. ვასილიმ პაპიროსი გადააგდო.

— ე-ე, მოიცადე, — მოესმა ვასილის მინდვრის მარცხენა მხრიდან, იმ შუკიდან, ხუტორისაგან ირიბად რომ მიიქლავებოდა, ზემოთ მუხებს შორის მიიწვედა და ბუჩქებს შუა შესახვევში გამოდიოდა. ეს გზა ყველაზე მოკლე იყო, მაგრამ ასეთ სიბნელეში აღვილად აიბნევი, ეკალ-ბარდებში ამოყოფ თავს, დაიკაწრები. ვასილი შედგა, მაგრამ დამძახებელს ჯერ ვერ ხედავდა. ბოლოს სიბნელიდან მაღალი ახალგაზრდა გამოვიდა, მიუახლოვდა და თავი სახესთან მიუტანა, ვასილი რომ ეცნო; ვარშემო არყის სუნი დადგა.

ვიპტორ ლიონოვსკი
რალაც უნდა მოხდეს

ამ თბილი ღამის ბნელში ხუტორისაკენ ვასილი კოზირევი მიდიოდა. სტანიციდან შებინდებისას გამოვიდა. მაინცდამაინც არ ეჩქარებოდა, თუმც ხუტორამდე არც ისე მცირე მანძილი იყო. გზა ბორცვების ძირებს ეკვროდა, ხან ქვევით ვარბოდა, ხან ზევით მიიწვედა, და მაღლობიდან მარცხნივ, მთაზე, სიბნელისა და სიშორის მიუხედავად, მუხების სილუეტები ილანდებოდნენ. ხოლო მათ იქით, მინდორზე, აღრეული მთვარე რომ დასცქეროდა, ხუტორი მიმალულიყო, სადაც ვასილი მხოლოდ ერთ ზამთარს ცხოვრობდა, ორი წლის წინათ.

ვასილი კლუბში კინომექანიკოსად მუშაობდა, ამ გზაზე მანქანით დადიოდა ხოლმე სტანიცაში ფირების წამოსაღებად; წვიმაშიც კი ფეხით დადიოდა ხოლმე, თან ამინდს, ადგილობრივ უფროსობას და ყველაფერს ამქვეყნად აგინებდა. ავად თუ კარგად, მაგრამ აქ მის ცხოვრებას რალაცა მაღლი მაინც ჰქონდა — სულაც არ იყო ზედმეტი ხალხს შეხვედროდა, სული მოეთქვა ქალაქური გაწამაჟიის შემდეგ: თანაც ახლა შემოდგომა იდგა, შემოდგომაზე კი აქ ყველაფერი უღალდებოდა, ფოთოლი ცვიოდა, დღისითაც კი უკვე გრილოდა, ხოლო საღამოებს ნუ იტყვი, საღამოები ხომ სულითა და გულით შეგძრავდნენ...

სტანიცაში ვასილიმ ორი დღე დაჰყო. სადილობამდე თავის სამივლინებო საქმეებს აგვარებდა ფოსტაში, თან ტელეფონისტ გოგონასთან ლაყბობდა, მერე სასადილოში მიდიოდა და საღამომდე თავისუფალი იყო. სტანიცაში ყველაფერი ნაცნობი იყო მისთვის. ისევ დაჰქონდათ ფორნებით საზამთროები, დასრიალებდნენ ველოსიპედები, კიოსკებში ეწყო მზისაგან გახუნებული და დამტვერილი გაუსაღებელი ჟურნალები; გამოცარიელებულ მაღაზიებს ნოქარი ქალები როცა მოეპრიანებოდათ, მაშინ კეტავდნენ და აღებდნენ. ვასი-

— რაღაც ვერ გცნობ, — უთხრა მან. — შეგაშინე, ალბათ? მაპატიე. ჩვენკენ მოდიხარ? ბოდიში, მაგრამ ხომ არ მომაწვევინებდი, ქალთან ვიყავი და გამოთავდა. ბოდიშს ვიხდი, რა თქმა უნდა.

— არა უშავს, ხდება ხოლმე. — ვასილიმ კოლოფი ამოიღო. პაპიროსი ამოაგდო და ასანთი გაუწოდა. სინათლეზე მაძლარი სახე და ზარზომიანი, გადმოკარკლული თვალები დალანდა.

— რა გქვია?

— ვასილი.

— ნიკოლაი, — თვითონვე მოძებნა ვასილის ხელი და მაგრად დაიჭნია ჩამორთმევისას. — ჩემგან რამე ხომ არ გეწყინა? თუ გეწყინა, თქვი, გაგაჩერე, ალბათ, ქალებში მიდიხარ?

— არა.

— კარგი ახლა! — ახალგაზრდამ მოურიდებლად დაარტყა მხარზე ხელი. — ვის უმაღლავ, შენ რა, სხვანაირი ხომ არ გგონივარ? ჩვენ სუყველა ასეთები ვართ. წამოხვეალ ჩემთან? ფერმაში მივდივარ, მწველავებთან, ჰა?

მან ხელით ზემოთ ანიშნა, სადაც ბილიკი თეთრად მოჩანდა და თვალსაწიერზე წყდებოდა. თვალსაწიერი ახლოს იყო, მაღლა, ზედ ბილიკის კიდეზე, ვარსკვლავები ცვიად ბრწყინავდნენ, და ვასილის ფართო ბალახოვანი ფერდობი, ფორნები და საძოვარი გაახსენდა ტყის მახლობლად, სახლის უკან, სადაც შუალამისას ცხენები დახეტიალობდნენ. მწველავ გოგოებს ახლა უკვე სძინავთ ან ლოგინებში ხმაძალა იცინიან.

— იცი, რა გოგოებია! — ისევ წამოიწყო ლაპარაკი ახალგაზრდამ. — უ-უხ, შენთან ბოდიში! ბოდიში, მიიწიე. არა, არაფერს არ ვამეტებ, ნამდვილად! ახალგაზრდები, ცეცხლოვანები, ოღონდ ხელი შეახე, მეტი არაფერი უნდათ. აბა? თანაც ვერაფერს გაიგებს.

— მე წავალ.

— იჯექი! შენთან უკაცრავად ვარ, რასაკვირველია. დავლიე. თორემ წავიდოდი, ხომ მართალია, ჰა? ვიბაზრეთ. მე მიყვარს ბაზრობა. ჯარში ერთი კვი

სიმღერა მომწონდა: „მიყვარს, მეგობრებო, სამი სიტყვა: „დასვენება“, „კონო“, „სასადილო“. მიყვარს დათხოვნა და სადმე მალულად, მოფარებულში, ვაფაციცებით, უცბად ვინმემ თვალი რომ არ მოვატანოს, ორასი ან სამასი გრამის გადახუხვა. მოგწონს? ქალები გიყვარს? ვხედავ, ნამეტანი მორცხვი ჩანხარ. გეტყობა, წიგნებს კითხულობდი ბევრს. მე ცხოვრებაში სულ ორი წიგნი წავეკითხე: „დედა ენა“ და მოპასანის მოთხრობები. მაგრამ არა უშავს, ვცხოვრობ. უფრო მეტიც, ვსვამ კიდევ. მოსაგონარი გიყვარდეს, მაქვს. მაგრამ, რას მოიგონებს ის, ვისაც წიგნების მეტი არაფერი უნახავს ახალგაზრობაში? აბსოლუტურად ვერაფერს, ნოლს! გირჩევე, ნუ დაიბნევი. ჩვენკენ დიდი ხნითა ხარ?

ხომ არსებობენ ადამიანები, ყველას რომ ზემოდან უყურებენ? და გაცნობისთანავე ცხოვრების სწავლებას იწყებენ? ვასილი წავიდოდა, მაგრამ წამოდგომა დაეხარა: თბილოდა და ბნელოდა. მან გაიფიქრა, რომ პატარა ხნის აღარ არის (ოცდახუთი წელი უსრულდებოდა), გულის სწორი არავინ ჰყავს, რომ აი ასე სადმე გაემგზავროს ან წავიდეს და იცოდეს, რომ მასაც მიელიან. — დღენიადავ მარტო იყო, მუდამ უხალისოდ და გულგრილად ეკიდებოდა გოგონებს, დროსტარებას და ცეკვებს ერიდებოდა, შორეული დროის იმედი ჰქონდა, როცა უბრალო კარგ გოგონას შეხვდებოდა, ამქვეყნად მხოლოდ და მხოლოდ მისთვის დაბადებულს.

— მაშ წავედით? — ისევ შესთავაზა ახალგაზრდამ. — მე გავაცნობ, მართალია, იქ ისეთებიც არიან... რაღაც რომ ჰგონიათ თავიანთი თავი, — უწამწური სიტყვით მოიხსენია ისინი, — მაგრამ მე საკუთარი გამოცდილებით ვიცი: როცა ჩახვდები ქალის ბუნებას, იგი უფრო კადნიერია, ვიდრე მამაკაცი. ხო ზუსტია?

— არ ვიცი.

— ქალი თავს იკავებს მხოლოდ. აი, კარგად მომისმინე: ქალები, დაფუშვით,

ერთმანეთს შორის ძალი-კატასავით არიან, ყოველ წუთს შეუძლიათ ერთმანეთს თვალები ამოკაწრონ, მაგრამ ჰკითხავ რომელიმე მათგანს: „ლუსია, რას იტყვი, ვერასთან გამომივა რამე? შეიძლება ვცადო? — კარგი გოგოაო, — გიპასუხებს, — პატიოსანია“. როგორც არ უნდა იყოს — მავათი სიტყვით სულ ერთია, პატიოსანი იქნება. იმიტომ, რომ ისინი გულდახურულები არიან. ჩემი ქალიც — მე ის მივატოვე! — განა ისეთივე არ არის? ხვალ რომ მასთან მივიდეს ვინმე, თუნდაც შენ, მაგალითად, ნებას მოგცემს ჩაბლუჯო. შევისწავლე მათი ფსიქოლოგია. ოცდამეოთხე წელში ვარ გადამდგარი, და არ დავავიწყდეს: რაც უფრო კარგად ეპყრობი ქალს, იმდენად ძნელია მასთან ურთიერთობა. რაღა შორს წავიდეთ; ჩემზე შემძლია ვთქვა. ულამაზო ვარ, თვითონაც ხედავ. არც მთლად უშნო, და, არც ლამაზი. საშუალო! მაგრამ მე მყავდა გოგონები. ჯარში ერთთან დავდიოდი, მასთან ასეთი პოლიტიკა ვიხმარე: ვერაფრით ვერ ხვდებოდა — მიყვარდა თუ არა. ეჰ, მაგაშია სწორედ საქმე! თუ ხელის გულზე ატარებ: ფისუნია, ციცუნია, — თავზე დაგაჯდება ანდა სხვასთან წავა. მე აი, ჩემი მივატოვე, იფსიხებს ერთხანს და თვითონაც გამოიქცევა ჩემთან. მე კი შემძლია ახლა არაყი ვსვა და ქალებშიც გავერთო — ყველაფერს მაპატიებს. გაიგე? მომაწეინე.

- ჩემი წასვლის დროა.
- წამომყვები?
- არა, ხუტორში წავალ.
- გაჰმევეს, გასმევეს. იქნებ ნახევარი ლიტრაც კი დავიდგას, ა? ჩემგან რამე ხომ არ გეწყინა? ნამდვილად?
- წადი, წადი...
- აბა, მაშინ ერთი ორი ცალი კიდევ მომე. არ გეწყინოს. დაიმახსოვრე ჩემი სიტყვები, მაღლობასაც მეტყვი და ნახევარ ლიტრასაც დამიდგამ, თუ შევხვდებით. რა გქვია?
- გეყოფა, გესმის, მომეშვი. ზომა

უნდა იცოდე, — თქვა ვასილიმ, თქვენი ალივს იკავებდა.

იქ, სადაც გზას მარცხნივ უნდა შეეხვია და ღარტაფზე გავლით მაღლობზე ასულიყო, სხვა ხუტორი იწყებოდა, იგი ყოველთვის ადრე იძინებდა და ბნელში ინთქმებოდა. დამშრალ კალაპოტზე გადებულ მორყეულ პატარა ხიდზე გადასვლისას ვასილის გაახსენდა, თუ რა ხშირად ჩამოდიოდა აქ რძისათვის, როგორ დიდხანს იდგა ხოლმე მზის ჩასვლისას დაბალი, თეთრად შეღებილი კლუბის პირდაპირ და მერე შინ მიდიოდა.

სახლის პატრონი ქალი, ვისთანაც ის წინათ ოთახს ქირაობდა, უკვე დასაძინებლად დაწოლილიყო. ვასილიმ დაუყაყუნა, დიასახლისს ძალიან გაუხარდა მისი მოსვლა. დასხდნენ, ივანშემს, ერთმანეთს ამბები გამოჰკითხეს და ღამის სამი იქნებოდა, რომ დაიძინეს. დიასახლისი დილით ისევ ადრე წავიდა, ვასილის სთხოვა, კარი დაეკეტა და როცა ახალ სახლთან ჩამოვიღლიდა, გასაღები მისთვის გადაეცა.

სადილობამდე ტყეში დახეტიალებდა. ტყეში შეინდი მწიფდებოდა, ჩამოცვენილ ფოთლებში გამხმარი ჭერამი ეყარა და ფეხებქვეშ ხრამუნი გაუდიოდა. მაღლიდან, ხეებს შორის ფართოდ ჩნდებოდა ველანდლობი, მდინარის არც თუ ღრმა შანდაკის ძირს რომ მოჰგავდა. იმ გზაზე, სადაც გუშინ ახალგაზრდას ელაპარაკა, დროდადრო სტანიცისკენ მიმავალი მანქანები გაიქროლებდნენ ხოლმე.

ვასილიმ გზა განაგრძო, ნაცნობები მოინახულა და გამგზავრება დააპირა. დიასახლისი ვიღაც მეზობელს სახლის ლესვაში ეხმარებოდა. სახლთან საზიდრებით თიხას ეზიდებოდნენ, ოთახებიდან წამით ხან ქალის ხელები, ხან თავსაფრები გამოჩნდებოდნენ ხოლმე. ვასილი ღობიდან მიესალმა ვალიას.

— ოი, ღმერთო, საიდან სადაო? —

ვიქორე ლიხონოსოვი
გალავ უნდა მოხდეს

თითქოს მოსთქვამდა, ისე შეეხმინა ვა-
ლია და შესახვედრად გამოიქცა. —
ისევ სამუშაოდ?

რამდენიმე სხვაც მიუახლოვდა, გარს
შემოეხვივნენ და მოიკითხეს.

— როგორა ხარ?

— არა მიშავს. თქვენ როგორღა
ხართ?

— ღვთის შეწევნით. სად მუშაობ?
ცოლი ხომ არ შეგირთავს? სწორად მოქ-
ციეულობარ, მაგას მოესწრები. და უკვე
მიღიხარ, ასე მალე, ეგ რომელ ავტო-
ბუსზე, ექვს საათიანზე?

ოთახის სიღრმიდან, ცარიელი საფან-
ჯრეებიდან ზინა უყურებდა, გაკვირვე-
ბული იყო, შეცბუნებულიც, სახე სულ
შეცვლიდა. ვასილის ენამუცვლელში ჩა-
უვარდა, ეტყობოდა, აღარ იყო ლაპარა-
კის იმტაზე, სწრაფად ამოიღო პაპიროსი
და გააბოლა. ზინა გარეთ გამოვიდა,
ძალაგამოცლილმა ძლივს გააღო ბაღის
კარი და ტალახიანი ხელი გაუწოდა ვა-
სილის. ისევ ის ზინა იყო: ოდნავ ელა-
ში თვალეები, მშრალი, მკვრივი ტუჩები,
გამხდარი და ამჯერად როგორღაც სა-
ცოდავი.

— როგორ მოხდა, რომ ჩვენთან... —
წარმოსთქვა ზინამ ჩუმად, თვალეებს
დაბნეულად მალავდა.

ვასილისაც არ შეეძლო დიდხანს ეც-
ქირა მისთვის, თითქოს ყველამ რაღაც
იცოდა მათზე, თითქოს საგანგებოდ
მისთვის ამოსულიყო, და ახლა სახალ-
ხოდ გამოეხმო. „რაღაც იყო ჩვენს შო-
რის“, — გაიფიქრა ვასილიმ, იმის მო-
ფიქრებაც სცადა, ზინა როგორ დაე-
მარტოხელებინა, ეშინოდა, აი ამ წუთ-
ში წავა და დაძახება გამოიჭირდებაო.
როცა სხვებთან ერთად ზინამაც დააპი-
რა უკან უხალისოდ გაბრუნებულიყო
და სხვებისაგან უჩუმრად რამდენჯერ-
მე გადახარდა ვასილის, თითქოს ეუბნე-
ბოდა: კარგი, რას იზამ... ხალხი გვიშ-
ლის ხელსო, — ვაჟმა თვალეებით სთხო-
ვა აქ, ჩემთან მოდიო... ქალი მივიდა
და დარცხვენილად, თან მოლოდინით
შეხედა ვასილის.

— რა გინდა? — ჰკითხა მან ჩურჩუ-

ლით, თითქოსდა მალულად, ვაჟინიანი
სულ ახლოს მივიდა.

— მალე მორჩები? — უფრო ხმა-
დაბლა წარმოსთქვა ვასილიმ.

— კი, რვაზე ალბათ მოვრჩებით. უკ-
ვე ოთხია.

— მიატოვე და ახლავე წამოდი.

— კარგი, — ჩურჩულთ შეჰპირდა
ზინა. — სად მოვიდე?

— ბოსტანზე გადმოივლი და მინ-
დორში ჩამოხვალ. მე ბუჩქებთან და-
ვიციდი.

— კარგი, ამ წუთში მოვრჩები და
მოვალ.

— შენ იცი, ვიციდი. მიატოვე და
სწრაფად!

მან ხელი ჩამოართვა ზინას და, უკვე
წასულმა ხმას აუმიღლა, თითქოს ემ-
შვიდობებოდა, რომ სხვებსაც გაეგო-
ნათ ეზოში:

— მოკითხვა გადაეცი იმათ.

ზინამ მოიხედა და ვასილიმ ალერ-
სიანი ღიმილი შეაგება.

„გამოდის, რომ მაშინ ჩვენს შორის,
რაღაც იყო, — ისევ მოაფიქრდა ვასი-
ლის, და განვლილი დღეები და საღა-
მოები მოაგონდა, თვალეებით რომ სა-
უბრობდნენ და ერთმანეთს სიტყვას
ვერ უბედავდნენ. — გამოდის, რომ ზი-
ნას მაშინაც რაღაც არ ჰქონდა რიგზე.
ნეტავ გათხოვილი თუა? ეჰ, მალე მაინც
მოვიდოდეს! მე ვარ დამნაშავე. ქალი
პირველი არ მოვა, ისევ მე უნდა და-
მეწყო, დღეს კი შევხვდი, და თუნდაც
ერთი მისი გამოხედვა რად მიღიროს,
მოვა, ეჰ, მოვიდეს ბარემ!“

მზე ჯერ კიდევ მაღლა იდგა.

ვასილის გული ელეოდა. იჯდა ბუჩ-
ქებთან ბალახებში და ზინაზე ფიქრობ-
და. წარმოიდგინა, როგორ გამოეცა ბოს-
ტანიდან და ალვის ხეებს შორის გამოჩ-
ნდებდა, შემდეგ შეუმჩნევლად ან აშკა-
რად გადმოივლის მინდორზე. ვასილი
გამოიწევს და ხელს დაუქნევს. ქალი გა-
თამამდება, სწრაფად წამოვა მისკენ და
დადუმდება. მასთან პირისპირ მარტოდ
დარჩენილი დაირცხვენს, ასე ჩქარა რომ
დაეთანხმა ამ პაემანზე. ვასილი ხელზე



ხელს მოუჭერს, ბუჩქებს მოათარებს და აკოცებს, ხოლო ზინას ერთი საყვედურიც არ წამოსცდება იმიტომ, რომ თავიდანვე იცოდა, რისთვისაც მოდიოდა. ზემოთ, შარავზე თიხას მოზიდავენ, დაყრიან და მოზელენ, ატყდება კედლებზე დუღაბის ტყაპუნი და ლაპარაკი, ზინა კი აქ, მასთან დაიმალება, და არც მოიკითხავენ ერთხანს. ყოველი თავსაფარი მისი ეგონა და გული უძგერდებოდა. „მიყვარს, — ფიქრობდა ვასილი, — შემიყვარდა, ვნახე და შემიყვარდა. შეიძლება, ადრეც მიყვარდა, მხოლოდ რატომღაც არ მაგონდებოდა ქალაქში, როგორღაც დავივიწყე, არავისთან არ დავდიოდი, სულ საქმეები მქონდა: ხან გამოცდები ტექნიკუმშიო, ხან მუშაობათ, ხან ბინათ. ახლა კი დავინახე და...“

ერთი საათი გავიდა. მზე უკვე მთის წვერს გაუსწორდა. ზინა კი მაინც არ ჩანდა. ნეტავი რას აკეთებს იქ ამდენხანს? უკვე დროა, ხელები დაიბანოს და ტანსაცმელი გამოიცვალოს. ვასილიმ პირველად იგრძნო პაემანზე ლოდინის მიძიმე. იგი წამდაუწუმ დგებოდა, პაპიროსს პაპიროსზე ეწეოდა, მინდვრის მიღმა სივრცეს თვალს უშტერებდა და, თუკი ხეებს შორის ბილიკზე ქალი გამოკრთებოდა, მაშინვე ადგილზე გახევდებოდა: ყველა ზინასავით მოძრაობდა, მისი თავსაფარი ეკეთა. მაგრამ ქალები ვედროებით გაივილიდნენ, რაღაცას გადაასხამდნენ და უკან ბრუნდებოდნენ. ვასილი ისევ წამოჯდებოდა, პაპიროსს მოუკიდებდა და უფრო მეტი მღელვარებით ეძღეოდა ფიქრებს, — ზინა მინდორზე გადმოდის, ვასილისკენ მოიქჩარის, უკვე სულ ახლოსაა, უფრო და უფრო აფოფინებულია, ჩქარობს, შემდეგ კი დამნაშავესავით ხვდება და თვალებით თითქოს ამბობს: „აბა რა? მოვედი... ახლა რა ვქნათ?“ — და იმავდროს ყველაფერი, ყველაფერი ესმის, მის შემოხედვას ნებდება. დე კიდევ ერთი დღე დაიკარგოს, ხვალაც არ წავა, სამაგიეროდ მთელი საღამო მყუდროდ ისხდებიან, ხუტორისაგან მოშორებით,

და ვასილი ეტყვის მას ისეთ სიტყვებს, არასდროს არავისთვის რომ არ უთქვამს და ზინაც მადლიერი, გახარებული და ბედნიერი იქნება მის გვერდით. შუალამისას ზინა უკაცრიელი გზით გააცილებს ვასილის ავტობუსამდე, გამთენიის უამს ხელიხელგადახვეულნი ივლიან კიდევ, გამოტოვებენ დილის ავტობუსს, იხეტიალებენ მდინარის გაღმა და ვასილის გამგზავრებამდე კიდევ რაღაცას მოიფიქრებენ.

მეორე საათიც მიიწურა და ზინა მაინც არ ჩანდა. „ეშინია, რომ შეამჩნევენ. უხერხულიცაა, ყველას წინაშე მიატოვოს სამუშაო“.

კიდევ ერთი საათი გავიდა. მთას მოფარებული მზის სხივები ოდნავშესამჩნევად კრთოდნენ, როცა ვასილი წამოდგა, მინდორი ვადააარა და იმ სახლისკენ წავიდა, სადაც ზინა კედელს ლესავდა. ზინა ისევ უტყაპუნებდა ხელისგულს კედელს და ვიღაცას უწყინრად ამასხარავებდა. ვასილი უფრო ახლოს მივიდა. ზინამ შეამჩნია. როგორც კი ვიღაც ოთახიდან გავიდა, ფანჯრიდან უმალ ბოსტანში გადმოხტა და ორივენი ხეების ჩრდილში მიიმალნენ.

— რა იყო? — უკმაყოფილოდ თქვა ვასილიმ.

— რა რა იყო! ხომ ხედავ, ჯერ კიდევ ვერ მოვათავეთ. არაფრით არ შემეძლო წამოსვლა. ერთი საათი კიდევ მოიცადე.

— მოეშვი, სულ მიატოვე! — იმეორებდა ვასილი, ბრაზი მოსდიოდა, მისებურად რომ არ ეწყობოდა შეხვედრა და ამ ლაპარაკითა და ზედმეტი ლოდინისაგან გადაუვილიდა, ჩაუქრებოდა ის უცაბედი იღუმალი გზუნება, რამაც ახლახან იქ, ქვემოთ ასე ააწრიალა. — რა არის ამისთანა, უშენოდ ვეღარ მოერევიან?! მიატოვე, გესმის?

— ახლავე.

ვიქტორ ლიხონოსკვი
რალაც უნდა მოხდეს

— ხომ არ დაგავიწყდა, სად უნდა მოხვიდე?

— სად?

— პირდაპირ ქვევით, მე დაგიძახებ. ბოსტანიდან და პირდაპირ ქვევით. მინდორზე გადმოვილი.

— კარგი წადი, თორემ შეგვამჩნევენ.

და კიდევ გავიდა ერთი საათი.

მთლად ჩამობნელდა, ხუტორზე ნახად კიაფობდა ვარსკვლავთა ზოლი. ვასილი ხან ბუჩქებშუა დაბორილებდა, ხან შუა მინდორზე გამოდიოდა და ასანთის ღერებს სწვავდა, ზინას შორიდან რომ შეემჩნია ის ადგილი და უკან არ გაბრუნებულიყო. მინდორში რომ გამოეხეტა, ვასილის მოეჩვენა, რომ ზინა უკვე იქაა და მას ელოდება, ვინ იცის, იქნებ გვერდზედაც ჩაუარა! გული ძალუმად უტემდა, შეხვედრის სურვილს ვეღარ იოკებდა. ბნელი და თბილი ღამე იყო და ასეთ სიბნელეში მარტოდმარტო დარჩენაც ენანებოდა.

„ვერ მიპოვნის! — შეეშინდა ვასილის. — ვერ მიპოვნის, დასაძინებლად წავა და ვეღარ ვნახავ. მასთან სახლში ვერ მივალ; უხერხულია, ვთქვათ და, გათხოვილია, მაშ ასე რატომ იმალება?“

სევდა მოაწვა, მერე გამოცოცხლდა და ზევით ხუტორში გაიქცა, იქ მოეძებნო ზინას. შარავნაზე ბავშვები თამაშობდნენ. ვასილიმ არ იცოდა ამჟამად ზინა სად ცხოვრობდა.

— ბიჭი! — დაუძახა ბავშვს, — მოდი აქ. დეიდა ზინა სად ცხოვრობს?

— რომელი ზინა?

— დეიდა ზინა არ იცი? სახლი რომ იყიდა.

— ა-ა! ბოლოში. გორაკის გასწვრივ ჩაიარეთ — და ბოლო სახლი, ქვევით მისია.

ზინას სახლის ფანჯრებზე დასტამბლები იყო ჩამოფარებული, კარებს შავი ბოქლომი ედო.

„ეს იმას ნიშნავს, რომ ზინა იქაა, ანდა მინდორში მიცდის.“

ვასილი ისევ მინდორისკენ დაეშვა, სახეს ტოტები უკაწრავდა და ძირხვე-

ნებში ფეხები ებლანდებოდა. ზინა სად ჩანდა. სურდა დაეძახა და დაეძახებოდა: ზინკა, ძვირფასო... სადა ხარო?

— ბიჭი! — ისევ იკითხა მან ხუტორში. — ხომ არ გინახავს, დეიდა ზინა, აქეთ ხომ არ გაუვლია?

— კედლებს ლესავს.

— მიდი, დაუძახე, ქენი სიკეთე.

— აუჰ, გამოიწყალეთ გული, გუშინ — დაუძახეო, დღეს — დაუძახეო.

„შტერივით დავრბივარ, მას კი, ალბათ, ვილაცა ჰყავს. ვითომ რა მაინცდამაინც მე მომიცილიდა, ისიც ამდენი ხანი... დიდი ამბავი, ერთმანეთს თუ გადაეხედავდით ხოლმე... მეტი არაფერი ისეთი არ იყო.“

ბიჭუნა ზევით, შარავნაზე გაიქცა. ვასილი ტოტებქვეშ ღობეს მიეყრდნო და ზინას მოსვლას დაელოდა.

— იქ აღარ არის! — მოიბრბინა ბიჭუნამ.

— სადღაა აბა? იკითხე მაინც, სად არის?

— წასულა.

— ხომ არ ტყუიხარ?

— ჰმ... გაეცინა ბიჭუნას. — რაში მჭირდება თქვენი მოტყუება.

„მაშ, არ არის, არა? — სასოწარკვეთით და როგორღაც უნიათოდ გაფიქრა ვასილიმ. — სად უნდა იყოს ნეტავ? იქნებ მინდორშია? ანდა მომატყუა კიდევ, დამცინა? — და მისი შეთქმულებრივი თვალები და სახლთან ჩურჩული მოაგონდა. ნუთუ ვილაცა ჰყავს? რას ვაიგებ. როგორ მიცქეროდა! ისევ უწინდელი ზინა გაახსენდა, — მას შემდეგ ნამდვილად რაღაც მოხდა. რატომ არ მოხვედი, ჰა? ნეტავ სადა ხარ ამ წუთას? მინდორში, მინდორში!“

სიბნელეში, გზის გაუკვლევად, ბორძიკით, გაიბრბინა ბოსტანი, პაპიროსს მოუკიდა, მინდორზე დაიწყო სიარული და რამდენჯერმე გასძახა.

— ზინა-ა!

როგორ უნდოდა, ეპოვა!

— ზინა-ა-ა!

ჰაჰანება არ ისმის. წინ მხოლოდ ჩაბნელებული მინდორია, მაღალი გორა-

კები და ხუტორი, დაბალ ცაზე სინათლის სუსტი ანარეკლი ჭვივის.

ვასილი კიდევ რამდენჯერმე მივიდა მის სახლთან და ეზოში ვაშლის ხის ძირას ჩამოჯდა. უფრო და უფრო ძლიერად ეუფლებოდა სევდა. ბოლოს დაღლილი, გულმოსული თავის დიასახლისთან გაეშურა ღამის გასათევად. გზაში ცდილობდა, დაგვიანების მიზეზი მოეგონებინა. დიასახლისი ჯერ არ დაბრუნებულიყო, გასაღები კი მას ჰქონდა. თვითონ ვასილიმ გადასცა სადილობისას. შესასვლელთან მოუწია ცდა. ბოლოს ისიც მოვიდა, ვასილის დანახვა გაუკვირდა, ვახშამი მიაართვა.

— შეიძლება დილით არ გამეღვიძოს და ავტობუსს ავცდე, — თქვა ვასილიმ. დიასახლისმა ზუსტად სამზე გააღვიძა. თხუთმეტ წუთში ჩაიცვა, ჩაიღლია და მასპინძელს გამომეშვიდობა. ბნელი ღამე იყო, როგორც ზამთარში იცის წვიმიანობის დროს. გულში წყენა ჩარჩენოდა. „რისთვის დავრბოდი? რატომ ვიმალებოდი. დავრბოდი და ვყვიროდი, ის კი, შეიძლება, სხვასთან იყო ამ დროს. ახლა კი სძინავს“, — გულგროლად გაიფიქრა მან.

ბეჭობზე შედგა, ზინას ხატას თეთრ კედლებს შეავლო თვალი, იგი მძინარე წარმოიდგინა და აღელდა.

„ასე როგორ წავიდე? — გაიფიქრა მან და დაბალ ფანჯრებთან მივიდა. — გავაღვიძებ, ახლა მაინც ვერავინ შეგვიშლის ხელს“.

ზინამ უტბად არ უპასუხა და უკმაყოფილოც ჩანდა:

— ვინ არის მანდ?

— მე ვარ.

— ვინ შენ?

— მე ვარ, მე!

— დაიცადე, ჩავეცვამ.

„ეტყობა, გუშინ, ავცდით ერთმანეთს“, — გაიფიქრა ვასილიმ და გადაწყვიტა, აღარ წასულიყო, დღეს წასვლა არ ღირდა. მოეჩვენა, რომ ზინას მისი მოსვლა გაუხარდა და გუშინდელი დაკარგული საღამო აღენახა.

ზინამ ახსნა რაზა, გამოადო კარი და

ხმამოუღებლოვ გამოვიდა ზღუდობზე. კარებში რომ გამოატარა, უნებლოვ მკერდით შეეხო ვაჟს. ვასილის სუნთქვა შეეკრა. მერე გაუბედავად მოხვია მარცხენა ხელი და ერთხანს შეაჩერა. ზინა თითქოსდა უნებლიეთ მოსწყდა, წინ გაუხტა და თქვა:

— ბნელა... გზას ვერ გაიკვლევე... მეორე დღეა სინათლეს არ გვაძლევენ.

— სადა ხარ? მე აქ რამეს გავტეხავ... სიბნელეში.

— აი აქა ვარ... — თბილი ხელი გაუწოდა ზინამ.

ვასილიმ მოიახლოვა იგი, ქალმა გაიწია.

— მოიცადე... უთხრა მოფრთხილებით, — ღამპას ავანთებ.

— ვიდგეთ ასე.

— უუ-უ... — უპასუხა ქალმა და ასანთი გააჩხაკუნა. პატრუქი მოწვა, ახლოს მიიტანა შუშა, მაგრამ ვასილიმ მოასწრო, სული შეუბერა და ალი ჩააქრო.

— რას ბავშვობ, — მშვიდობიანად უთხრა ქალმა. ვასილის მის მხრებზე ხელი მოეხვია. ზინამ ისევ აანთო, შუშა ჩასვა, სკამზე დაჯდა და ჩაფიქრდა.

— ავტობუსით მიდიხარ?

— ჰო, ავტობუსით.

ზინამ მალეძიარას შეხედა.

„ვეცოდები“, — გაიფიქრა ვასილიმ.

— არ დაგავგიანდებ?

— მოვასწრებ.

ქალმა ხელისგულები გადაისვა სახეზე და დაამთქნარა:

—ოი, ისე მეძინება. ძილი სულ მომიშალე.

— დროზე დაწოლაა საჭირო. გუშინ აღბათ სადღაც შეგავგიანდა დროსტარებაში. რატომ არ მოხვედი?

— რა ვიცი.

— მაინც?

— გაინტერესებს?

— დიახ.

— დამავგიანდა.

ვიჰტორ ლინოვნიკოვი
რალაც უნდა მოხდეს

— სახლში როდისღა მოხვედი?

— მგონი, პირველზე.

„პირველის ნახევარზე ჯერ კიდევ მის კბოში ვიჯექი. ვერ დაველოდე ბოლომდე!“

— დავამთავრეთ, — ვალკამ სუფრასთან შეგვეყარა, დავლიეთ, ლაპარაკს შევეყვიეთ.

— ბიჭმა გამოგიძახა?

— გამომიძახა. მოსვლა მინდოდა, მაგრამ... ვიფიქრე, ვიფიქრე...

— რა?

— ბნელა... გარეთ გამოსვლაც უხერხული იყო, — თქვა მან, და ვასილიმ მას არ დაუჭერა. — გვიანაა უკვე...

„თითქოსდა არაფერიც არ ყოფილა. მე კი ვფიქრობდი... აქეთ-იქით დავრბოდი, ჭკუიდან ვიშლბობდი. აჰა, მოვედი. ის კი ზის ჭა ამთქნარებს, გუშინ სახლთან როგორ მიცქერდა!“

— როგორ ცხოვრობ?

— ნელ-ნელა.

— მარტოკა?

— როგორც ხედავ, შენ როგორღა მოხვედი აქეთ, ჩვენთან?

— მივლინებით. შემოვიარე, შენ რომ შეგხვედროდი, — დაუმატა მან განგებ და წელზე მოხვია ხელი.

ზინამ ხელი აირიდა და ჩაიცინა.

— მერე მინდორში რომ გადაგეყვანე, არა? — და დაამთქნარა, ხელისგული მიიფარა. — უჰ, მეძინება.

— ხატა დიდხანია იყიდე?

— გამოზაფხულზე. ოი, რა არის ეს, რა მთქნარება ამიტყდა?

ერთხანს ყუჩად ისხდნენ. ასეთ შეხვედრას არ ელოდა ვასილი. თითქოსდა არაფერი არ ყოფილიყოს მათ შორის— არც გუშინდელი ჩურჩული სახლთან, არც ფართული მხერა და მოკრძალებული დაპირება. უნდოდა, მაგრამ არ შეეძლო მისთვის ხელი მოეხვია.

— წახვალ უკვე? საცაა ავტობუსიც მოვა.

— ამ წუთში. ეხლავე წავალ.

— მოდი, გაგაცილებ. — თქვა ზინამ და წამოდგა.

გამოვიდნენ. ვასილიმ ვერაფერით ვერ შესძლო ჰაპიროსის მოკიდება.

— შენ ჯერ არ დაქორწინებულხარ?

— ჰკითხა ზინამ და ხელკავი გამოსლო.

— არა.

— უკვე დროა თითქოს.

— სად მეჩქარება.

— ეგეც მართალია, შენ კარგად იყავი და მაგასაც მოესწრები. ეს ჩვენთვისაა ცუდი დიდხანს ასე დარჩენა.

ქვევითკენ გაუყვნენ, ცარიელი მინდორი შავად მოჩანდა, რაღაც უნდა ეთქვათ დამშვიდობებისას. ვასილიმ ქალი შეაჩერა, უწინდელი მორიდების გარეშე მიიზიდა თავისკენ, ზინა ჯერ გაუხედავად, მერე კი სულ უფრო ძლიერად ჩაეკრა მას და ხელები მხრებზე შემოაწყყო.

— შენ არ იფიქრო ოღონდ...

— ვნახოთ და უკვე ვიფიქრე?

— ოი, არ ვიცი, ჯერ არაფერი არ ვიცი.

ვასილის მის წელზე შემოეჭდო ხელები, ზინა, უკან გადაწულიყო, ირწოდა, მუხლებით ეხებოდა. დიდხანს იდგნენ ასე. დროდადრო ზინას თვალეზი ცრემლებით ეესებოდა, მაგრამ არ იწმენდა, და ზედვე აშრებოდნენ.

— მითხარი მაინც, რატომ არ მოხვედი?

— რისთვის უნდა მოესულიყავი? სულ ერთია შენ მაინც წახვალ.

— ქალაქში ყოფნა თუ გიწევს?

— აი ჭარხალს ამოვიღებთ და ჩამოვალ.

— შემოიარე. მისამართს მოგცემ. შემოვივლი?

— შენ დედასთან ერთად ცხოვრობ?

— არა, ცალკე ბინაში. ტამანის სა-მოცდაერთი. შემოიარე, მუსკომედიაში წავალთ.

— ვეცდები.

მდღობზე, აკაციებს შორის ყვითლად გამოკრთოდა მისი ფანჯარა.

— ჩაქრობა დამეიწყებია, — თქვა ზინამ. — წადი, დავაგვიანდება.

— გამაცილე კიდევ.

— არა, სახლი ღიაა. ლამპა ანთია.


- წავიდეთ, ჩავაქროთ?
- უყურე ამას... რა მოინდომა.
- და მაშინვე დავბრუნდეთ, გამომა-
ცილე.
- ინათა უკვე.
- ქალმა სამჯერ, სწრაფად აკოცა, თით-
ქოს დალოცაო.
- მოგწერო?
- არ ვიცი.
- შენ მიპასუხებ?
- ქალმა მხრები აიჩეჩა.
- სანამ იგი მალლა მიდიოდა, გორაკე-

ბის შავი ხეულების ზემოთ სინათლის
პირველი ზოლისკენ მიიწევედა, ვასილი
იდგა, ელოდებოდა, თვალს როდის მიე-
ფარებოდა. „რა მემართება? — დელა-
ვდა ვასილი. — ვიყავი ჩემთვის, არც
მაგონდებოდა, შემთხვევით ჩამოვედი,
ვნახე, და...“

იგი ხედავდა, როგორ შევიდა ოთახში
ზინა, წყალი დალია, მიუჯდა მაგიდას
და ჩაფიქრდა.

მერე ლამპას ჩაჰბერა.

თარგმანა ოთარ ნოდიაშ.





„ენათობა“ — 77

ეურნაღში გამოქვეყნებულ საუკეთესო წი-
რილებს შორის ერთ-ერთი პირველი უნდა მო-
ვისხენიო სარგის ციანცილის წერილი „ახალი
ქართული პოეზიის გზაჯვარედინზე“, რომელ-
შიაც კრიტიკულად არის განხილული ტიცინან
ტაბიძის ცხოვრება და შემოქმედება.

მკვლევარი ვრცლად და ამომწურავად ეხება
ქართულ სიმბოლიზს, ცისფერყანწელთა
ჭაფუსს, რომლის ერთ-ერთი მეთაური და მება-
რახტრე, პაოლო იაშვილთან ერთად, ტიცინან
ტაბიძე იყო და თავიდანვე მიდის იმ სწორ
დასკვნამდე, რომ ქართული სიმბოლიზში და-
სავლური და რუსული სკოლების დაგვიანებუ-
ლი გამოძახილი იყო და არც ერთი მისი წარ-
მომადგენელი, მიუხედავად დეკლარაციებისა,
პანტაუნტით რომ აქვეყნებდნენ და მკითხ-
ველს აფრთხობდნენ, ნამდვილ სიმბოლისტ
პოეტად არ ჩამოყალიბებულა.

ამავე აზრს გამოთქვამს ქართულ სიმბოლიზ-
მზე სერგი ჭილაიაც თავის ვრცელ ნარკვევში,
რომელიც ქართული საბჭოთა მწერლობის ის-
ტორიას ეხება და გამოქვეყნებულია „მნათობ-
ის“ ოთხ უკანასკნელ ნომერში.

ს. ციანცილის სიმბოლისტებად წოდებული
ციანციანწელები, განცალკევებულად მდგომ
გალაკტიონ ტაბიძისთან ერთად, ქართული
ლექსის რეფორმატორებად მიჩნია, რომლებ-
მაც თავიანთ შემოქმედებაში გაითვალისწინეს
დასავლური და რუსული მოდერნისტული სკო-
ლების მხატვრული გამოცდილება, დასძლიეს
პროვინციალიზმი და ქართული ლექსი ევრო-
პულ მოვლენად გადააქციეს.

ციანციანწელთა სიტყვა და საქმე არცთუ
იშვიათად ერთმანეთს შორდებოდა. ისინი, ლი-
ტერატურულ მოღას აყოლილი ახალგაზრდები,
მართალია თავდაპირველად აღმადგურად უყუ-
რებდნენ და უარყოფითად აფასებდნენ სამო-
ციანელთა დიდ დამახასტრებას და უჭველესი

ქართული მწერლობის საუკუნობრივ ტრადი-
ციებს, მაგრამ პატარა ერის შვილები იყვნენ
და არ შეეძლოთ, საქმით — თავისი პოეზიით
იგივე გაეეთებიანთ, რასაც სიტყვით — მყვი-
რალა დეკლარაციებით ქადაგებდნენ. მაჭარი
რომ დაღვინდა, ცისფერყანწელებმა, ამ უკი-
დურესმა მოდერნისტებმა ქართულ პოეზია-
ში, ვითომდა დეკადენტთა ესთეტიკურ მრწამსს
„ხელოვნება ხელოვნებისათვის“ რომ იზიარებ-
დნენ, რაც ფუტურისტებმა და რაპელებმა მა-
რთლა დაიჭერეს და სარწმუნოდ მიიჩიეს, მან-
ღე დაინახეს, რომ პოეზიას, მწერლობას, ხალ-
ხის სამახურის იქით გზა არა აქვს და თვითვე
გადაიქციენ ახალი ცხოვრების, დროის ახალი
სულისკვეთების უპირველეს გამოძახებულად,
მის უპირველეს მომღერლებად.

ს. ციანცილი პირდაპირ აცხადებს: „ეროვნუ-
ლი სულიკვეთება ყოველთვის ძალუმაღ ფეთ-
ქდა ცისფერყანწელთა შემოქმედებაში“.

ყველაზე უფრო თვალნათლივ ამ სახელმძღ-
ვანელო მოსაზრების ჭეშმარიტება სწორედ ტ-
ტაბიძის პოეტური მემკვიდრეობის მხატვრუ-
ლი ანალიზის ფონზე ჩანს, რაც ასე ოსტატუ-
რად, ფხიზელი გონებით, არა ბრმა თავყანისცე-
მითა და წრესგადასული აღტაცებით, არამედ
სუფთა ანალიტიკური მსკელობის გზით მოუ-
ცია ჩვენს კრიტიკოსს. ს. ციანცილი ვრცლად
ჩერდება ტ. ტაბიძის ლექსებში ჩაქსოვილ ღრმა
დრამატისმზე, ს. ჩიქოვანის გამოთქმა რომ
ფხიზმართ, პოეტის „გასაოცარ ლირიკულ სი-
მამაგრესა და თავგამეტებაზე“. მკვლევარი მე-
ტად საინტერესოდ და გონებაამახვილურად მი-
უთითებს პოეტური ხედვისა და გამოსახვის
საქმეში ტ. ტაბიძის ნათესაობაზე დიდ ვაჟა
ფშაველასთან, მისი პოეზიის ბუნებასთან, ში-
ნაგან სიჯანსაღესთან და სამყაროს ეპიურ აღ-
ქმასთან. ეს დაკვირვება უთუოდ ორიგინალუ-
რია და ჩვენს ლიტერატურისმცოდნეობაში გა-
ზიარებასა და შემდგომ გაღრმავებას იმსახურ-
ებს, ტ. ტაბიძის პოეზიის ფესვების ძიება და

დასასრული. დასაწყისი იხ. „ციანციანი“ № 3.



მიკვლევა ქართული კლასიკური პოეზიის წიად-ში ერთხელ კიდევ ადასტურებს იმ ერთადერთ სწორ დებულებას, რომ ცისფერყანწილების და მისი ერთ-ერთი შთავონებული ლიდერას, ტიციან ტაბიძის, სახით საქმე გვაქვს არა მარტო დეკადენტური მიმართულების ლიტერატურულ მიმდინარეობასთან, სიმბოლისტებთან, ვისი ორდენის წევრებადაც ისინი თავს აცხადებდნენ, არამედ ქართული ლექსის განმაახლებლებთან, რევორმატორებთან, ახალი ქართული პოეზიის ფუძემდებლებთან, ეპოქის სიახლეებს რომ ეზიარნენ და „დადგნენ იქ, სადაც ქარიშხალია“

რაკი უკვე ვახსენე, აქვე შევეცდები განვიხილო სერჯი ჭილაიას ვრცელი ნარკვევი „ოქტომბერი და ქართული მწერლობა“. ნარკვევის პუბლიკაცია ჭერ დასრულებული არ არის, მაგრამ იმ დიდი ნაწილის მიხედვითაც, რაც უკვე ჩვენს ხელთაა, მაინც შეიძლება ზოგიერთი დასკვნა გავაკეთოთ.

ს. ჭილაიამ ეს ახალი ნაშრომი ოქტომბრის 50 წლისთავს მიუძღვნა და, როგორც საათურ-მისი ტაშითაა, თავის კვლევას მკვეთრად გამოხატული მიმართულებაც მისცა — მკითხველის ყურადღების ცენტრში დააყენა ქართული მწერლობის იდეური დამოკიდებულება ოქტომბრისადმი.

ეს დამოკიდებულება, როგორც ცნობილია, ერთხელ და სამუდამოდ დადგენილი, დაკანონებული, დროსა და სივრცეში განსაზღვრული არასოდეს არ ყოფილა. იგი, ეს დამოკიდებულება, ისტორიული პროცესი იყო, ისტორიის მსვლელობის მანძილზე თანდათან ვითარდებოდა, იხვეწებოდა და მყარდებოდა, ვიდრე სუბოლოდოებს ის სახე არ მიიღო, რომელიც ამჟამად გვაქვს.

ს. ჭილაია თხრობას ჩვენი საუკუნის ათიანი წლებიდან იწყებს, რადგან საბჭოთა მწერლობის სათავეები მას პირველი მოთვლილი ომის წინახანაში, იქ ეგულება, სადაც უკომპრომისობრივად გაიშარა წამბაქველობის ჭაობში მცურავ ეპიგონებსა და ქართული ლექსის განმაახლებლებს შორის.

როგორც ზემოთა ვამბობდი, ნარკვევის ავტორი დიდ ადგილს უთმობს და სწორ თეორიულ შეფასებებს აძლევს ჩვენში მოქმედ ლიტერატურულ მიმდინარეობებს, რომლებიც საბჭოთა წყობილების პირველ წლებში რუსული და უცხოური ლიტერატურული სკოლების გავლენით იქმნებოდა და ძალიან ხშირად ჩვენთვის უცხო იდეებისა და შეხედულებების პროვინციულ გამოძახილს წარმოადგენდა.

გასაკვირი არ არის, თუ ნარკვევის ძირითადი ნაწილი ცისფერყანწელთა ესთეტიკური რაობისა და იდეური სულიკვეთების ანალიზშია დაოკავა. ცისფერყანწელთა ჭგუფში, რომელიც რამე ლიტერატურულ სკოლად ან მიმდინარეობად არასოდეს არ ჩამოყალიბებულა, იქვე მოიყარეს იმ დროის ყველაზე ნიჭიერი მწერლები და ცხოვრების გამოცდილების მატარებელი მწერლები, რომლებმაც შექმნეს იმ დროის ყველაზე ახალი პოეზიის უნიკალური სახე — ლიტერატურული სიმბოლისტიზმი.

რეობად არასოდეს არ ჩამოყალიბებულა, იქვე მოიყარეს იმ დროის ყველაზე ნიჭიერი მწერლები და ცხოვრების გამოცდილების მატარებელი მწერლები, რომლებმაც შექმნეს იმ დროის ყველაზე ახალი პოეზიის უნიკალური სახე — ლიტერატურული სიმბოლისტიზმი.

ავტორს ასევე დამაჭერებლად, უახლეს ლიტერატურულ თვალსაზრისზე დაყრდნობით განუხილავს და შეუფასებია სხვა ლიტერატურული ჭგუფებიც და ორგანიზაციული გარდაქმნებიც საქართველოს მწერალთა კავშირის შინაგნით. ჭეროვანი ადგილი ეთმობა ლიტერატურულ პრესასაც, განუთვინა და ყურადღებას, რომლებსაც სხვადასხვა დროს შემდგომში გამოჩენილი ქართველი მწერლები და საზოგადო მოღვაწეები რედაქტორობდნენ.

მე აქ აღარ გავიგორებ, რაც ცისფერყანწილების ირგვლივ ს. ციხეიას წერიათან დაკავშირებით ვთქვი, მხოლოდ იმას აღვნიშნავ, რომ კლასიზმი ფესვების ძიება იმ ჩვენი ლიტერატურული მიმდინარეობების პოლიტიკური მრწამსის ანალიზისას, თუ, რასაკვირველია, თვით ლიტერატურაში ჩივიდავთ და მყვირალა დეკლარაციებს არ აყვებით, სასურველ გზაზე ვერ გავიყვანს და ჭეშმარიტებას ვერ მიგვაგვინებებს.

აქ, თუ ს. ჭილაიას მსჯელობას მივყვებით, საკითხს ოქტომბრის რევოლუციის მონაპოვრებისადმი მიმართება წყვეტს, არ ვიცი, შესაძლოა მე ვცდებოდეთ, მაგრამ ვშიშობ, რომ ამ ერთადერთი უპიკარის გათვლისწინებით საუბრეველზე თითქოს საზოგადოების კლასობრივი დიფერენციაციის ახსნა ხერხდებოდეს. საეჭვოა, აღ. აბაშელი ექსპლუატატორთა კლასს მივაკუთვნოთ მხოლოდ იმის გამო, რომ თავისი ბიოგრაფიის განსაზღვრულ ეტაპზე პოეტი ტლომის ისინი სივანს სვამდა კრწანისა და თებერვალს შორის. ასევე უხერხულ მდგომარეობაში ჩავივდებოდით თავს თუ პაოლო იაშვილსა და ტიციან ტაბიძეს მაინცდამაინც პროლეტარიატის სულიკვეთებით გამოძახებულად ვაღიარებდით თუნდაც იმის გამო, რომ მეთერთმეტე არმიის ისინი თბილისის ჭიშკარში შეხვდნენ და ამ დღიდან მოკიდებული საბჭოთა პლატფორმიდან აღარ ჩამოსულან. აქ, აღბათ, სხვა კლასიფიკაციის უნდა მივმართოთ და როგორმე თავი ავარიდოთ ყველაზე ადვილად მისაგნები შაბლონური ტერმინების გამოყენებას.

ეს ჩემი ერთადერთი არსებითი შენიშვნაა, რომელიც ს. ჭილაიას საერთოდ საინტერესო, მახალის ღრმა ცოდნით და პუბლიცისტური სიმახვილით დაწერილი, დღეს აგრერივად საქი-



რო ნარკვევის კითხვის დროს დამებადა. მიუ-
დგომლობა, შეუფერადებლობა, კეთილხინდის-
იერება და ფაქტების სიხვედ აღნიშნულ ნარკ-
ვევს თავიდან ბოლომდე გასდევს და საქმეში
ჩაბედული მკითხველის მოწონებას და მხარდა-
ჭერას იმსახურებს.

1877 წ. „მნათობის“ მეხუთე-მეექვსე ნომრე-
ბში დაიბეჭდა კიდევ ერთი მიმოხილვითი ხასი-
ათის წერილი — რამაჲ კობიძისა და იგორ
ბოგომოლოვის „კარაული საბჭოთა მწერლობა
და უცხოელი კრიტიკოსები“.

ავტორებს უღარესად შრომატევადი სამუ-
შაო ჩაუტარებიათ, როგორც სქილიო ვვაუწ-
ყებს, საჭირო მასალების ძიებაში ჩაურთავთ
უცხო ენების მცოდნე სპეციალისტებიც და
დაინტერესებულნი მკითხველის წინაშე საინტე-
რესო სურათიც დაუხატავთ.

თუ მეხსიერება არ მღალატობს, მსგავსი ხა-
სიათის საინფორმაციო-მიმოხილვითი ნაშრომი
ჩვენი პირველად იბეჭდება. აქამდე უცხოულ
კრიტიკოსთა გამოსაზურებებს მხოლოდ კან-
ტაუტისა, უფრო ხშირად მავანი და მავანი ავ-
ტორის პატივმოყვარეობის დასაყუთვლილბე-
ლად აქვეყნებდნენ.

უცხოურ ენებზე თარგმნილ ქართულ ნაწა-
რმოებებთან აქ შესაძლოა ყველა ვერ მოხვ-
და და ვერც ყველა გამოსაზურება აღმოჩნდა
მიკვლეული, უფრო ან სურათი უამისოდაც სასი-
ხარულო და იმედის მომცემია: მსოფლიოს
ხალხთა ენებზე თარგმნილი და გამოცემულია
ჩვენი გამოჩენილი პოეტებისა და პროზაიკო-
სების ბევრი თვალსაჩინო ნაწარმოები და არა
მარტო თარგმნილი და გამოცემულია, ბევრმა
მათგანმა ადგილობრივი კრიტიკის უურადლე-
ბად დაიმსახურა. წერილის ავტორებს უმარავი
ამონაწერი მოჰყავთ და ჩვენი ლიტერატურის
მწარდ პოპულარობას საზღვარგარეთ ამათ სა-
ჩინოს ხდიან.

მაგრამ აქაც იბადება ერთი „მაგრამ“. დავა-
ჭიროთ, ყველას ასე ერთხმად და ხელაღებით
მოსწონს ის, რაც ჩვენში, საქართველოში, იწე-
რება? არა მგონია. აკი თვით ავტორებიც ვვკა-
რდებიან, ავსა და კარგს გავაცნობთ? იქ, სა-
დაც ამდენი მაქებარი წერილი დაიბეჭდა, თქმა
აღარ უნდა, დაეჭვება და ფიქრიც სადმე გა-
მოერყნა. ეს დაეჭვება, რომელიც უცხოეთში
გამოითქმის, ჩვენივის ისევე ძვირფასია, რო-
გორც ნაწარმოების მოწონებით გამოწვეული
სიხარული, ვინაიდან ის ხელს შეუწყობს ჩვენს
დაფიქრებას, ეჭვს და წინსვლას. მასსოვს, ერ-
თი ასეთი აზრი თან პოლ სარტრმა მარკია ბა-
რათაშვილის კომედიის, „კრიტიკის“ გამო გა-
მოთქვა. სახელგანთქმულმა ფრანგმა მწერალ-
მა იმ დროს ნახა პიესა ტაშენტის დრამის თე-
ატრის სცენაზე, როდესაც ის უღარესად პო-
პულარული იყო და მთელი საბჭოთა კავშირი-

სა და საზღვარგარეთის მრავალი ქვეყნის სცე-
ნებზე იდგებოდა.

რედაქცია, რასაკვირველია, კარგად მოიქცა,
როდესაც კობიძისა და ბოგომოლოვის საინ-
ფორმაციო-მიმოხილვით წერილს ადგილი
დაუთმო, მაგრამ უმჭობის იქნება, თუ მომა-
ვალში ჩვენი ნაწარმოებების ირგვლივ უც-
ხოეთში შექმნილ აზრს მთლიანად წარმოვადგენთ
და მწერლებსაც და მკითხველებსაც ამ აზრის
ძირფესვიანი გაცნობის საშუალებას მავცემთ.

უწინაღის მკითხვ და მეშვიდე ნომრებში
გამოქვეყნებულია პროკოფი რატანის ორი წე-
რილი: „ვინ იყო ცინე-ქალაქ ტინვალის მფლო-
ბელი შოთა?“ და „ნუთუ ეს კიდევ სადავოა?“

პირველი წერილის მეცნიერული ღირებულ-
ების განსაზღვრას მკითხველის ნებართვით მე
თავს ავარდებ, ვინაიდან ჩვენი ნაფიცი რუს-
თველოლოგებისა არ იყოს, გენიალური პოეტის
ბიოგრაფიაში ცოტა არ იყოს მოვიკოვლებ, მა-
გრამ, სამაგიეროდ, არ შემძლია უუყურადდე-
ბოდ დავტოვო პრ. რატანის მგორე წერილი,
რომელიც ილია ჭავჭავაძის პოლიტიკურ-ეკო-
ნომიურ შეხედულებებს შეეხება და ერის და-
დი მამის კლასობრივი სახის განსაზღვრას ემ-
სახურება.

მს შემდეგ, რაც ჩვენმა კლასიკოსებმა მარქ-
სიზმის ვულგარიზატორთა და კლასიკური მე-
მკვიდრების ყალბ შემფასებელთა განქიქება
გამოიარეს, რასაც ზღვარი საბჭოთა კავშირის
მწერალთა კავშირის პირველმა ყრილობამ და-
ულო, როგორც იქნა, მოხერხდა გადბარუნებუ-
ლი ურმის თბილიდან ამოყვანა და კვლავ
სწორ გზაზე დაუყენება. მრავალი მეცნიერის გა-
რჩიბა და ღვაწლით, კლასიკური მემკვიდრეო-
ბისადმი მარქსისტული მიდგომის გკით, მთე-
ლი ქართველი ხალხის საბედნიეროდ და სა-
სიხარულოდ, მოხერხდა ისტორიის მართალი
სურათის აღდგენა და იმის ზუსტად, უოველ-
გვარი შეღამაზების გარშე განსაზღვრა, თუ
ვინ და რანი იყვენ ჩვენი კლასიკოსები, კერ-
ძოდ, თერგდალეულები — ილია და მისი თა-
ნამებრომნი. შეიძლება დარწმუნებით ითქ-
ვას, რომ ქართული საისტორიო მეცნიერების
დონეზე ეს ამბავი დღეს გამოკვლეულად და
დადგენილად ითვლება, იმაზე, რაც სადავო
უკვე აღარ არის, დღეს აღარავინ დავობს,
თუცა... „ნუთუ ეს ისევ სადავოა?“ — გვე-
კითხება თავისი წერილით ილია ჭავჭავაძის
ცხოვრებისა და შემოქმედების ერთ-ერთი
მკვლევარი პრ. რატანი. მისი ეს წერილი სწო-
რედ ძველი, აწ მეცნიერებისაგან საბოლოოდ
უარყოფილი, მაგრამ რაღაც სახით მოდერნი-
ზებული თვალსაზრისის წინააღმდეგ არის მი-
მართული. ძნელი დასაჭერებელია. ვერც და-
ვიჭერებდი, როგორც „მნათობის“ სარდაქ-
ციო კოლეგიის წევრს, რატანის მიერ გაკრი-
ტიკებული ავტორის — პროფესორ აკაკი სუ-

რეჟუმაძის პასუხიც რომ არ წამოვიტია და პასუხის პასუხსაც რომ არ გავცნობოდი.

როდის უნდა გამოვიდეთ ამ არევე-დარევიდან? როდის უნდა დავაღწიოთ თავი პროვინციულ ლუღლუღს? წუთუ მართლა ისეა საქმე, რომ შეიძლება ყველაფერზე ვიდავოთ, ვიდავოთ მხოლოდ იმისათვის, რომ ვიდავოთ და ეს დავა, ნამდვილი წყლის ნაყვა და შეტი არაფერი, არასოდეს არ დავასრულოთ?

ერთი ასეთი დავა შურნალ „ვოპროსი ისტორიის“ ფურცლებზე გაიშარა. პროკურების კულტის კრიტიკის შემდეგ ზოგაერთი მეცნიერი ფეხისხმას აპყვა და ი. სტალინის შრომების რევიზია განაზრახა. უპირველეს ყოვლისა, ნიშანში ამოიღეს ერის ცნობილი განსაზღვრება. ერთი უსათუოდ მცდარად იქნება განსაზღვრული და რადაც არ უნდა დავეჭიდდეს, უნდა გავასწოროთ. შეიქნა ქოდილი და მენტატება. ფიცები დისკუსიის შემდეგ დაღვინდა, უფრო სრულად და უფრო ლაკონურად აქ ცნების ჩამოყალიბება შეუძლებელია.

აი, თვით „ვოპროსი ისტორიის“ რევიუმე, სარედაქციო კოლეგიის დასკვნითი წერილი, სავალდებულო დისკუსიის მონაწილე ყველა ოპონენტისთვის, რომელიც პრ. რატანის თარგმანით მომუშავე:

„ცნობილია, რომ ი. ბ. სტალინის ის ნაშრომი, რომელშიაც ეს განსაზღვრება მოცემული, დადებითად იყო შეფასებული ვ. ი. ლენინის მიერ. მოტანილი განსაზღვრა ერისა, როგორც ეს სამართლიანად აღინიშნა დისკუსიის მხედლობაში, მეცნიერული, მარქსისტული განსაზღვრაა, იგი ერების მარქსისტული-ლენინური თეორიის შემადგენელი ნაწილია“.

სარედაქციო კოლეგიის ამ დასკვნითმა წერილმა ბოლო მოუღო დავას და კამათს — ისტორიკოსები და ფილოსოფოსები შეთანხმდნენ, ერის ცნება საბოლოოდ დადგენილად აღიარეს.

იჩკევამ, რომ სტალინის ცნებით უკმაყოფილოთა შორის ა. სურგულაძეც უყოფილა. მისი აზრით, ერის ცნებაში შემავალ არსებით ნიშნებს კიდევ ერთი არსებითი ნიშანი — ეროვნული სახელმწიფოს ქონა უნდა დამატებოდა, რაც უფლებას წაართმევდა ხალხებს, ვისაც სხვადასხვა ისტორიული ძნელებლობის წყალობით ეროვნული სახელმწიფოს შექმნა ვერ მოეხერხებინა, ანდა იგივე ძნელებლობის მიზეზით ოდესღაც მოპოვებული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა დაეკარგა, ცრად წოდებულიყო.

ამ საკითხს, როგორც ცნობილია, თვით სტალინმა მიაქცია ყურადღება, როდესაც 1929 წელს ნაშრომში „ნაციონალური საკითხი და ლენინიზმი“ პასუხი გასცა მეშვიშისა და კოვალჩუკის შეკითხვებს.

რა გზას ადგას დღეს პროფ. ა. სურგულა-

ძე, რომლის მოსაზრება, ძველი, ართუ ანალი, საიდან სად გადატანილ-გადმოტანილი, უკმაყოფილო როსი ისტორიის“ ფურცლებზე არ გამჩქვენიებულია, მაგრამ უარყოფილთა შორის კი აღმოჩნდა? ის წერს, რომ „ვოპროსი ისტორიის“ სარედაქციო კოლეგიამ, მართალია, ეროვნული სახელმწიფოს ქონა ერის არსებით ნიშნად არ შეიწესნარა, მაგრამ ნიშნად კი დასტოვა... სად წერია ეს? როგორ გავიგოთ, „ნიშნად დასტოვა“? მაშ, ისევ განვადგომთ დავა? ყველაფერი ისევ თავიდან დავიწყეთ და დავაში გამარჯვებულად ის ჩავთვალოთ, ვინც ბოლოს იტყვის? არა, მეგობრებო, საეჭვოა, ამგვარი მიდგომა მეცნიერების, წმინდათაწმიდა ჭეშმარიტების დადგენის ინტერესებს ემსახურებოდეს.

„მნათობი“ მეორე ნომერში ბეჭდავს ვრცელ წერილს „დედი შუაღლე“. ეს განხილავს ნოდარ რუხაძის ინტერვიუ დასავლეთ ევროპის ლიტერატურის ცნობილ მკვლევარ პროფესორ მიხეილ კვესელავსთან. ახლანაშ გამოვიდა მ. კვესელავს დიდი ნაშრომი „პოეტურა ინტიმარალები“, რომლის ერთ თავს „გ. ტაბიძე და თანამედროვე პოეზია“ ეწოდება. აწ განსვენებული ნ. რუხაძის შეკითხვები ძირითადად მ. კვესელავს მიერ გ. ტაბიძის პოეზიის გაგებას და მეოცე საუკუნის მსოფლიო პოეზიაში მის ადგილს შეეხება. ყველა შეხედულება, რომელსაც მკვლევარი გამოთქვამს, მთლიანად ზემოთხსენებულ ნაშრომს ემყარება.

მ. კვესელავს უარამაზარმა ერთუციამ ცოდნის სხვადასხვა დარგში, უპირველეს ყოვლისა კი დასავლურ ლიტერატურისმცოდნეობაში, აქაც იჩინა თავი. გ. ტაბიძის ამითუ იმ სახის ან განწყობილების ასახსნელად და გაგასაშივრებად მოხმობილია აურაცხელი მასალა. მე ჭირჭირობით ვერ მოვასწარი გავცნობოდი. მ. კვესელავს წიგნს „პოეტური ინტიმარალები“, მაგრამ თუ შურნალში გამოქვეყნებული ჭანსიკის მიხედვით ვიმსჯელებთ, იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ავტორმა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გამოკვლევის გამომდინარე ჩიენი ეროვნული ლიტერატურისმცოდნეობა, გამოთქვამს მხოლოდ ერთ საშიშროებას: ხომ არ დავარღვივთ ლიტერატურასა და მეცნიერებას შორის გავლებული უხილავი საზღვარი და შეტისმეტად ღრმად ზომ არ შევიკირთო ზუსტი მეცნიერების ფარგლებში? ნაშრომი პოეზიაზე, ჩემი ღრმა რწმენით, პოეზიისავე ფარგლებში უნდა ტრიალებდეს, სახეებითვე აწროვნების ნიშნებს უნდა წარმოადგენდეს და ახალი ცეცხლით აღაწიებდეს არა მარტო გონებას ჩვენსას, არამედ გულსაც. მეცნიერების ნაკადის შეტისმეტა

რედაქცია გზავს რედაქციამ

„მნათობი“—77



შემოკრამ ვაითუ მთავარი დაგვიფაროს და ხელში ადარაფერი შეგვარჩის?

ვიმედოვნებ, სწორად გამიგებენ. მე პრიმიტიული აზროვნების საპირობებს კი არ ვქადაგებ, ვთვლი, რომ კრიტიკა მწერლობის დარგია და როგორც არ უნდა გავამდიდროთ სხვადასხვა მეცნიერებათა მიღწევებით, ის მაინც საკუთარი ინვესტაციით უნდა მოქმედებდეს და მისაწვდომი იყოს ყველასათვის, ვისთვისაც მისაწვდომია მხატვრობის სიტყვა.

„მნათობის“ ორ სხვადასხვა ნომერში გამოქვეყნებულია გორგი მერკვილაძის ორი წერილი. პირველი წერილი მიმოხილვითი ხასიათისაა და განიხილავს ჩვენი პოეტების მიერ სულ უკანასკნელ დროს შექმნილ ნაწარმოებებს, ამ ნაწარმოებთა მოქალაქეობრივ პათოსს, მეორე კი მთლიანად ლაღო ავალიანის რომანს „ახალ ჰორიზონტს“ ეძღვნება.

ორივე წერილი განმსჯელებულია ახლის დამკვიდრების სულისკვეთებით და როგორც რომან „ახალ ჰორიზონტს“, ისე ჩვენი პოეტების უახლეს ქმნილებებს სწორედ ამ თვალსაზრისით უღებდა.

კრიტიკოსთან საკამათო არაფერი შექნებოდა, მისი ორივე წერილისათვის ერთი ტენდენცია რომ არ შემემჩნია. მკითხველს რჩება შთაბეჭდილება, რომ საზოგადოების მორალურ-ეთიკური სიჯანსაღისათვის ბრძოლის დროშა საქართველოში თითქმის მხოლოდ ამ რამდენიმე წლის წინათ აღიმართა. ცოცა არ იყოს, უცნაურად უღერს გ. მერკვილაძის მსჯელობა, როდესაც ის „ახალი ჰორიზონტის“ საზოგადოებრივად მტკივნეულ მხარეზე ჩერდება და შენიშნავს, რომ მწერლის მოქალაქეობრივი შემართება უსუსტად ესადაგება რესპუბლიკაში შექმნილ ახალ ვითარებას. ჭერ ერთი, ეს ვითარება, კრიტიკოსი რომ გულმსომობს, უკვე აღარ არის ახალი. მეორეც: განა იმ დროს, როდესაც „ახალი ჰორიზონტი“ იწერებოდა, არსად გაისმოდა მწერალი-მოქალაქის სიტყვა, რომლის ერთ-ერთი თვალნათლივი მაგალითი სწორედ „ახალი ჰორიზონტის“ სა-მოქალაქო მოტივებია?

ჭობს, თვით გ. მერკვილაძეს მოვუსმინოთ: „მაინც, მთავარი ის არის, რაც ლ. ავალიანის რომანის შინაგანი მუხტია. ესაა მაღალი წინაპობის, ახალი კომუნისტური მორალის დამკვიდრების პათოსი; ეს არის ბოლო წლებში გავრცელებული ჩვენი ცხოვრების მავნე მხარეთა, სიმახინჯეთა პრინციპული მხილება-დაგმობის პათოსი“.

მაბატოს ჩემმა მეგობარმა გ. მერკვილაძემ, თუ შევხებდავ, რომ აქ ყველაფერი თავის რი-

გზე ვერ არის. მოდით, ნურაფერს დავმა-
ლაფთ, მორცხვობა უკუფავლოთ და გულუბნობა
დიდად ვილაპარაკოთ. ჭერ ის ვიკითხოთ, რა არის ეს „ახალი კომუნისტური მორალი“. კომუნისტური მორალი თავისთავად ახალია. მაშ, ეს მეორე ახალი მას რისთვის სჭირდება? შემდეგ: „ახალი ჰორიზონტი“ მეოთხედი საუკუნის წინათ დაიწერა და როგორ მოხერხდებოდა, შვგ ასახვა ეპოვება „ბოლო წლებში გავრცელებული ჩვენი ცხოვრების მავნე მხარეთა, სიმახინჯეთა პრინციპული მხილება-დაგმობის პათოსს“!

აქ სწორედ პირიქით არის საქმე: იმან, რისთვისაც პარტიოტი მწერალი იბრძოდა მეოთხედი საუკუნის წინათ, მისთვის არახელსაყრელ ვითარებაში, და სიძნელეებს არ უშინდებოდა, დღეს მოქალაქეობრივი უფლება მოიპოვა. მაშასადამე, ჩვენი მწერლების ნაწარმოებებში, მათ შორის ლ. ავალიანის „ახალი ჰორიზონტში“, ყოველთვის იყო ჭეშმარიტი კომუნისტური მორალის დამკვიდრების პათოსი და ბოლო წლებში მომხდარმა ამბებმა ამ დებულების სისწორე დაადასტურა.

ნუ მოვანდენთ ძალდატანებას ლოგიკაზე, ვიყოთ გულმართალნი და პირუფენელნი, თორემ მსჯელობის იმ ხერხით, გ. მერკვილაძე „ახალი ჰორიზონტის“ განხილვის დროს რომ მიმართავს, ყველაფრის დამტკიცება შეიძლება.

თემატურად ამავე თემას ეძღვნება რომან მიმინოშვილის წერილი „შემოქმედების სათავე“. ავტორი მთელი გულწრფელობითა და პირდაპირობით ებრძვის პოეზიის ვულგარიზაციას და ზოგიერთი კრიტიკოსის მიერ ლექსის სტრიქონის გათანაბრებას საგავითო ინფორმაციასთან. პოეზიის ვულგარიზაციის ნიმუშად მოტანილია სტროფი ერთი ავად მოსაგონარი პოეზიდან, რომელმაც თავის დროზე მთელი საზოგადოება აღაშფოთა:

ბართაშვილო! დაუჭევი მაწუთის მერნებს,
რომ პესიმიზმი მოგიჩინონ ამ ინდუსტრიაში!

კრიტიკოსი დაწვრილებით განიწიდავან და მცდარად მიიჩნევს ბორის ნანტაშვილის წერილს, რომელსაც მრუდე ხარკეში დაუნახავს ზოგიერთი ჩვენი პოეტის ზოგიერთი ნაწარმოები, მათ შორის მურმან ლეხანიძის:

ეგ არაფერი, რომ გლხეცემა გაიქალაქოს...
რომ ძველ ვენახში, ჩვენს ვენახში ხარი
ბალახობს...
ეგ არაფერი, რომ ჩვენები, ძველები
გაწყენენ,
ხოლო ახლები მახრჩობელა დახლებში
დასხდნენ!..

რომ ახმა ვაში, ჩაჭრა კერა
მრავალტანჯული,
რომ მუცლის ქონით დღეს სამოსი გვაქვს
ახალული,
რომ უბე-ჯიბე ხელის ქუქუყით გვაქვს
დაჯარჯული?
პატიოსნება ხომ არ წახდა ჩვენი რაჟული?

რ. მიმინოშვილი აქვე მიმოიხილავს ი. ჭე-
ჭვადის „ბედნიერ ერს“ და განმარტავს პოე-
ტური განზოგადების თავისებურებას. აქვეა
ნიმუშიც, მუსხრან მაჭავარიანის მცირე ზომისა
და უაღრესი ტყვილით განსხვავებული ლექ-
სი:

არა იმიტომ, რომ სიტყვა „ქურდმა“
ურაცოფითი დაკარგა ეღერა,
არა იმიტომ, რომ თუ ხარ სუფთა,
შენსავეთ მტერმა იცხოვრა შენმა!
საქმე იმიტომ უფროა ცუდად,
რომ ცუდად როა, არ ხცის ბევრმა!
სცდება, ვინც ვინმეს სიფიცებს უქმებს,
ვინც ითმენს, ისიც არაა ბრძენი,
საქმე მაშინლა იქნება უკეთ,
ვითაა, როცა შეიგნებს ბევრი!

რ. მიმინოშვილის აზრი, მისი გაგება ქარ-
თული პოეზიის ნიმუშებისა მე ნიშანდობლი-
ვად და სანიმუშოდ მიმაჩნია, ეს მართლაც სა-
თვეა, საიდანაც სული ეღგებება პოეზიის დიდ
მდინარეს.

ვფიქრობ, კარგი და მისახალმებელია, რომ
ეურნალი ზმირად უთმობს ადგილს მოგონე-
ბებს, მემუარულ ლიტერატურის ყოველთვის
თვალსაჩინო ადგილს ეჭირა და უჭირავს ყო-
ველი განათლებული ერის ცხოვრებაში. წლე-
ვანდელი „მთაბობის“ ფურცლებზე გამოქვეყ-
ნებულია ერთობ საინტერესო, ბევრის მთქმე-
ლი და ბევრის დამტკვი მოგონებები აკადე-
მიკის სერჯა დურმიშიძისა — ქართველი
ერის დიდ მოკირანახულ ექვთიმე თაყაიშვი-
ლზე, ოთარ ჩხეიძისა — პოეტსა და
მთარგმნელ ხარიტონ ვარდოშვილზე, ვეფ-
ხო აკობაშვილისა — ილი მოხაშვილზე და
ილი მოხაშვილის დროის ხინლაზე, მა-
ილა დუღუჩავას — ახალი ქართული ქა-
ნა-
დაკების მამა იაკობ ნიკოლაძეზე, მარიამ ჭე-
ჭვადე-ტორაძისა — ვალერიან გაუჩინდაშვი-
ლზე და აკადემიკოს ალექსანდრე ბარამიძის
„მოგონებათა ფურცლები“.

ყველა ეს მოგონება, შეხარულებს სუფთა
ლიტერატურული ღირსებებით თუ საზოგადო-
ებრივად მნიშვნელოვანი საქითებების წინ წა-
მოწევით, ჩვენთვის მეტად საინტერესოა. უკე-
თესი იქნებოდა, თუ ზოგიერთი მემუარისტი
მოერიდებოდა ზედმეტად ინტიმური ამბების
აღწერას და ერთგვარ პრეტენზიულ განცხა-
დებებს. ქართლად ეს ჩემი ერთადერთი შე-
ნიშვნა აკად. აღ. ბარამიძის „მოგონებათა ფუ-

რცლებს“ შეეხება. მემუარისტს, როდენაც
ნაწარმოებს პრესაში გამოსაქვეყნებლად
დასცემს, მუდამ უნდა ახსოვდეს, რომ თავის
ცხოვრების შინაური ამბები ამით საზოგადოე-
ბის სამსჯავროზე გამოაქვს და მის საბოლოო
რედაქტირებას ცოტა უფრო მკაცრად უნდა
მოეკიდოს, ვიდრე აკადემიკოსი აღ. ბარამიძე
მოჰკიდებია.

წლეულს ისე გამოვიდა, რომ „მთაბობა“
ძალზე ცოტა წერილები მიუძღვნა მხატვრულ
პროზას. ერთ მათგანზე ზემოთ უკვე ვაღაპა-
რაქე, ახლა კი მკითხველის ყურადღებას მი-
ვაპყრობ ვიორგი მარგველაშვილის წერილ-
ზე „არჩილ სულაქაურის სამყაროში“.

ვინც ეს წერილი ყურადღებით წაიკითხა,
მიხვდებოდა და დამემოწმება, რომ კრიტიკო-
სმა ხელი მოჰკიდა ბევრად უფრო რთულ და
სამასუსხისმგებლო საქმეს, ვიდრე ერთი რომე-
ლიმე მწერლის შემოქმედების განსა-განხილ-
ვაა.

გ. მარგველაშვილის წერილი შეიცავს ომის-
შემდგომი ქართული პოეზიისა და პროზის
დამაჯარებელ სურათს, რომელიც წინ უსწრე-
ბდა არჩილ სულაქაურის გამოსვლას სამწერ-
ლ ახსარეზე. მე ამას საგანგებო ყურადღე-
ბა იმიტომ მივუქციე, რომ გ. მარგველაშვილის
წერილს ისტორიულ ნაწილში წამოჭრილ დე-
ბულებებს პრინციპული მნიშვნელობა აქვს.
გ. მარგველაშვილი იმ ლიტერატურული პრო-
ცესის აქტიური მონაწილეა, ა. სულაქაურის
სამყაროსადმი მიძღვნილ წერილში რომ არის
აღწერილი და სარწმუნოდ, ყოველგვარი მი-
კიბე-მოკიბის გარეშე გადმოგვცემს საყოფი-
ელთაოდ ცნობილ, მაგრამ ბოლო დროს რატო-
მაც სადავოდ ქცეულ ან ჩრდილში დაყენე-
ბულ ფაქტებს.

წერილში, თუ მისი სათაურის მიხედვით
ვიმსჯელებთ, განხილული უნდა ყოფილიყო ა.
სულაქაურის, თანამედროვე ქართული პოეზი-
ისა და პროზის ერთ-ერთი თვალსაჩინო ოს-
ტატის, მთელი შემოქმედება. მით უფრო, რომ
წერილი ქურნალის ორ ნომერშია დაბეჭდი-
ლი. გ. მარგველაშვილმა კიდევაც სცადა ეს,
შთანაგრძნობელი პარალელებიც დაძებნა კლასი-
კურ და თანამედროვე პოეზიისა, მაგრამ
მხოლოდ ერთადერთი მოთხრობის — „ტალ-
ღები ნაპირისაკენ მისწრაფვიან“ — საფუძვ-
ლიანი განხილვით დაკმაყოფილდა. წერილის
ძალიან დიდი ადგილი დაიკავა ა. სულაქაურის
არაქართულ ოპონენტებთან კამათმა. ბევრად
მოგებულთ დავრჩებოვით, თუ კრიტიკოსი არ
აჩქარდებოდა და დაწყებულ კეთილ საქმეს
ჩვეული გულმოდგინებითა და გატაცებით
ბოლომდე მიიყვანდა.

ძნელია, გულთბილად არ მოიხსენიო ქართ-
რნაზუ ჯაფარიძე
„ნებაშობი“—77



ველი ხალხის ძველი მეგობარი და ქართველი პოეტების განუსრულებელი ძმა უახისე უსულივეი აქ გამოქვეყნებული მისი მოგონების გამო.

უახისე უსულივეის დამოკიდებულება ქართველი ხალხისა და ქართველი პოეტებისადმი თითქმის ცოცხალი გაგრძელება და დავიკრავინება იმ საყოველთაოდ გახმაურებული ურთიერთკავშირებისა, მარად სამახსოვრო ოცდაათიან-ორმოციან წლებში რომ დაჰყარა.

ამ ურთიერთობათა დამყარებას, რომელმაც დიდი გზა გაუხსნა მრავალსაუკუნოვან ქართულ პოეზიას მსოფლიო სივრცეებისაკენ, მის ნაყოფიერ გავლენას მოძემ ხალხების პოეტურ სიტყვაზე, თვით ქართული პოეზიის გამდიდრებას ახალი ფერებითა და რიტმებით, სწორედ ცისფერანწებულს უნდა ვუმაღლოდეთ. მათი მეოხებით და მათი ღრით იწყება დიდი ლაშქრობა ქართული კულტურის საგანძობისაკენ მისი გამოშვეურებისა და დღის სინათლეზე გამოტანის მიზნით. ერთი პირველთაგანი, ვინც ძმობისა და მეგობრობის კოლონი დაანთო, ტიცინი ტაბიძე იყო.

უახისე უსულივეი სწორედ ტიცინის სახელით იწყებს თავის მოგონებებს ქართველ პოეტებზე და საქართველოზე (ველისსმობ „ჩემი საქართველოს“ მეორე ნაწილს).

გამოჩენილ ქართველ პოეტებს, მათ შორის ტ. ტაბიძეს, უ. უსულივეი არა მარტო თავის საყვარელ მეგობრებად, არამედ უპირველეს მასწავლებლებად თვლის და ამას პირდაპირ და პატარასნად აცხადებს. ჩვენ ვიცით, ვინ არის უ. უსულივეი, ზედმიწევნით ვიცნობთ მის ბიოგრაფიას, მის დამოკიდებულებას თავისი მშობელი ხალხისადმი, რითაც ყოველივე დანარჩენი იზომება. სწორედ დიდი განძია ასეთი ადამიანის სიყვარული, მით უფრო მასინ, როდესაც ეს ადამიანი ისე დიდი და მთელს მსოფლიოს ალაბრებულ პოეტია, როგორც უახისე უსულივეი!

ყურანლის პარილის ნომერში რამდენიმე წერილი მიძღვნა გამოჩენილი ქართველი ფილოლოგოსის აკაკი შანიძის დაბადების 30 წლისთავს. ყურანალში მთლიანად დაიბეჭდა აკად. შოთა ძიძიგურის ღრმად არგუმენტირებული, მეცნიერის დიდი დამსახურების ახახველი მოხსენება, რომელიც საიუბილეო ტრიბუნაზე წარმოთქმის შემდეგ ავტორს ოდნე შეუცვლია და საყურნალო სტატიად უქცევია. აქვე ლეო კვაჭაძე განიხილავს შანიძისეულ „ძველი ქართული ენის გრამატიკას“. ყურანლის ამავე განყოფილებაში ქვეყნდება გიორგი ნატროშვილის მრავალმხრივ საინტერესო წერილი-გამოკვლევა „მარგალიტები“. ეს წერილიც დიდი მეცნიერის დავაწლს ეხება და გვისურათებს ა. შანიძეს, როგორც მოღვაწეს და ადამიანს. 1931 წელს ა. შანიძემ განზრახული დიდი ციკლის „ქართული ხალხური პოეზიის“ პირველი ჭონაკებით — „ხეხურუ-

ლი პოეზია“ გამოცხა. გიორგი ნატროშვილი ვრცლად ჩერდება ამ უნიკალურ კრებულზე და რამდენიმე ლექსს განიხილავს, როგორც ისტორიულ წყაროს. ლექსები ადასტურებენ მის ვარაუდებს 1721 წელს ატენის ხეობაში მომხდარი ომის გარშემო, რასაც მწერალმა აღრე საგანგებო გამოკვლევა მიუძღვნა. საგულისხმოსა, რომ ხალხური პოეზიის ბევრი ნიმუში თვით ა. შანიძეს ჩაუწერია ჭერ კიდევ პირველი მსოფლიო ომის წინ და ხეხურეთში ბევრი კეთილი ნაცნობი და მეგობარი შეუძენია. გ. ნატროშვილი კოლორიტულად გვიხატავს ახალგაზრდა ა. შანიძის პირველ მისვლას ხეხურულ სოფელში, ხეხურულ კილოზე აგებულ დიალოგს და მეგობრობას და მიწერ-მოწერას ბესაროს გაბურთან, მაშინ ხეხურ მეღვინესთან, რომელიც ომში დაეკრათ და 1915 წელს იურიევის ერთ-ერთ ჰოსპიტალში იწვა. ღიმილის მომგვრელია მისი უშუალო წერილები პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტ ა. შანიძისადმი და მომავალი დიდი მეცნიერის „წვრთნა“ ქართულში: „რა ხელ ას, რო კაცმა ქართული ენა ვერ დასწავლას? ორ წელს ას, გასწავლ, შენ ვერა მავადინ“

უკვე ოცი წელიწადია, რაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში არსებობს და ფართო საკვლევამებო მუშაობას ეწევა ვაჟა-ფშაველას კაბინეტი. აქ კომპლექსურად სწავლობენ დიდი ქართველი პოეტის მდიდარ მემკვიდრეობას. 1968 წელს კაბინეტმა გამოსცა სქელტანიანი კრებული „ვაჟა-ფშაველი“. 1972 წელს დაიბეჭდა მონოგრაფიულად შესწავლილი „ბახტრიონი“, ხოლო 1975 წელს „ვაჟა-ფშაველას ხუთი პოემა“.

ემზარ კვიციანიველის ვრცელი წერილი სწორედ კაბინეტის მიერ გამოცემული „ბახტრიონისა“ და „ხუთი პოემის“ განიხილავს ეძღვნება.

კრებულის ავტორთა წრე საქმად ფართოა. ვარდა ვაჟა-ფშაველას შემოქმედების მკვლევარ და კაბინეტის დამაარსებელ პროფ. გიორგი კიკნაძის ნაშრომისა აქ დაბეჭდილია ბევრი ცნობილი და ბევრიც ჭერჭერობით ნაკლებად ცნობილი მეცნიერის, მათ შორის ვასტონ ბუაჩიძის, გრიგორ ფარულავას, თეატრმცოდნე ნათელა ურუშაძის, აკაკი ხინთიბიძის, ნინო აბესაძის, სოლომონ ზუციშვილის, გულიკო კალანდარაშვილის, ვახუშტი კოტეტიშვილის, ალექსანდრე გვახარიას, ჭუმბურ ჭუმბურიძის, ალექსი ჭინკარაულის და სხვათა ნაშრომები.

ემს. კვიციანიველი ნაბიჯ-ნაბიჯ, უაღრესი გულსისხერებით და ყურადღებით განიხილავს ყველა ნაშრომს და თითოეულს თავისებურ შეფასებას აძლევს. ამ წერილის გაცნობითაც კარგად ჩანს, თუ რა მნიშვნელოვანი მიღწევები აქვთ ვაჟას შემოქმედების მკვლევა-



რებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, რა მაღალია თვით კვლევის დონე და მეცნიერული თვალსაწიერი.

1977 წლის „მნათობმა“ ორი წერილი მიუძღვნა სახვით ხელოვნებას. მე მხოლოდ ერთ წერილზე შევაჩერებ მკითხველის ყურადღებას. ეს ვახლავთ პროფ. ოთარ ფირალიშვილის გამოკვლევა ნიკო ფიროსმანზე. ოთარ ფირალიშვილის გამოკვლევა ჩვენთვის საინტერესოა იმ მხრივ, რომ ავტორი ეძიებს ნიკო ფიროსმანის მხატვრობის ფესვებს და მას ქართულ კედლის მხატვრობაში პოულობს. წერილში გაკრიტიკებულია თვალსაზრისი, თითქმის ნიკო ფიროსმანის შემოქმედება მთლად უთვისტომო მოვლენა იყო ქართულ ხელოვნებაში და ეს დიდი ტალანტი, რომელმაც ჩვენს თვალწინ მსოფლიო დაიპყრო, ცარიელ ადგილზე ამოცენებულიყო. ამ თვალსაზრისმა და არასაკმაო მუშაობამ ჩვენი ხელოვნებისმკვლევების მხრივ, როგორც ცნობილია, ის გამოიწვია, რომ შესაძლებელი გახდა ერთობ საეჭვო, აშკარად ტენდენციური მტკიცებანი ფიროსმანის მხატვრობის გენეზისისა და თვით მხატვრის ბიოგრაფიის ირგვლივ. უკანასკნელ საკითხს, უფლას გეხსენებთ, ძალზე კორექტული, მაგრამ საფუძვლიანი და დღესავით ნათელი წერილი მიუძღვნა ლადო ავალიანმა შურნალ „საბჭოთა ხელოვნების“ ფურცლებზე. სამწუხაროდ, არ ვიცი, დაინტერესდა თუ არა ამ წერილით შურნალი „ლიტერატურისა და არტისტიკის“ რუსულად გამოქვეყნების გარეშე ხსენებულ წერილს გაუქირდება თავისი როლის ბოლომდე შესრულება.

ო. ფირალიშვილის მიერ ფიროსმანის მხატვრობის ქართულ კედლის მხატვრობასთან დაკავშირება, რაც ადრეც შემჩნეული იყო, მაგრამ თეორიული დასაბუთება არ მიუღია, ხელოვნური სულაც არ არის და ბევრ რამეს ახლებურად ხსნის და ანათებს დიდი მხატვრის შემოქმედებაში.

ნაშრომში პროფესიონალურადა გაანალიზებული ფიროსმანის რამდენიმე ტილო, მათ შორის „უშვილო მილიონერი და შვილებიანი ღარიბი“, „მეწელო“, და სხვები, და ეს გაკეთებულია არა განყენებულად, არამედ ქართული ფრესკისათვის დამახასიათებელი ლაკონური შესახებ თეორიულ მჭკვლობასთან დაკავშირებით.

ხსენებულ გამოკვლევაში წამოკრილ საკითხებს ჩვენი ხელოვნებისმკვლევები, ვფიქრობ, კიდევ მრავალჯერ მიუბრუნდებიან და რაყი ამის მტკიცება საჭირო გახდა, იმასაც დაასაბუთებენ, რომ ფიროსმანაშვილის საყოველთაოდ ცნობილი შემოქმედება ქართული ძირებიდან მომდინარეობს და იმასაც, თუ რა ახალი შესხინა მან ქართულ და მსოფლიო ფერწერას.

საქართველოს ისტორიის საკითხები მეტ-ნა-

კლებად ბევრ ნვსა ხასიათის მასალაზეც გვხვდება, მაგრამ საყოთრივ საქართველოლოგიაში, „მნათობმა“ 1977 წელს 8 წერილი მიუძღვნა.

ილია ანთელავა დადებითად აფასებს შოთა ლომსაძის ამას წინათ გამოხუთ ვრცელ მონოგრაფიას „სამცხე-ჯავახეთი“, რომელმაც დიდძალი საარქივო მასალის მომზობით, გაბედულად გამოტანილი ახალი დასკვნებით და მეცნიერული შესრულების მაღალი კულტურით ერთბაშად მიიქცია ფართო საზოგადოების ყურადღება. ისტორიკოსი „სამცხე-ჯავახეთი“ საფუძვლიანად განიხილავს და გამოაქვს დასკვნა, რომ შ. ლომსაძის ზემოთხსენებული წიგნი „ქართული ისტორიოგრაფიის ფრიად საყურადღებო შენაძენია.

ი. ანთელავას ცოტა როდი უმუშავნია. წელს მას რამდენიმე წერილი გამოუქვეყნებია შურნალ „მნათობში“. საინტერესო მასალას გვაწვდის მისი პატარა წერილი „გიორგი სააკაძის უკანასკნელი დღეები ოსმალეთში“. წერილის ავტორი არაფრით არღვევს ძველ, გავრცელებულ ვერსიას, რომ ბაზალეთის ომში დამარცხებული გიორგი სააკაძე, რომელმაც რჭული მესამედ შეიცვალა და თავი, ოსმალეთს შეაფარა, შურიანობის ნიდაგზე სიკვდილით დასაჯა დიდმა ვეზირმა ხოსრე-ფაშამ, მაგრამ თნრობას ამდიდრებს იმდროინდელი საერთაშორისო ვითარების აღწერით. ამ ვითარების შეცვლაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა სააკაძის დაუძინებელი მტრის — შამ აბასის სიკვდილმა და ახალი ურთიერთობის დამყარებამ ოსმალეთის სულთანსა და ქართველ მეფეთაგვართ შორის.

აქვე მსურს გავიხსენო ბადათერ არაბულის წერილი, რომელმაც საქართველოს ისტორიული ძეგლების დაცვისა და მოვლა-პატრონობის საკითხია დაყენებული. ავტორი კი არ ბუზღუნებს და მარტოოდენ გულისხკვიებს კი არ გამოთქვამს, რასაც ამ თემისადმი მიძღვნილ მრავალ წერილში ვხვდებით ხოლმე, არამედ გვთავაზობს რამდენიმე ხელნასკიოდ პრაქტიკულ წინადადებას. პირადად მე აქვე შევბტყვე, რომ სომხური საეკლესიო ხუროთმოძღვრების უმნიშვნელოვანესი ძეგლი ზვარტნოცი ამ რამდენიმე წლის წინათ სომხეთის სსრ ერთ-ერთ სამინისტროს აღუდგენია თავისი სახსრებით.

ნეტავი ჩვენ რა დაგვემართა? ნუთუ სამინისტროები ჩვენ არა გვაქვს? მათ შორის ერთადერთი, ფინანსთა სამინისტრო, დიდ ყურადღებას იჩენს სახვით ხელოვნების მიმართ, თავის პოლში აწერებს უაღრესად საინტერესო გამოფენებს. მე ამას წინათ დავესწარი ერთ-ერთი ასეთი გამოფენის გახსნას, რომელსაც

რამზა ჯაფარიძე
„მნათობში“—77

თვით მინისტრი თავკაცობდა და ვინატრე. ნეტავი მისი მავალითი სხვა მინისტრებმაც გადაიღონ-მეთქი. სახვითი ხელოვნების გამოყენების მოწყობიდან მატერიალური კულტურის ძეგლებს შეფოხამდე ერთი ნაბიჯია...

იმის გამო, რომ ჩემი წერილი მეტრისმეტად ვრცელი გამოდის, ქვემოთ საფუძვლიანად ვერ შევვებო წლის მანძილზე ჟურნალის სხვადასხვა ნომერში გამოქვეყნებულ რეცენზიებს: ვახტანგ ხარჩილავას უღვაწოდ საინტერესო წერილს გურამ პეტრიაშვილის ზღაპრების წიგნზე, მურმან ჭაგუბურიას მეტად ორიგინალურ წერილს თამაზ ბიბილურიის მოთხრობებზე, ლადო ბახტრიონელის ვრცელ წერილს გიორგი ციციშვილის მონოგრაფია „შალვა და დავანზე“, პროფ. გურამ თევზაძის არსებითი ხასიათის პასუხს ვენორ ქვაჩაიას განმარტებელ კრიტიკაზე დე ბევრ სხვა რამეს.

ახვევ ვერ შევებები ოთარ ჩხეიძისა და ჯანსუღ დვინჯილიას ღრმა შინაარსის შემოკლებულ წერილებს, რომლებიცაც ისინი საგანგებოდ გამოეხმარნენ ვახტანგ ქელიძის დაბადების 60 წლისთავს, მის სამწერლო, მთარგმნელობით და პუბლიცისტურ მოღვაწეობას.

ვიღრე დავამთავრებდე და სტატიას წერტლის დავუსვამდე, მკითხველის ყურადღებაც კიდევ მიხდა შევაჩერო 1977 წლის „მნათობ-ში“ გამოქვეყნებულ რამდენიმე წერილზე. ერთ-ერთი მათგანია „მეთხთმეთეე საუკუნის-დროინდელი ანდაზა“ ნოდარ წულუგისკირისა. წერილიში განხილულია ჭოისის „ულისეს“ ნიკო ყიასხვილისეული თარგმანის კომენტარები, შედგენილი თვით მთარგმნელის მიერ. ამგვარი კომენტარები, როგორცაც ნ. წულუგისკირმა სასაჩულოდ გამოიტანა, ჯობია, არ ახლდეს არც ერთ წიგნს, ვინაიდან მათ მეტა არაფერი შეუძლიათ, გარდა მკითხველის დაბნევისა. ახლა ის-და გვაკლია, მკითხველის დასაბნევად საგანგებო კომენტარები ვწეროთ! პედანტობა არაფერს არ უხდება და მით უფრო მხატვრულ შემოქმედებას. მოთხრობა თუ რომანი, პოემა თუ ლექსი ისე არ იწერება, როგორც „ულისეს“ მთარგმნელს და კომენტარების ავტორს გამოუდის.

მსურს ორიოდე სიტყვით მხარი დაუჭირო აკადემიკოს პაატა გუგუშვილს, რომელიც „მნათობს“ ფურცლებზე საგანგებოდ გამოვსვდა ზოგიერთი მეცნიერული ტერმინის დასაწესებლად. მეცნიერის მსჯელობა ძირითადად ორი სიტყვა-ტერმინის — СТОИМОСТЬ-ის და ЦЕННОСТЬ-ის და მათი ქართული შესატყვისების ირგვლივ ტრიალებს. ჩვენს ჟურნალ-განთებში და სპეციალურ ლიტერატურაშიაც ეს სრულიად სხვადასხვა შინაარსის შემოკლებილი სიტყვა-ტერმინები ერთადერთი ქართული სიტყვით — „ღირებულებით“ ითარგმნება, რაც შინაარსის გაგების საკითხში დიდ არგვ-დარევას ქმნის. აკად. პ. გუგუშვილი გვთავაზობს სიტყ-

ვა „ფასეულობას“, როგორც ЦЕННОСТЬ-ის ერთადერთ სწორ შესატყვისს, რაც, ჩემის აზრით, მეცნიერების მიერ გაზიარებული უნდა იქნეს.

პირადად მე პრინციპულ საკითხად მიმაჩნია და, ალბათ, თქვენც ასეთად მიიჩნევთ საკითხს, რომელიც წამოჭრილია ლ. ჭრეტლაშვილისა და ა. შავხელაშვილის მოცულობით მოკლე წერილში. ამ წერილს თავისი ისტორია აქვს. ათიოდე წლის წინათ ფოლკლორისტმა დავით გოგოჭურმა გამოაქვეყნა წერილი „ბახტრიონის ერთი გმირის ვინაობა“, რომელშიაც სხვა საკითხთა წრესთან ერთად თუშური ფოლკლორის საკითხებზეც შეხვო. დ. გოგოჭურის ხსენებულმა წერილმა გამოიწვია ჭრეტლაშვილისა და შავხელაშვილის „დ. გოგოჭურის სტატიის შესახებ“ (1971), ხოლო ამ უკანასკნელმა დ. გოგოჭურის „მცირე განმარტება“ (1972). წინამდებარე წერილი დ. გოგოჭურის ამ პასუხის ვასაბათილებლად არის დაწერილი.

რას ამტკიცებს დ. გოგოჭური?

მას მიაჩნია, რომ თუშების ერთი ნაწილის — ჩაღმა თუშების — დედაენა ქართულია და ისინი ხალხურ ზეპირსიტყვიერებასაც ქართულ ენაზე ქმნიან, ხოლო მეორე ნაწილს — წოვა-თუშებს — საღაპარად ლუდ სხვა, „საკუთარი ენა“ — ბაცბური აქვთ და, ვინაიდან ქართული საერთოდ არ იციან, ფოლკლორსაც ვერ შექმნიან ქართულ ენაზე. ავტორები პირდაპირ წერენ, რომ დ. გოგოჭურს „სრულიად ამერიკაში წარმოდგენა აქვს წოვა-თუშების ხალხური პოეზიის შესახებ“. მათ სასარგებლოდ მეტყველებს წერილში მოყვანილი უამრავი საილუსტრაციო მასალა, როგორც ძველი, ისე ახალი, რთაც მტკიცდება, რომ წოვა-თუშებს დიდი და მრავალფეროვანი ხალხური ზეპირსიტყვიერება მოგვცვებთ ქართულ და მხოლოდ ქართულ ენაზე! ეს ლექსები, წერილები რომ არის მოყვანილი, თვითვე დადასტოვებთ თავიანთ ვინაობას.

ბოლოს ლ. ჭრეტლაშვილი და ა. შავხელაშვილი წერენ: „ქართულ ხალხს, მის ყველა ტომს, ცხადია, პოეზიაც (იგულისხმება ხალხური პოეზია. — რ. ჯ.) ქართული უნდა ჰქონდეს და მათი „საკუთარი ენაც“ ქართული უნდა იყოს. წოვა-თუშები აქ გამოხალისი არ არიან“.

დ. გოგოჭური სერიოზული მეცნიერია და, მეტი რომ არა ვთქვა, მე მაკვირვებს მისი პოეზიცია: განა შეიძლება, ამ დასკვნის წინააღმდეგ რაიმე ითქვას?

ფოლკლორის საკითხებს, უფრო სწორად, „მერანის“ მიერ 1976 წელს გამოცემულ ხალხური ლექსების კრებულს ეხება ხ. ჩიტაურის წერილიც. ხსენებული წერილი აქ საპაექროდ შეიძლება არც გამომეტანა, შიგ რომ ერთი უცნაური აზრი არ იყოს გამოთქმული. როგორც საერთოდ ლიტერატურაში, ისე ხა-



ლხურ პოეზიაშიც, გვარწმუნებს ავტორი, ჩვენ თუ ზედმიწევნით ნიჭიერ, გამორჩეულ ავტორებს არ შევეწყობთ ზღვს, ცუდ სამსახურს გავუწევთ ხალხური პოეზიის განვითარებასო.

აქამდე ხალხური ლექსის ერთი მთავარი და დამახასიათებელი თვისება ის იყო, რომ მას სახელდობრ მისათითებელი ერთი ავტორი არა ჰყავდა და ხალხში ზეპირად ვრცელდებოდა, დღეიდან კი ისე გამოვიდა, რომ ჩვენი ცდითა და რუღუნებით პოეტების ორი კასტა უნდა შეექმნათ, რომელთაგან ერთნი ხალხურ ლექსებს დასწერენ, მეორენი კი ე. წ. „საერთო ლიტერატურას“ მოემსახურებიან. რაკი ამ საკითხებზე წერს, ხ. ჩიტაური, აღნაბთ, ფოლკლორის სპეციალისტია და ასეთი უბრალო რამ არ უნდა ეშლებოდეს.

საინტერესო ცნობებს გვაწვდის ალექსანდრე სიგუა ილია ჭავჭავაძის პირველი იუბილის მოსაწყობი სამზადისისა და ამ სამზადისის ჩაშლის თაობაზე. სიგუას წერილში მოცემულია იმდროინდელი პრესის მიმოხილვა, ინტერესთა ჭიდილი. ერის მამის საიუბილეო სამზადისში მთელი საქართველო, ქართველი ხალხის ყველა ფენა იყო ჩაბმული. დანინიშნა იუბილის დღეც — 1898 წლის 24 მაისი. ქვემოთ მკვლევარს მოჰყავს ეპატორინე გაბაშვილის მრავლისმთქმელი მოგონება. ოფიციალური წრეები შეშფოთებული იყვნენ. წინასწარ არავის შეეძლო განესაზღვრა, იუბილე რად გადაიზრდებოდა. თბილისის პოლიციებისტრმა პირადად სთხოვა ილიას თავისი იუბილის გადახდაზე უარი ეთქვა, რაზედაც დადებითი პასუხი მიიღო.

თავისი ისტორიული მნიშვნელობით კიდევ უფრო საყურადღებო ფაქტს გვაწვდის შოთა როსტომაშვილი წერილში „დიდი სტუმარი“.

1898 წლის 11 ივნისს ილია ჭავჭავაძე თელავში ბრძანებულა სტუმრად, სადაც მთელი კახეთის მევენახეთა კრება ჩაუტარებია. ამ კრებამ ჩამოაყალიბა კახეთის მევენახეთა ამხანაგობა, რომლის წევრებად მიღებული იქნენ მხოლოდ მწარმოებლები, განურჩევლად წოდებისა. კრებამ გაილაშქრა მეურნის სისხლისმწოველ ჩარჩ-ვაჭრების წინააღმდეგ, რომლებიც ხელს ითხოვდნენ სხვის ნაშრომზე და

კენჭისყრით მიიღო თვით ილიას ხელით შედგენილი დებულება. იყო დებულების შემადგენელი პაროქტიც — მენსერის მიერ შედგენილი. ეს პაროქტი შრომას ანაწილებდა: კახელებს ვენახები უნდა დემუშავებინათ, ყურძენი მოეყვანათ, ღვინოს კი სხვა დააყენებდა და რელიზაციაზეც ის სხვა იზრუნებდა.

ამ მეორე პაროქტს ლახვარი ჩასცეს. ასე ერეოდა დიდი ილია ჩვენი ერის ყოველდღიურ ცხოვრებაში და ასე წარმართავდა მას. შ. როსტომაშვილის ზემოთ განხილული წერილი ერთხელ კიდევ გაგვახსენებს, ვინ იყო ილია, ლიბერალი თუ დემოკრატი.

მე მინდოდა აქ შევხებოდი ასმით ომარაშვილის წერილსაც — „ქართული პრესის ფურცლებიდან“, რომელიც ინგილო-ქართველების გუშინდელ დღეს გვისურათებდა. მინდოდა ორიოდე სიტყვით გამოვხაზოთ ილიის ცნობილი თეატრმცოდნის ვასილ კეცაძის წერილს „ქართული თეატრის რომანტიკოსი“, რომელიც დიდი რევისორის სანდრო ანბეტელის დაბადების 90 წლისთავს ეძღვნება, აგრეთვე მსურდა ჩემი პირუთვნელი აზრი გამომეთქვა თამარ ერისთავის, ვალერი სილოგავას, ჭემალ აფციალის, რევავ სირაძის, აკაკი ვასაძის, ლალი ყურულაშვილის, ნოდარ კაკაბაძის, ჭიბო ლომაშვილის, დავით მაისურაძის, კორნელი კინწურაშვილის, რაფიელ შამელაშვილის, ლილა ერაძის, ვლადიმერ მაკავარიანის და სხვათა წერილებზე, მაგრამ ამის საშუალება არა მაქვს და იძულებული ვარ მხოლოდ სახელების მოხსენიებით დავკმაყოფილდე.

უფრო „მნათობს“ (მე ამას ვაპტიციბოდი და ვასახუთებდი მთელი წერილის მანძილზე) დიდი და სასარგებლო მუშაობა ჩაუტარებია. 1977 წელს მის ფურცლებზე დაიბეჭდა არა ერთი და ორი ღირსშესანიშნავი ნაწარმოები ყველა თანრისა. უფრო „მნათობი“, როგორც ერთგული ჭარისკაცი, სხვა ბეჭდვითი ლიტერატურული ორგანოების მხარდამხარ, გვერდში უდგა და დღესაც გვერდში უდგას ჩვენს ხალხს იმ დიდი ამოცანების წარმატებით გადაწყვეტისათვის ბრძოლაში, რომლებიც მის წინაშეა დასახული.



ათვის ერთი საფიქრალის წიგნი

პირველსავე საფიქრალს სათაური აღძრავს: „ერი გულადი, პურადი“ — ასე ჰქვია ვახტანგ გოგუაძის ფრიად საგულისხმო წიგნს (თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1977). ფრიად საგულისხმოსა და უჩვეულო წიგნს, რომლის ქვესათაურია „ქართული წეს-ჩვეულებები და თანამედროვეობა“ და რომლის ანოტაცია გვამცნობს: „ნაშრომში ნაჩვენებია ქართული წეს-ჩვეულებებისა და ტრადიციების განვითარების პროცესი, გაანალიზებულია, ერთი მხრივ, მათი მავნე, ნეგატიური მხარეები, მეორე მხრივ კი ის დადებითი მომენტები, რომელთა დახვეწა და სრულყოფა ყოველდღიური ზრუნვის საგანი უნდა იყოს“. ეს არის კარგი წიგნისთვის წამძღვარებელი ცუდი ანოტაცია იმიტომ, რომ ამის წამკითხველი იღუპრება — ყოველ ქართულ წეს-ჩვეულებას და ტრადიციას უტყვევლად მავნე და ნეგატიური მხარეები ახლავსო სინამდვილეში, რაღა თქმა უნდა, სხვაგვარადაა საქმე და წიგნის ავტორიც სხვაგვარად იფიქრობს. არც ის არის სწორი, ანოტაცია რომ გვაუწყებს: „წიგნი განკუთვნილია სტუდენტებისა და მოსწავლე ახალგაზრდობისათვის“. სინამდვილეში ამ წიგნში მოხმობილი უხვი საილუსტრაციო მასალისა და, რაც მთავარია, ავტორის უაღრესად მნიშვნელოვანი დავიკრებების, მოსაზრებების, დებულებებისა თუ დასკვნების (ზოგჯერ თუნდაც სადავო დებულებებისა და დასკვნების) გაცნობა არც გლეხს აწყენდა, არც მუშას, არც ინტელიგენტს და არც მეცნიერების სხვადასხვა დარგის სპეციალისტს. რადგან წიგნის ძირითადი თემა და მასში მიმოხილული საკითხები უმთავრესად ზოგად-ეროვნული ხასიათისაა, მათში ერის ყოველი წარმომადგენელი უნდა ერკვეოდეს რიგინად.

ერის წეს-ჩვეულებები, ტრადიციები. არ არსებობს კაცი, ადრეული ბავშვობიდან აღსასრულს დღემდე პირისპირ რომ არ ხვდებოდეს ამ წეს-ჩვეულებებსა და ტრადიციებს და ცნობიერად თუ გაუცნობიერებლად მათდამი თავისი დამოკიდებულება რომ არ ჰქონდეს ჩამოყალიბებული. ოღონდ სხვადასხვა ისაა, ცნობიერად ჩამოყალიბებული დამოკიდებულება გაცილებით იშვიათია ხოლმე, ვიდრე გაუაზრებელი,

გაუცნობიერებელი, სტიქური, ინერციას მიყოლილი. ხოლო ამას ის შედეგი მოსდევს, რომ ერთბაშად ჰქვია ამა თუ იმ მოძველებული, უვარგისი, აშკარად დასაგმობი წეს-ჩვეულებებისა ან ამა თუ იმ ტრადიციის ნეგატიური მომენტის უკუგდება. სწორედ ამან განაპირობა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ცნობილი დადგენილების მიღების საჭიროება.

დავიკრებული კაცი შეინიშნავდა, რომ ამ დადგენილების ცხოვრებაში გატარებისას არსებითად სამი ტენდენცია გამოისახა. პირველი (უმთავრესი) ტენდენციაა მისწრაფება, რომ დადგენილების ღრმად გააზრების საფუძველზე შეფასდეს ყოველი წეს-ჩვეულების, ყოველი ტრადიციის ავ-კარგი და შესაწყნარებლის დამკვიდრებასთან ერთად თანმიმდევრულად უკუგდებად იქნეს დროშოქმული თუ შეუფერებელი; მეორე, აწ უკვე შედარებით გაიშვიათებული, მაგრამ მაინც არსებული ტენდენციაა ხალხის საერთო მისწრაფების არად ჩაგდება და წეს-ჩვეულებებისა თუ ტრადიციების ბრმად მიყოლა (პრინციპი: როგორც სხვებს უცხოვრიათ, მეც ისე უნდა ვიცხოვრო; მესამე, აგრეთვე იშვიათი, მაგრამ მაინც არსებული ტენდენციაა შიში თუ ნიშილიზმი ყოველგვარი წეს-ჩვეულების, ყოველი ტრადიციის მიმართ, მათი წინდაუხედავად, ხელაღებოთ უარყოფა და იშვიათივე განწირული ცდა იმისა, რომ ხალხს ხელიერთპირად შევაქცევინოთ ტრადიციებისათვის ზურგით.

თუ პირველი ტენდენცია ჩვენი ცხოვრების ნორმად იქცა დღესდღეობით, დანარჩენი ორი ამ ნორმიდან გადახრაა და ფრიად უმსგავსი გადახრებია, ამასთან, მე რომ მკითხოთ, ამ გადახრათაგან მგონი უკანასკნელი უფრო საშიშიც კია, ვიდრე მის წინ ხსენებული. ვინმეს რომ სათანადო შეგნება არ ჰყოფნის და კვლავაც რომ ხუთასაკაცან საქორწილო სეფას შლის ან შევიდას, რვაასაკაცან ქელეხს აწყობს, ამას თანდათანობით მოეცლება როგორმე, დღეს თუ არა, ხვალ მაინც ზომიერი ქორწილის თუ ზომიერი ჭირის ხუფრის გაწყობის ჩვეულება სძლევეს ბარბაროსული ღრეობის ამაზრუნე ჩვეულებას (სწორედ ამისათვის იბრძვის დღეს

ხალხი); ხოლო წეს-ჩვეულებებისა და ტრადიციებისადმი ნიბილისტური, ნაჩქარვე დამოკიდებულება იმგვარი ჭირია, რომელიც სწორედ შეაფერხებს და არა ხელს შეუწყობს მავნე ჩვეულებათა უკუგდების პროცესს, რამეთუ სწორედ ამ უკუგდების ტენდენციისადმი უნდობლობის სულისკვეთებას ნერგავს ნებაუნებურად.

ოცოცდებ თანამშრომლისაგან შემდგარ ერთ დაწესებულებაში ერთ-ერთ თანამშრომელს, ხელმოკლე ჭირისუფალს, რომელსაც შინ მშობლის ცხელარი ესვენა, მცირელი თანხა შეუგროვებს — სამ-სამი მანეთიდან თუმან-თუმანად, ვისაც რამდენი შეეძლო. ამ საქმის ინიციატორს (დაწესებულების ხელმძღვანელს) ვილაცხვილაცებმა დასჯა დაუპირეს, არ იყოსავთ — რისთვის? „ბაპირაშის ღრის მხარში ბმონდგომის მავნე ტრადიციის აღმარპისპატიმის“. ვიღრ იმასაც იკითხავდეთ — ამის დამწერი სრულ ჭეუჭეუ იყო თუ არაო, მოგახსენებთ, რომ საქმე ამ მხრივ მშვიდობიანად დასრულდა — თავად დამსჯელთა დასჯის უფლების მქონე ინსტანციამ გააუქმა.

ახლა შევეცადოთ ჩავუღრმავდეთ ამ შემთხვევას. რა უფრო არსებობდა და ყურადღებამისაქცევი — ის, რომ მოტიანიც ფრანკის შემთხვევი დაუკვირვებლად მოიქცა და სიბრწყვე დაწერი (თუკი გაჭირვების დროს მხარში ამოღვომა მავნე ტრადიციას, სასიკეთო ტრადიციას რაღას უნდა დარქვას?), თუ ის, რომ მის მართლად შეუწყნარებლად მიანიჩა ხელმოკლე დადიანისათვის ამგვარი ფორმით ხელის გამართვის ჩვეულება? იქნებ ისევ მაგალითები მოგვეშველოს ამ საკითხის გადაწყვეტისას. საზიჯრობაა თუ არა ხუთასკაციანი ჭორწილი? უმეკველად. მერედა ამის გამო ხართიოდ უნდა მოიშალოს საქორწილო სუფრის ტრადიციას? საზიჯრობაა თუ არა ჭირისუფლისთვის იმოდენა „გადასახურავის“ შეგროვება, რომ იმ თანხით სახლის თუ არა, მანქანის ყიდვა მაინც მოხერხდება? უმეკველად. ან კიდევ — მიუღებელია თუ არა ფულის შეგროვება იმგვარი ჭირისუფლისთვის, ვინც ან თავისი ეკონომიური მდგომარეობის წყალობით არ საქიროებს ამგვარ დახმარებას, ან კიდევ უშუალო, პირდაპირი ჭირისუფალი არაა (მაშინდა გარდაეცვალა, ბიძა, დეიდაშვილი...)? ისევ უმეკველად. მაგრამ ხსენებულ შემთხვევაში ხომ სულ სხვაგვარ ვითარებასთან შეიძლება საქმე? ნუთუ საძრახისია ჩვეულება, რომლის თანახმადაც ახლომელნა, თანამშრომელნი თუ მეზობლები თავისას მოიკლებენ და გაჭირვებაში მყოფ ადამიანს მძიმე მდგომარეობიდან თავს დაღწევენინებენ?..

ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში ხსენებულ იყო ნათქვამი, რომ მსგავს საკითხებში აჩქარება და წინდაუხელოა არასგზით

არ შეიძლება. ისიც იყო აღნიშნული, რომ საჭიროა ღრმად, მეცნიერულად შევისწავლოთ ადო-წესების, ტრადიციების რაობა და მხოლოდ შემდეგ გამოვიტანოთ სათანადო რეკომანდაციები. სწორედ ამ მიზნით, რესპუბლიკის სამეცნიერო ცენტრებს დაევალოთ „მეცნიერულ საფუძველზე გამოიკვილონ ქართველი ხალხის ძველი ტრადიციების გენეზისი, ფესვები და გამძლეობის ფაქტორები“. ვახტანგ გუგუაძის წიგნი ამ მიმართულებით განხორციელებული ერთ-ერთი პირველი ცდაა და, ამდენად, ფრად დროული და აქტუალური ცდაც არის. ამასთან, წიგნი დაწერილია პრობლემის ძირის-ძირამდე გააჩრების, მასალის ღრმად ცოდნის საფუძველზე, დაწერილია ჭირისუფლის, ერისკაცის, მამულიშვილის პოზიციიდან, დაწერილია ცოცხლად, საინტერესოდ.

ათას საფიტრალს აღძრავს ეს წიგნი. პირველსავე საფიტრალს სათაური აღძრავს-მეტიკო, მოგახსენეთ. „ერი გულადი, პურადი“ — გრიგოლ ორბელიანის ეს ალადი სიტყვები დროთა განმავლობაში გაცვივებს კიდევ განუთიხავდ მხმარებელმა ადამიანებმა, მათი ერთგვარი დეველაციის საფრთხეც კი შეიქმნა. წიგნის სათაურად ამ სიტყვათა გამოტანით ავტორი თითქოს წინააღუღებდა გაუფასურების ამ ტენდენციას, თითქოს მორღველი მდინარების საპირისპიროდ მიეფართება და კიდევ ერთხელ შეგვახსენებს, რომ ჭეშმარიტ მამულიშვილობას, ერის შვილობით გონიერულ სიქადულს ვერას დააკლებს რეგვენთა ბაქი-ბუქი და გულზე ხელის ბრაგუნა. ოღონდ მსგავს სიქადულს მყარი საფუძველი უნდა ჭქონდეს დადგმული ერის წარსულისა და აწმყოს რიგაინად გააჩრების, ერის რაობის ღრმად წვდომის მეოხებით. ამგვარი საფუძვლის ჩაყრის ერთი მოყრძალებული ცდაც არის ეს წიგნი.

გარდა ამისა, სათაურს სხვა ნიუანსიც ახლავს. წიგნში ვრცელად არის საუბარი ამა თუ იმ მავნე, დრომოქმული, სულად საძრახისის წეს-ჩვეულების, ამა თუ იმ ტრადიციის ნეგატიური მხარეების ირგვლივ. და ხსენებული სათაურის მეშვეობით ავტორი თითქოს წინასწარ გავფრთხილებს, რომ ყოველსავე ამას ქართველთა ბუნებაზე გულაყროლი კაცო კი არ წერს, არამედ სწორედ იმის მოსხურენ პირი, რომ ერის დირსებაცა და ნაკლიც პირუთვნელად იქნეს აღნუსხული და შეფასებული და ნაკლის უკუგდებით მეტი ძალა მიეცეს დირსებებს.

ცალკე უნდა აღინიშნოს ავტორის თხრობის მანერა. ვ. გოგუაძე დინჯი, თავმეკავებული ტონით ვეკსაუბრება, არსად ფიცხობს, კატე-

რმპვპ თხარბამ

ათას მართი საფიქრალის წიგნი



გორიულ მსჯელობებს, კატეგორიულ დასკვნებს ყველგან ერიდება, რითაც კიდევ ერთხელ გვაფრთხილებს, რომ მსგავს საკითხებს აუჩქარებლად, დაკვირვებულად, მთელი გულბრუნებით უნდა გამოიყიბა და რომ მსგავს შემთხვევებში ზერტულე. ნაუცბათევი რეკომენდაციები გამოუსწორებელ შედეგამად შეიძლება იქცეს.

წიგნის პირველივე თავის სათაური ადასტურებს ამ შეხედულებას: „რელიგიათა შორის ბრძოლებს როლი ქართული ადათ-წესების ფორმირების საქმეში“. ამის წკატიხვისას საქმეში ჩაუხდება კაცი იქნებ შეცბუნდეს კიდევ, სად რელიგიათა შორის ბრძოლა და სად წეს-ჩვეულებები და ტრადიციები, — თქვას. მაგრამ წიგნის ავტორი სავსებით მართებულად ფიქრობს, რომ „ქართული ადათ-წესების ფორმირების ისტორიულ პროცესს რომ თვალი გავადევნოთ, სწორედ რელიგიური ბრძოლების ისტორია უნდა გახდეს შესწავლის პირველი ობიექტი“. რადგან მრავლის უმრავლესი წეს-ჩვეულება თუ ტრადიცია სათავეს სწორედ იმ შორეულ წარსულში იღებს, როდესაც ქართველი ტომები ჭერად წარმართნი იყვნენ და მათს რელიგიურ წარმოდგენებზე თვალახინო გავლენას ახდენდა მეზობელ ხალხთა ესა თუ ის სარწმუნოება (ვთქვათ, ზორიასტრიზმი), ან კიდევ იმ ეპოქაში, როდესაც ჩვენში ქრისტიანობა მკვიდრდებოდა და გააფრთხილები ებრძოდა ცალკერძ წარმართულ შეხედულებებს და ცალკერძ სხვა, აქ უფსოკიდებული რელიგიებს.

ასევეა მომდევნო თავებშიც: „ქალისაღმი დამოკიდებულების ტრადიციები საქართველოში“, „ქორწინება“, „მუსიკალურ-ყოფილი ჩვეულებანი“, „ღვინო და ქართული ღვინო“, „საერო და საეკლესიო მუსიკალური ტრადიციების ბრძოლის ანარკელი ქართულ წეს-ჩვეულებებში“, „სტუმარ-მასპინძლობა“, „გმირული წეს-ხასიათი“, „ვაჟკაცობა და რაინდობა“, „საფლავი“, „შური“, „ტრახანის“, „აღწერის ტრადიციები“, „სახუქარი და ქროამი“ და სხვა (სულ 27 თავისგან შედგება წიგნი). ავტორი ყველგან ცდილობს ძირის-ძირამდე ჩასწვდეს, უღრმეს ფეხებამდე მიხდის ამა თუ იმ ტრადიციის, წეს-ჩვეულების რაობას და ვეჩვენოს მათი წარმოქმნისა და ჩამოყალიბების ისტორიულ სურათი. საამისოდ მას აურაცხელი მასხალის მოხმობა უხდება (ისტორიის, ლიტერატურის, ეთნოგრაფიის, ფილოსოფიის, ხელოვნებათმცოდნეობის, ფსიქოლოგიისა და სხვა სფეროებიდან). ამასთან, ცალკე აღსანიშნავია ერთი ფრიალ მარჯვე ხერხის გამოყენება: ქართველთა ამა თუ იმ ჩვეულების ან ტრადიციის დახასიათებისას ავტორი საკმაოდ ხშირად აძლევს სიტყვას უცხოელებს, რაც ხელს უწყობს მაქ-

სიმალური ობიექტურობისკენ სწრაფვის მიკუთვნებას. საგულისხმოა, რომ ამ შემთხვევებში ავტორი მეტწილად განზე დგება და ვრცელი კომენტარებით არ ტვირთავს უცხოელთა გამოჩინებების ქართველების შესახებ — აქ მასალა თავისთავზე თვითონვე მეტყველებს.

ამ მხრივ ზევრ ნაცნობსა თუ უცნობ სტრიქონს ამოვკითხავთ წიგნში — ზოგჯერ ჩვენთვის თავსლავის დამხმელს, მწარე სინანულის მომგვრელს, ზოგჯერ კიდევ თავმასწონებს და მხნეობის შემშატებელს. რად ღირს, მაგალითად, აღექსანდრე დიუმას ცნობილი ფრაზების გახსენება: „ქართულ სულფრაზე ჩვეულებრივი მხმელები ხუთ-ექვს ბოთლ ღვინის სვამენ, უფრო დიდი მხმელები კი თორმეტ-თხუთმეტ ბოთლს. გამოერევიან ისეთებიც, ბოთლებით კი არა, ტყეებით სვამენ. თენი ოცოცდახუთ ბოთლამდე აღიან. საქართველოში სასახელოა, თუ შენს მეზობელზე მეტი დალიე ასე რომ, ქართველი საშუალოდ. თხუთმეტ ბოთლს სვამს“. ცხადია, დიუმა აქარბებს, მაგრამ შესაძლოა არც ისე დიდად აქარბებდეს, როგორც თავდაპირველად გვეჩვენება. ამის დასტურია წიგნის იმვე გვერდზე მოტანილი სხვა ციტატი, საქართველოში დიუმაზე დიდი ხნით ადრე ნამყოფ კაცს რომ ეუფთვნის. აი, როგორ აღიქვა შარდენმა ქართული სულფრა: „ისინი ღვინის სმამა აქარბებენ გერმანელებს და ყველა ჩრდილოელს. ღვინოში არასოდეს წყალს არ ურევენ, კაცი და ქალი შუმ ღვინოს სვამს. შეზარხოშებულებს ნახევარლიტრინი თასები ევატარავენთ და პირდაპირ ლანგრიდან და დაქებიდან სვამენ... სტუმრებს და მეგობრებს აძიულენენ სვან ღვინო უკანასკნელ შესაძლებლობამდე და ამავე ღვინოს ერთმანეთს მიმართვენ ზრდილობითა და ქათინაურებით“.

აქ მთავარი ის კი არ არის, ზუსტად ვერყუთ, რამდენის დალევა შეუძლია. ქართველ კაცს შესაძლოა კარგა გვარიანად შეზარხოშებული უცხოელის წარმოდგენით, მთავარი ცხადად შევიგნოთ, რა საძრახის ჩვეულებად გვექცა ღვინის სმისას ზომიერების გრძობის დაკარგვა და მინახეთათვის მისი მიძალბება, მსმელი კაცის სახელით თავმოწონება, მთ უმეტეს, რომ ამას ქართველთა მშენებით მონიბლული აღამიანები გვკვიფიებენ სწორედ. დიუმასა და შარდენის ზემოთ მოტანილი გამკიცხავი ციტატების გვერდით წიგნის ავტორს მათი სხვა სიტყვებიც მოაქვს: „საქართველოს სისხლი უშმეწინიერესია აღმოსავლეთში და, შეიძლება ითქვას, მთელ დედამიწის სურგზედაც. მე არ შემიძინავს ამ ქვეყანაში არც ერთი უშნო სახე როგორც ერთ, ისე მეორე სქესში. სამაგიეროდ, მინახავს ანგელოზისებუ-



რო სახეები. შეუძლებელია უფრო მომხიბლავი სახისა და უფრო ღამაში ტანის დახატვა, ვიდრე ქართველი ქალებისა“ (შარდენი); „რაც შეეხება თათრებს, მათმა შერევამ კავკასიურ რასაში გააუმჯობესა მათი პირველყოფილი პროფილი“ (დიუმა).

აქ საგულისხმო ისიც არის, რომ ეს ციტატები წიგნიერი ქართველისათვის უცხო არ უნდა იყოს — შარდენისა და დიუმას კარგად ცნობილი წიგნებიდან არის ამოღებული. მაგრამ აქ ისინი, უცხოელ ავტორთა მრავალ სხვა ციტატთან ერთად, სულ სხვა უდერაღობას იძენენ და მკითხველს აიძულებენ უფრო დაკვირვებული თვლით შეხედოს საკაცხარასაც და საქებარასაც. ამ საქმეში წიგნის ავტორის მიერ თავდაპირველად გამოტყუილი მოსაზრებებიც შეეშველიდა: „უცხოელები მომეტებულად აღფრთოვანებით წერენ ქართველების სტუმართმოყვარეობაზე, პურმარაღიანობაზე, თუმცა ამ აღფრთოვანებას ეგზოტიკური ელფერი დაჰკრავს. როდესაც ჩვენი სტუმრების ეს შთაბეჭდილებები ვესურს გვაანალიზოთ და დავფიქრდებით, ხანდახან უნადვილოდც გავხარადებით, რომ სტუმარმა მეტი ღიზსება ვერ დანახა ჩვენში. სულ ადვილად მივმართავთ კრიტიკის ისარს გარეთ. აბა ჩავფიქრდეთ, მართლაც რამდენი ნაკლი გვაქვს გამოსწორებულ... მთელი უბედურება აქაც, როგორც მრავალგზის ჩვენს ტრადიციებში, ზომიერების გრძნობის უქონლობა“ (გვ. 90-91).

რაკი, ნებით იყო თუ უნებლიეთ, ტრადიციას ერთგვარად არც მე ვუღალატე და სტუმარმასპინძლობასა და ქართულ სუფრასთან დაკავშირებული საკითხებთან დავიწყე. ვ. გოგუაძის წიგნის შინაარსის უშუალო გადმოცემა, ერთ მომენტზეც მინდა გავამახვილო ყურადღება. ავტორი წერს: „უცხოელი სტუმრები ატაცებული არიან ქართული ღვინით და როცა თავიანთ ქვეყანაში ბრუნდებიან, ხშირად, სვეტიცხოველის ნაცვლად, ჩვენს ყანწსა და კულაზე ლაპარაკობენ. ეს თვით ჩვენი ტრადიციების, გადაპარბებული ქეიფების შედეგია“ (გვ. 68). აქაც უსუსტად იგივე აზრია გამოტყუილი თითქმის, როგორც ორიოდე სტრიქონს წეშით მოტანად ციტატში. მაგრამ, თუ ჩავფიქრდებით, საქვე ცოტათი სხვაგვარადაა. წეშით ავტორი იმ შემთხვევის გამო გვესაუბრებოდა, როდესაც უცხოელები ეხებთან კონკრეტულად ქართული სტუმართმოყვარეობის, ქართული სუფრის რაობას, და ვახებთი მართებულად დაასკვნია — უცხოელები ჩვენს სტუმართმოყვარეობას, ჩვენს სუფრას ცალმხრივად რომ აღიქვამენ, ისევ ჩვენი მხრივ ზომიერების გრძნობის უქონლობის ბრალია. აქ კი, ამ მეორე ციტატში, სხვა საკითხია წამოჭრილი, სახელწოდებ ის, რომ საქართველოში ჩამოსული უცხოელები მზირად სუფრის, ქეიფის

მეტს ვერაფერს პოვებენ ხოლმე ღირსშესანიშნავს. და როდესაც ავტორი ამ ამბავსაც მხრივ ზომიერების გრძნობის უქონლობით, გადაპარბებული ქეიფებით, ჩვენზე ტრადიციების უპირატესობის ხსენს, ვერ დავვითარებთ მას. თუკი კაცმა სვეტიცხოველი იხილა, დავით კაქაბაძის ტილოებიც, ქართული ფილმებიც, ჩვენი სიმღერებიც მოისმინა (სხვა დანარჩენზე რომ აღარაფერი ვთქვათ), და მაინც ყანწების, კულების, თავაწყვეტილი ღრეობის გარდა არაფერი დაამახსოვრდა, საქართველოში ღირსშესანიშნავად სხვა ვერაფერი ცნო, ეს მისსავე სულიერ განუვითარებლობას უფრო მოწმობს, ვიდრე ჩვენი ტრადიციების უპირატესობას. ეს ერთი. გარდა ამისა, თუკი კაცმა იმავე ქართულ სუფრაზე ყანწები, კულები, ავარდენილი ქეიფი მიიჩნია ამ სუფრის უმთავრეს დამახასიათებელ ნიშნად და არა საკმაოდ უნიკალური მოვლენა — შეინახეთა უღაბეწილესი ადამიანური ურთიერთობანი, ესეც არ უნდა იყოს ამ კაცის, ამ უცხოელის მაინცდამაინც დიდი გამორახობის ნიშანი. იმიტომ, რომ ადამიანურ ურთიერთობათა დახვეწილობა ჩვენში უკვე იმდენად მკვიდრ ტრადიციად არის ჩამოყალიბებული, უცხო თვალმა უშად უნდა შეინიშნოს, რაგინდ უხეირო შეინახები უსხდენენ გვერდში (თუკი ღმერთი არ გაწყრა და უკანასკნელ ტრადიციად ტარეში არ ამოყო თავი, რაც, დამეთანხმებით ალბათ, არც ისე იოლი მოსახერხებელი იქნება უცხოელისათვის).

თუკი ეს ჩემი მსჯელობა მკითხველმა მართებულად მიიჩნია, აქვე დავსძენ: წიგნში ეს არის ერთადერთი შემთხვევა, როდესაც ავტორი ჩვეული სიტუაქიზით არ მოეკიდა ტრადიციების საკითხს, უფრო სწორად, როდესაც მხედველობიდან გამორჩა, რომ გასაკიცხისა და სამარხის უარყოფის პათოსში უღრესად დილი სიზნობილ თუ არ გამოვიჩინეთ, შესაძლოა ნაბან წყალს ბავშვიც გადავყოლოთ ხოლმე.

ამ უარყოფის პათოსით წიგნის ავტორი არხად არ გეძალბათ. მეცნიერული სიღინჯით ეკვლევს იგი ამა თუ იმ მოვლენის, ფაქტის რაობას, მის ძირებს, განვითარების გზას, დიდძალი საილუსტრაციო მასალით ცხადყოფს ყოველსავე და მერე რეკეტების შექმნას, საკუთარ რეკომენდაციებს ერთობ ერიდება. ის სურათებს ხატავს, ხსენს, განმარტავს, დასკვნების გამოტანა მეტწილად მკითხველზეა. ოდელიეფურად და ცხოვრად არის დახატული, ძნელად რომ ვინმე შეეძვდეს შესაძლო დასკვნების სისწორეში.

სტუმარ-მასპინძლობისა და სუფრის საკით-

რმპპს თმპარპმ
ატას მართი საფიქრალის წიგნი



ბებს ვ. გოგუაძის წიგნის მცირე ნაწილი უპირატეს მხოლოდ. მასში გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი პრობლემებიც არის აღძრული და განხილული. ერთი მათგანი: „რას უფრო ვაფასებთ ტრადიციულად აღამიანში — პირველ ყოვლისა, გულკეთილობას, თუ ჭკუას. რამდენად ვაპატენტებ ინდივიდუალურად გულკეთილადამიანს სოციალურ შეცდომასაც, რამდენად შეგვიძლია ობიექტურად შევადაროთ არაგულკეთილი კაცის სოციალურად სასიკეთო ჭკუის ნაყოფი“ (გვ. 114). ამ პრობლემას ავტორი ოლივის მთავრის ღვეან მეორე ღდაიანის (XVII ს.) პიროვნებასთან დაკავშირებით აღძრავს (უარყოფითი თვისებებით აღჭურვილი პიროვნება, რომელმაც ქვეყნისთვის სასიკეთო არაერთი საქმე მოიმოქმედა), მაგრამ ცხადია, რომ ღდაილ საგულისხმო უნდა იყოს ამ ასპექტით როგორც მთელი კაცობრიული ისტორიის მიმოხილვა, ისე აწმყობთან მისი დაკავშირება. მით უფრო, რომ, გვეურს თუ არა, აღნიშნული პრობლემა ამგვარ თავსატეხ საკითხსაც შეიძლება გადაეწიოს: „უცაჩაღდებამც დუპირებს აღმაშენებელს ღლატო, მაგრამ ყოველი ღლატის დასაწყისს მაშინვე სცნობდა ღდაითი. მას არც ერთი ბოროტი ღდაფარული სიტყვა არ გამოეპარებოდაო, წერს მისი ისტორიკოსი. ყველა აღდაილად მიხვდებოდა, — დასძენს იფანე ჭავჭავიშვილი, — თუ როგორ ვახდებოდა ღდაითი აღმაშენებელი ასეთი გულთმისანი: ღასაკვირველია, ჭაშუშების დახმარებით. ღდაითი „გაღობანი სინანულისანიში“ ერთგან ინანიებს, ცოღდად სთვლის მსტოვარ-ჭაშუშების გამოყენებას“ (გვ. 121). აქ აღბათ იხილ გაახსენდება ყოველ ჩვენგანს, როგორი სიმპათიური არიან ღდაითის მსტოვანი და ქონღაქონი კონსტანტინე გამსახურღიას რომანი მიხვდეთი. თქვენს მტერს, ჩვენ რომ ღღე შეიძლება ღდავაყენოს მსგავს საკითხთა ძირის-ძირამღე გამოძიებამ: ერთი მხრივ ჩვენი სათაყვანებელი საღმრთო ღდაითი, რომლის შარავანღედს ერთი ჩრდილიც არ უნდა ღდაიცეს, მეორე მხრივ — საქვეყნო, სახელმწიფო ინტერესები, რომლებიც საგარეო თუ საშინაო ღაწვერვის გულღას-მით აწყობილ სისტემას მოითხოვენ იქით კიღდე „გაღობანი სინანულისანი“ (წიგნის ავტორის მიერ ესოღენ ღროულად გახსენებული), ანდა „გულღე ღამაღდაით ფები ყოველმანს“!

არადა ამგვარ საფიქრალს არ უნდა გაექცეს კაცური კაცი, — წიგნის ავტორიც სწორედ ამისკენ მოგვიწოდებს აშკარად თუ შეფარვით. და ამასთან დაკავშირებითაც აღმეძრა სურვილი, რომ წიგნში მეტი თქმულიყო ღლატის — ამ მომართობელი და უკურნებელი სენის — თაობაზე. მით უფრო, რომ როღდაც ვ. გოგუაძე იწყებს თავს „გმირული წენ-ხასიათი“, რამდენიმე გვერღზე (97-101) მოთხრობილი აქვს

ჭაღაღღედინის შემოსების, გარნისის ბრძოლისა და შემღდეგ საქართველოს ახსრების ამბები. ბევრი ვიფიქრე იმის თაობაზე, თუ რატომ მოიქცა აგრე ავტორი. ბოლოს დავასკვენი — სავსებით სწორად მოიქცა-მეთქი. რაღდან, მარტალაია, ერთი მხრივ, ქართველთა გმირული წენ-ხასიათის ამბავთა მოთხრობის წინ თუ მოთხრობის ღროს უაღრესად ძნელი მოსასმენია, გულის მომწყველელია გარნისის ბრძოლის ღეტაღები, მეორე მხრივ, სწორედ ამ უმწარეს დამარცხებას (ღდიი საქართველოს რღვევის ფაქტორი დასაწყისს) რა გაახსენებს, მერღლა აქვს ქართველს უღფემა წინასართა გმირობაზე ჩამოაღღოს სიტყვა. გარნისთან მომხღარმა გაუგონარმა ღლატმა დაამხო საქართველო და ამ საზარულ ფაქტს მუღამ სწირღდება გახსენება.

ღიამ, ღლატის თაობაზე მეტი რომ თქმულიყო, თანც უფრო მკვეთრად მოკვარდაც კი, ჩემის აზრით, წიგნი მხოლოდ მეოიგებდა. ასევე ღდაილ წაღღებოღა ნაშრომს, ნებელღობის, ნების სიძტიციის თუ უნებისყოფობის საკითხებიც რომ ყოფილოყო თუნდაც გაკვრიი მიმოხილოლა. სხვა არა იყოს რა, თავად ღლატო ხომ ნების სისუსტის გამოღვიღებდა უწინარეს ყოვლისა. ხოღა ნებუღობის მოღუნების, უნებისყოფობის გამო წარსულშიც არაერთი ქირი დასტებია ჩვენს ქვეყანას და ღღესღღღღობითაც წარმოუღღენღელ წიანს ჭყენებს ერს ეს წყევღასავათ აკიღღებული უნებისყოფობა.

მაგრამ წიგნში უფრო წოღაღი სახსათის საკითხებიც არის მიმოხილული. ვთქვათ, წარმართობისა და ქრისტიანობის დაპირისპირება, მათი შეღარება და მათ-მათი როლი ამა თუ იმ ტრადიციის ჩამოყლაღებემაში. აქ ავტორი ბუნებრივად მიუახლოვდა ერთ პრობლემას, რატომღაც ღამის ღღემღე საღაღო ღარჩენულს ჩვენში. საქმე ის არის, რომ მკვეღევართა ერთი ნაწილი ვითარებას ისე სახავდა, თითქოს საქართველოში ქრისტიანობის ღამკვიღღება და მისით წარმართობის შეცვლა უარყოფითი, დასანანი მოვღენა ყოფიღიყო, თითქოს ქრისტიანობა ქართველი კაცის ბუნებას ვერ მწყყობოღდეს, რამეთუ ამ ბუნებისთვის წარმართული სულისკვეთება უფრო მისაღები და გასაკები ყოფიღიყო. ეს მკვეღევარები, უნდა ვიფიქროთ, ნაკლებ ანგარისს უწევღენდნ მსოფლო-ისტორიულ ფაქტებს, თორემ ასე იღღად ვერ გასწირავღენდნ ქართველობას წარმართობაში ჩასატოვეღმაღ. ვერც იმას ითვღლისწინებღდენ, რომ მთელი მუთა საუყუნეთა ქართული კულტურა, რომლითაც ღღესღღღობით ასერიღად მოგაქვს თავი, ქრისტიანული ტიპის კულტურაა და ახლა უკვე ძნელი სათქმელიც კი არის, როგორ ღონევე შეჩერღებოღა ქართველთა სულიერი ცხოვრება, ქრისტიანულ მსოფლოის რომ არ შერწყმოღა მეოთხე საუკუნღდანვე. სრულიად მართებულია წერს



ვ. გოგუაძე: წარმართობის სხვადასხვა სახეობა იჩნებოდა ყველაზე პრიმიტიული და დღევანდელი ცნობიერებისათვის მრავალწინააღმდეგობარი თვისებებით. ამიტომ წინე-ჩვეულებების თვალსაზრისით, ქართული წარმართობის შესწავლის დროს, მიზნადმიანიც დიდ მომხიბლველობას არ უნდა ველოდეთ მის მორალში. წარმართული კულტურის ის ნაშთები, რომლებიც ჩვენი არქეოლოგიის, ხელოვნებათმცოდნეობისა და სხვა მეცნიერებათა კვლევის ობიექტია, გვიჩვენებს ჩვენი ხალხის წინაქრისტიანული განვითარების მაღალ დონეს. მაგრამ წარმართობის მაღლა დაყენება ქრისტიანულ კულტურაზე რამე ნიშნით არც საზოგადოების განვითარების საერთო მარქსისტული მსოფლმხედველობით იქნებოდა გამართლებული და, ცხადია, არც ქართული ისტორიული მასალის მიხედვით“ (გვ. 20-21).

საკითხთა ამ რკალში მე ვერ დავეთანხმები წიგნის ავტორის მოსაზრებას, რომლის თანახმადაც, ესოეტკეს თვალსაზრისით, თითქოს ამჟამად „წარმართული რელიგიის უპირატესობა ქრისტიანულთან შედარებით“ (გვ. 21). და იქვე: „წარმართული რელიგიის ესოეტკური უპირატესობა ქრისტიანულ რელიგიურ ხელოვნებასთან შედარებით ბუნების სილამაზის აღქმაში მდგომარეობს. წარმართობა სწორედ ხმა ბუნებისა, ხორციელი ქვეყნის თავისუფლებას იგი შინაგანად გრძნობს. ქრისტიანობა წმინდა სულის სახელით უპირისპირდება და ზოგჯერ კიდევ მტრობს ბუნებას“.

აქ თავდაპირველად თითქოს არის იმის ცდა, რომ წარმართობას მთელი ქრისტიანული კულტურა და ქრისტიანული ტიპის კულტურის ხელოვნება კი არ დაუპირისპირდეს, არამედ „რელიგიური ხელოვნება“ (ალბათ იგულისხმება ის, რასაც, ხშირად ხსენებენ არამართლებად, „სასულიერო“ მწერლობასა და ხელოვნებას უწოდებენ ხოლმე). მაგრამ, ჯერ ერთი, თვით ეს „რელიგიური ხელოვნება“ საეპოქად დაუზუსტებელი, შეიძლება ითქვას — ბუნდოვანი ცნებაა, რომლის ფარგლების მტკიცედ აღდგენა არასაგნით არ ხერხდება; მეორეც, დამდევნი ფრწევით იჩვევა, რომ ავტორი, საბოლოო გამში, მთელ ქრისტიანულ კულტურას გულისხმობს და მის უპირისპირებას წარმართობის ესოეტკური რაობას. ხოლო ამ კულტურაზე დღესდღეობით ამგვარად მსჯელობა (მით უმეტეს, როცა ნათქვამის საიდუმლოებად მაინც ერთი საკმაოდ გულმტრყვილო წერტილის მეტი არაფერია მოტანილი) მიზანშეწონილია

არ მიიჩნია. აქ იმდენი საწინააღმდეგობარებია მენტის გახსენება მოხერხდებოდა, ჩამოთვაც არ ღირს. ასე მარტივად საქმის ვითარებას ჩვენი საუკუნის 20-იანსა და 30-იან წლებში სახავდნენ და იმდროინდელი სქემების უპირტიკოდ დღესაც გაიმეორებამ შესაძლოა, ცოცხალი არ იყოს, დაბანოოს მკითხველი, მით უფრო — საკითხის რაობაში ჯერაც გაურკვეველი მკითხველი. იგივე ითქმის ქრისტიანობისა და ზეორიასტრიქსის ნებაუნებური დაპირისპირების გამოც. ავტორი პირდაპირ არ ამბობს, მაგრამ წიგნის მიხედვით იმგვარი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ზეორიასტრიქსის უზარმაზარი უპირატესობა აქვს ქრისტიანობის წინაშე თავისი პოეტურობის მეოხებით („თქმა რომელიმე რელიგია შეიძლება დავასახელოთ პოეზიისათვის ხელსაყრელ რელიგიად, ალბათ მასდენში შეიძლება მივიჩნიოთ ყველაზე პოეტურ რელიგიად“, გვ. 15. და ცოტათი ქვემოთ: „რამე მდგომარეობს ზეორიასტრის ესოეტკური მიმზიდველობა? ზეორიასტრი... ქადაგებს სინათლის, სიკეთის რწმენას“), რასაც, ასე გამოდის, სრულიად მოკლებულია ქრისტიანობა.

კიდევ ერთი სადაო საკითხი ამავე რკალიდან. ცოცხალი არ იყოს, პრობლემის განზრახ გამარტივებას შავს, როდესაც ავტორი საერო და სასულიერო მუსიკას აპირისპირებს, როგორც, ერთი მხრივ, გრძნობების მუსიკას და, მეორე მხრივ, ცივ, უგრძნობელ რასმე (გვ. 82-83).

სადაოსა და საქამათოს რა გამოლევს ამგვარ წიგნში, სადაც აუარება საკითხია წამოყრილი და განხილული, სადაც ათასგვარი ასპექტი წამოყოფს თავს ყოველ აზნაცში თუ არა, ყოველ გვერდზე მაინც, ათასგვარი საფიქრალი აღძვრის. ორიოდ ამგვარ საფიქრალზე კიდევ შეაჩერებ წიგნის ავტორისა და მკითხველთა ყურადღებას.

ერთობ სწორზაზოვნად მეჩვენება თავი „ნიქი და ქართული ოქახური-ნათესაური გარემო“ (გვ. 139-148) და ამ თავის დასასრულს გამოყვანილი ერთმნიშვნელოვანი დასკვნა: „ტრადიციები აღმავალი, ახალი საფეხურის ქემმარტეტებას, ნიქის მოთხოვნებს დაბლა ექანება, ტრადიციები ნიქთან ძალიან ხშირად კონფლიქტშია“. ეს დასკვნა ავტორს იმასთან დაკავშირებით გამოაქვს, რომ: „წარმოვადგინოთ ახალგაზრდა ქართველი მეცნიერ-მუშაკი, მტრმოყვარის კაცი, რომელიც დღეობს იყოს მამა-პაპათა ტრადიციების აღმსრულებელი. ქართული ნათესაური გარემოს ურთიერთობის მოვლევითა-უფლებებში ძალზე შორს მიდის... ახა წარმოვადგინეთ ამდენი აღამაინისაღმი გულისხმიერება, ყურადღება...“ (გვ. 142-143).

რეპეზ მებარამე
ათას მართი საფიქრალის წიგნი

¹ ეს ხომ წიგნის ავტორმა უჩემოდაც კარგად იცის: „საერო და საეკლესიო კულტურისა დაპირისპირების დროს ჯერჯერობით მისი ცხადი, გამოკვეთილი შინაარსის მქონე ფილოსოფიური განსაზღვრებანი არ მოგვეპოვება“ (გვ. 72).



თუ მეცნიერი (მწერალი, ხელოვანი, საერთოდ, შემოქმედელი) კაცური კაცი არ არის, მისი ნიჭი, მისი ნაღვაწი მუდამ მოკლებული იქნება ქვემარტივი ადამიანობის მადლს და, ამდენად, სრულფასოვან რაიმედ ვერ იქცევა. სოლო კაცურ კაცს ნათესავ-მეგობრებისადმი, მოყვასისადმი ყურადღება და გულისხმიერება უქვევლად მართებს. ავტორის რეცეპტი, რომ უმჯობესია კაცმა ტრადიციებს ზურგი აქციოს და „საზეო საქმეს“ შეხწიროსო თავი, სწორედ იმავე საზეო სფეროებს დააკარგვინებს ადამიანს, რამეთუ ქვემარტივი კაცთმოყვარობის გარეშე ვერანაირი საზეო საქმე ვერ აღსრულდება. ასეა თუ ისე, ესეც ერთი „წყევლა-კრულვანის საკითხავია“ ჩვენს ცხოვრებაში (აქ შესაძლოა ისევ მინდაის ტრადიციის ანდა გაუცხოების პრობლემამდე მივიღეთ) და მისი უფრო ჩაღრმავებული გამოძიება საქმეს არგებდა მხოლოდ.

წიგნში გამოთქმული ზოგიერთი მოსაზრება ოდენ სადღოდ კი არა, მედარდაც მიმანია. ერთი მაგალითი: „რუსთაველის გენიალურ პოემაში „გაზრდილს მართლს გაშრდილის პატოვი, შიში, მორიდება, ერთგულება, კრძალვა“. როდემდის მართებს გაზრდილს ასეთი დამოკიდებულება მოძღვრისადმი? სიკვდილამდე. რას იზამს აღზრდილი, თუ მოძღვარი ცდება? ამ კონფლიქტურ კითხვაზე რუსთაველი ყურადღებას არ ამახვილებს“ (გვ. 158-159). ყურადღებას არ ამახვილებს კი არა, კონფლიქტი იმით დაიწყო, ტრაგედია იმის შედეგად დატრიალდა, რომ ტარიელმა მისი გამზრდილის (ფარსადანას) მცდარი ნაბიჯის პასუხად სასიძო მოკლა. ან მე ვერ გავიგე სწორად ავტორის დებულება, ან, თუკი ჩემი დაკვირვება სწორია, მომავალი გამოცემისთვის ეს ადგილი უნდა გასწორდეს უქვევლად. ესეც და ზოგიერთი სხვა ადგილიც, რომელთა შემჩნევა თავად ავტორსაც არ გაუძნელებდა ახლა, როცა წიგნი გამოსულია და შეიძლება მისი გულდინჯად, ობიექტურად, გარეშე კაცის თვალთ წაკითხვა. ხოლო წიგნი რომ ხელახლა უნდა გამოიცეს, ამის თაობაზე ორი აზრი ალბათ არ შეიქმნება. პერივით სჭირდება ჩვენს საზოგადოებას ამნაირი წიგნები, ათასი საფიქრალის აღმეჭრელი წიგნები.

ათასი საფიქრალის-მეთქო, რამდენჯერმე ვთქვი უკვე. ხოლო წერილის სათაურია „ათას ერთი საფიქრალის წიგნი“. ათასი საფიქრალი წიგნის შინაარსს უკავშირდება, ათას მერთე— მის ფორმას. ვახტანგ გოგუაძისთან ნიჭიერების ავტორს ფორმის დახვეწისათვის მეტი ზრუნვა მართებდა. ამის უთქმელად ბოლომდე გულწრფელი ვერ ვიქნები მის წინაშე.

აქ, უწინარეს ყოვლისა, მხედველობაში მაქვს წიგნის საერთო აღნაგობა, მისი არქიტექტონიკა.

შესაძლოა ვცდები, მაგრამ წიგნის შემადგენელი თავების განლაგებაში, მათს ურთიერთმომიდევრობაში რაიმე ლოგიკა, წიგნის საერთო გააზრებიდან ამოსული რაიმე პრინციპი ვერ დავინახე. ესა თუ ის თავი შეიძლება სულ სხვა ადგილას გადავსვათ. ან სულაც ამოვიღოთ, ამით თითქმის არაფერი შეიცვლება. ამავე დროს, ყოველი ორგანული მთლიანობა (ხოლო შემოქმედების პროდუქტი ორგანული მთლიანობა უნდა იყოს უქვევლად!) იმგვარი ბუნებისაა, რომ მუდამ წინ უსწრებს მის შემოადგენელ ნაწილებს, თავად განსაზღვრავს ნაწილთა რაობას და არა ნაწილი — მისას, იგი არასოდეს წარმოადგენს ნაწილთა უბრალო ჯამს. და თუ ეს ასეა (ნამდვილად ასეა), წიგნს ამ თვალსაზრისით კიდევ ერთხელ სჭირდება გადახედვა.

გადასახედა აგრეთვე თავების შიგნით ცალკეული აბაგლები, ხალც ზოგჯერ თავისთავად უაღრესად საგულისხმო, მაგრამ ერთიმეორესთან საქმოდ დაუკავშირებელი მრავალი თემა, საკითხი, პრობლემა იყრის ხოლმე თავს (მაგალითად, გვ. 16-23, 50, 52-54, 174...). ვასაგებია, რომ ამ ხანაათის წიგნში მრავლის უმრავლესი საკითხი უნდა წამოიჭრას, მაგრამ მათს დონორებაში მეტი სიმწყობრე რომ შეიმჩნეოდეს, ეს ნაშრომს მხოლოდ დაამშვენიებდა.

დასასრულ, ერთი მოულოდნელი ნაკლი ისევე ფორმის სფეროდას. ასეთ მაღალ დონეზე განხორციელებულ წიგნში მით უმეტეს შეუწყნარებელია ამგვარი ენობრივი ლაპსუსები: „ქრისტიანისობის“ („ქრისტიანისობის“ ნაცვლად, გვ. 15), „ამაზონები“ („ამორბადების“ ნაცვლად, გვ. 42), „პარემი“ („პარამხანის“ ნაცვლად, გვ. 40), „სპარტანელი“ (გვ. 160-163); ანდა ამგვარი: „პოთაგორამ დაეცხხა“ (გვ. 81), „წიგნი... ერთი სიტყვითაც არ არის ნახსენები მამლუქების ქართველობასა ან კავასიელობაზე“ (108), „იბადებოდეს ადამიანები“ (139), „შენაშნულად აქვს ფსიქოლოგებს“ (181), „სახეობანი ხანიათდება“ (20), „წინეველებანი უპირისპირდება“ (28), „თავს ირენს წინააღმდეგობანი“ (იქვე), „ეს ქცევანი იყო ქვემარტივ სულიერი განვითარების შედეგი, იგი რელიგიური ფანტიზმის ნიადაგზე იყო წარმოშობილი“ (30), „იგულისხმება მონაწილენი“ (102), „არ გვავიწყდება მწიგნობარნი“ (135), „რანაირი იყო ტარიელის ბრძენი მასწავლებელნი“ (158), „აქვს აღწერილი როგორც კათოლიკე მისიონერებს, ისე სომეხ ავტორებსაც“ (45), „მდიდრდება, ღრმავდება ერის კულტურული დონე“ (145), „იგი არ უნდა ყაბულდებოდეს უკვე არსებული ფორმებით“ (175). მართალია, აქ მოტანილი მაგალითებით ენობრივი ლაპსუსები თითქმის ამოიწურება, მაგრამ საერთოდ ჩინებულად მოქართულად ავტორის ნაწერში ამდენსაც არ ველოდი.

საქსი ანგუშა

საუბარი პოეზიაზე

ძნელად სათქმელია, რამდენად სწორია გამოთქმა „პოეზიის ქვეყანა“, რომლითაც ჩვეულებრივ ინსენინებენ ხოლმე საქართველოს — არსებობენ კი პოეზიისადმი გულგრილად განწყობილი ქვეყნები? და მაინც, საუკუნეების მანძილზე საქართველო აღბათ ბევრ სხვა ქვეყანაზე მეტად იმსახურებდა ამ სახელს. მაგრამ წარსული წარსულია, დღესდღეობით კი არავითარი სოციოლოგიური თუ სხვა რამ მონაცემი არ არსებობს იმის გასარკვევად, ისევ რჩება თუ არა საქართველო პოეზიის ქვეყანა! ჟურნალ „ცისკრის“ მორიგი ანკეტი მიზნად არ ისახავს პოეტური რეფერენდუმის მოწყობას — ასეთი გამოკითხვა არც შესაძლებელია და ილბათ არც არის საჭირო. მაგრამ ის კი მიგვაჩინა კარგ და დროულ საქმედ, რომ თანამედროვე პოეზიის განვითარების მთავარ ტენდენციებზე გავიგოთ იმათი აზრი, ვისი ცხოვრებაც სისხლზორცეულადაა დაკავშირებული ქართულ პოეტურ სიტყვასთან. ჩვენ ვთვლით, რომ „ცისკრის“ ანკეტებზე გაცემული პასუხები (არაპირდაპირ) იმ პოლემიკაში მონაწილეობაც იქნება, რომელიც, აშკარად თუ ფარულად, კარგა ხანია წარმოებს ქართულ ლიტერატურაში. წინამდებარე ანკეტი რედაქციის პოეზიაზე დიდი და სერიოზული სჯა-ბაასის დასაწყისად მიაჩნია.

ჟურნალის რედაქციამ ქართული კულტურის ცნობილ მოღვაწეებს მიმართა შემდეგი კითხვებით:

1. რამდენიმე ქართველმა კრიტიკოსმა საკავშირო ჟურნალის ფურცლებიდან განაცხადა, საქართველოში ლიტერატურული ცხოვრება პროზის პრიმატის ნიშნით მიედინებაო. ეტყობა, დღეს ბევრი ფიქრობს ასე და ბევრს მიაჩნია, რომ დამთავრდა ეთასწლოვანი პოეტური ჰეგემონია, ისევ დაირღვა პოეზიისა და პროზის ბალანსი, ოღონდ ამჯერად პროზის სასარგებლოდ, და ლიტერატურული ცხოვრება „პროზის პრიმატის ნიშნით“ მიედინება!

მიგაჩნით თუ არა, რომ პროზის თვალსაჩინო გამარჯვებებმა ერთგვარად „გადასძალა“ და „გააფერმკრთალა“ პოეზიის წარმატებანი, თუ, თქვენი ფიქრით, საქართველო ისევ რჩება „პოეტების ქვეყანად“ და პოეზიის ჰეგემონიას ჯერ კიდევ ვერ უქმნის „საფრთხეს“ თანამედროვე ქართულ რომანი და მოთხრობას!

2. როგორც გაქვთ წარმოდგენილი ქართული პოეზიის განვითარების შემდგომი პერსპექტივა: ისევ გაგრძელდება ვერლიბრისა და კლასიკური რითმიანი ლექსის მომხრეთა დაცვა, თუ ქართული პოეზიის გამარჯვებას ხელდავ მათს მშვიდობიან თანაარსებობაში, როცა ვერლიბრი და რითმიანი ლექსი ერთმანეთის გამდიდრებისა და სრულქმნის წყაროდ იქცევიან! რომლის მხარეზეა პირადად თქვენი სიმბოლია?

შეკითხვა მხატვრული კითხვის ოსტატებს: რომელი ლექსის წაკითხვა გირჩევნიათ — რითმიანის თუ ვერლიბრის, და რატომ!

გბეჭდავთ პასუხებს.



ერთიც ტრადიციულია, მეორეც

უწინარეს ყოვლისა, მაღლობელი ვარ უფრო-ნალ „ცისკრის“ რედაქციისა, ამ საუკრადღებო საკითხებზე მსჯელობისათვის რომ მიმიწე-ფა. პირადად ჩემთვის რაკი მეორე კითხვაა უფრო მახლობელი, შევეცდები, ორიოდ ნიტყვით ვუპასუხო ამ კითხვას:

როცა თავისუფალი ლექსის ავ-კარგზე ვლაპარაკობთ, ურიგოა ამ იქნება, სხვა ქვეყნების ლიტერატურული გამოცდილებაც გავიხსენოთ. ავიღოთ თუნდაც პოეზიის ისეთი კლასიკური ქვეყანა, როგორც ირანია. თავისუფალი ლექსი აქ ჩვენი საუკუნის დასაწყისში გამოჩნდა. საყოველთაოდ ცნობილია კლასიკური სპარსული ლექსის ზელოდღირობა, მისი რიტმულ-მუსიკალური სიმწყობრ და ტექნიკური ხრულყოფილება, რაც პოეტური აზროვნების ერთ უმთავრეს კომპონენტად იყო მიჩნეული და ლექსის უცილობელ ატრიბუტად ითვლებოდა საუკუნეების მანძილზე (გაფიხსენოთ თუნდაც თემურაზ პირველი: „სპარსთა ენისა სიტკბომან მსურვა მუსიკობანი“). ასეთ ვითარებაში თავისუფალი ლექსის გამოჩენა მართლაც რომ მცხის გავარდნას ჰგავდა და, ბუნებრივია, დიდ წინააღმდეგობას წააწყდა ლიტერატურულ (და არა მარტო ლიტერატურულ) წრეებში. მაგრამ ცხოვრებამ მაინც თავისას მოითხოვდა, ევროპაში განსათლებამიღებულმა ახალგაზრდობამ სამშობლოში დაბრუნებისას კულტურული ცხოვრების ახლებურ წესებს ნერგავდა. ძირეულად იცვლებოდა ყოფა-ცხოვრების ტრადიციული სტილი. ამ მხრივ არც ლიტერატურული ცხოვრება იყო გამონაკლისი, ასე რომ, მწიანი წლებისათვის თავისუფალი ლექსი სპარსული პოეზიის განუყოფელ რეალობად იქცა. მაგრამ მაინც, ამ წლების პოეტური მიღწევები კლასიკური სპარსული პოეზიის ფონზე მკრთალი ჩანს და უდიმლაო. ამის მიზეზი კი უბრალო იყო: ირანელმა პოეტებმა უცხოური პოეტური სულისკვეთება შექანიურად გადმოიტანეს თავიანთ სინამდვილეში, ვერ შეუწინასწორეს მას საკუთარი ლიტერატურის მრავალსუკუნოვანი გამოცდილება. მართალია, მეტ-ნაკლებად კი შეძლეს პერიფერიული იზოლაციის დაძლევა, თავიანთი მკითხველი ასე თუ ისე ჩაახდეს თანამედროვე მსოფლიო პოეტური აზროვნების სიავარგეში, მაგრამ, სამაგიეროდ, მეორე უკიდურესობაში ჩავარდნენ. ეს კი უკვე ეროვნული უმდგარაობისა და, აქედან გამომდინარე — სულიერი სიმწირის უტყუარი ნიშანი იყო. ასე რამ, სახლოლოდ მათი გულ-უბრყვილობა პოეტური მცდელობა მხოლოდ მცდელობადაა დარჩა და ვერ შეეწიარა ქვეშა-რიტი ლიტერატურის დიდსა და ხელთუქმნელ სიმაღლეებს, მხოლოდ ამ ბოლო წლებში თუ

შეინიშნება ირანულ პოეზიაში უფრო ღრმა და საგულისხმო პროცესები: ქვეყანამ თანდათან-ობით დააღწია თავი უცხოური კაპიტალის გავლენას, მის ბაზარზე მტკიცედ იკიდებს ფეხს ადგალობრივი პროდუქცია, ყოფა-ცხოვრებაშიც უფრო ვაბედულად მკვიდრდება ტრადიციული, საკუთრივ-ირანული სტილი. ანალოგიური ტენდენცია შეინიშნება ლიტერატურაშიც: გაცხოველდა ინტერესი ხალხური შემოქმედებისადმი, ნელინელ, უმტკივნეულოდ ხდება ვერლიბრის შეჭვარება ტრადიციულ სალექსო ფორმებთან, იხადება თვისობრივად ახალი სპარსული ლექსი. ეს ალბათ დიდი და ხანგრძლივი პროცესია, რაც, შესაძლოა, თანდათან ქმნიდა ქვეშაირტი ლიტერატურის წინაპირობას, ევროპული ინტელექტისა და აზიური კულტურული გამოცდილების იმ ბედნიერი ურთიერთშეჯავების წინამძღვრებს, რაც თავორამ შეძლო ინდოეთის სინამდვილეში (აქვე, სიტყვამ მოიტანა და, იქნებ ურიგოა ამ იყოს თაორის მავალითის გახსენება: „ატეან-ჭალი“ ბენგალურ ვარაანტში უაღრესად მუსიკალური რითმოვანი ლექსითაა დაწერილი, ინგლისურ ავტორისეულ თარგმანში კი თავისუფალი ლექსითაა შესრულებული. რა არის ეს — ავტორის (მთარგმნელის) თვინებობა თუ მისი პოეტური არსენალის უქმარისობა? ალბათ, არც ერთი და არც მეორე. ეს უფრო კონკრეტული ენის მოთხოვნილებათა მაქსიმალური გათვალისწინებაა, ხელშეძვანელობა სალექსო ტრადიციების მტკიცე და შეუვალი კანონებით).

თანამედროვე სპარსული ლექსის მავალით ნიშანდობლივად გვეჩვენება ე. წ. „პოეზიის ქვეყნების“ ლიტერატურისათვის: ვერლიბრის დამკვიდრება სხვაგანაც ძნელად და მტკივნეულად ხდებოდა. გარკვეული თვალსაზრისით, იქნებ ეს საქართველოსაც შეეხებოდეს, თუმცა თავისუფალი ლექსის ჩასახვა-განვითარების გეგმაში უფრო ხანგრძლივი და მრავალსუკუნოვანი წინამძღვრები გაჩნდა, ვიდრე, ალბათ, ნებისმიერ სხვა „პოეზიის ქვეყანაში“. მართალია, დიდი დროის მანძილზე ქართული პოეზიის განვითარება რითმიანი, რიტმულად მწყობრივ და კეთილმოვანი ლექსის პრინციპით მიმდინარეობდა, ჩვენში მაინც არასოდეს ყოფილა გაბატონებული რითმობრივ-რიტმობრივი კომპონენტებისადმი ორთოდოქსალური დამოკიდებულება. ამის მავალითად, ალბათ, ბრათავილის შემოქმედებაც იკმარებდა, ხალაც თვალნათლივ ჩანს პოეტის თამამი, თითქმის გულგრილი დამოკიდებულება რითმისადმი. მიუხედავად ამისა, ლექსებში მიღწეულია უდიდესი პოეტური ექსპრესია, რაც ალბათ რითმის ბევრ დიდოსტატს შემურდებოდა. ასე



რომ, ჩვენს ლიტერატურაში, მართალია, არათანაბარი ძალით, მაგრამ მინც იგრძნობა ორი შესაძლებლობა ქართული ლექსისა: ერთია რითმიანი ლექსი, მეორე კი — თავისუფალი ურითმო ლექსი. პირველს, ძირითადად, რუსთაველმა დაუღო სათავე, მეორე კი — რუსთაველამდე ლექსებით ადრე არსებობდა და ქართული ლიტერატურის პირველსაწყისებიდან საზრდოობდა. ესაა ქართული ლექსის განვითარების მრავალსაუკუნოვანი გზა, რომელიც დამწვენიერებელია „ქებათა-ქებისა“ თუ „ფსალმუნისა“ მთარგმნელთა სახელებით, ჩვენს დიდებული მიმნოგრავებით. ამ პოეტურ ტრადიციას რუსთაველი თავისი დახვეწილი, მკაცრად რაღინიერებული ლექსთწყობით დაუპირისპირდა. მოგვიანებით ქართულ პოეზიაში ძალუმად შემოიჭრა აღმოსავლური ლექსის სურნელება და თანდათანობით მიხედვდა უძველესი ქართული ვერსიფიკაციის ტრადიციები.

დღევანდელ ლიტერატურულ სინამდვილეში, როცა პოეტების ახალმა თაობამ ასე მწვავედ დააყენა აზრის უფრო ზუსტად, უფრო გამოკვეთილად გამოთქმის საკითრება, ახალ, მსოფლიო პოეტური აზროვნების უკანასკნელ მიღწევებთან თანამეზობლობაში, მათ ურთიერთშეზავებაში, ბუნებრივად წამოიჭრა ლაღი და ფორმალურად შეუბოძრავი, თავისუფალი ლექსის საკითრება. ამაში ქართული პოეზიის მაღალნიჭიერ წარმომადგენლებთან ერთად, არც თუ მეორეხარისხოვანი როლი შეასრულეს ჩვენს მთარგმნელებმა (თ. ჩხენკელი, ზ. კაკაბაძე...), რომლებმაც ბოლოდროინდელ ვერსიფიკაციულ მიღწევებთან შეჯვარებით, თანდათან სტილიზებული ნაარგვარობით წამოატივტივეს ბაბლიისა და ქართული მიმნოგრაფიის პოეტური პირველსაწყისები. ძველი და ახალი სალექსო ფორმების ასეთი შეზავება არ გამოცხვას დღემდე გამოუყენებელი რიტმული

ვარიაციების შესაძლებლობას, ეს კი, მხრივ, სასავეს ქართული ვერსიფიკაციის განვითარების ახლებურ გზებსა და პერსპექტივებს. რაც შეეხება რითმიანი და თავისუფალი ლექსის ურთიერთმიმართებას, უდავოა, ყოველი ნაწარმოების ღირსებასა და რავარობას ავტორის პოეტური ინდივიდუალობა უფრო განსაზღვრავს, ვიდრე ლექსის დათანხმებული თუ დაუთანხმებელი ფორმები. ასე რომ, უმართებულთა ჩინური კედლის გავლება ვერლიბრსა და ე. წ. ტრადიციულ ლექსს შორის, საბოლოო ჯამში ჩვენთვის ერთივე ტრადიციულია და მეორეც. სხვა საქმეა, სად უფრო მეტაა ტრადიციის ძალა და ინერცია. რომელი ლექსის მხარეზეა მკითხველის (და პირადად ჩემიც) სიმპათია? კარგი ლექსის მხარეზე! მაღლობა ღმერთს, არც „ვეფხისტყაოსნის“ ბაღდათა აგვითვალწუნებია იმის გამო, რომ რითმიანი დაბალი შიართაა დაწერილი და არც „გალობანი სინანულიანი“ მოვითქვებია მისი ურითმობისა თუ უშიართობის გამო. არ შეიძლება დაჭერებით იმის თქმა, თითქოს რითმიანი ლექსს ამოეწუროს თავისი შესაძლებლობები (ქართული ენის წიაღში არსებობს მისი გადახალისებისა და ვარიანების მრავალგვარი საშუალება) ან თავისუფალ ლექსს ეთქვას ბოლო სათქმელი. იქნებ, ამ ორი სალექსო ტრადიციის ორგანულ შერწყმა-შეზავებაშიც ინახებოდეს ერთი გზა ქართული ლექსის განვითარებისა? ყოველ შემთხვევაში, დღესდღეობით უკვე იკვეთება საამისო კონტურები. თუმცა ამაზე ლაპარაკი, ვფიქრობ, მინც ნაადრევია. და თუ მინც ეს პროცესი გარდუვლია, იგი ალბათ თანდათანობით, უფრო მშვიდად და უმტიკუნეულოდ მოხდება.

ჯამალ აკინაზილი

„თუა ქართვლის გვარისა...“

პართულ თანამედროვე პოეზიასა და პროზაზე, მის შეფასება-აწონაზე როცა საქმე, უნებლიეთ ორი კრიტერიუმით, ორი სასწორით ხელმძღვანელობს ხოლმე კაცი. ერთია სანიაღვრო, „საჩვენო“ კრიტერიუმი, რომელიც აუცილებლად ნიშნავს მეტ-ნაკლებ კომპრომისს, ხოლო მეორე — მაღალი, „საწეო“ სასწორი, რომლის ღირს ლიტერატურულ პროდუქციას გულიგულით მუდამ ნატარულია „ჩუმი ნატარობა ქართული“. გარდა ამისა, გასული საუკუნის დიდმა ერისკაცებმა — ილიამ, აკაკიმ, ვჟამი, იაკობმა ერისა და ლიტერატურის ჭირისუფლობის უტყუარი მაგალითგამსკვლევი დაუტოვეს შთამომავალ ლიტერატორთ

და ასწავლეს — ვინც მათ კვალში ივლის, ვინც მათი გულით დაიწყებს ხედვას, ვინც ამ უამარვ სადღეისო, „მიმდინარე“ პრობლემებში გამოარჩევს და მხედველობიდან არ გაუშვებს „ბედს ქართლისას“. მუდამ პირნათელი იქნება ხალხთანაც და ლიტერატურასთანაც. ნაღდი შემოქმედი თავისი ხალხის მარადიული, სტაბილური ავკარგის შესაქრებელია და ისევე უცდომელია, როგორც თვით ხალხი, თვით მკითხველი („ხალხი“, „მკითხველი“ არ არის დროში ერთხელ და სამუდამოდ ჩაკეტილი მოცემულობა, იგია — რაც იყო, რაც არის, რაც იქნება და სწორედ ამდენად არის უცდომელი). ამ აუცილებელი პოეზიის შემ-

დღე შევიცდები თანმიმდევრულად ვუპასუხო ანკეტის კითხვებს:

1. ხუთი მსოფლიო პოეტი გვყავს: შოთა, გურამიშვილი (მისი საუცხოო ლირიკა), ბარათაშვილი, ვაჟა, გალაკტიონი. ქართულ პროზასაც რომ მათი ტოლმალე შემოქმედნი ჰყოლოდა, უდიდესი იქნებოდა ჩვენი პროზის საშინაო თუ საგარეო ღირებულება, მით უმეტეს ახლა, კულტურულ ფასეულობათა არსებულად გაცხოველებული ურთიერთგაცვის პრობლემაში, როცა პროზა, პოეზიასთან შედარებით, ასე „ადვილ-საქსპორტოა“. ქართულ პოეზიას დღესაც ჩვენი დიდი პოეტური ტრადიციების მაღლი მფენია. ის დონე, გალაკტიონმა ქართულ ლექსს რომ მიანიჭა, უწყვეტ კონკრეტულად გალაკტიონის კი არა, საერთოდ, ქართული პოეზიის დონეა, ქართული ლექსის ორგანული გამოცდილებაა, ქართული პოეტური აზროვნების რეალური, ხელშესახები საფეხურია. რა ბედენაა თუ ას საშუალო პოეტზე, დღეს რომ პოეზიის სამკალში გამოხსულა, ერთი-ორი „მართლა“ პოეტი მოდის — ყოველთვის ასე ყოფილა და მუდამაც ასე იქნება, რა თქმა უნდა, არსებობს საუკუნეთა მომცველი ლიტერატურული პროცესი, სადაც ყველას თავისი ადგილი და თავისი უძველესი ღირსება აქვს, მაგრამ როცა ქართული ლექსის სადღესო „პოეტიციების დომინანტი“ ლაპარაკობენ, მისი არასახარბიელო საშუალო დონიდან „ამოღიან“, არ ითვალისწინებენ „ზედა ზღვარს“ — ა. კალანდარიძე, მ. მავაზარიანი, მ. ლებანიძე, თ. კილაძე... ბ. ხარანაული, ეს პოეზია კი, გამორჩეული ლექსები, თავისი პოეტური ღირსებით პირველ ადგილზე დგას საბჭოთა პოეზიაში და დიდი უპაბისი ღირსია. ამ თვალსაზრისით, თუმცა დიდად განვითარდა და დიდადაც გვემამყება, ქართული პროზა ჯერ ვერ აღის თანამედროვე რუსული პროზის საუკეთესო ნიმუშების დონემდე. ვინც დღევანდელ რუსულ პროზას აკვირდება, ხედავს მის სამაგალითო ეროვნულობას, კარგ „სოციალურობას“, ანალიტიკურ ძალას, გასული საუკუნის დიდი რუსული მწერლობის ტრადიციებისა და დღევანდელი მსოფლიო პროზის უახლესი ფორმალურ-სტილისტური აქსესუარის ბედნიერ სინთეზს, სადაც ეს აქსესუარი, ისე გამოცდილება მოედურად კი არ „ყვირის“, როგორც ბევრ ჩვენს კარგ რომანსა თუ მოთხრობაშია, ოდენ „გრძნობა“. სწორედ ეს ბედნიერი სინთეზია, ჩვენს პროზას რომ ასე თუ ისე აკლია. უცებ ავითვისეთ ყოველივე ახალი, მაგრამ ასე უცებ ვერ ვავიზინაგანეთ, ვერ დავამყენით და ვახარეთ ქართულ საძირეზე. ჭეროვნად ვერ ამოვამშენურეთ და განვამტკიცეთ ჩვენი კლასიკური პროზის თუნდაც ორი „ხაზი“: ერთი მხრივ, დ. კლდიაშვილის, მეორე მხრივ — ვ. ბარნოვისა. ამიტომაც, ასე ადვილად რომ მიიღწევა

დღეს ე. წ. „მსოფლიო სტანდარტი“, ნივთიერებული, საშუალო, „მიხალბეა“ დღეს — მწერალი გვარი „სტილისტური პროზა“, რომელიც თავადად და პირად ბარემ კარგია, როგორც სასუქით გალაღებული მცენარე, მაგრამ ვერაა „სტიქიურად ღონიერი“, უმი ხისხლ-ხორცის სუნით ძალმოხილი, ინტელექტუალური მადლი დაუკრუსული. პოეტური დომინანტი ქართულ მხატვრულ აზროვნებაში ჩვენი დახაც დიდი თულგია, მაგრამ მას ალბათ უფრო სხვა დონით უნდა გამოყენება — როგორც ენერჯის, „გრადუსს“, მსოფლმხედველობრივ მომენტს, ემოციურ ტონს და ა. შ. პოეტური პროზა ერთ-ერთი ღირსეული უბანი უნდა იყოს ჩვენი მწერლობისა და არა ყველაფრის თავი და თავი. ამან, სხვა მრავალ ფაქტორთან ერთად, ხელი უნდა შეუწყოს მკვეთრად თავისთავადი, ეროვნული მსოფლმხედველობის ყოველი შრიტა და ძარღვით ნაკვები, ვრის ბედის ღრმა შეგნებით გამსჭვალული ქართული პროზის განმტკიცებას. ის რამდენიმე დიდი და მცირე ნაწარმოები, რაც სახედნიეროდ დღესა გვაქვს, ერთობ დიდ პერსპექტივას ხსნის და ქართული პროზის კარგი მომავლის ნაღდი გარანტიაა.

2. გალაკტიონს უწერია: პოეტები, ჩვეულებრივ, იმით კმაყოფილებიან, რომ შეაქვთ ლექსებში სინათლე, ფერები და მუსიკა, მაგრამ ძალიან ძვირად ღირიან მასში იმ საიდუმლო წვეთებს, რომელიც ასე უხვალაა დაღრქვეული ბარათაშვილის ლექსებშია. სწორედ ამ „საიდუმლო წვეთებზეა“ საქმე. ხშირად, როცა ლექსი ტექსტურად მოუწვდომელი ოსტატობითაა დაწერილი, მაგრამ შეგნით თვითგანწყობის მითრახით შეხურებული სულის ფსევდო-ფორაქია და მეტი არაფერი. ასეთი ტრადიციული ლექსი მკითხველის გულს არ ეკარება. მეორე მხრივ — შავანი „მესტიხე“ თავისუფალ ლექსში, ნოვაროვის ნილაბში ცდილობს თავისი მოუწიფებელი, კიკნა სულის შეფარვას. ესაა, თორემ ერთი მხრივ ტრადიციული ლექსიც კახაბერია და არც ქართული პოეზიის მრავალსაუკუნოვან წიაღში ჩაფხვილი თავისუფალი ლექსია ასათვალწუნებელი, თუკი იგი „ქართვების გვარისა“ იქნება და იმ „საიდუმლო წვეთებითაც“ დაიტვირთება. მით უმეტეს, ჩვენი თავისუფალი ლექსი არცაა წმინდა „ვერლიბრი“, რომლის ფორმის მოსახელთებლადაც, ერთი განმარტებისა არ იყოს, მკითხველს ჩათვლამა სჭირდება; ჩვენი პოეტური ტრადიციის და სალექსო ენის, საერთოდ — პოეტური კულტურის ცხოველყოფილობა მას მაინც გარკვეულ „დეფორმაციასკენ“ მიდრეკს და საჩვენოდ მოაქცევს, რაც კიდევ დასტურდება ამ პოეზიის საუკეთესო (ბ. ხარანაული, ჯ. ფხოველი...) ნიმუშებში. მე პირადად, მაგ. ბ. ხარანაულის პოეზიაში კარგად



ვგრძნობ ქართული ხალხური ლექსის სუნთქვას, მთის სამგლოვიარო-ფილოსოფიური პოეზიის უცნაურ ფაქალიზმს, ფშური კავიის ერთგვარ თვითირონიას ლირიკული გმირისა, ზვარამუნსა და „ლექსო, ამოგთქომ, ოხეროს“ ავტორის მასშტაბურ ვნებათაღელვებს, ნაღდი სათქმელთა დატვირთული, დამწუხრებული გულისა და სულის შინაგან, დიახვ ქართულ რიტმ-პარმონიას. ეს ჩვენი პოეზიის თვისობრივად ახალი, დვიძლი ნაკადია, პრინციპულად — ისეთი პროცესია, რამაც თავის დროზე ბარათშვილის პოეზია მოგვცა. ისიც საგულგნისმყოფაა, რომ ეს ნაკადი ძირითადად ჩვენი მთიდან წამოვიდა, იმ წაიღიდან, სადაც ლამის აკვნიდანვე ისხსნლხორციებენ სწორედ კლასიკურად ორგანიზებულ, აღმასივით მტკიცე ხალხურ ლექსს — ეს არ უნდა იყოს შემთხვევითი ფაქტი: მე კი მგონია: მთაში, ქართული პოეტური ენერჯის ამ ერთ-ერთ ეპიცენტრში, წვდვირებისა და, მაშასადამე, ლიტერატურული ლექსის ინტენსიურმა შესვლამ, შესაბამისად — კონფლიქტმა გამოსახვის ხალხურ და ლიტერატურულ ტენდენციებს შორის (აკი ზოგჯერ დღევანდელი წიგნიერი ხალხური მშვენიერი ლექსის შემოქმედება ეს კონფლიქტი) შემოქა ამ ენერჯის ქმნალობითი აქტივობა და, როგორც რეაქცია, მოგვცა იმპულსი სასიცოცხლოდ აუცილებელი ახალი ფორმების ძიებისა, მით უმეტეს — საკუთრივ ხალხური პოეტური ფორმები ადრე უკვე ამომწურავად გამოიყენა ვაჟამ, რაც ქართული პოეტური ენერჯის ორგანული გამოთავისუფლება იყო. ისიც უმკველია, რომ თავისუფალი ლექსის მონაპოვარი უკვე ზოგადად ქართული პოეზიის შემოქმედებითი პრაქტიკა და პირიქით — ხელს შეუწყობს ე. წ. ტრადიციული ლექსის ამოუწურავ

შესაძლებლობათა მეტ გახსნა-გამოღებულსა სხვა რომ არა იყოს რა, დღევანდელი მკითხველსათვის საქირო აზრობრივი ძალისხმევით დატვირთვას მის „ინფორმაციულ ზედა-შრტს“, რაც, თავის მხრივ, სიღრმისეულ პროცესიაში, კიდევ უფრო დამუხტავს იმ იდეულ წიაღს, იმ ბნელ დებორაჟორას, იმ „მეტაფიზიკურ სიღრმეს“, სადაც სწორედ პოეზიის ჯადო-ენაა შემალული.

3. ყოველი ჩვენიგანის გულში გამოდის ხოლმე ჩვენი არსის ის ნაწილი, რასაც ჰქვია ვაჟა, ვალაკიონი და ა. შ. და კითხულობს თავის და „ჩვენი“ ლექსებს, ამდენად, ყველანი მხატვრული კითხვის ოსტატები ვართ. ამ ოსტატებს კი, ცხადია, რითმთან ლექსის კითხვა ურჩევნიათ, რაკი ეს მწყობრი მუსიკალური სტრუქტურაა და აქ „ოსტატს“ პირველ სტრქონშივე ეძლევა ერთგვარი მეტრონომი, რითაც იგორიტში „ჭდება“, პათოსს, სუნთქვას, გულის თვალს არეგულირებს; ინტონაცია და მესხიერებაც სწორედ რითმზე „იკიდებს ფეხს“ და იქვე ჩნდება მზაობაც ამგვარივე მუსიკალურ ერთეულზე — მომდევნო რითმაზე გადასასვლელად და სხვ. თავისუფალ ლექსს კი ასე ვერც დაიბახსოვრებ, ვერ წაიკითხავ და აქ არაფერია გასაკვირი. შუამთავის გარეშე კი, როცა მხოლოდ ლექსი და მკითხველია ერთმანეთის პირისპირ, ტრადიციული ლექსი უფრო „ობიექტურია“ და მკითხველის აქტივობის ისეთ დონეს არ მოითხოვს, როგორსაც ვერლიბრი — აქ ჰერმარიტა პოეზია აღქმის პროცესში ობიექტურ-სუბიექტურ მილიანობად ეძლევა ასევე ჰერმარიტ მკითხველს. ამიტომაც, ზოგს (მათ შორის მეც) არ უყვარს სცენიდან წაიკითხული პოეზია.

გიორგი ბაქანიძე

ჩვენი ლიტერატურის

„კომპიზის ქვეყანა“ ...
 ეს ყოველად უწყინარი გამოთქმა, ვიქტრობთ, მხოლოდ იმას მიკვანიშნებს, რომ ჩვენთან, ვთქვათ ფილოსოფიაზე მეტად პოეზია უყვართ. ასე ყოფილა წარსულში, პოეზიისდმი ტრფალი, ქართველ კაცს ძვალ-რბილში აქვს გამჭდარი, მეშვეილერობითი თვისებაა ჩვენი და ამ „თანსწლოვანი პოეტური პეგემონიის“ დაკარგვას ალბათ დიდი დრო დასჭირდება. რუსთაველის, ბარათაშვილის, აკაკის, ვაჟას, ვალაკიონის ტოლფარდმა პროზაიკოსებმა უნდა შექმნან ის სამყარო, რომელიც სასწორის პანას პროზისკენ გადასრის. ჭრჭერობით, მიუხედავად ქართული პროზის აშკარა წინხვლისა, არა მგონია, იგი მხარს უსწორებდეს ჩვენს პოეზიას. მეორეც, პროზის წარმატებები პოეზიას ხელს კი არ უშლის, პირიქით, ორივე უანრი ერთმანეთს უფრო აძლიერებს და მხო-

ორბანული ნაწილი

ლოდ ორივეს დონე ჰქმნის ლიტერატურის საერთო სასურველ დონეს.
 2. მიუხედავად იმისა, ექნებათ თუ არა დავა „ვერლიბრისტებს“ და „კლასიკოსებს“, მომავალში ლექსის ორივე სახეობა მშვენივრად მორიგდება ერთმანეთში. მე ქართული პოეზიის გამარჯვებას სწორედ მათს მშვიდობიან თანაარსებობაში ვხედავ და აქედან გამომდინარე ერთმანეთს ვერ დაეუპირისპირებ. უნეკო რითმთან ლექსს ნიქიერი ვერლიბრი მიჩვენია, და პირიქით...
 მინდა თამამად ვთქვა, რომ ის, რაც დღემდის ქართულ ენაზე ვერლიბრის ფორმით შეიქმნა, უკვე ჩვენი ლიტერატურის ორგანული ნაწილია და „ქირურგიული“ ჩარევით მისი ამოკვეთა აღარ მოხერხდება.

თეოდო ბაქიშვილი



ორივე:

კონვენციური ლექსიც, ვერლიბრიც!

უნივერსალ კორექტივი თვით შეკითხვის კვალივითაცაიწიშო.

ნუ დავიჭერებთ, რომ საქართველოს, როგორც „პოეზიის ქვეყნის“ პირველად მომჩინებებს ამ ეპოქით სურდათ ქართველი ერის შემოქმედებითი ენერჯის მაინცა და მაინც ლექსში გამოხატული ეფექტის აღნიშვნა. ნუ წარმოვიდგენთ, რომ „პოეზიის ქვეყნის“ დვრიტა და ფესვი, — პოეზიაა და პოეტები. ამ კონტექსტში არც პოეზიისა და პროზის აბსოლუტური ურთიერთდაპირისპირება მიმაჩნია მთლად გამართლებულად.

ვისაც თანამედროვე ქართული პროზის საუკეთესო მიღწევებში არ შეუძლია პოეზიის დანახვა, მან სასწრაფოდ უნდა იზრუნოს პოეტურობის შემგარქნები ორგანოების პროფილაქტიკაზე. ვისაც თანამედროვე ქართული ლექსის ძვრებში არ ძალუძს პროზის შესასური ანალიტიკის ხილვა, მან ასევე სწრაფად უნდა იზრუნოს საკუთარი გონებრივი შესაძლებლობების გაუმჯობესებაზე.

ეს არის ისეთი ხასიათის ფაქტი, რომელიც გააზრების სფეროში სრულყოფის დროს არ უნდა ვაქციოთ „პროზის პოეტურობისა“ და „პოეზიის პროზაულობის“ შესახებ ნაცნობი თემის ვარიაციალად.

ამ ფაქტში ქართული ხასიათის, მისი კულტურის ანსამბლურა მთლიანობა იგულისხმება. ამ ანსამბლურობის ერთი შტრახი გალაკტიონსა აქვს აღნიშნული:

ვინაც გაიგებს ჩუქურთმას ქართულს,
ის პოეზიას ჩემსას გაიგებს.

მაგრამ არც ესაა გადამწყვეტი. უფრო მნიშვნელოვნად სხვა მომენტია საგულეველი. პირადად მე „პოეზიის ქვეყნად“ საქართველოს მიჩნევის საიდუმლოება სხვა სიბრტყეში მესახება. ესაა ჩვენი ბუნების და ცივილიზაციის ისტორიულ შეჭახებათა პროცესში ჩამოყალიბებული ფენომენის გარძნობა — გააზრებისაგან შემდგარი ქარქთელოროგული ტიპის თავისებურება. მასში ისევე იგულისხმება ბუნება, როგორც მის გარემუ არსებული ძალა, როგორც ბუნებრივი საწყისები თვით ადამიანში.

ვემდურით თუ არ ვემდურით ჩვენს ხედრსა და ისტორიას, ფაქტია, რომ სისხლიანმა ისტორიულმა თავგადასავალმა ქართველ კაცს განაცდევინა ქვეყნად ადამიანად არსებობის ისეთი ნაპრალეები, რომელთა სახეცვლილებებშიც გარკვეულ სტერეოტიპამდე მისული სულიერი წყობის ქართველური სახე ჩამოყალიბდა.

ცნებების ენით მისი ასხნა და განმარტება, პირადად მე, მივირს. ამას უფრო გაგების, მოსმენის, წვდომის პერმენეტოკული ნიჭი ესაქიროება. და კიდევ: მისი თავისებურებანი უცხო თვალისათვის უფროა საჩინო, ვიდრე ყოფას შერვეული ადამიანის თვალთშეურისათვის. ამ თემაზე არსებულ მრავალგვარ განსჯათგან აქ მხოლოდ ერთ-ერთს მოვიხმობ.

ესაა ბ. პასტერნაკის თვალსაზრისი „საქართველოს ცხოვრებისა და ქართული კულტურის ძირული და მოუხვედრებელი ელემენტის“ შესახებ.

ბ. პასტერნაკის აზრით, „ესაა რაღაც საოცრად ცოცხალი და ცხოველი რამ, შემდგარი თანამედროვე ქალაქური ცხოვრებისა და ბუნების თუ ბუნებრივი ტიპის, ხოლო რაც მთავარია, ორი რიგის მრავალსაუკუნოვან წრეთა შერწყმა-შეჭახების შედეგად, რომელთაგან პირველი ავლენს გამარჯვებით თრობისა და ზეიმის, თითქმის ზერელობის ზღვარამდე მისულ განწყობილებათა ფენას, ხოლო მეორე — შემამძრუნებლად ტრაგიკულს, უსაზღვრო სიღრმეთა და სიმადლეთა შემცველს, გამოგნებელს, დამადუნებელ ქვრეტითა და წვდომით ხაცნაურს“.

ქართველი კაცის ამ თვისების უცნაურ დამუხტულობაში ვხედავ მე „პოეზიის ქვეყნად“ საქართველოს ცნობის საიდუმლოებას. მასში ქართული პოეზიის თავისებური შტრახიცაა მონიშნული.

ეს არ არის ქართული პოეტური ფსიქოლოგიის მხოლოდ წარსული. Прошлое страстно глядятся в грядущее (ა. ბლოკი).
პოეზია თანამედროვე ემოციურობის გამოხატვის ფორმაა. ვერლიბრია ეს თუ ტრადიციული, კონვენციური ლექსი, ამას მნიშვნელობა არა აქვს.

რომელიმე მათგანისათვის უპირატესობის მინიჭება სწობობად მიმაჩნია.

გიორგი გაჩეჩილაძე



მართი ქვეყანა: პოეზიისა, პროზისა...

1. „პოეზიის ქვეყანა“ — ფიგურალური გამოთქმა და ისტორიული სიწუსის თვალსაზრისით არც ერთი ერის კულტურის მიმართ მისი აბსოლუტიზაცია არ შეიძლება. მიუხედავად ჩემი ღრმა რწმუნისა, რომ წარსულში, თითქმის ყველა ქვეყანაში პოეტების ცენტრალური ადგილი ეკავათ (პოეზია საერთოდ კაცობრიობის სულიერი და გონებრივი ცხოვრების უმაღლესი გამოვლინებაა) გამოთქმა „პოეზიის ქვეყანა“ მაინც ანტიისტორიული ცნებაა, რადგან ამითუმი ერის ლიტერატურის ისტორიის ეტაპზე მწერლობის ერთი ფორმა გაუნაწევრდა არ ბატონობდა და არ ბატონობს (თუნცა, მაგ. ძ. წ. V-VI სს-ის ბერძნულში ღრმა იყო უპირატესი ფორმა ლირიკისა და ეპოსთან შედარებით). ფაქტია, რომ XX საუკუნის ევროპულ და ამერიკულ ლიტერატურაში უმეტესად პროზამ დაიკავა პირველი ადგილი: თანამედროვე ქართულ მწერლობაში კი, ჩვენი აზრით, პოეზიასა და პროზას შორის თანაბარი ბალანსი არსებობს. ლიტერატურის გაღარიბება იქნებოდა თუ ერთ ფიგურალურ გამოთქმას („პოეზიის ქვეყანა“) ხელოვანი („პროზის ქვეყანა“) შევცვლიდით. მგოცნების სფეროში ღარგების ან პიროვნებათა ხარისხები არ რიგდება. ვის დაუსვამს კითხვა: ზ. ფალიაშვილი უფრო დიდი მოვლენაა თუ გ. ბაბიძე? ტოლსტოი არ იკვებინდა, როცა ამბობდა: „ქალბი მოკრძალებს გარემუ უნდა ითქვას: „ომი და ზავი“ მერე „ილიადა““

ახვევ: თუ კერძოდ ბერძნული ლიტერატურის მაგალითს არ მივიღებთ მხედველობაში, არ შეიძლება დროის გარკვეულ მოსაკვეთში ერთი ლიტერატურული ფორმის ან უნარის უკიდურეს პრიმატზე მსჯელობა, რადგან ქემპარირტი შედეგობის გამოჩენას შეუძლია კლიმატის საერთო სურათის შეცვლა. ზოგჯერ კი ერთიდაიგივე ავტორი თანაბარი ძალით მუშაობს საპირისპირო უნარებში (მაგ. ო. ქილაძე პოეტი და პროზაიკოსია). რა თქმა უნდა, არ ვგულისხმობ სხვადასხვა უნარის სტრუქტურული ელემენტების ერთიანეთში სრულ აღრევას (გავსხვინით ანდრეი ბულის შესანიშნავი პროზის სავალალო ბედი: იგი მეტრული „სიმფონიებისა“ და რომანების შექმნის ექსპერიმენტმა იმსხვერპლა), არამედ თხრობის პოეტურ რანგში აყვანას, ვინაიდან უპირატესად პოეზიის ენას ახასიათებს სალიტერატურო მეტყველების ხანიმუშო კრიტიკალიზაცია. საერთოდ კი, ლიტერატურის ისტორიაში რომელიმე უნარის ცალმხრივი და მუდმივი

ზე და მავალი პროცესი უცნობია, იგი (ლიტერატურა) მხოლოდ განვითარების სპირალურ ხაზს მისდევს. მაინც, ზოგადად, პოეზია ითვლება ამა თუ იმ ფორმის ნაწარმოების მაღალ შეფასების კრიტერიუმად. აქ დავიფიქსებ უფოლტურს, რომელსაც სრულიად დამსახურებულად ბევრი თაყვანისმცემელი მყავს ჩვენშიაც:

«Я — неудавшийся поэт. Может быть, каждый романист сначала хотел быть поэтом, но, обнаружив что быть им не может, пробует свои силы на коротких рассказах — самой трудной форме искусства после поэзии. И только потерпев в этом неудачу, он наконец, принимается за создание романа» («Лит. Газета», 1968, № 37).

XX ს-ის დიდი ბელეტრისტის ეს აღსარება მკვერამეტყველოდა, თუმცა მისი განზოგადება არ შეიძლება, იმიტომ რომ პროზაში არსებობს პოეტურობის უმაღლესი ნიმუშები, რომელთა წინაშე ჩვენი დროის ზოგი გენიალური რომანისტი ქედს ისრის. მაგალითისთვის მოგაქვს თომას მანის შთამბავებელი და ზოგი ნარცისისთვის ჭკუის მასწავლებელი სიტყვები (1952 წ. 16 ივნისის თარიღით დაწერილ ბარათიდან აღმბრტყ გეზისადმი):

«Сейчас я как раз перечитывал «Хаджи Мурата», где повествовательное начало прямо-таки гипертрофировано. Да, бог ты мой, я же просто щенок перед таким львом. Каких бы еще мировых премий не присуждали мне всякие академики, я-то знаю, что велико и что в лучшем случае средние. Лучше нам всем пританься и смотришь снизу вверх» (Томас Манн. Письма. М., 1975, с. 320).

არ დავივიწყოთ — ამას თომას მანის წერს. შდრ. ჭოხის აზრი: „ტოლსტოი ბუმბერაში მწერალია. იგი არასოდეს არაა მოსაწყენი, არასოდეს არაა შეზღუდული, არასოდეს არაა პედანტური, არასოდეს არაა თეატრალური“ (რ. ელმანი, ჭ. ჭოხის, 1959, გვ. 217).

აქვე მიინდა დავძინო, რომ გამოთქმა „ფსიქოლოგიური პროზა“ ზოგიერთს ღირსების აღმნიშვნელ ცნებად მიაჩნია ჩვენში. ეს ასე არაა. ახალ პროზაში (და წარსულის უდიდეს შემოქმედებთან) პერსონაჟის მოქმედების მიმოიკისა და მიმოხვების გადმოცემას უპირავს პირველი ადგილი გაცვეთილი და არსებითად სენტიმენტალურ „სულიერი ვითარების ანალიზის“ ნაცვლად. პროზის ოსტატობა, უწინარეს ყოვლისა, ავტორის მიერ ყველაფრის პლატიკურად გამოსახვის ნიჭს გულისხმობს, რასაც ჭერ კიდევ გოეთ



დაქონებით ამტკიცებდა ეკერმანთან საუბარში („მწერალი იმ მომენტიდან იწყება, როცა მისი მარჯვენა ხასიათების პლასტიკურად ძეგლდება დაერგება“). „სულის სფეროში ერთ პირს მეორისა არაფერი გვიგება, ეს ყოველად ფუჭი ილუზიაა“. ადამიანის „ფსიქოლოგიური ვითარება“ მეტრიალად მისი მოქმედების აქტებში ვლინდება, ამ შეხედულებას ყველა დიდი მეცნიერი-ფსიქოლოგის შრომაში ამოიკითხავთ. ლევ ტოლსტოი იმითმ იყო უდიდესი ფსიქოლოგი-მხატვარი, რომ იგი განუუმეორებელი პლასტიკური გამოხატვის გზით აღწევდა თავისი მოქმედი პირობის უღრმესი სტატიური ფენების ჩვენებას. და მერმე როგორი ხელტოთი უხამსობის ხიწვიც კი არ განმარტებულა მის გრანდიოზულ მხატვრულ პანორამაში, ხოლო პორნოგრაფიული რამ მგონი მას ძილშიაც არ სწევია. თ. მანს კარგად ესმოდა — ვიხი პროზა უნდა მიეჩნია უმაღლეს იდეალად.

დოსტოევსკის „დილოგია“ და ფსიქოლოგიაში გამოაქვს, საუბრის ფორმის სფეროში იგი შექსპირის ბადალი ხელოვანია (მ. გორკი). მაგრამ ახალი პროზა პრინციპულად უარყოფს პერსონაჟთა ვრცელ აღსარებას. „ადამიანები მოკლე ფრაზებით საუბრის დროს. კი სტრუქტურა, სიტყვარქაველი რუსოკი — თვითგამოგონილი რუსოა“. არც ისა შემთხვევითი, რომ ჩვენი დროის პროზაში სიუჟეტის დრამატურგიულად აგების პრინციპი ბატონად და მოქმედების დომინირირი მომენტის მასში ძალზე თვალსაჩინოა. იმის გამო, რომ დოსტოევსკის პროზაში ეს მხარე ძლიერია, მისი რომანები და მოთხრობები განსვენებებისა და ექრანისციის მასალად იქცა რუსეთში და საზღვარგარეთ. იგივე ითქმის მ. ბულგაკოვის პროზაზედაც („ოსტატი და მარგარიტა“-ს შენაშენა დადგმა მოსკოვში). აქი ანალოგიურ მოვლენას ჩვენშიაც ვხედავთ („სამანაშვილის დედინაცვალი“, „მაკი აბა“, „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“, „თვალი პატროსანი“, „თუთარჩელა“, და ა. შ.).

თანამედროვე პროზა უხვად ითავსებს პოეზიისა და დრამის ელემენტებს (რა თქმა უნდა — მხოლოდ ელემენტებს).

2. კლასიკური რითმიანი ლექსის დამცველთა და ვერლიბრის მომხრეთა შორის ამტყდარ პაქრობაში ჩვენ უმთავრესად საკითხის თეორიული და ისტორიული ასპექტი გვანტერებს. ყველა პოეტს საკუთარი შეხედულების დაცვის უფლება აქვს, მაგრამ ობიექტური აზრის გამოთქმა თეორეტიკოსის მოვალეობაა.

საკუთრივ ქართულ კლასიკურ რითმიან ლექსს მრავალსაუკუნოვანი ტრადიცია აქვს.

ამიტომ გასაკვირი არაა, რომ მაგ. რუსთაველის სტროფი სრულიად უნაკალური მსოფლიო პოეზიის სტორიის თვალსაზრისით. რითმა უმთავრესად სტრიქონების დაბლოებათა ბგერითი მოწესრიგებაა, იგი არც ლექსის ემოციურ მხარესთანაა დაკავშირებული, არც პერსონაჟის ფიქრებთან, არც სიუჟეტთან, ვალერის: **«Рифма вводит порядок, не зависящий от сюжета»**. (არავითარი იდეის გაღმეცვა რითმის ფუნქციაში არ შედის, სხვაგვარად ფიქრი — ახსურდია (ანტიკური ლექსისთვის რითმა უცნობია, მაგრამ ეს ლექსი დრამა აზრებით იყო დაკვირებული). ახალი ენების ლექსისთვის კი რითმა აუცილებელ აუტორიტურ ელემენტად იქცა და მან ადრინდელი (ბერძნულ-რომაული) ლექსების მუსიკალური (რეჩიტაციული) მხარის შემდგომი ელიმინაციის ამანაზღაურებელი ფაქტორის როლი დააქსრა, რადგან სამდერალი ლექსი ისტორიულად სათქმელმა ლექსმა შესცვალა. თანაც, რითმა რიტმის სივანალია, იგი პროზასა და პოეზიას შორის მკაფიო ზღვარს ავლენს და პოეტური მეტყველება არ დაჰყავს პროზის თავისუფალ მეტყველებამდე (ვალერის: **«Задача [рифмы] — систематически препятствовать всякому снижению в прозу»**).

მაგრამ ზემოთ თქმული ოდნავადაც არ ამცირებს თავისუფალ ლექსს. ვერლიბრის თავისებურება ისაა, რომ მისი უხმოდ კითხვის თუ ზეპირი წარმოთქმის დროს საზომი მკაფიოდ არ ვლინდება სისტემის სახით, თავისუფალ ლექსში იგი (მეტრი) მონაწილეობს პოეტის იალურად და მონაწილად აუნაზღაურებელი მოლოდინის სახით. პროზაში კი ყოველგვარი მიდრეკილება მეტრისადმი (ა. ბელი, ვ. ბარნოვი...) ზედმეტი აბრბუტია და სიუჟეტის აღქმას აფრხნებს. ამიტომ პროზას ახასიათებს არასისტემური რიტმი, არამედ მისი პლატიკი — რიტმული ბა (აბზაცთა კალენციების განმეორებანი და სხვ.). საზომის რეალიზაციის მოლოდინი კი ვერლიბრს (ლექსს საზოგადოდ) რადიკალურად აშორებს პროზისაგან, ამიტომ, თავისუფალი ლექსი არახოდეს არ ჩაითვლება სწორი, თანაბრსტრიქონიან ლექსსა და პროზას შორის გარდამავალ ფორმად (მათი დაახლოვების შემთხვევაში კი არც პროზასთან გვაქვს საქმე, არც ლექსთან, — ეს უმწეობაა). უკეთ — პროზა არახოდეს გადაიქცევა ლექსად და პირიქით, რადგან რიტმის როლი ამორწინი ერთმანეთისაგან ახლოუტურად განსხვავებულია.

ვერლიბრს არ განაწილა მრავალსაუკუნოვანი ტრადიცია, არც სხვაგან, არც ჩვენში (ბოზანტიური და ქართული მიმწერაფიის ძირითადად



ასტროფილი ლექსი — საგალობელი ლექსია და გენტიკურად ან ფორმალურად ვერ ლიბრის მასთან დაკავშირება არ შეიძლება). თავისუფალ ლექსს მსოფლიო მასშტაბით ჯერჯერობით რამდენიმე დიდი წარმომადგენელი ჰყავს, მაგ. უოლტ უიტმენი, თ. ელიოტი, პოლ კლოდელი, პერსი... მაგრამ უიტმენი არ ამაღლებულა ედგარ პომდე, ხოლო ელიოტი XX საუკუნის ყველაზე დიდ პოეტად ფრანგული პროსოდის „სასწაულმოქმედს“, ფორმის მხრივ ტრადიციონალისტ და კლასიციტი პოლ ვალერის მიიჩნევდა (ბროშურა „პოდან ვალერიმდე“). ალ. ბლოკის ან ანა ახმატოვას ლექსის ბადალი რუსული ვერ ლიბრი არ დაწერილა. ტ. ტაბიძის და კ. ქიქინაძის ზოგიერთი ვერ ლიბრი კი ძალზე სუსტია (XX ს.-ის რუსულ პოეზიაში ო. მანდელშტამია გამონაკლისი: მისი ვერ ლიბრი — ბრწყინვალე).

რაც შეეხება უფრო დიდი მნიშვნელობის გამონაკლისს, არსებობს ერთი გასაოცარი შემთხვევა: რ. როლანის აზრით არც ერთ კომპოზიტორს ან პოეტს არ მოუტყვევია რეასტრიქონიან თავისუფალ და რითმიან ლექსში სამყარო და მარადისობა ისე საკვირველად, როგორც ეს შესძლო გოეთემ „დამეული მგზავრის სიმღერაში“ (ლერმონტოვის გენიალურ თარგმანში, რომელიც ორიგინალის წყობას არ იმეორებს, მას ეწოდება Горные вершины). ეს ლექსი კი — ვერ ლიბრის ფორმისაა, მაგრამ ამ ფორმის ერთ-ერთი ნიშანი — სინტაქსური პარალელიზმი არ გააჩნია. მაშასადამე: რომელიმე პოეტური ქმნილების სიდიდე და ავტორის ნიჭიერების მასშტაბი უწერველყოფს და არა ამ ქმნილების სტრუქტურული თავისებურება ან სიბალღე.

ვერ ლიბრის თავისებურების უზრუნველყოფისთვის გასაგებად აქ ერთ ექსპე-

რიმენტს მივმართავთ. დავუშვათ, ასეთი პატარა თავისუფალი ლექსის არსებობა ქართულად იყო ღამე (4)
ცივი და ნისლიანი (7)
გათვთრებული თუმცა (7)
თოვლით (2)
და საქამოდ! (4)

ნიშუში სუსტია, მაგრამ იგი ვერ ლიბრის კანონს იცავს — საზომის პოტენციური ან რდილი მას თან ახლავს ინტონაციური პაუზების დაცვის ფონზე, რაც თავისუფალი ლექსის ერთ-ერთი თავისებურებაა.

ახლა გადავიტანოთ ეს ლექსი პროზის ენაზე, სინტაქსის შეცვლით, ზოგი სიტყვის გაზრდით და ერთი სიტყვის („გამო“) ჩართვით; „ღამე იყო ცივი და ნისლიანი, თუმცა თოვლის დამო საქამოდ გადათეთრებული“.

სტრიქონი ჩინებულია, მაგრამ მას პოტენციური რიტმი არ გააჩნია. სტრიქონის ავტორი კი... ალ. ყაზბეგია.

„მერანი“-ს შექმნამდე ამ ლექსის ნაწილობრივად წინაპარი სტრუქტურული მოდელები არსებობდა (ბესიკი და სხვ). მაგრამ ნ. ბარათაშვილის ნიჭიერებამ შესძლო მზამზარეული ფორმის გადაქცევა განუმეორებელ შედეგად. ვანა ანალოგიური მაგალითები არ გვხვდება ქართულ და მსოფლიო ენოსა და ლირიკაში? უნდა ვიფიქროთ: მოძალბებულ ქართულ ვერ ლიბრსაც ოდესმე თავისი ბარათაშვილი გამოუჩნდება.

მანამდე კი რუსთაველს ყველა უნარის წარმომადგენელმა ქვემო და ზემოთ უნდა უცქიროს, გიგანტების მოვლინება ღმერთის განკარგულებით ხდება და ეს ანთავისუფლებს თეორიული დასკვნებისაგან მოკვდავთ და უკვდავთ, რადგან თვით ამ უკანასკნელთაც ხშირად „არ იცოდან რასა იქმონენ“.

აბაბი გავარელია

ჩემი სიმბატიები კარგი ლექსის მხარეზე

1. რბლზნანტ პროზის პრიმატზე ლაპარაკობენ, ალბათ, გარკვეული საფუძველიც არსებობს. უახლოესმა წლებმა, ა. დუმბაძის „ათმა მოთხრობამ“, ქ. ამირჯიბის „დათა თუთაშხიამ“, ო. ქიქინაძის „გაზე ერთი კაცი მიდიოდა“ და „ყოველმან ჩემმან მოვუნელმან“ ეს აზრი კიდევ უფრო განამტკიცა. მაგრამ, მაინც არა მგონია, პოეზიისა და პროზის დონეს შორის რაიმე არსებით განსხვავებაზე შეიძლება დღეს ლაპარაკი. ზოგადად ლიტერატურულ პრო-

ცეს ერთი ანდაზა კარგად უდგება: „ვაშლი ვაშლის ხიდან შორს არ ვარდება“. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთმა მწერალმა მიწასთან გაასწორა ქართული ლიტერატურული კრიტიკა, ჩემის აზრით, არც ასეა საქმე. გარკვეული თანაფარდობა არსებობს პროზის, პოეზიისა და კრიტიკის დონეს შორის. სხვანაირად არც შეიძლება იყოს.

პროზაში მიღწევები კონკრეტულია, შეგიძლიათ ჩამოთვალოთ ის ავტორებიც, რომლებმაც „გავი-



ძულეს“ ვილაპარაკეთ პროზის პრიმატზე. პოეზიაში ეს შთაბეჭდილება უფრო კრებილია. არაერთი კარგი ლექსი იბეჭდება პერიოდულ ლიტერატურაში, ერთმანეთისაგან განსხვავებული, თავისთავად, ნამდვილი, მაგრამ გიჟირთ რომელიმე ერთი ავტორის განსაკუთრებით გამოჩენვა, კიდევ რაღაცას ელოდები (მზედველობაში არა მაქვს საშუალო და უფროსი თაობის აზმდენიმე პოეტის შემოქმედება). პროზა რაფტებით შემოდის (დაიბეჭდება ჟურნალის ერთ ან რამდენიმე ნომერში ან წიგნად გამოდის) და შთაბეჭდილებაც მძაფრია, თავმოყრილი. პოეტურ წიგნს უფრო გრძელი და თანმიმდევრული გვა უდევს, ამიტომაც მას თითქოს ხელმეორედ კითხულობთ, თითქოს ნაცნობს იმეორებთ; ეს თავისებურებაც ზომ არ უწყობს ხელს პროზის პრიმატზე „მიოქმამოქმამს“?

2. რითმინი ლექსი თუ ვერლიბრი? საკითხის ასე დანმა მთლად სწორი არ უნდა იყოს. რითმინი ლექსი არ შეიძლება განვიხილოთ აუცილებელ ეტაპად ვერლიბრისათვის და პირიქით. ვინაიდან ერთი და მეორეც, უპირველეს ყოვლისა, აზროვნების სისტემაა, პოეზიაცაა, გემოვნებაა. ლექსის ფორმა სათქმელზეა დამოკიდებული. სრულიად წარმოუდგენელია იმ ემოციური სიტუაციის მიღწევა რითმინი ლექსით, რომელიც ზოგიერთ თემს ლექსში შეინიშნება და პირიქითაც.

ლიტერატურულ პროცესებს და ნაწარმოებებს ლიტერატორი და არალიტერატორი სხვადასხვანაირად აღიქვამს. არალიტერატორი შეიძლება უფრო ობიექტური შემფასებელიც კი იყოს ნაწარმოებისა. ჩვენი „საბოლოო პროზა“ თავისუფალია ნაწარმოების მიღმა ფაქტორებისაგან, ავტორის პიროვნული თვისებების ავტორისაგან, ლიტერატურული ცხოვრების ყოველდღიურობისაგან, ამიტომ ის, რაც ლიტერატორს შეიძლება „პოზად“ ან არაგულწრფელობად მოეჩვენოს, მკითხველისათვის სრულიად ორგანული იყოს.

ჩემში ისეთივე მძაფრი, ღრმა და განსხვავებული შეგრძნებები გამოუწვევია ლ. სტურუას,

ბ. ხარანაულის, გ. პეტრიაშვილის, გ. ალბაჩიშვილის, მ. წიკლაურის და სხვათა კარგი ლექსებს, როგორც ქანი ანას, მ. მაჭავარიანის, ო. ქილაძის, ჯ. ჩარკვიანის, შ. ნიშნიანძის, ტ. ჰანტურას (სხვათა შორის ზოგიერთ თემს ლექსაც), ა. სალუქვაძის, მ. ფიცხიშვილის და სხვათა საუკეთესო ლექსებს. მწვავე კამათი ვერლიბრისა და რითმინი ლექსის საკითხებზე (რომელმაც საკითხთა გაცილებით ფართო წრე ჩაითრია) „ლიტერატურული საქართველო“, „განთიადის“ და „კრიტიკის“ ფურცლებზე მოწმენდილ ცაზე ჰეჟა-ქუხილს გავდა, რადგანაც გარეგნულად არავითარი საბაზი არ სჩანდა ამ ჰეჟა-ქუხილისათვის (ალბათ ლიტერატურულ ლაბირინთებში გროვებოდა ეს ენერგია). მიუხედავად იმისა, რომ პატივცემულმა შ. ნიშნიანძემ თავის მეორე წერილში „თქვენ როგორი ლექსი მოგწონთ, მკითხველო“ — განაცხადა, „მე ვებრძვი არა თემს ლექსს, არამედ პოეზიის თეთსმისიანობას“, სტრუქტურის შორის მანაც ჩანდა მისი დამოკიდებულება საერთოდ ვერლიბრისადმი. კარგადა სთქვა როც უკვე ლორენსმა — „ხელოვნების ყოველი ნაწარმოები „უდერს“ მხოლოდ იმათთვის, ვინც თანაგონივრით ეკიდება მას“ — ხელოვნების შეფასებაში უკიდურესობანი, მოკვთა აკრძალული ილეთია და უსარგებლო.

ფ. ლ. რაიტს, ლე კორბუზიეს, მის ვან დერ როეს, კენძო ტენგეს სავსებით განსხვავებული არქიტექტურულ-ესთეტიკური კრედიო გააჩნიათ და ამ განსხვავებულობით არიან ისინი ხაინტერესნი, ამ განსხვავებულებამ აქცია ისინი არქიტექტურულ მწვერვალად. საბედნიეროდ, ცაში იმდენი ადგილია, რომ კიდევ ათასობით მწვერვალს შეუძლია თავისი ადგილის პოვნა.

ჩემი პასუხი თქვენსავე კითხვაშია. ქართული პოეზიის გამარჯვებას ვხედავ ვერლიბრისა და რითმინი ლექსის თანარსებობაში, როცა ისინი ამიღიდრებენ და სრულქმნიან ერთმანეთს. ჩემი სიმპათიები კარგი ლექსის მხარეზეა და არავითარი ნმიშვნელობა არ აქვს, რითმინი იგი თუ ურითმო.

პასხანგ დავითიანი

დაგვიანებული დავა

1. სპარტიოდ, ახალი დროის (მე-19 — მე-20 — საუკუნეების) უპირატეს და გაბატონებულ ჟანრად რომანია მიჩნეული. ამ ჟანრმა დაიპყრო ლიტერატურული ასპარეზი და უკანა პლანზე გადასწია ლირიკა და დრამა. ეს სტატისტიკურად, სოციოლოგიური მონაცემების მიხედვითაა დადასტურებული. XX ს. ბერმანია და ინგლისში, მაგალითად, ცალ-ცალკე, წლიურად საშუალოდ 2000 რომანი იბეჭდება. ცნობილი ბეგელის თეზა, რის მიხედვითაც რომანს ახალ

დროში ხელოვნებათა სისტემაში ის ადგილი უპირავს, რაც წინათ ეპოსს ეკავა. რომანი მსოფლიო ლიტერატურის (გოეთეს ცნება: „ვედ-ტიტერატურა“) პირშია, რომელიც უფრო ადვილად ითარგმნება და ვრცელდება მსოფლიოში, ვიდრე ლირიკა და დრამა. მაგრამ იყო დრო, როცა რომანს პოეზიას, მხატვრულ ლიტერატურას არც კი მიაკუთვნებდნენ, რადგან ის პროზის ფორმით იყო დაწერილი. ერთი მაგალითი: შილერის ათვალწუნებით უყურებდა რ.



მანს და რომანისტს პოეტის არადვილ ძმად აცხადებდა. იყო დრო, როცა ფილოსოფიურ ტრაქტატებსაც კი ლექსის ფორმით თხზავდნენ ერთი სიტყვით, ლექსი, ლექსითი ფორმა ითვლებოდა მხატვრული ლიტერატურის აუცილებელ და არსებით ნიშნად. ახალ დროში მდგომარეობა რადიკალურად შეიცვალა (მხედველობაში უნდა მივიღოთ ის გარემოება, რომ აქ ლამაზკაცა ძირითად ტენდენციასზე და არა, ვთქვათ, ლირიკის ფუნქციის დაკარგვაზე) ერთ დროს და ძალიან დიდხანსაც გერმანიას „მოაზროვნეთა და პოეტთა ქვეყანას“ უწოდებდნენ (მართლაც, XX საუკუნემდე გერმანია უპირატესად ფილოსოფოსების, ლირიკოსების და აგარეთვე მუსიკოსების ქვეყანა იყო), მაგრამ XX ს-ში თომას მანის, პეტრან პეტსის, ალფრედ დობლინის ქვეყანა აღარ შეიძლება მხოლოდ ლირიკოსთა ქვეყნად დარჩენილიყო, უფრო მეტიც, ახლა გღრ, გზრ და ავსტრია უშუალო რომანისტებისა და პროზაიკოსების ქვეყანაა, ვიდრე ლირიკოსებისა.

რაც შეეხება საქართველოს, მე გგონია, ეს პროცესი ჭერ კიდევ საწყის სტადიაშია, ანდა სხვაგვარად, პროზის თვალსაჩინო გამარჯვებებშია. ჭერჭერობით ვერ დარბობა ქართული პოეზიის ბრწყინვალეობა, ქართული ლიტერატურის განვითარების ძირითად ნიშანსტეკებად (აღბათ, საბას და დ. კლდიაშვილის გამოკლებით) მანც პოეტები რჩებიან (რუსთაველი, გურამიშვილი, ბართაშვილი, ვჟაჟ, გალაკტიონი). ახალ დროში გალაკტიონის მსოფლიო მასშტაბის ლირიკა აფერმკრთალებს ჩვენს პროზისა და რომანისტს წარმატებებს.

საერთოდ კი, თუ ქართული ლიტერატურა ექვემდებარება მსოფლიო ლიტერატურის განვითარების საერთო კანონზომიერებას და მას არა აქვს განვითარების განსხვავებული, უნიკალური, საკუთარი გზა, მაშინ ადრე თუ გვიან ჩვენშიაც იგივე ტენდენცია უნდა გაბატონდეს.

2. რითმისა და ურითმო ლექსის გამო დავამაც საქართველოში ცოტა დავაკვირავ. ეს დავაკი, საერთოდ, არ ახალია, ძველია. ჭერ კიდევ მე-18 საუკუნის გერმანულენოვანი შვეიცარიელი განმანათლებელი მწერლები ბრატიანგერის და ბოდმერის ილაშქრებდნენ რითმისა ლექსის წინააღმდეგ. ამ ბრძოლის საქართველოს იმით ასაბუთებდნენ, რომ რითმა, მათი აზრით, როგორც შემთხვევითი ენობრივ-ბგერითი თანხედრა — სათქმელს, აზრს ბოკავს, ამახინჯებს, შემოქმედებითი პრაქტიკით რითმა უარყვეს მთლიანად ფოსმა, კლოპსტოკმა, ჰოლდერლინმა, ნაწილობრივ ნოვალისმა „ღამისეულ ჰიმნებში“, ჰაინემ „ჩრდილოეთის ზღვაში“; ნიცშემ თავის ჰიმნებში, რილკემ „დუინოს ელეგიებსა“ და „ორფოსის სონეტებში“, ბრეტამ სპეციალური თეორიული ნაშრომიც კი დაწერა („თავი-

სუფალი რიტმისა ურითმო ლირიკის თაობაზე“ (1889), ხადაც ურითმო ლექსის უპირატესობა ამტკიცებდა (გრემ. ენაში არსებობს სპეციალური ტერმინიც კი „რიტმის იძულება“ — „რაიმცვანგ“). უნივერსალური გოვერ ორივე ნაკადს აერთებდა: წერდა რითმისა და ურითმო ლექსებსაც თემისა და შინაარსის შესაბამისად. ისე კი გერმანულენოვან ლირიკაში მელოდიური, რითმისა ლირიკის ხაზს ჰაინე წარმოადგენდა. ხლო ურითმო, თანამედროვე ვერლიბრისკენ მომავალ პოეზიის ხაზს — ჰოლდერლინი. დიდხანს ჰაინე იმარჯვებდა ჰოლდერლინზე, ჰაინეს ტრადიცია, ჰაინეს ინერცია ჭაბინდა ჰოლდერლინის ლირიკულ ხმას. მაგრამ XIX ს-ის მიწურულისა და XX ს-ში გერმანულენოვან ლირიკაში ჰოლდერლინმა იწიგნა თავისი გადაწყვეტი გამარჯვება — ჰოლდერლინი იქცა არა მარტო გურ-ისა და ავსტრიის, არამედ გღრ-ის ლირიკოსთა მთავარ წყაროდ და ძირითად ლირიკულ იმპულსად. საერთოდ, სხვადასხვა დროს გამოითქვა რითმისა და ურითმობის თაობაზე ურთიერთსაპირისპირო, ურთიერთგამომრიცხავი აზრები. ზოგიერთების მიხედვით, ვერლიბრი ლირიკის განადგურება, პოეზიაში ანარქიის შეტანა, ანტიპოეტური და ანტიესთეტიკური ფენომენია (მოვგონო მე-19 ს-ის საფრანგეთი სიმბოლოზმის ბატონობის, და მისი დამოშის შემდეგაც ვერლიბრის გამო ცხარე დისკუსიები). მეორე მხრივ, ტოლსტოის უთქვამს რ. ლოვენფელდისათვის (იხ. ლოვენფელდი, საუბრები ტოლსტოიზე და ტოლსტოისთან, ბერლინი, 1891): „რითმა აზრს ზღუდავს“-ო, ხლო თომას მანი ერთგან წერს: „ჩემი ტოლსტოიზმი რითმის... უსინდისობად განმაცდვინებს“-ო. ცნობილ ფილოსოფოსს, მუსიკის თეორეტიკოსსა და რომანის სპეციალისტს თეოდორ ადორნოს ეკუთვნის პოპულარული გამოთქვამი: „ოხვენციმის შემდეგ ლექსების წერა აღარ შეიძლება“-ო. (ცხადია, ადორნო აქ ტრადიციულ, მელოდიურ, რითმისა ლექსებს გულისხმობს).

ძნელი სათქმელია, 50-100 წლის შემდეგ ამ მხრივ რა მდგომარეობა იქნება, მაგრამ დღესდღეობით ეპროკისპასივის ეს დავა მთლიანად, პასოლუტურად ვერლიბრის სხაბრმადლოდება ზღადავსმეტილი (აქ იგულისხმება სპეციალისტური ევროპაც). თუ მსოფლიო, უკეთ, ევროპული ლირიკის განვითარება საერთო კანონზომიერებას ექვემდებარება, მაშინ, ყოველ შემთხვევაში ერთხანს, დროებით მაინც, საქართველოშიც ადრე თუ გვიან ვერლიბრის გაბატონებას უნდა მოველოდეთ. მაგრამ თუ ქართულ ლირიკას თავისი განსხვავებული, უნიკალური განვითარება აქვს და განვითარების საკუთარ კანონზომიერებას ემორჩილება, მაშინ ძალიან ძნელია წინასწარმეტყველება, როგორ წა-



რომართება ქართული ლექსის განვითარება. ისმ
 აი მ პირალად მომხრე მარ ორივეს მუმი-
 დობანი თანაბარსმომხრის. ისიც უნდა აღვ-
 ნიშნო, რომ ჩვენში „ტრადიციონალიზტებასა“ და
 „ვერლიბრისტებას“ შორის ურთიერთობაში
 „ტრადიციონალიზტები“ გაცილებით აგრესიუ-
 ლები არიან. „ვერლიბრისტები“, ჩემი დაკვირ-
 ვებით, უბრალოდ თავს იცავენ ხოლმე. ბო-
 ლოს ისიც მინდა შევნიშნო, რომ თანამედრო-
 ვე ვერლიბრი უბრალოდ ლექსის ახალი ფორმა
 კი არ არის, არამედ ახალი მსოფლლაქმაცაა.
 თანამედროვე ვერლიბრი და უბრალოდ თეორი,
 ურთიმო, მონორიტმული ლექსი — ერთი და

იგივე არ არის. ვერლიბრი არ არის რომელიმე
 პოეტის ახირება ან ქირვეულობა, მარტაქსე
 პოეტს ასეთი ლექსი არ ეწერება, თუ მას არა
 აქვს ასეთი ხედვა, რასაკვირველია, სავალდებუ-
 ლო არ არის, რომ მან ვერლიბრი წეროს მხო-
 ლოდ და მხოლოდ სნობისტური მოდის კარნა-
 ხით, მაგრამ არც ტრადიციული ლირიკის ნიმუ-
 შეებზე აღწერილი გემოვნების გააბსოლუტება,
 ყველასათვის სავალდებულო მინევა შეიძლება.
 მაგრამ ეს ცალკე საუბრის თემაა, ისედაც გავ-
 ვიგრძელება სიტყვა.

ნოდარ კახაბაძე

ლექსის მანსიპაცი

1. დღევანდელი ქართული პროზა ხვედრი-
 თი წონის ზრდით და აზროვნების სირთულით
 მხოლოდ მიისწრაფვის იმ სიმაღლეებისაკენ,
 რომელიც უპირაია ჩვენში პოეტურ ფანს. რო-
 დის მოხდება გათანაბრება, ძნელი სათქმელია.
 რადგან ფუტუროლოგი არ ვარ. რამდენიმე რო-
 მანი და არც თუ ისე უხვი მოთხრობების კრე-
 ბულები ის მშვენიერი ექსპლემბია, რომლე-
 ბიც, ჩემი აზრით, სამწერლო პეიზაჟს არ ქმნის.
 ქართული მწერლობის ძირითადი სასაცილო
 არც პოეტურ პროლექციას უკავია.

უნდა ისიც ითქვას, რომ ქართული პროზა
 ჭრჭერობით არ წარმოადგენს კვალიფიციური
 ქართველი მეთხველის აზრთა ფელოციუს. მას
 (პროზას) ამაში ობიექტური ხელისშემშლელი
 მიზეზებიც აქვს. სანამ ქართული პროზის ინტე-
 რესთა შუაფულში, ძირითადად, იქნება ლოკა-
 ლურ დონეზე გააზრებული და გადაწყვეტილი
 საკითხები, ასეთი პროზა მინც ცალმხრივი
 დარჩება, უაღრესად საჭირო და აქტუალური,
 მაგრამ მინც ცალმხრივი და უკმარა.

პოეზიას თავისი ბუნებით და ხელოვნებით, ამ
 მხრივ, დიდი უპირატესობა ახლავს: პოეზია უფ-
 რო ზოგადია, მთლიანია და უნივერსალური, ვი-
 დრე პროზა. ეს კანონზომიერება ჩვენს დღე-
 ვანდელ მწერლობაზეც უშუალოდ ვრცელდება.
 ამიტომ დღევანდელი ქართული პოეზია ბევრად
 უფრო დაზვეულია ცალმხრივობისაგან.

არ მოვერიდებით იმის თქმასაც, რომ დღევა-
 ნდელი პროზაიკოსი თავის შემოქმედებით პრა-
 კტიკაში ერიდება ექსპერიმენტებს გამოხსახვე-
 ლობითი ფორმების მისაკვლეად, ვერ ბედავს
 დამოუკიდებელ სტილურ ძიებებს, ისე რო-
 გორც ამისკენ მიისწრაფვიან ქართველი პოეტე-
 ბი. თუკი რამდენიმე ქართველმა კრიტიკოსმა
 საკავშირო ჟურნალის ფურცლებიდან განაცხა-
 და, საქართველოში ლიტერატურული ცხოვრე-
 ბა პროზის პრიმატის ნიშნით მიედინებაო, ვფი-
 ქრობთ, ამას უფრო ხარკელამო მნიშვნელობა

ქმონდა. მართლაც, ცთუნება დიდია. ჩემთვის,
 როგორც ლიტერატორისათვის, ასეთი დრო სა-
 ნატრელი იქნებოდა.

ამბობენ, თავისი ბუნებით პოეზია უფრო ერ-
 ცუნულია, ვიდრე პროზაო. ქართული პროზის
 ეროვნული ღირსება და ღირებულება ის უნდა
 იყოს, რომ ეროვნული შინაარსის საკითხებში
 უნივერსალური კანონზომიერება დაგვანახოს
 და ჩვენი ეროვნული ტკივილები საკაცობრიო
 ტკივილებად ახსნოს.

2. გასული წლის ოქტომბერში ჩვენმა მწე-
 რალთა კავშირმა მოაწყო სადისკუსიო „მარგვა-
 ლი მაგიდა“ სხვადასხვა ლიტერატურულ თემა-
 ზე. სადისკუსიო თემებში ვერლიბრიც აღმოჩნ-
 და. შემთხვევის ძალით, ჩვენს „მარგვალ მაგი-
 დაში“ თანამონაწილეობდა სტუმრად ჩამოსუ-
 ლი არაერთი პირველხარისხოვანი პოეტი, პრო-
 ზაიკოსი და კრიტიკოსი ბალტიესპირეთიდან,
 პოლონეთიდან, დემოკრატიული გერმანიიდან,
 უნგრეთიდან, ბულგარეთიდან, რუმინეთიდან.
 დისკუსია საინტერესოდ წარიმართა, მაგრამ
 ყველა დამსწრე სტუმარმა უარი განაცხადა ვე-
 რლიბრის საკითხზე ედავა, რადგან მათთვის ეს
 ლიტერატურული მოვლენა სადავო პრობლემას
 აღარ წარმოადგენდა. მათივე სიტყვით რომ
 ვთქვათ, იგი მათთვის განვლილი ეტაპი იყო...

ჩემში მხოლოდ გაკვირვებას იწვევს თავისუ-
 ფალი ლექსის მიდებნა და არმოდებაზე დავა.
 ქართულ მწერლობაში იგი ფაქტია, მნიშვნე-
 ლოვანი ლიტერატურული ფაქტი. რა აზრი
 აქვს აღიარებულ ფაქტთან დავას? ჩემი აზრით,
 ეროვნულ სამწერლო მოვლენებზე უსაფუძვლო
 გალაშქრება, სამუწერლოდ, მხოლოდ ცალკეულ
 ლიტერატორთა სულიერი სიღუბეებით უნდა
 აიხსნას, მით უმეტეს, როდესაც განმტკიცებულია
 აზრი, რომ თანამედროვე ადამიანის ცნობიერე-
 ბას თავისუფალი ლექსი უკეთ გამოხატავს; რომ
 დემოკრატიზმის სულიერი გაგება და ზნეობრივი
 გამოხსება ვერლიბრისათვის უფრო ორგანუ-



ლია; რომ ცხოვრების უფართოესი პანორამის წარმოსახვა და მოცვა სწორედ ვერლიბრის სტილია. მასში პოეტური მეტყველება არათავისუფალი ლექსის პარობითობებისაგან ემანსიპირებულია, თავისუფალ არტისტულ ყალიბებშია მოქცეული და, ამდენად, ბუნებრივია და ფართო სუნთქვის მსოფლშეგრძნებასაც შეიცავს. ამ მხრივ, „თეორიული დავა“ სასაცილოა მოდელი, ინტერესით ვადევნოთ თვალი ორივე მხარის საუკეთესო ლექსების მეტოქეობას ჩვენს სამწერლო სარბიელზე.

ამ თხუთმეტოდე წლის წინ ერთ გამომცემლობაში შევხვდი შოთა ნიშნაინძის და მასხოვს, როგორც გატაცებით ასაბუთებდა და მსჯელობდა იგი ვერლიბრის სიცოცხლის უნარიანობაზე და მის დრამატულ დირსებებზე, როგორ მოსწონდა, რომ ქართული პოეზია მდიდრდება და ნაყოფიერდება ახალი პოეტური აზროვნებით, პოეზიის ახალი სათავეებით. შოთა ნიშნაინძე დამარწმუნებლად მსჯელობდა, თუ რა ურთიერთმიმართებაში იმყოფება ტრადიციული რითმიანი ლექსი თავისუფალ ლექსთან (ე. ი. რითაა „კომპენსირებული“ ტრადიციული ლექ-

სი პროზაიზირებულ თავისუფალ ლექსში). მას შემდეგ ჩემთვისაც ადგილმეტოა სიმრავლე ადარ გაზრდილა და იმავე დასაბუთების რაკლში იმავე აზრს შევრჩი.

მ. ახლა, თუ ნებას მომცემთ, ჩემს სათქმელს მცირედ-გადავუხევე და სხვის სფეროში შევიტრები.

როდესაც მხატვრული კითხვის ქართველ ოსტატებს ეკითხებიან, თუ რატომ მოსწონთ მათ არათავისუფალი თუ თავისუფალი ლექსი, მე წინასწარ მინდა ვთქვა, რომ წესით, ობიექტური მდგომარეობითა და მონაცემებით, მხატვრული კითხვის ოსტატისათვის, მიუხედავად ტრადიციის ნაკლებობისა, უფრო მეტად ნათესაური და ახლომელი სტიქია უნდა იყოს ვერლიბრი. ეს იმიტომ, რომ რაც ვერლიბრი ასე უხვია; დრამატული საწყისის წინა პლანზე წამოწევა, აზროვნების პრიმატი თუ პოეტური მეტყველების თავისუფალი განვითარება, ყოველივე ეს ძალზე ახლოა დეკლამატორის სცენიურ პრაქტიკასთან. ვერლიბრი, ამ მხრივ, თეატრალურ მიანოლოგს უახლოვდება.

ბურამ კანკაპა

დიდი ხსოვსული

რიტმი და რითმა! უფრო დიდი ხსოვსული პოეზიაში ჭერ არ შეუქმნია ადამიანის გონებას. მათი უარყოფითი პოეტი რიდას იმედით უნდა ცხოვრობდეს ქვეყანაზე! ამ ორი ფენომენის მიღმა მხოლოდ დმერთია...

ოსტატის ხელში რითმა იმდენი ქვეტიქსტი მოაქვს, იმდენი უცნაური მოლანდება და მომხიზვლელი მოულოდნელობა, რომ იგი ხშირად ლექსის მეორე სიცოცხლედ იქცევა, და ეს სიცოცხლე ზოგჯერ შეიძლება უფრო ღამაში და შინაარსიანი იყოს, ვიდრე მისი პირველი დედააზრი. რაც შეეხება რიტმის რაობას, როგორ შეიძლება იგი გამოაცალი ლექსის სტრიქონებს, როდესაც ამ სამყაროში ყველაფერს, — პეპელას ფრენასაც და დედამიწის ბრუნვასაც ეს ფენომენი განაგებს.

მაგრამ ან ვაი რა ძნელია ახალი რიტმის შექმნა და ახალი რითმის მიგნება!

ერთი გენიალური მეცნიერი ამბობდა, — 99 პროცენტი ოფლი და 1 პროცენტი შთაგონება, — ჩემი ყველა გამოგონება ამ შეტო-

ვლების ნაყოფი არისო. მე მჭერა ამ სიტყვების სიმართლე. ნიუტონის ვაშლი შეიძლება ღამაში ლეგენდა იყოს.

დიდი შრომის გარეშე არავითარი მშენიერება არ შეიქმნება, თუნდაც ნიქთა ანგელოზმა თავისი ყველა ექვსი ფრთა ერთად შეგახოს მხარზე. ამიტომ უკან ნუ დავიხვებთ, ბრძოლას ნუ შევანელებთ... რაც შოთა რუსთაველს, დავით გურამიშვილს, აკაკი წერეთელს, ვაჟა-ფშაველას და გალაკტიონ ტაბიძეს არ გაუკეთებია, ის არ უნდა გააკეთოს ღია სტურუამ, ჯარჯი ფხოველმა და სხვა ნიჭიერმა ახალგაზრდა პოეტებმა. ეს არაა ჩამორჩენილობა, არც კონსერვატივიზმი — ისევე, როგორც არ შეიძლება კონსერვატივად ჩათვალოს ის ამბავი, რომ ბავშვის დაბადებას ჭერ ისევ ცხრა თვე სჭირდება. ჩვენ ხშირად გვაფიქვდება, რომ ქვეყნის სიმტკიცეს ასეთი უცვლელი, მარადიული მოვლენები ჰქმნის.

კონსტანტინე ლორთქიფანიძე

მე რითმიანი ლექსის მომხრე ვარ

1. სპაიტიხის ასე კატეგორიულად დასმა არ მინაჩნა სწორად.

საოცრად მხარტებს, რომ ჩემს გვერდით დღიან, ქმნაან, ცხოვრობენ რეზო ინანიშვილი, ნოდარ დუმბაძე, ჭაბუა ამირეჯიბი, ოთარ ჭი-

ლაძე, რევა ჯაფარიძე, ნოდარ წულენიკარი, ოტია იოსელიანი (ყველას ჩამოთვლა შეუძლებლად მინაჩნა), მაგრამ დავიჯერო, ანა კალანდაძე, მუსხრან მაჭავარიანი, მურმან ლებანიძე, შოთა ნიშნაინძე, იგივე ო. ჭილაძე (რომ არა-



ფერი ვთქვით უფროს თაობაზე), ის დღეა, რომ რაიმე „ემუქრებოდეს“ ქართულ პოეზიას? როგორც პროზაში, ასევე პოეზიაში დღესდღეობით გვყავს მწერლები, რომელთა სახელებსაც სიამაყით წარმოვთქვამთ. ეს კი არც ისე ცოტაა ვალაკტიონისა და გამსახურდიას ქვეყნისათვის. უნდა გვახარებდეს პროზის აღორძინება, მაგრამ არ მესმის, ამით რა აკლდება პოეზიას.

2. თავს უფლებას ვერ მივცემ ვიწინასწარმეტყველო, თუ საით განვითარდება თეატრალური ხელოვნება (სრული ინფორმაციის უქონლო-

ბის გამო) და მით უფრო, რა მოგახსენებთ პოეზიაზე!

ურითმო ლექსი უკვე არსებობს და ამ ფაქტს ვერსად გავექვევით, უნდა ვივარაუდოთ, რომ ჩვენთვის ეს სიახლე რაღაცას შესძენს პოეზიას, მაგრამ საშიშია „მოლას“ არ აპყენენ ისინი, ვისთვისაც ეს ორგანული არ იქნება. რაც შეეხება ჩემს პირად სიმშათის, იგი მოლიანად რითმანი ლექსის მხარეზეა.

ოთარ მადვინიძე-შხუციანი

„უსწოები პომტური ძმების ალმოჩენამდე“

გულახდილად უნდა ვთქვა, რომ საკავშირო ფურნალის ფურცლებზე განცხადებული მოსახრებანი დღევანდელ საქართველოში პროზის პრიმატის თაობაზე მე არ მიმჩნია სერიოზული კამათის საგნად. საკითხის ასე დასმაც არ მიმჩნია სერიოზულ, ღრმა ნააზრევად: ანა ამბატოვა აღნიშნავს, რომ ჩვენი საუკუნის ათიან წლებში მისთვის ფელსაჩინო გახდა როგორ შექამა (ანა ამბატოვას სიტყვებია!) ფრანგულმა ფერწერამ ფრანგული პოეზია. ნათქვამიდან აშკარად ჩანს დიდი რუსი პოეტის გულისტივილი, რადგან, სინამდვილეში, იმდროინდელი ფრანგული პოეზია და პროზაც ფერწერაზე არანაალებ იმსახურებდა საზოგადოების ყურადღებას. მაგრამ არსებობს დროის კაპრიზები. ღიმილის მომგვრელია, რომ პროზის ფელსაჩინო გამარჯვებებმა ერთგვარად გაღაძალა და გააფერმკრთალა პოეზიის წარმატებასა. რად ვუპირისპირებთ ერთნაწევს პოეზიას და პროზას? ამგვარი დაპირისპირება ახირებული და უსაფუძვლოა. განა კონსტანტინე გამსახურდიას გამარჯვებებმა ოდნავ მიიწვია გააფერმკრთალა ვალაკტიონისა და გორგი ლეონიძის ღვაწლი? რა დააკლო პუშკინის, ტუშჩინის, ლერმონტოვის შემოქმედებამ ტოლსტოის, გოგოლის, დოსტოევსკის საკაცობრივი მიღწევებს, ანდა პირიქით? რომელი საფრთხის შექმნაზეა ღაპარაკი? ვფიქრობ ამგვარად საკითხის დასმა ანტილიტერატურულია, არაპროფესიონალურია, ანევენ ჭერ მკითხველ საზოგადოებას (რაც მიუტყვებელია) ხოლო შემდეგ მუხლსუტ ლიტერატორებს.

პროზა პოეზიასთან თავზიან ბრძოლაში იბადებაო უთქვამთ. პუშკინი განსვავთ სათავე და პირველწყარო დოსტოევსკისა და გოგოლის უღრდესი შემოქმედებისა. ვალაკტიონისაგან დავალბეზულია ყოველი შემდეგ თანამედროვე პროზაიკოსი. არ შეიძლება პროზა ძლიერი იყოს და პოეზია მიჩანსაღებდეს, არც პირიქით შეიძლება!

„პოეტების ქვეყანა“ ყველა ის ქვეყანა, სადაც პოეტები ჰყავდათ და ჰყავთ — ესანეთი,

იტალია, ინგლისი, საფრანგეთი, გერმანია, ამერიკა, რუსეთი უდიდესი პროზის შემქმნელი ქვეყნებიც ეს ქვეყნები გახლავთ.

დიდი პროზა — ტოლი და სწორი ჩვენი პოეზიისა ისტორიულად თუ არ გვექნია, (ნათქვამი ეხება აღორძინების დროინდელ საქართველოს), ამას თავისი ღრმა პოლიტიკური, სოციალური და კიდევ სხვა მრავალი მიზეზი აქვს. ეს კი ცალკე საუბრის თემაა. კარგი იქნებოდა, რომ ჩვენი კრიტიკოსები განცხადებების გამოკვრამდე დაფიქრებულიყვნენ, თორემ რა გამოდის? ხომ შეიძლება, რომ რაც დღესდღეობით ნამდვილად არის პროზაც და პოეზიც, რაც მომავლისათვისაც ამაღ დაჩნება, ვიღაცამ სწორედ ის არ მოგვიწონოს, (რატომღაც ლიტერატურაზე ყველა მსჯელობს, ვისაც კი არ ეზარება) რადგან მკითხველის აღქმაში ნაწარმოების დამახინგება სავსებით გარდაუვალი მოვლენაა და ამასთან ბრძოლა ძალზე ძნელი და თითქმის უსარგებლოა. ოთარ ჭილაძის რომანებს ისეთივე გონებისა და გქანების მკითხველი უნდა, როგორც მათი ავტორია. ნამდვილად პოეტური ნაწარმოების წაკითხვაც ურთულესი რამ არის, რადგან ხელოვნების ნაწარმოებთან შეხვედრა მკითხველისაგანაც დიდზე დიდ შემდეგს მოითხოვს.

პოეზიაზე დიდ საუბარს თვითონ პოეტები იწყებენ.

ეს საუბარი ჩვენშიც მიმდინარეობს, მიმიღნარეობს ახლა, ამ წუთას, გამგონე უნდა!

მაპატიეთ, ვაკვადნიერდები და ვიტყვი, ჩემი გამოქვედილი ხატის ამბავი მე უკეთესად ვიცი, ვიდრე რომელიმე კრიტიკოსმა. ხოლო თუ ასეთი საუბარი შედგება (პოეზიაზე დიდი საუბრის დაწყებას ვგულისხმობ), თვისობრივად ახალი შემოქმედებითი პროცესის შემსწრენი უნდა გავხდეთ. კრიტიკოსთა კატეგორიული განცხადებებთ ჩვენს ლექსს არც რამ მიემატება და დაკლებითაც არაფერი დააკლდება. როგორც მინდელშტამი ამბობს „კრიტიკა, როგორც პოეზიის თვითნებური განმარტება, არ უნდა არსებობდეს. მან ობიექტურ მეცნიერულ გამოკვლევას, პოე-



ჭიის მეცნიერებას უნდა დაუთმოს ადგილი. დიდი სხვაობაა ხალხის სუფთა არცოდნასა და კონტაპრუუების უხამს ნახევარცოდნას შორის. საერთოდ, ამგვარი საუბრები არ უნდა გვანთავისუფლებდეს მაღლიერების გრძნობისაგან იმისადმი რაც არის, რაც აშუშად წარმოადგენს პოეზიას. მე მგონია, არ შევცდები თუ ვიტყვი, რომ პოეტებს მხოლოდ ნამდვილი, უშეღავათო საუბარი აინტერესებთ. დანარჩენი, ნურავის ეწყინება, მხოლოდ დროის დაკარგვა იქნებოდა. დრო კი ცოტაა.

ქართული პოეზიის განვითარების შემდგომი პერსპექტივა სულაც არ არის დაკავშირებული ვერლიბრისა და კლასიკური რითმიანი ლექსის მომხრეთა დავასთან.

ქართული პოეზიის განვითარების პერსპექტივა ჩემთვის უშუალოდ და სისხლხორციელად არის დაკავშირებული ქართული ენის როგორც სახელმწიფო ენის შემდგომ განვითარებ-

ბასა და დადგინებასთან, ეროვნული თვითშეგნების გაღრმავებისა და განმტკიცების ტენდენციებთან. ეს უმთავრესი, შემდგომ ამისა — პერსპექტივა ტექნიკური სიტყვა და დიდ დროსა და შრომას გულისხმობს. მოკლენ (ზოგი უკვე მოსულა!) პოეტები — პირადად, მოიტანენ საკუთარ განუთავრებელ სათქმელს, აღმოვიჩინენ მანამდე უცნობ პოეტურ ქვეყანას — აი, ასე შესისხს მე ქართული პოეზიის შემდგომი განვითარების სამომავლო გზა.

ჩემი სიმართაა ქემარბიტი ხელოვნების მხარეზე გახლავთ.

ეწერ რითმიან ლექსს და ვთარგმნე იანის რიცხვი, რომელიც ხან ვერლიბრით წერს, ხან თეთრი ლექსით, ხოლო ბოლო ნაშუაფერებში ფორმა აშკარად არცაა გამოკვეთილი.

იზა ირჯანიძე

რითმისა და შრიტობის მიღმა...

თუ არა თქვენი ანექტა, პოეზიისა და საერთოდ ლიტერატურის საკითხებზე რაიმე მოსაზრების გამოთქმა ჩემთვის, მეტი რომ არა ვთქვა, დიდი სიამაჲმე იქნებოდა. პროფესიონალთა დავაში დიდიტანტა ჩარევა უადგილოდ უნდა მივიჩნიოთ... სხვა თუ არაფერი, ლიტერატურაზე მსჯელობა დიდ პროფესიულ და ზოგად განათლებას მოითხოვს. რაკი ვთვლი, რომ ამას ორივეს მოკლებული ვარ, ვიფიქრე თქვენი ანექტისთვის არ შეეხება. ეს კი თქვენი შურნალის მიმართ უპატივცემლობა იქნებოდა. ამიტომ ბოლოს (სულთ ცოდვილო) გონებას არ დაუჭერე და გიგზავნით პასუხებს, რომლებიც გაცვეთილი ქემარბიტების ფარგლებს არა სცილდება.

პასუხი პირველ კითხვაზე.

თუ საერთოდ თანამედროვე ქართული ლიტერატურა იგულისხმება, ქართული პოეზია ალბათ დაჩაგრულად არ უნდა გამოიყურებოდეს. თუ დღევანდელ დღეს ვივლით, აქ „ღმერთმან უწყის“ რა მდგომარეობაა. ისე კი, ვანა რაოდენობის მცნება ლიტერატურაში რამეს ნიშნავს? ან თუნდაც ის ამბავი, რომელს დარჩება „წამყვანის“ როლი, პოეზიას თუ პროზას, არა მგონია ლიტერატურისათვის, „ფაქტის დადგენის“ გარდა, რამეს იძლეოდეს. ვიჭირობ, მ პატარა „დავაში“ მხოლოდ დიდი ნიჭის გაჩინა იწვევს გადახრებს პოეზიის ან პროზისკენ.

მეორე კითხვის პასუხი.

თუ ასეთი „დავა“ სერიოზული სახით არსებობს და თუ აუცილებელია მისი ვინმეს სასარგებლოდ გადაწყვეტა, იგი ისევე დროს უნდა მიენდოს, სანამ ჩვენთან კითხულობენ რითმიან ლექსს, იგი იარსებებს. თუ რითმა ნოქველულად და მოსაწყენ მცნებად იქცევა, ასეთი ლექსი მკითხველს დაკარგავს. ასევე, თუკი თავისუფალი ლექსი ქართველი მკითხველისთვის უფრო სასურველი და მისაღები გახდება, მისი მიმდევარი პოეტებიც მომრავლდებიან. თუმცა, ცხადია, მკითხველი არ არის გადაწყვეტილი ფაქტორი ლიტერატურული მიმდინარეობისთვის. პირადად მე რითმიანი ლექსი არ მიმარბია მოქველდებულად და „თანამედროვეობის“ ან „სიახლის“ ნიშანი ალბათ გადაწყვეტილი არ უნდა იყოს ხელოვნებაში და ლიტერატურაში.

პოეზიაში უფრო მნიშვნელოვნად ისევე ნიჭი და ის მხატვრული ფასეულობა უნდა ჩაითვალოს, რასაც ეს ნიჭი იძლევა. იქნება ეს გარიჟმული თუ ურიტმო ლექსი, ამას მნიშვნელობა ალბათ არა აქვს. მხატვრული ხედვისა და აზროვნების გამოხატვის უპირატესობას (ერთმანეთთან შედარებით), ალბათ არც ერთი (ამ შემთხვევაში) ეს მიმდინარეობა არ იძლევა.

სიახლის მცნება მოქველების აუცილებლობას შეიცავს, ამიტომ მხოლოდ სიახლე, ალბათ, ბევრს არ ნიშნავს. ლიტერატურაშიც შეიძლება უკვლავური მოქველდეს, გარდა მხატვრული ფასეულობისა. ხოლო მხატვრული ღირებულებ-



მა, რა სახითაც არ უნდა იყოს ის მოცემული, რჩება უფრო მნიშვნელოვან და ხანგრძლივ მოვლენად.

მატერიალში ალბათ უპირატესი ფორმაა. პოეზიაში შეიძლება მთლად ასე არ იყოს.

ამიტომ კარგი ლექსის დასაწერად შეიძლება არც რითმისა და სავარსებობის და არც ურთიმობის უშვავრების ალბათ მათ მიღება მოქცეულ.

ირაკლი მკინაშერი

„ლექსი თვითონ მცირს“...

1. არც ერთი ქვეყნის ლიტერატურის ისტორიაში, არასოდეს არ ყოფილა შემთხვევა, რომ ერთი უანრის წარმატებას მეორე უანრის ვანვი-თარებისათვის ხელი შეეშალოს. ლიტერატურის და საერთოდ ხელოვნების სპეციფიკა ასეთ შესაძლებლობას გამოიცხვას. ჩვენში კი, სამწუხაროდ, ლიტერატურულმა კრიტიკამ გასულ წლებში დაამკვიდრა ერთი უხეირო, ყოველად უსუსური და არამეცნიერული „ტრადიცია“ (ეს ინერცია დღესაც გრძელდება): როდესაც ერთი რომელიმე უანრის წარმატებაზე ვლაპარაკობთ, აუცილებლად სხვა დანარჩენი უანრების „ჩამორჩენილობაზედაც“ უნდა ვთქვათ (არ ვიცო, რატომ — მათი „წახალისების“ მიზნით თუ იქნებ, ეს ლიტერატურული კრიტიკის სიბეცის, მისი ცალმხრივობის ბრალია?)... კატეგორიულად და გადაჭრით ვაცხადებ: თანამედროვე ქართულ პოეზიას დღეს არავითარი „შეღვათი“ არ სჭირდება და იგი თავისი მხატვრული დონით სავსებით შეესაბამება დღევანდელ ქართულ პროზას. მათ რატომ შეეპარა ვიღაცას ექვი ჩვენი პოეზიის დირსებაში? ჩემი აზრით — ეს ამბავი ისევ კრიტიკის გამოწვევია. სინამდვილეში კი მისხდა ის, რომ დღევანდელი პოეზია თვისობრივად შეიცვალა და მისი შეფასებისათვის სხვა საზომი ერთეულები, სხვა კრიტერიუმია სჭირო (მე მგონია, კრიტიკა მოუშალა დღემდე შევხვა პოეზიის ამ მეტამორფოზას). საქმე იმაშია, რას ვეძახით „წარმატებას“ და „ჩამორჩენილობას“. რომელ მწერალს ან ნაწარმოებს ვგულისხმობთ, როცა ვლაპარაკობთ ამა თუ იმ უანრის „განვითარებაზე“ თუ „დაკნინებაზე“, ექვს გარეშეა, რომ ქართულმა პროზამ ყველა ჩვენგანი ვახარა „დათა თუთაშხიათ“ და ოთარ ქილაძის რომანებით, რეზო ჭავჭავაძის, რეზო ინანიშვილის, გურამ დოჩინაშვილის და კიდევ ბევრი ახლადგამოჩენილი მწერლების ნაწარმოებებით (მათ სახელებს შეგნებულად არ ვასახელებ, რადგან მართლა ნამდვილ მწერლებად მიმაჩნია ისინი და თვითონ მიხვდებიან — ნამდვილმა მწერალმა თვითონ იცის თავისი ფასი), მაგრამ განა ამ სახელების გვერდით თამამად არ შეგვიძლია დავასახელოთ ისეთი პოეტები (და მათი ნაწარმოებები), როგორცაა მუსრან მაქავარი-

ანი, შოთა ნიშნაინიძე, მურმან ლებანიძე, გივი გეგეჭკორი, ჭანსულ ჩარკვიანი, ტარიელ ჭანტურია, ბესიკ ხარანაული და სხვანი და სხვანი? რა ვუყოთ, რომ უახლოეს ხანში ანა კალანდაძეს არავფერი დაუწერია? ან ოთარ ჭილაძე პროზაზე ვადავიდა? სამაგიეროდ, ხომ გამოქვეყნდა უკანასკნელ ხანში არჩილ სულაკაურის, ვახტანგ ჭავჭავაძის, ემზარ კვიციანიშვილის ლექსები და წიგნები? საიდან მოიტანეს კრიტიკოსებმა „პოეზიის ჩამორჩენილობა?“ იქნებ იმას გულისხმობენ, რომ „დათა თუთაშხია“, ეს ოცდაათაბახიანი რომანი, არც ერთ ცალკე აღებულ ლექსს არ შეიძლება შევადაროთ და დავატოლოთ? კი მაგრამ, როდის მოუქვნიანთ ეს ლექსი? სულ პატარა, თუნდაც ორთავიანი ლექსი, რომელშიაც ჩვენი ეპოქის სუნთქვაა გადმოცემული? ან დაუტოლებიათ როდისმე პოეტის პიროვნება, მთლიანად მისი შემოქმედება — პროზაიკოსის ნაწარმოებისათვის? ვის ჩუტარება ქართული პოეზიის და პროზის შედარება თი ანალიზი (რა სჭიროა ეს, არ ვიცო, მაგრამ როცა საკითხი ასე დგება—ვის ვის ჩამორჩება, მაშინ შემართება მხოლოდ შედარებითი ანალიზის გზით შეიძლება დადგინდეს) ...საქართველო იყო და რჩება „პოეზიის ქვეყნად“. ეს მაღალი წოდება მას კლასიკურმა შემკვიდრებამ და ქართველი კაცის ეროვნულმა ბუნებამ მიანიჭა და „პოეტური პროდუქციის“ დროებითი ნაკლებობა თუ სიჭარბე — არაფერს ნიშნავს. ლიტერატურაში ამინდს ხარისხი ქმნის და არა რაოდენობა. ხარისხის მხრივ კი თანამედროვე, დღევანდელი პოეზია — ღრმ, ანალიტიკური, ეპოქის წინააღმდეგობების გამო-მსახველი და მისი გარდაქმნისათვის მებრძოლი — სავსებით შეესაბამება თანამედროვე ქართულ პროზას.

2. პოეზია განვითარდება იმ მიმართულებით, საითაც მიდის ცხოვრება. განვითარდება ვერ-ლიბრიც და კლასიკური რითმიანი ლექსიც. მათი „მომხრეების“ დავა — ისევ ჩვენი კრიტიკული აზროვნების ჩამორჩენილობის შედეგია. აღმანიან სულის „სიმღერა“ (უფრო სწორედ — მისი „კარდიოგრაფია“) არა მარტო ბგერათა ჩამონიული წყობით შეიძლება გამოიხატოს, მა-



ნი გამოიქმნა დარღვეული მელოდიის საშუალებითაც შეიძლება. პილდად მე — არც ერთს უძირატესობას არ ვაძლევ... ცხოვრებული ტიცინანი ამბობდა „ლექსი თვითონ მწერს...“, და აბა,

საიდან უნდა ვიცოდე წინასწარ — როგორ დამწერს ლექსი: რითმინი თუ ურითმო სტრქონებით?

მიხილ ქვლივიძე

პროზა... პოეზიის პრიმატის ნიშნით...

1. ქართული პროზა რომ ე. წ. აღმავლობის გზას ადგას, ამაზე არ შეიძლება ორი აზრი არსებობდეს, მაგრამ დისკუსია, ლიტერატურა „პროზის პრიმატის ნიშნით“ მიედინება, უფრო შთაბეჭდილებისმიერად უნდა მივიჩნიოთ და არა საფუძვლიან, საყოველთაო აზრად. რა თქმა უნდა, ესეც სუბიექტური აზრი იქნებოდა, მაგრამ მე უფრო სხვაგვარად ვიტყოდი, — ქართული პროზა „პოეზიის პრიმატის ნიშნით“ მიედინება! გამომდინარე აქედან უკვე გამოირიცხულია იმის თქმა (ჩემთვის პირადად), რომ პროზა უფრო მძლავრია დღეს პოეზიასზე. პროზა დღეს საერთოდ დიდი პოპულარობით სარგებლობს თითქმის ყველგან, იქნებ ეს დროისაგან იყოს გამოწვეული, მაგრამ ფაქტია, ასეა. და წინ დგას, კერძოდ, რომანი, მიუხედავად იმისა, რამდენგვარი დისკუსიაც არ უნდა გაიმართოს რომანის დასასრულზე, მის სიკვდილზე. რუსულ ენაზე მშვენიერი, საინტერესო წიგნიც გამოვიდა (суднх романа), სადაც ამ დისკუსიების მასალებია თავმოყრილი და მანც პროზა, და მანც რომანი ისიც ნიშანდობლივია, რომ რამდენიმე საუკეთესო ქართველი პოეტი პროზაში „დაბნაბრდა“. ისიც საგულისსმა, რომ გალაკტიონის დიდი, „დამბუგველი“ სინათლის შემდეგ ნიჭიერ ქართველ პოეტებს სულიერი ენერჯიის მაქსიმალური დამბვა უხდებოდა ახალი, ნელა ფორმების მოსაპოვებლად. სასიხარულოა, რომ ეს ძიება უშედეგოდ არ მიმდინარეობს, აი ამის გამო მერყენება მე პოეზიაზე ჩვენი შეხედულება უფრო შთაბეჭდილებიდან მიმდინარე აზრად. გულდასმითი ანალიზი იმ დიდ ძიებაში რამდენიმე ისეთ ტენდენციას აღმოგვიჩინეს და დაგვიანატურებს, რომელსაც ზედ ვაწესავდებოდა ლიტერატურული დირსება ექნება. დღეს კი გალაკტიონის დიდი სინათლისაგან თავსარდაცემულ ჩვენს მწერას, ალბათ, ზევრი რამის დაუნახველობა ეპატიება. თანამედროვე ქართული პროზა ერთობ პოეტურია. ახლა მინდა ამ აზრს დავუბრუნდე ისევე (მხედველობაში არ მაქვს პოეტური პროზა, როგორც თავისებური ფორმა, თვით ნამდვილ პროზაში ფართოდ მოკლათებულა პოეზია მაქვს მხედველობაში). ცნობილი და მიღებულია ასეთი ქვეშარიტება, „თუ პროზა და პოეზია ერთმანეთისაგან მკვეთრად არ არის გამიჯნული, იმ ლიტერატურას რაღაც უჭირს“. ქართულ ლიტერატურას არაფერი უჭირს, მაგრამ კერძოდ ქართული პროზა უფრო მეტად რომ უნდა იყოს პროზა,

იქნებ ამ მხრივ გვმართებდეს დაკვირვება. მთავარია, სწორედ გავიგოთ ლიტერატურის ცნობილი ქვეშარიტება — პროზა მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევაში იმდირებდეს თავს პოეზიით, ხოლო თუ პოეზია ზომიერების ფარგლებს გადადის, იგი პროზის ხარისხს რაღაცას აკლებს. და ეს დაკლება ტუტობა ქართულ პროზას, მის საქვს დღესაც არაერთხელ მიუჭდება ხოლმე პოეზია. ეს შენიშვნა, ბუნებრივია, ქართული პროზის აღმავლობაზე ჩვენს აზრს კითხვის ნიშნის ქვეშ არ აუენებს. მინდა უბრალოდ ვგახსოვდეს, რომ ქართულ პოეზიას ნუ ვებუბრებით, მისი გავლენის სფერო ერთობ ფართოა და პროზის პირველობა იქნებ უფრო ილუზიაა, ვიდრე რეალური სინამდვილე. ჭერ შორს არის პირველობა.

2. ქართული პოეზია დიდი პოეზიაა. ამ აზრის დასადასტურებლად, ფიქრობ, არ არის საჭირო კონკრეტული ნაწარმოებების დასახელება. საქართველო დიდი პოეტური კულტურის ქვეყანაა! — არც ეს არის სადაო. დიდი პოეტური კულტურის ქვეყნისათვის უცხო არ უნდა იყოს არც ერთი ფორმისმიერი თუ შინაარსისმიერი სიახლე, რაც კი პოეზიის სამუარო იცის დღემდე. არც ერთი პირიტი, იგი თვითვე უნდა ქმნიდეს სიახლეს თავისი უმდირესი ბუნების წყალობით და იმ სიახლით ცივილიზებული ქვეყნების ყურადღებას იპყრობდეს. ქართული პოეზიის მრავალფეროვნება და უღრმესი შინაარსი ნაირნაირი მიმდინარეობის წყაროც უნდა იყოს. ჩვენი ლიტერატურული ცხოვრების ნაკლია (და ამდენად ბრალიც), ვაუა-ფშავედას პოეტური გზა (კერძოდ „გველისმქამლის“ მხატვრული კონცეფცია) უადრესად საჭირო ლიტერატურულ მიმდინარეობად რომ ვერ დამკვიდრდა. ახევე ითქმის გალაკტიონის პოეზიის არსიდან მიმდინარე ახალ გზაზე. ეს საკითხი ვრცლად მოითხოვს ანალიზს და ამდენად ამ პასუხში მხოლოდ მივანიშნებ მასზე. რელიზიანი უკიდევანო სასუღვრებში მრავალი „იშვმი“ გრძნობს თავისუფლად თავს. დღეს ალბათ არავინ იდევნის იმაზე, რომ ამ უმდირესი პოეტური კულტურის ქვეყანაში ერთ-ერთი ფორმა ლექსისა — ვერლიბრი — სრულიად ორგანულად უნდა ერწყმოდეს საერთო პროცესს. ვიმეორებ, მრავალსაუკუნოვანი მდიდარი ტრადიცია ავალბებს დღევანდელ ქართულ პოეზიას, არც ერთი სიახლე არ იყოს მისთვის უცხო ხილი, ოღონდ იმ სიახლეში ქართული სული ჩადოს. ვერლიბრისა



და კლასიკური რითმიანი ლექსის მშვიდობიანი თანარსებობა არც უნდა დადგეს კითხვის ნიშნის ქვეშ. რაც შეეხება პოეტების მკვეთრად გამოჩენულ პოზიციას, ამაში მოულოდნელი არაფერია, არც გასაკვირია რაიმე. პოეტი, რომელსაც თავისი გამოკვეთილი ხელწერა აქვს, დამატრალურად განსხვავებული პრინციპებისა და პოზიციების გამოხატველ მეორე გზას შინაგანად ვერ მკულობს (ან შინაგანმა შეუ-

გუებლობამ შეიძლება შექსპირიც კი დაეძინა წუნებინოს რომელიმე დიდ მწერალს). ნაღვლიანად პოეტების დავა და შინაგანი შეუგუებლობა ჩვენთვის სავსებით გასაგებია უნდა იყოს. ვერლიბრის და რითმიანი ლექსი კი მომავალში (თუ უკვე არა) მართლაც იქცვიან „ერთმანეთის ვადიდებებისა და სრულქმნის წყაროდ“.

ჯანსუღ ლვინჯილია

რითმიანი ლექსი — კვებმონი

1. უპანასკნელი ორი ათეული წლის მანძილზე ქართულმა პროზამ დიდ წარმატებებს მიაღწია, თითქოს თვისობრივად განახლდა იგი. ეტობა, ქართული პროზის ეს ნახტომი-ნახტომი წარმატება ზოგიერთმა კრიტიკოსმა გადაქარბებით შეაფასა. ამავე პერიოდში ქართულ პოეზიას ჰქონდა არანაკლები მიღწევები, მე ვიტყვოდი უფრო დიდი მიღწევები. მაგრამ ეს მიღწევები ისე აშკარად და ხელშესახებლად არ შემჩნევა იმის გამო, რომ ჩვენი ლირიკის ხარისხსა და დონეს ოდითგანვე უფრო მაღალი საზომები განსაზღვრავენ. რუსთაველისა და გურამიშვილის, ბარათაშვილისა და აკაკი წერეთლის, ვაჟასა და ვალაკტიონის განთავსებული მკითხველის გაცემა შედარებით ძნელია. ღმერთმა ქნას, ქართულ პროზაშია ც გამოჩნდეს ზემოთაღასახლებული სახელების მაღალი თუნდაც ერთი ან ორი პროზაიკოსი... როგორც ჩანს, ლირიკში ქართველი ერის გენიუსული თვისებაა, ალბათ ამიტომაც ეძიებან საქართველოს „პოეტების ქვეყანას“. თუ დაავიწროდებით, ადვილად მიხვდებით, რომ უკანასკნელი პერიოდის ქართული პროზის წარმატებაში თითქმის ლომის წილი პოეზიის ელემენტებს უღევს. ისიც ნიშნულია, რომ ამ პერიოდის საუკეთესო მოთხრობებისა და რომანების ავტორების დიდი ნაწილი ქართული პოეტური სიტყვის გამოჩენილი ოსტატები არიან.

2. ვერლიბრისა და კლასიკური რითმიანი ლექსის მომხრეთა დავა საინტერესო მოვლენად უნდა ჩაითვალოს თუნდაც იმის გამო, რომ მან გამოაცოცხლა, ჩვენი საუკეთესო მიწვევარტული ლიტერატურული აბსოლუტორა. სამწუხაროდ, ეს დავა ორი პოეტის კამათით შემოიფარგლა და მასში არ მონაწილეობენ ცნობილი პოეტები და კრიტიკოსები. ამდენად „ციხკის“ ეს „გამოწვევა“ მისასაღმებელი ფაქტია.

რითმიანი ლექსი, თერთი ლექსი და ვერლიბრი ანუ თავისუფალი ლექსი ლირიკის სრულფასობიანი სახეებია. მაგრამ რითმის ზოგიერთი ერის პოეზიაში მეტი ფუნქცია აკისრია, უფრო აქტიურია. ასეა ქართულ პოეზიაშიც. ალბათ ამიტომ საუკუნეების მანძილზე ქართული ლექსის განვითარება რითმიანი ლექსის

პრიმატის ნიშნით მიმდინარეობდა და მიმდინარეობს. როგორც ჩანს, რითმიანი ლექსის ამ პეგემონიას საფრთხე არ ეშუქრება. ზემოთ მოგახსენეთ, ლირიკში ქართველი კაცის გენიუსული თვისება უნდა იყოს-მთქმი. ვერლიბრი კი პროზისაკენ გადახრად უნდა ჩაითვალოს... ისიც ყურადღებები ფაქტია, რომ საუკეთესო თერთი ლექსისა და ვერლიბრის ავტორები ისევ და ისევ რითმიანი ლექსის დიდოსტატები ვახლავან. მაგრამ ავთანდილის ანდერძისა და „განთიადის“, „მერანის“ და „ლურჯა ცხენების“ გვერდით გამოსაჩენი ვერლიბრი ჩვენ არ მოგვეპოება. ქართული ლექსის ხანგრძლივი ტენდენციაც აქეთკენ მივჯანშენებს და ამ მოსაზრებას ადასტურებს.

მეთვრამეტი საუკუნის ბოლოსათვის ქართულ ლექსში რითმის პრეტენზიები იმდენად გაიზარდა, რომ მან თითქმის მთელი სალექსო სტრიქონის ფუნქცია აკისრა და რეალური საფრთხე შეუქმნა ლექსის შინაარსობრივ მხარეს. ყველაზე კარგად ეს იგრძნეს ნიკოლოზ ბარათაშვილმა და ვთა-ფშვილამ. მათ მაქსიმალურად შეყვეცეს რითმის პრეტენზიები, მაგრამ ისინი მაინც რითმიანი ლექსის ფარგლებში დარჩნენ. ეს იყო ზომიერების უკანასკნელ საზღვრამდე მისული ბუნებრივი უკიდურესობა და აუცილებლობა, რომელსაც არ შეიძლება საწინააღმდეგო რეაქცია არ მოჰყოლოდა. მოჰყვა კიდევ: ვალაკტიონ ტაბიშემ რითმის ახალი სავანძურები გახსნა და ისე ოსტატურად გაიარა ბუნების ხილზე, რომ საწინააღმდეგო უკიდურესობაში ფეხი არ გადასცდენია... ასე, რომ საუკუნეების მანძილზე ქართული ლექსის ძირითად მრუდს რითმის პარალელები არასოდეს გადაუყვევას.

უკანასკნელ წლებში თერთი და თავისუფალი ლექსისადმი ინტერესი განსაკუთრებით ცავსოვდელა. ეს მოვლენა მისასაღმებელია თუნდაც იმის გამო, რომ მან ჩვენს პოეზიას შემავალი თავისუფალი ლექსის ისეთი შესანიშნავი ოსტატი, როგორცაა ბესიკ ხარანაული. უფრო სწორი იქნება ვთქვათ, რომ ბესიკ ხარანაულის წარმატებამ გამოიწვია ვერლიბრის გამოცოცხლება და ვერლიბრით დაინტერესება.

პანასკნელ ჯანსუღი

პრობლემატიკა და კონსპექტივები



პროვინციული მდგომარეობაში აღმოჩნდა: ანტიკის სხვა მონაწილეები არ იცნობდნენ ერთმანეთს პასუხებს. მე ამის შესაძლებლობა მომიცა. შემძლია შევადარო ერთმანეთს სხვადასხვა მოსაზრებები, გავითვალისწინო. ვარკვეული თვალსაზრისით დავესესო კიდევ მათ ავტორებს (მთავარია უპირატესობა ბოროტად არ გამოვიყენო).

სხვათაშორის ეს პასუხები ერთ ცდუნებას იწვევენ. მათი მიხედვით შეიძლება მოპასუხეთა ფსიქოლოგიური პორტრეტების შექმნა. არა მხოლოდ გემოვნების, მსჭელობის მანერის, არამედ ტემპერამენტისა და ასე ვახსენებ, ზოგიერთი სხვა შედარებით მეორეხარისხიანი თვისებების განსაზღვრა.

ამაჟამად ეს ჩემს ფუნქციებში არ შედის. თუმცა როდესაც საუბარი ისეთ ცოცხალ და ცვალებად საგანზეა, როგორცაა პოეზია გვევლინება, თანამოსაუბრის ინდივიდუალურ თვისებებსაც უნდა ვაქცივარ ანგარიშში.

პოეზია თავისი ბუნებით კი არ გამოირიცხავს, პირიქით, გულისხმობს მის შესახებ და მის გამო რამდენიმე (თუნდაც საპირისპირო) აზრის არსებობას.

უწინარეს ყოვლისა სხვადასხვა აზრი უნდა ჰქონდეთ პოეტებს. ასე რომ არ იყო, მათ სიმრავლესაც დაეკარგებოდა აზრი. თეორიულად საკმარისი იქნებოდა ერთი პოეტის არსებობა. სხვადასხვა აზრი უნდა ჰქონდეთ პოეზიაზე მკითხველებსაც. ჭერ ერთი, იმისთვის, რომ ერთი და იგივე პოეტური ნაწარმოები მხოლოდ ერთი კუთხით არ იქნას აღქმული და გაგებული. მეორეც, — რომ სხვადასხვა თაობამ სხვადასხვა საზრდო პიროვნებას მასში, რომ ლექსი ქანდაკად არ იქცეს, ცოცხლობდეს, ვითარდებოდეს, თრთოდეს, ახალ ელფერს იძენდეს ახალ განათებათა შედეგად.

ამაში ღიბათ ბევრი დამეთანხმება, მაგრამ მთავარი და უძნელესი მაინც იმის განსაზღვრა — რა არის პოეზიაში უცვლელი, მარადი, სად იწყება და თავდება ქემშარტი პოეზია?

თეოლოგიაში (ცერძოდ, არეოპაგიტულ მოძღვრებაში) უზენაესის წვდომის ორ მეთოდს განსაზღვრებდნენ: აპოფატას და კატაფატას.

ერთი იმას არკვევდა, თუ რა არ არის ღმერთი. მეორე — რა არის.

პოეზიის არსის გასარკვევად ორივე ეს გზა თითქმის ერთნაირად ნაყოფიერია.

ზოგჯერ იმის გაგებაა გადაუღებელი, სად უნდა ვეძიოთ პოეზია, ზოგჯერ იმისა, რა არ უნდა აგვერიოს პოეზიაში.

მე საკმაოდ ბევრი წერილი მაქვს დაწერილი პოეტებზე. რა დასაძლია, ყოველთვის თავს ვარიდებდი ამ მთავარ კითხვას. ადრე რომ ეკითხათ, ადვილად ვუპასუხებდი. რაც დრო გადის, უფრო და უფრო მიძნელდება.

ერთხანს მეც კარგად ვიცოდი (ბევრ სხვადავით), რომ პოეზია არის „დამოკიდებულება“ (ცხოვრებისადმი, სამყაროსადმი).

მაგრამ, ღმერთო ჩემო, რამდენი „დამოკიდებულება“ შეგვხვედრია ამ ქვეყნად საკმაოდ უცნაურიც, ორიგინალურიც, მაგრამ შემადრწუნებლად არაპოეტური, ანტიპოეტური.

ერთ დროს მტკიცედ მწამდა, რომ პოეზია იგივეა, რაც მეტაფორიზმი (ეს რწმენა პასტერნაკის ცნობილმა სიტყვებმა განმითქიცეს:

«Метафоризм — естественное следствие недолговечности человека и надолго задуманной огромности его задач. При этом несоответствии он вынужден смотреть на вещи по орлиному зорко и объясняет мгновеними и сразу понятными озарениями. Это и есть поэзия»).

ახლა ჩემი რწმენა უფრო იქითკენ იხრება, რასაც გიორგი ბაქანიძე თავის პასუხში „სხილუმლო წვეთებს“ უწოდებს.

მიუხედავად იმისა, რომ მოპასუხეთა ნაწილი სექსპტიკურად აფასებს მათთვის შეთავაზებულ კითხვების შინაარსს, ხოლო ერთი მათგანის აზრით, ამგვარად საკითხის დასმა საერთოდ „ანტილიტერატურულია, არაპოეტურიანადურია, ახნეხს მკითხველ საზოგადოებას (რაც მიუტევებელია) ხოლო შემდეგ მუსლუსტ ლიტერატორებს“, მე მაინც ვფიქრობ, რომ ანექტამ ნაწილობრივ მაინც გაამართლა თავისი დანიშნულება.

ვევლიდები რომ თავი დავანებოთ, პასუხების ტექსტში არის რამდენიმე ისეთი აზრი, რომელიც ამგვარი „პროვოცირების“ გარეშე, შესაძლია, საერთოდ არ გამოთქმულიყო.

პირადად ჩემთვის მთელი ეს ღონისძიება მხოლოდ იმითაც იქნებოდა გამართლებული, რასაც ა. ვაწერილია წერს თავისუფალი ლექსის გამო (რომ აქ პროზისგან განსხვავებით საზომი, მეტრი „მონაწილეობს ზოტენციადურად და მეტწილად აუნაზღაურებელი მოლოდინის სახით“).

იგივეს ვიტყვოდი კონსტანტინე ლორთქიფანიძის პასუხის იმ აზრაცზე, რომელიც რიტმისა და რითმის მხურვალე აპოლოგიას წარმოადგენს.



ანკეტა გამართლებულია იმითაც, რომ მისი შემწეობით გამოაშკარავდა რამდენიმე ერთმანეთის საწინააღმდეგო მოსაზრების არსებობა.

ასეთი წინააღმდეგობა დიდად ნიშანდობლივია კერძოდ, ორი დასახელებული ავტორის სააზრევში.

ა. გაწერელიას მტვიცებით: „რითმა უმთავრესად სტრიქონების დაბოლოებათა ბევრით მოწესრიგებაა, იგი არც ლექსის ემოციურ მხარესთანა დაკავშირებული, არც პერსონაჟის ფიქრებთან, არც სიუჟეტთან (ვალერი: «Рифма вводит порядок, не зависящий от сюжета»). არავითარი „იდეის გადმოცემა რითმის ფუნქციისა არ შედის, სხვაგვარად ფიქრი — აბსურდია“.

ამ მტვიცებას, მეცნიერულად, როგორც იტყვიან, „წყალი არ გაუვა“. მის სისწორეს ლიტერატურული სტატისტიკის მონაცემები ადასტურებენ (აღათვან და ბაბათვან). მაგრამ, შე ვიტყვით, რომ ეს არის მომავლიდელი ქეშმარიტება.

რა თქმა უნდა, მეცნიერული ცნობიერება სწორედ ასე აღიქვამს და აფასებს რითმას; სხვაგვარი გაგების უფლება მას უპრაოდ არა აქვს. მაგრამ რითმა (ისევე როგორც პოეზიის მთელი აქსესუარი) ხომ მარტოდენ ცნობიერებით არ აღიქმება. არსებობს რჩეულ რითმითა რ იგი, რომლებიც აღაშინის სულის უფრო ღრმად მდებარე, იღუშალებით მოცულ ფენებამდე აღწევს და იქ, ქვეცნობიერების ამ თვალმოუწვდომ სივრცეებში წარმოუდგენელი ძალის იმპულსებს აძლევს დასახმს — ქვეშეცნეული „სიუჟეტებისა“ და „იდეების“ მთელ კომპლექსს აღმოაცენებენ.

ამ მტვიცებაში რომ არაფერი არ არის მისტიკური, ამას ისეთი რეალისტურად მოაზროვნე მხატვრისა და ლიტერატორის ჩვენებაც მოწმობს, როგორიც კ. ლორთქიფანიძეა. აი, მისი სიტყვები: „ოსტატის ხელში რითმას იმდენი კვებეჭხტი მოაქვს, იმდენი უცნაური მოღანდება და მოშხიბვლილი მოულოდნელობა, რომ იგი ხშირად ლექსის მეორე სიცოცხლედ იქცევა“...

როგორც ლიტერატურის მკვლევრები (და „მცოდნეც“) მე, ცხადია, არავითარი უფლება არა მაქვს. ა. გაწერელიას აზრი არ გავაზიარო, მაგრამ როგორც პოეზიის მკითხველს და მოყვარულს, სხვა იმედი (ან, მისივე სიტყვით რომ ვთქვათ, სხვა „აჩრდილი“) უფრო მიზიდავს.

სიმბოლისტებმა რითმის მეტაფიზიკა შექმნეს, უკეთ: აღქიშია. ისინი რითმაში „უილო-სოფურ ქვას“ ეძებდნენ. ყოველივე ეს დღევანდელი პოეტის მერ ხელალებით უარყოფილია, ვინაიდან არ არსებობს არავითარი ხელშესახები მონაცემები, რის საფუძველზეც რითმის „იდეის“ ან „სიუჟეტის“ დადგენა შეიძლებოდა. მაგრამ მეცნიერებაშიც ხომ აკრძალული არ არის ოცნება, ნატვრა, დაშვება...

ხომ დასაშვებია, რომ ლიტერატურისმცოდნეობაშიც მოხდეს ოდესმე იმგვარი გადატრიალება, როგორიც ჩვენს თვალწინ მოხდა საბუნებისმეტყველო მეცნიერების ზოგიერთ დარგში, მატერიის აქამდე უცნობ სიღრმეებში შეღწევის შედეგად. იქნებ სიტყვის „მატერიალი“ მოიძებნოს ოდესმე ის ჩვენთვის ამჟამად მიუწვდომელი უმცირესი შემადგენელი ნაწილები, და ამასთან ერთად დადგენილ სწავს მათი არსებობის, მათი ურთიერთმიმართების ის ჭრჭერობით უცნობი კანონები, რაც რითმის ამ მავიურ ზემოქმედებას ახსნიდა. ვინ იცის, იქნებ ჩვენი ამჟამინდელი მეცნიერული ცოდნა სიტყვაზე, მის შინაგან სტრუქტურაზე და მოძრაობაზე ოდესმე ამ მოძრაობის მექანიკურ გაგებად — „მექანიკურ მატერიალიზმად“ მოსათლონ.

ღრმად დარწმუნებული ვარ, რომ ასეთი პერსპექტივა, სხვებზე არანაკლებ, ა. გაწერელიასაც გააზარდება.

ძნელია იმის თქმა, ხსნის თუ არა ამგვარ პერსპექტივას ლიტერატურულ მეცნიერებაში სტრუქტურალიზმი, მაგრამ მისი კორიფების ზოგიერთ კონკრეტულ ცდაში სწორედ ამგვარი ტენდენცია შეინიშნება.

მართალია, რომან იაკობსონის მიერ ჩატარებული ანალიზი (ლევი-სტროსთან ერთად) ბოლდერის ცნობილი სონეტისა („კატები“) ერთგვარად ნაძალადევ შთაბეჭდილებას ტოვებს, განსაკუთრებით იქ, ხადაც ამ სონეტის ბეგრადი და აზრობრივი შინაარსის შესატყვისობა დგინდება, მაგრამ ამ ანალიზშიც არის ქეშმარიტების საოცარი მარცვლები, ხოლო კიდევ უფრო საკულისხმოა მთელი ამ უნიკალური ანალიზის პათოსი, რომლის სათავე თვით ბოლდერის ლექსი-კრედო „შესატყვისობანი“ უნდა იყოს. იმისკენ, რასაც ფრანგული სიმბოლისზმის წინამორბედი ინტუიციით, ზემოთაგონებით ვკრეტდა, თანამედროვე სტრუქტურალური პოეტის მამამთავარი ცდისმიერი მონაცემებით, ლაბორატორიული დაკვირვებით მიიკვლევს გზას...

სხვათაშორის რითმის „იდეისა“ და „სიუჟეტის“ სასარგებლოდ მართო სიმბოლისტებს არ ამოუღიათ ხმა. საიდუმლო არ არის, რომ რითმა ზოგჯერ თვითონ აღმოაცენებს წინასწარ გაუთვალისწინებელ ასოციაციებს. ყველას კარგად გვახსოვს სიმონ ჩიქოვანის ცნობილი



სიტყვები „მე სრულიად სხვა მინდოდა მეთქვა და სხვას მამღერებს წყეული რითმა!“. ასეთი გადახვევები ვერც ესთეტიზმისა ან ფორმალისტის ზემოქმედებით აიხსნება.

ვიქტორ პიუგოს შემოქმედების ბრწყინვალე სპეციალისტი ე. დიუპუი შენიშნავს: „ხდება ისეც, რომ სხვა პოეტების მსგავსად, ისიც აპყუება ხოლმე თავისი სმენის მიითთვის და მეორე სტრიქონში მოაქვს თანამეგრების სილამაზით ნაყარანახევი სიტყვა, რომელზეც ლოკუკური მოსაზრებით უარი უნდა ეთქვა. სინბოლოთა შექმნის საოცრად ლაღი ნიჭით დაჯილდოებული, ის ასეთ დროს მიმართავს მთელ თავის ნაყოფიერ გამომგონებლობას, რათა გაამაროლოს ეს მეორე სიტყვა, მისთვის მეტაფორული პრესტიჟის მინიჭებით“.

უფრო შორს წასვლა ამაჩქარად გაუმართლებელი იქნებოდა. ისედაც კარგა-მარგა გადაუხვიეთ ანტიკის მთავარ თემას („...და სხვას მამღერებს წყეული რითმა!“).

პასუხები სხვა წინააღმდეგობებსაც ავლენენ.

მკვეთრად განსხვავებულია ა. გაწერელიას და ჯ. აჯიშვილის თვალსაზრისი ქართული ვერ ლიბრის ეროვნულ სათავეებზე.

პირველის აზრით, „ვერ ლიბრს არ გააჩნია მრავალსაუკუნოვანი ტრადიცია, არც სხვაგან, არც ჩვენში (ბიზანტიური და ქართული ჰიმნოგრაფიის ძირითადად ასტროფიული ლექსი ს ა გ ა ლ ო ბ ე ლ ი ლექსისა და გენეტიკურად ან ფორმალურად ვერ ლიბრის მასთან დავაგ-შირება არ შეიძლება)“.

მეორე პირდაპირ საწინააღმდეგოს ამტკიცებს: „თავისუფალი ურითმო ლექსი“ — ჯ. აჯიშვილის რწმენით, ჩვენში „რუსთაველამდე დიდი ხნით აღრე არსებობდა და ქართული ლიტერატურის პირველწყაროებით საზრდოობდა. ესაა ქართული ლექსის განვითარების მრავალსაუკუნოვანი გზა, რომელიც დამშვენებულია „ქებათა-ქებისა“ თუ „ფსალმუნის“ მთარგმნელთა სახეებით, ჩვენი აღდებული ჰიმნოგრაფებით“.

ამ დაუსრულებელ პაექრობაში მე, ცხადია, უფლებამოსილ არბიტრად ვერ გამოვდგები, ვინაიდან არც ბიბლიისა და არც ქართული სასულიერო (მით უმეტეს ბიზანტიური) მწერლობის სპეციალისტი არ ვახლავართ. არც იმას გამოვეცილები, რომ ქართული ჰიმნოგრაფიის სტროფიულობაზე თუ ასტროფიულობაზე ჩვენში სხვადასხვა აზრი არსებობს.

მხოლოდ ერთის ნებას მივცემ ჩემ თავს. როგორც ამ ლიტერატურის გატაცებული მკითხველი (უკვე იმ დროიდან, როდესაც ჩვენს ლიტერატურულ წრეებში ბიბლიით გატაცება ჯერ კიდევ საყოველთაო მოღდა არ იყო ქცეული), მე გუშანით მინც იმ აზრისკენ ვიხრები, რომ აქ ტიპოლოგიურად მონათესავე მოვლენებთან გვაქვს საქმე. „ქებათა ქებას“, ისევე როგორც „ეკლეზიასტის წიგნს“, ბევრი თანამედროვე მკითხველიც, მეც ლექსად აღვიქვამ. არა მხოლოდ იმის გამო, რომ თავისი შინაარსით ეს არის უმადლესი რანგის პოეზია (ლირიკა), არამედ იმიტომაც, რომ ჩემთვის ხელმისაწვდომ ქართულ თარგმანში ორადეც ეს ძეგლი თავიდან ბოლომდე აღბეჭდილია მკაფიო, ინტენსიური, ძალუში რიტმით, ან, ა. გაწერელიას ზუსტ განსაზღვრებას თუ მივმართავთ, სწორედ „საზომის იმ პოტენციალური ან-რდ-ლით“, იმ „აუნაზღაურებელი მოლოდინით“, რაც, მისივე სიტყვით, „ვერ ლიბრის (ლექსს საზოგადოდ) რადიკალურად აშორებს პროზისაგან“.

ასევე მაქვს წაიხსოვლი და აღქმული თავის დროს ქართველი ჰიმნოგრაფების თითქმის ყველა ტექსტი, რომელთაც არაერთგვაროვანი განუცვიფრებელი ბარათაშვილის მთელი რიგი სახეების აშკარა არქიტექტურით და კიდევ უფრო მეტად, როგორც სადღო წერილის გაღმოქართულების შედეგად ეროვნულ ნიადაგზე სრულფასოვნად რეალიზებული პოეტური ფრა-ზეოლოგიის ექვიპოტანულ პირველწყაროს.

შორს რომ არ წავიდეთ, ყველაზე ბუნებრივ და ხელშეახებ საბუთს ამ უჩანასკნელ ძეგლთა პოეტური (სალექსო) ბუნებისა ჩვენს სასულიეროვე პროზასთან შეპირისპირება ვაძლევს.

კონტრასტი აქ ყველა დონეზე საკმაოდ თვალსაჩინოა.

ამ დავაში ა. გაწერელია უთოოდ სწორია საკითხის აბსოლუტური, მეცნიერული გაგებით. ვერ ლიბრი ახალი დროის მოვლენაა და მისი სრული ვაიციება შუასაუკუნეობრივი პოეტის სპეციალურ ფორმებთან ისტორიზმის შეუვალი კანონების ხელყოფამდე მიგვაყვანდა. საუბარია არა იმდენად გენეტიკური (მკაცრი გაგებით) წარმომადგობის, რამდენადაც მსგავსი, ტიპოლოგიურად მონათესავე ელემენტების დადგენაზე.

კიდევ ერთ მოწმობას მივმართავ ტექსტის უშუალო ემოციური (თუ ქვეცნობიერი) აღქმის სფეროდან.

თანამედროვე ქართველ „ვერლიბრისტებს“, მათი ევროპელი წინამორბედებისა და კიდევ უფრო თანატოლებისაგან განსხვავებით, ნაკლებად ახასიათებს საკუთრივ ავანგარდისტული მისწრაფებები, სამაგიეროდ ისინი უფრო სათუთად და გულსხმეირად ეპყრობიან „სათავეებს“.



ბ. ხარაწულიასა და მისი თაობის ზოგიერთი სხვა წარმომადგენლის თავისუფალ ლექსებში პირადად მე ზოგიერთ გარკვევით მესმის ქართული „დაბადება“ და ჩვენი სასულიერო პოეზიის ზოგიერთი ორიგინალური ძეგლის ინტონაცია, რასაც მათ შემოქმედებაში ხალხური პოეზიის გაცილებით უფრო ძლიერი ნაკადი კი არ სპობს, არსებითად ითავისიანებს, შერჩევით, მისხალ-მისხალ, მაგრამ მაინც ორგანულად ითვისებს, როგორც არაუცხო, მშობლიურ სტიქიას.

აღნიშნავ კიდევ ერთ წინააღმდეგობას პასუხების ავტორთა მოსაზრებებში. ეს წინააღმდეგობა უკვე პროზას ეხება. გ. ბაქანიძის აზრით, დღევანდელ ქართულ პროზას უკვლავ შეტად აქვია „სტიქიური სიღონიერა“, ვინაიდან „უცებ ავითვისებ უკველივე ახალი, მაგრამ ასე უცებ ვერ გავიშინავანთ, ვერ დავაშენებთ და ვახარებთ ქართულ საძირებზე“.

გ. კანკავა „ცალმხრივობის“ მიზეზს სხვა გარემოებაში ხედავს. „სანამ — წერს იგი — ქართული პროზას ინტერესთა შუაგულში, ძირითადად, იქნება ლოკალურ დონეზე გააზრებული და გადაუჭვრეტილი საკითხები, ასეთი პროზა მაინც ცალმხრივი დარჩება“.

როგორც ხედავთ, ორივე პასუხის ავტორი საქმოდ კრიტიკულად აფასებს თანამედროვე ქართული პროზის მონაწილას. ოღონდ ჩამორჩენის მიზეზი მათ მიერ სხვადასხვაგვარადაა გააზრებული და აღორძინების საწინდარიც სხვადასხვა მხარეს მოიძიება.

გ. ბაქანიძისთვის მთავარია ეროვნული „საძირე“, გ. კანკავასთვის კი სწორედ ის, რაც ამ უკანასკნელის „ლოკალურ“ ფარგლებს სცოდნება და „ზოგადს, მთლიანს და უნივერსალურს“ მოასწავებს.

მე დარწმუნებული ვარ, რომ ორივე ავტორი თეორიულად „ბედნიერი სინთეზის“ მომხრეა, ეროვნულის (ლოკალურის) და ზოგადის (უნივერსალურის) ორგანულ სინთეზში ხედავს სრულქმნილი ქართული პროზის იდეალს.

მაგრამ საკულისხმოა, რომ ისინი ჩვენი პროზაიკოსების ამუშავებულ „გასაქირს“ ურთიერთსწინააღმდეგო მიმართულებებით მიგვანიშნებენ.

ერთი სიტყვით, აქ ორი განსხვავებული ორიენტაცია უპირისპირდება ერთმანეთს.

შეიძლება ვეფიქრო, რომ გ. კანკავას და გ. ბაქანიძის სხვადასხვა ნაწარმოებში აქვთ მხედველობაში და ამის გამო (კონკრეტული ლიტერატურული მოვლენების მიმართ) ორივე თავისებურად მართალია.

გაურკვეველობას ის გარემოება იწვევს, რომ არც ერთი მათგანი არ ასახელებს ამ კონკრეტულ ნაწარმოებებს. ქართული პროზა კი დღეს იმდენად მრავალფეროვანია, იმდენი განსხვავებული მხატვრული ორიენტაციის მწერალი ქმნის მის რეალურ სახეს, რომ, ამ სხვადასხვაობის გათვალისწინებლად, მასზე რამდენადმე სრული წარმოდგენის შედგენა უკვლად შეუძლებელია...

თითქმის ყველა ამ მწერალს აქვს თავისი ღირსება და ზოგიერთი, ასევე თავისი, საკუთარი ნაკლი. რაც ერთს აქვია, მეორესთან უხვად, ან, შესაძლოა ზედმეტი სიჭარბითაც დაგვხვდეს (და პირიქით).

რასაკვირველია, ყველა ამ მხატვარს ახასიათებს რაღაც ხერხოვც, ვინაიდან ყველა ისინი ქართული მწერლები არიან. მაგრამ ამავე დროს თვითთული მათგანი დაჯილდოებულია განსაკუთრებული თვისებებითაც და ეს თვისებები ქმნიან მეტად რთულ და წინააღმდეგობრივ მთლიანობას—იმას, რასაც დღეს თანამედროვე ქართული პროზა ეწოდება.

საკუთარ, ერთგვარად განცალკევებულ პოზიციებზე დგას, მაგალითად, ოთარ ჩხეიძე. ხანდახან შეიძლება მოგჩვენოს კიდევ: ყველაფერი მოძრაობს, იცვლება, მიმდინარეობს, ის კი ჭიუტად განაგრძობს ერთ ადგილას, თავის ადგილას დგომას.

არა მხოლოდ იმის გამო, რომ მას აქვს თავისი განუმეორებელი სტილი („განუმეორებელი“ მკითხველს ალბათ გაუღივება, ვინაიდან ო. ჩხეიძის სტილში მთავარი სწორედ განუმეორებაა).

პირადად ჩემთვის ეს სტილი, უფრო ზუსტად, ამ სტილის მთავარი კომპონენტი (ტავტოლოგიები) მიუღებელია. მაგრამ ამგვარ მიღება-არმიღებას გადაწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს, რადგან ეს შეგრძნება არსებითაც გემოვნების სფეროს განეკუთვნება. მთავარია ის, რომ ჩემთვის, ისევე როგორც მისი მკითხველების მნიშვნელოვანი ნაწილისთვის, ოთარ ჩხეიძე დიდი მხატვარია და აგრეთვე ის, რომ, როგორც ნამდვილი ოსტატი, მოაზროვნე, შემოქმედი, ის სიანადვილეში გამუდმებით იზრდება. „ბურუსიდან“ „ბორბაყამდე“ მეტად გრძელი შარაა განვლილი. ხოლო ამ უკანასკნელი ნაწარმოების სახით ჩვენს წინა თანამედროვე ქართული პროზის ნამდვილი მწვერვალი.

როდესაც მე ასეთი რანგის ნაწარმოებებზე ვფიქრობ, ჩემთვის უბრალოდ გაუგებარია, რა უღვევს საფუძვლად გ. ბაქანიძისა და გ. კანკავას უქმარისობის გრძნობას.

აქ „საძირე“ (ან როგორც სხვები ამბობენ „ბაღავარი“) ისევე ძლიერია, როგორც „ზოგა-



დისა და შთლიანის“ განცდა. უფრო მეტიც: მეორე პირველზე „დამყნაილი“ კი არ არის უშუალოდ. ბუნებრივად ამოიზრდება, ვინაიდან ეს საძირკველი სწორედ ასეთ შენობას, ასეთ მხატვრულ ზედანაშენს მოითხოვს.

ერთი სიტყვით, აქ სწორედ ის შემთხვევაა, როდესაც ჩვენ სრული უფლებით შეგვიძლია ვისაუბროთ „ბედნიერ სინთეზზე“.

პირადად მე ამ ნაწარმოებში ერთის მხრივ „კალმასობის“ მდიდარ შრეებსაც ვხედავ, დავით კლდიაშვილის ოსტატობის ანარქელსაც ვამჩნევ, ხოლო მეორეს მხრივ დიდ ევროპულ პროზაში ფილინგის, გოგოლისა და „პიკეის კლუბის“ ავტორის მიერ სათავედღებულ ტრადიციის კვალსაც.

ო. ჩხეიძის ლტოპ ქართული ეროვნული ხასიათის იმ ნაირსახეობას განეკუთვნება, რომელიც ჩვენს ცნობიერებაში დ. კლდიაშვილის კირილეს იერიშითაა შესული. ოღონდ „ბორიაში“ ეს სახე საგრძნობლად განვითარებულა, როგორც ახალ ისტორიულ ვითარებათა მიერ დაღდასმული, ტრანსფორმირებული მხასიათა და ამასთან ერთად ამ პერსონაჟის შინაგანი სამყარო დასახულია ახალი თვალთ — კრიზისულად. წინააღმდეგობრივად, — მთელ რიგ პასუხებში მისი ფსიქიკა გახსნილია, დანაწევრებულია, ანალიტიკურად შესწავლილია და დოსტოევსკისებურად გაშეშვებული ფენებით წარმოგვიდგება.

როგორც ხედავთ, მე ერთმა კერძო მაგალითმა გამიტყავა. დღევანდელი ქართული პროზა, ცხადია, ერთადერთი მწვერვალისგან არ შედგება. უბრალოდ, მე მომჩვენება, რომ ქართულმა კრიტიკამ ჭეროვნად ვერ შეათვა მისი მნიშვნელობა და გადავწყვიტე საილუსტრაციოდ სწორედ ამ ნიმუშისთვის მიმერაია.

არც გ. ბაქანიძე უარყოფს ამგვარ სიმადღეთა არსებობას: „ის რამდენიმე დიდი და მცირე ნაწარმოებია, რაც სახედნიეროდ დღესა გვაქვს, ერთობ დიდ პერსპექტივას ხსნის და ქართული პროზის კარგი მომავლის ნაღდი გარანტიაა“.

მაგრამ ეს უკვე სულ ბოლოს, „ფარდის დაშვების წინაა“ ნათქვამი და ძალზე ყრუდ შედრს.

როდესაც ლიტერატურის ერთ კონკრეტულ ეტაპზეა საუბარი, სიტყვა „რამდენიმე“ ცოტას არ ნიშნავს.

საერთოდ, ამა თუ იმ ეროვნული მწვერლობის (კერძოდ პროზის) ისტორიაში არა მხოლოდ ცალკეულ საფეხურებს, მთელ ეპოქებსაც „რამდენიმე“ ნაწარმოები ქმნიდა.

სავსებით მისაღებია გ. ბაქანიძის მოხაზრება იმის თაობაზე, რომ „პოეტური პროზა ერთ-ერთი ღირსეული უბანი უნდა იყოს ჩვენი მწვერლობისა და არა ყველაფრის თავი და თავი“ (სხვათაშორის იფიქრე პოლიცია ამ საკითხში უფრო რადიკალურა სახით ამ ათიოდე წლის წინ გამოვიხინდა გ. კანკავას წერილში „ლიბრეოლი პროზის წინააღმდეგ“).

ოღონდ აქ უთუოდ საჭიროა ტერმინოლოგიური სისუსტის დაცვა. თუ გ. ბაქანიძე თ. ჭილაძეს ეპაქურება, მაშინ აუცილებელია ერთი გარემოების გათვალისწინება. თ. ჭილაძე „შუაშანიკის წამებისადმი“ მიძღვნილ წერილში, პოეტური პროზისა და ე. წ. ბელეტრისტიკის დაპირისპირებისას, პირველ ტერმინს იმდენად ფართო გაგებით ხმარობს, რომ ამ ცნებაში ფაქტიურად სხვადასხვა ტიპის მხატვრული პრაქტიკა შეიძლება მოთავსდეს. თ. ჭილაძისთვის „პოეტურია“ ყველაფერი, რაც მხატვრულ განზოგადებას, ფსიქოლოგიურ სისუსტეს, მცირედით (დეტალით) დიალეს გამოხატავს, საგნისა და მოვლენის სიღრმეთა წვდომას გულახსნობს, ხოლო „ბელეტრისტიკა“ მისთვის, არსებითად, ზერედე თხრობის, სქემატიზმის სინონიმია.

საერთოდ გ. ბაქანიძის პასუხმა ჩემზე ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა. ამ პასუხიდან ჩანს, რომ ის არა მხოლოდ ნიჭიერი პროზაიკოსია, არამედ მოაზროვნე ლიტერატორიც და კრიტიკოსის კარგი მონაცემებიც გააჩნია. ეს კი დიდი იშვიათობაა ჩვენში.

მე მხარს ვუჭერ ამ პასუხის კრიტიკულ პათოსსაც. უმჯობესია გადაქარბებით კრიტიკულნი ვიყოთ ჩვენი თავის მიმართ, ვიდრე ზედმეტად ლოიალური და დამთმობნი. მაგრამ... აქ არის ერთი „მაგრამ“, რომელიც კრიტიკული აქცენტების ზედმიწევნით ზუსტ აწონ-დაწონვას მოითხოვს. შესაძლოა გ. ბაქანიძე არ ცდებდა, როცა ამტკიცებს: „თუმცა დიდად განვითარდა და დიდადაც გვემამულებ, ქართული პროზა ჯერ ვერ აღის თანამედროვე რუსული პროზის საუკეთესო ნიმუშების დონემდე“.

დიად, შესაძლოა და არც არის გასაკვირი, თუ გავითვალისწინებთ, რა „საძირზე“, რა ფუნდამენტზე დგას ჩვენი დროის რუსული პროზა. რაც უნდა დიდი წარმოდგენისა ვიყოთ საკუთარ თავზე, მაინც ვერსად გავუქცევით იმ ფაქტს, რომ გასულ საუკუნეში ჩვენ არ გვეყოლიან პროზის ისეთი ტიტანები, როგორიც რუსებს ჰყავდათ — არც ტოლსტოი, არც დოსტოევსკი...

მართალია, ქართულმა შუასაუკუნეებმა ჩვენ დავიციოვს მალად პროზის სრულქმნილი ნიმუშები — „შუშანიკი“, „აბო“, „ხანძრედი“, — და ეს იმ დროს, როცა სხვა ამუშავდ და-



წინაურებულ ერებს საერთოდ არ ჰქონიათ საკუთარი ეროვნული პროზა — მაგრამ ეს ტრადიცია, სხვადასხვა მიზეზთა გამო, შემდეგმ განილია და მხოლოდ ახალი დროისთვის დეტალურად აღორძინების, მკვდრეთით აღდგომის ნიშნები.

საკვირველია არა ის, რომ ჩვენ ჩამოვრჩით, არამედ ის, რომ ნაწილობრივ მაინც შევძელით ავგენაზღაურებინა დანაკარგი და რომ სადღესით (თუნდაც „რამდენიმე“ ნაწარმოებში) მოწინავე ხაზზე გავდევართ.

სხვათაშორის ანალოგიური მდგომარეობა შეიქმნა დღეს სხვა ეროვნულ ლიტერატურებშიც. მაგალითად, გასულ საუკუნეში არც ესტონური პროზას ჰყოლია ტოლსტოისა და დოსტოევსკის ბადალი ოსტატები, უფრო მეტიც: კრიტიკული რეალიზმის სრულყოფილი ნიმუში აქ საერთოდ მეოცე საუკუნის 20-იან წლებში შეიქმნა (მხედველობაში მაქვს ტამსარტის რომანი-ეპოპეა „სიმართლე და სამართლიანობა“). მიუხედავად ამისა ესტონური პროზა ამჟამად საბჭოთა ლიტერატურის პირველხარისხოვან მონაწივერთა დონეზე დგას. ამას სხვათაშორის მოწმობების მიხედვით არ ვაცხადებ. კუუსბერგის, კრუსტენის, კროსის, შატი უნტის, ტუუთლოკის, და ბოლოს ვებენას შემოქმედება ისეთი ოსტატობით გამოირჩევა, ისეთ სიმდიდრეს წარმოადგენს დღესთვის, რაზეც ბერძენ დიდი და მრავალრიცხოვანი ერის მწერლობა არ იტყოდა უარს.

თანამედროვე ესტონური პროზა ბევრით არ ჰგავს ქართულს. ბევრი რამ ჩვენ მათგანაც შეგვიძლია ვისწავლოთ, შევითვისოთ (ცხადია, ის, რაც ჩვენს ბუნებას მიესადაგება), მაგრამ ქართულშიც არის ისეთი მოვლენები და მიღწევები — ისეთი რამ, რაც ამჟამად სხვაგან არ მოიპოვება.

როგორც ესტონური, ასევე (ერთგვარი დაგვიანებით) ქართული პროზაც დღეს თანდათან ექცევა საბჭოური კრიტიკის ცხოველი უურადღების რკალში და, უნდა ითქვას, სულ უკანასკნელ დროს ისეთი ხმებიც მოისმის, რომლებიც ადრე მხოლოდ სანატრლად გვქონდა.

ერთი სიტყვით: „კარგი რამ გქირადეს გაცივრდეს“...

შეიძლება იყოს სხვა საწინააღმდეგო აზრების აღწერაც, მაგრამ ჩემი რეგლამენტი უკვე იწურება, მე კი ჯერ ანექტის მთავარ კითხვებზე საკუთარი პასუხი არ გამოიტყობ.

ჩემი აზრით, ქართული პოეზია არ დასუსტებულა, მაგრამ გაძლიერდა!

პოეზია, რასაკვირველია, განაგრძობს განვითარებას, ახალ სიღრმეებს და სიმაღლეებს წვდება. ახალი იმედები მოიტანეს, კერძოდ, ჩვენმა ახალგაზრდა პოეტებმა. მაგრამ ეს განვითარება ჩვენში დღეს ძირითადად ევოლუციის გზით მიმდინარეობს. დღევანდელ ქართულ პროზაში კი ჩვენ მოწმენა გავხდით რამდენიმე თვისობრივი მნიშვნელობის ნახტომსა.

ჩემი დრმა რწმენით, ეს ნიშანდობლივი მოვლენა, ისტორიულად გამართებული, ჩვენი ეროვნული სულიერი, ინტელექტუალური მოთხოვნილებით გამარწვეული.

ასევე ღრმად მჯერა, რომ პროზის წარმატება ვერ დანიგრავს პოეზიას, პირიქით, ნელს შეუწყობს, შთაგონებს, ახალ გამარჯვებათა მიმართულებით წარმართავს.

რაც შეეხება რითმიანი ლექსისა და ვერ ლირის მომხრეთა დავას, აქ პირადად მე გოარტეხულ მდგომარეობაში ვარ. ვინაიდან ორი („ციცქისი“ წინა ნომრებში გამოქვეყნებული) წერილი შევალე ამ საკითხში გარკვევას, ამჯერად, რაც შეიძლება, მოკლედ ვიტყვი: უფოლი პირველთა ბანაკს ვეკუთვნის, გონებით კი არ შემოიღია მეორე ნაკადის მომძლავრება არ შევამჩნიო. (ალბათ ბესიკის ლექსზე გაზრდილი მკითხველებიც იგივეს განიცდიდნენ ბარათა-შვილისა და მისი პლედის პოეტების კითხვისას). ეს მომძლავრება, ჩემი აზრით, სიპკომატურია და ლიტერატურის განვითარების იმანენტურ კანონზომიერებას გამოხატავს (ამის შესახებ იხ. ნ. კაკაბაძის პასუხი). ეს გასლავთ ქართული პოეზიის ისტორიული რეალობა.

ისტორია კი, სამწუხაროდ, დამოუკიდებელია შემფასებელთა ნებისგან.

პასუხების ავტორთა რიგს დაგვიანებით შემოუერთდა გ. გაჩეჩილაძე.

დასმული საკითხი მან (მიხივე სიტყვით) „სხვა სიბრტყეზე“ გადაიტანა. მაგრამ მის ან-

დასდელ მსჯელობაში ნაწილობრივ მაინც იგრძნობა ადრე გამოთქმულ მოსაზრებათა კვალი. მხედველობაში მაქვს აღმანახ „კრიტიკაში“ რამდენიმე წლის წინ დაბეჭდილი წერილი „მდინარების საწინააღმდეგოდ“. ამ მრავალმხრივ საუურადღებო წერილში არის ორი დებულება, რომლებსაც უშუალო კავშირი აქვთ ჩვენი ანექტის შინაარსთან.

1. გ. გაჩეჩილაძე აღნიშნავს „მეტაფორისმის ნაკადის განელებას“ თანამედროვე პოეზიაში და „მოვლენის არისმიერი წვდომის ზრდას მეტაფორისმის სანაცვლოდ“.

აქ კრიტიკოსის მიერ კონსტატირებულია დიდად საგულისხმო ტენდენცია, რომელსაც გარკვეული თვალსაზრისით გლობალური მასშტაბები აქვს.

ჩემი უთანხმოება მასთან მხოლოდ იმით არის გამოწვეული, რომ ამ დებულებას აკლია აუცილებელი დაზუსტება. სახელობრ, არადერი არ არის ნათქვამი იმის თაობაზე, რომ ასეთი მიდრეკილება თავისი შინაარსით და მნიშვნელობით შეფარდებითია.



პოეზიას (საერთოდ ხელოვნებას) არ შეუძლია „მოკდენის არსისმიერი“ მნიშვნელობის წვდომა მეტაფორის გარეშე.

პოეზია და მეტაფორისში, როგორც ჩანს, ერთი და იგივე არ არის, მაგრამ მეორე პირველის სუბსტანციური თვისებაა. ამის გამო „მეტაფორისში ნაკადის განუღებავს“ თანამედროვე პოეზიაში (მეტ-ნაკლებად) მსოფლივ შეფარდებითი ხასიათი აქვს.

მართალია, ზოგჯერისთვის უცხო არ არის სხვა ხერხებიც; მაგალითად, საგანთა პლასტიკისა და მოძრაობის უშუალო გადმოცემა.

ეს პრინციპი საფუძვლად უდევს, კერძოდ, აღმოსავლური ლირიკის ისეთ ცნობილ სახეობას, როგორცაა უკანასკნელ დროს ქართულადაც თარგმნილი ტანკეტი.

„ქართულ ტანკად“ შეიძლება გამოგვეცხადებინა ტერენტი გრანელის ორი სტრიქონი:

ვაზაფხულის საღაშოა მშვიდი,
სიდან ხეზე გადაფრინდა ჩიტი.

აქ ერთი მოძრაობით მთელი ტილოა შევხებული.

პლასტიკა, როგორც პოეტურობის ნიშანი, არაიშვიათად გვხვდება ქართულ ხალხურ პოეზიაში.

აქად. შოთა ძიძიგურს ხევსურეთში ჩაწერილი აქვს ასეთი ლექსი:

ქალავ, ისეთი თეთრი ხარ,
როგორც საყდარში კირიო,
მაშაგონდები შვილაშით,
წამოგვადები და ვტირიო.

ვინ იტყვის, რა უფრო ძლიერია ამ ლექსში, პირველი ორი სტრიქონის შედარება, თუ უკანასკნელში ზუსტად, მეტაფორული გაფორმების გარეშე „აღნუსხული“ მოძრაობა? მეტაფორისში პოეზიაში ზოგჯერ კარგავს თავის მკაფიო იერს, ან შენიღბული ხასიათი წარმოგვიდგება.

ლ. სტურუას აქვს ერთი ლექსი, რომელიც ასე მთავრდება:

...თუ ჩემი სული დაბრუნდება ასი წლის შემდეგ,
ის ჩასახლდება
აქანაკლებულ და თბილ კურდღელში,
რომელიც ყვირის, როგორც კაცი,
როდესაც კლავენ.

აქ შედარების გარეგანი ნიშნები წაშლილია. მაგრამ აზრის ამგვარად გამოხატვა შეუძლებელი იქნებოდა, ამ სტრიქონების ავტორს რომ მძაფრი მეტაფორული აზროვნება არ ახასიათებდეს.

ალექსანდრე ბლოკმა რუსეთში და გალაკტიონმა საქართველოში ერთხანს უარყვეს მეტაფორა როგორც ხერხი. მეტაფორისში მათ აქციეს სამყაროს აღქმის არა ფორმალურ, არამედ რეალურ („მეცნიერულზე უფრო ზუსტ“) და ჭეშმარიტ ნაშუალებად. სხვათაშორის გალაკტიონ ტაბიძეს ამ მხრივ ქართულ პოეზიაში წინ უძღოდა ვაჟა ფშაველას მაგალითი, რომლის შემოქმედებაში ხატოვანი აზროვნება (კერძოდ, მხატვრული ანტროპომორფიზმი) არსებითად ვათავისუფლებულია პირობითობის, ალგორითიკობის ნიშნისგან.

მაგრამ ყოველივე ეს სინამდვილეში ნიშნავდა არა მეტაფორისის გაუქმებას, არამედ მის ახლებურ, ორიგინალურ ვაზარებას და სამივე ამ შემთხვევაში — უაღრესად გამდიდრებას.

მთავარი კი, რასაც შე დაზუსტების სახით შევიტანდი გ. გაჩეჩილაძის დებულებაში, ჩვენი პოეზიის დღევანდელ რეალობიდან გამომდინარეობს.

ქართველი პოეტების ახალი თაობა (მისი უნიკიტრები ნაწილი), რომელიც განვითარების რეალურ პერსპექტივას ხსნის ჩვენს პოეზიაში, არამც და არამც არ იძლევა რაიმე ნიშანს ამ დებულების სასარგებლოდ. პირიქით, ლექსის გარეგანი სამკაულების უარყოფა მათ შემოქმედებაში, ჩვეულებრივ, კომპენსირდება შინაგანი ფორმების, პირველ რიგში, სწორედ მეტაფორისის სიმდიდრით.

გ. გაჩეჩილაძის მეორე მოსაზრება ასეთია: „მიმდინარეობს ქართული კონვენციური ლექსის უკანასკნელ შესაძლებლობათა ამოწურვა და ინფლაცია. დგება ყოველ ენაში თვით საერთო სიტყვების მარაგისა და მისი ვარიანტების სკიოთხი“.

მე ვფიქრობ, რომ ასეთი მტკიცება მოკლებულია მყარ ობიექტურ საფუძველს.

ერ ერთი „რიითმის“ თანამედროვე გაგება იმდენად ფართოა (და ისე შეუწყვეტლად

ფართოვდება ჩვენს თვალწინ რომ შეიძლება ითქვას: სარიტმო სიტყვების მარაგი პრაქტიკულად ამოწურულია.

მეორე: ასეთ მტკიცებას ხელს არ უწყობს ისტორია, ლიტერატურის ისტორიის ცნობილი ფაქტები.

ქართულ პოეზიაში XIX საუკუნე (გრ. ორბელიანიდან და ბარათაშვილიდან მოკიდებული) საერთოდ ღარიბი რითმის საუკუნეა (ბესიკის საუკუნესთან შედარებით) ხოლო საუკუნის ბოლოს ქართული რითმა ისე დაძაბუნდა და გაერთიანდა ეპიგონების ხელში, რომ თითქმის უველაფერა მის გარდუვალ და სამუდამო აღსასრულზე მტკიცდება. სინამდვილეში ეს იყო რითმის ერთი ფორმის, ერთი ნაირსახეობის, ერთი კონცეფციის სიკვდილი.

და აი მაშინ, როდესაც ამ დიდმარხვამ უკიდურეს ანემიამდე მიიყვანა ქართული ტრადიციული ვერსიფიკაცია, მოხდა მორიგი ხასწაული. ჩვენი საუკუნის პოეტებმა, განსაკუთრებით კი გალაკტიონ ტაბიძემ და ცისფერყანწელებმა ქართულ პოეზიაში შემოიტანეს და დამკვიდრეს რითმის ახალი კონცეფცია. ეს იყო ქართული რითმის ნამდვილი აღორძინება, მისა „მეორედ მოსვლა“ და ამოთქოვა.

ეს იყო რითმის ახალი მარაგის აღმოჩენა იქ, იმ შრეებში, სადაც მას გასული საუკუნის პოეტები საერთოდ არ ეძებდნენ.

ეს ძიება დღესაც გრძელდება. ხოლო ხვალ შეიძლება სულ ახალი, უჩვეულო მიმართულებით წარმართოს.

მე ვფიქრობ, რომ ურითმო ლექსის მომძლავრება ქართულ ახალგაზრდულ პოეზიაში გამოწვეულია არა „სარიტმო სიტყვების მარაგის“ ამოწურვით. ამ მოვლენის მიზეზები სხვა მხარეხაა საძიებელი, სახელდობრ შემოქმედების ფსიქოლოგიის სფეროში.


ჩემი ღრმა რწმენით, ეს არც საქმის გაიოლების ცდით აიხსნება, რასაც ზოგჯერ შეფარვით ან დაუფარავად უკოტინებენ ჩვენს ახალგაზრდა პოეტებს.

ურითმო ლექსი (საერთოდ ვერლიბრს) ნამდვილ პოეტს კარნახობს არა სიღარიბე ან უმწიბობა, არამედ შენაარსი და საკუთარი ბუნება (რაც არსებითად ერთი და იგივეა ქეშმარიტ პოეზიაში).

მე წარმოდგენა არა მაქვს როგორი იქნება ქართული ვერსიფიკაციის ზეგინდელი დღემგარამ მის ხვალისდელ დღეს ამჭერად ისეთი ბუნების პოეტები ქმნიან, რომელთათვის (ჭერჭერობათ მაინც) თავისუფალი ლექსი თვითდამკვიდრების ყველაზე ორგანული, ყველაზე ბუნებრივი ფორმაა

ბურამ ასათიანი





ტარიელ ჭინტურიც

ურასკიდან გადოსული ბიჭი

ბარდბ იმისა, რომ „ციხურის“ სარდაქციო დავალებას ვასრულებ, სიამოვნებას მგვრის იმის გაფიქრება, რომ ცოტა მოგვიანებით, როცა გა მირწაშვილი დიდი მხატვარი იქნება, მე, უნდათ ეს ხელოვნებათმცოდნეებს თუ არა, მისი პირველი რეცენზენტი ვიქნები.

ამ ფიქრით ვუახლოვდები თხუთმეტი წლის მხატვრის ოჯახს.

თუმცა გა მირწაშვილის ოჯახის უფროსი — მხატვარი თენგიზ მირწაშვილია!

მათი დიდი და საერთო ოჯახის უფროსი კი — მხატვარი რევაზ მირწაშვილი!

მაგრამ თავდება კი ამით მხატვართა ოჯახის გენეალოგიური შტო?

პატარა ბიჭია გა მირწაშვილი, და ალბათ მასაც, ისევე როგორც მის თანატოლ პატარა ბიჭებს, უყვარს და ეხერხება ხეებზე ბლოტიანი, მაგრამ იგი ამოღ შეეცდებოდა ამ თავისი, მხატვართა გვარის, გენეალოგიურ ხეზე აცოცებას, ისე შორსაა ატყორცნილი მისი კენჭერო, ისე ღრმადაა ჩამარხული მისი ფესვი და ისეა გარდღივარდმო გაბრჯნილი მისი ტოტები! გა მირწაშვილი!

თენგიზ მირწაშვილი!
რევაზ მირწაშვილი!

იქით რა იყო ამის შემდეგ ვინ იყო!
იქნებ იმ ფრესკების უხადლო მხატვრები, რომელთა ასლების გადმოღებას და შექმნადლობის საიდუმლოში წვდომას მთელი თავი-

სი შემოქმედებითი ტალანტი მიუძღვნა გიას დიდებამ სოფიო მირწაშვილმა! რამდენი საათი გაუტარებია მას თავისი მოკრძალებული ფუნჯით ხელში ბეთანისა და ატენის, ჴემო კრიხისა და იფარის, ბუგეულისა და ყინცივის, გელათისა და მღვიმევის სახელგანთქმული ფრესკების წინაშე!

და ამიტომაც — გა მირწაშვილი ფრესკიდან გადოსული ბიჭია...

„გორგი საყაძე“, „ქაჯანა“, „ვედრება“, „ნატარის ხე“, „შერტილენი“, „ჩირიკი და ჩიკოტელი“... — აი, არასრული სია ფილმებისა, რომელთა დამდგმელი მხატვარი გიას პაპია!

და ამიტომაც — გა მირწაშვილი ეკრანიდან გადოსული ბიჭიცაა!

გიას დედა — არქიტექტორი მანანა თავაძე — მარტო ხუროთმოძღვრის უაღმით არაა ცნობილი. ხალხური აპლიკაციების ხელოვნებაზე ამოწარდილი მისი ტილოები თვალს იტაცებს ფერთა უცხო გამოთ, უბრალოებით, სინატიფით. ეს თევზები და ჩიტები, ეს ვარდები და ფერადი ბუშტები თითქო ბავშვობის სიწმრეში გაბრუნებენ, ბეზიას ნახელავ ნაქრების საბუნებს გაგონებენ, ათსფერად ამოქარგულ და ამოჩითულ პირსახოცებსა და ღარიბებს გახსენებენ.

და ამიტომაც — გა მირწაშვილი ულტრათანამედროვე სახალხეების ინტერიერებიდან გადოსული ლამაზი ბიჭიცაა!



დღი კომპოზიტორები გაიხსენეთ! მათი მუსიკის მამები! პაპები! პეპერები!

დღეს აღარავინ უარყოფს ამ გენეტეპურ კავშირებს, ამ მათესაურ ხედებს, და არც ვაიხმანს, მორგანსა და მენდელს აგინებს ვინმე გენისადმი მოჭარბებული ყურადღების გამო! მაგრამ ჩვენ ასე თემას გადავუხვევთ.

გია მირზაშვილი, ოფიციალურად, მესამე თაობის მხატვარია!

ინგლისში ჰემშაირტ ჯენტლმენად მესამე თაობის ჯენტლმენი ითვლებოდა.

თუ ამ თვალსაზრისს გავიზიარებთ, მხატვარიც გია მირზაშვილის მომავლის პერსპექტივა ნათელი და მიმზიდველია!

მაგრამ საქმე თა არის, რომ გია მირზაშვილზე და მის მომავალზე იმედთან ფიქრს აღგვიძრავს არა ინგლისური თვალსაზრისი ინტელიგენტობაზე, არამედ მისი მხატვრობა — მისი ფერი, ხანო, შუქი, ჩრდილი, კომპოზიციის ხელოვნება...

ღიან, ხელოვნება! გია მირზაშვილი ნამდვილი ხელოვანია, ნაღდი მხატვარი!

ამ აზრის არიან თენგივ მირზაშვილის მეგობრები! მაგრამ ხანტერესოა, რა აზრისაა თვითონ თენგივ მირზაშვილი!

— თენგივ, შენ უკეთესი მხატვარი ხარ თუ გია?

მე ვიცი, ამ კითხვას პასუხი მომავალმა უნდა გასცეს, და ხუმრობით მაინც ვაძლევ მას ჩემს მეგობარ მხატვარს.

— ჩემთან სად მოვა ეგ! — მასუსობს თენგივ მირზაშვილი: მას ხუმრობა არავისგან ესწავლება.

ვატუბო, გიან ნახატებისადმი მოგვრალ ჩემს აღტაცებასაც იზიარებს და ცნობილ სიბრძნესაც: „ის უჩინებია მამულთან...“

„რა მაღალია!“ — ვფიქრობ მე.

თითქო ფიქრს მიმიხვდაო, თენგივი ამბობს: — ჯერ ნაადრევია აქსელერაციის შედეგებზე ლაპარაკი, ჩემი სიმაღლე ძლივსაა!

მართალია, ჯერ მამაზე მაღალი არაა გია, მაგრამ იქნება!

ჯერ დედას ვერ გეჩივრება ალიკაციების ხელოვნებაში, მაგრამ მალე აჭობებს.

ჯერ დიდებას ვერ გაუტოლებო ქართული ფრესკის ცოდნაში, მაგრამ დრო მოვა, ტოლი არ ეყოლებო.

ჯერ კარგად არც კი იციან, რას ნიშნავს ფილმის მხატვრობა, მაგრამ სულ მალე პაპასაც უნან მოიტოვებს!

ჯერ ნაადრევია თენგივ მირზაშვილთან გატოლება, მაგრამ ცოტაც და — უკეთესი მხატვარი იქნება.

არა, ამას გია მირზაშვილი არ ფიქრობს! ამას მე ვფიქრობ და მჭერა, ჩემი ეს ფიქრი, თუკი ახდა, უსაზღვრო ხიხარულს მიანიჭებს გიანს დედასაც, მამასაც, ბებიასაც, პაპასაც: ის უჩინებია მამასა...

სოლო შეილება უსათუოდ უნდა აჯობებს მამებს!

ამიტომაც შეიქმნა მამების — მათ შორის თენგივ მირზაშვილის — ხელით შეიღობის ხელოვნების — ბავშვთა ხელოვნების მუზეუმი, თუ არ ვცდები, ერთადერთი მთელს საბჭოთა კავშირში!

გინახავთ თქვენ რუსუდან ფეტვიაშვილის ნახატები? ლევან ბურჯუაურის, ნინო ჩუბინაშვილის, ჯუმბერ ვაშაქიძის, ნინო ჭავჭავაძის ნამუშევრები? ან იმავე ეკა აბულაძის ფერწერა, „იცისკის“ ამ ნომერში რომ იბეჭდებოდა! სარედაქციო ფუნქციები ისე განაწილდა, რომ ეკა აბულაძეზე სხვა წერს, ეს საკითხი მე „არ მენებო!“ მაგრამ როგორ გინდა დუმილით აუარო გვერდი ამ უნიჭიერეს გოგონას ხელიდან და გაულოდან უსიფიქროს სიღამასეს!

არა, შეილება ნამდვილად აჯობებენ მამებს! ამის საბუთია გიანს დის, 13 წლის ნატო მირზაშვილის ნახატები, გამოფენილი იმავე მუზეუმში!

არა, გია მირზაშვილი ბავშვი აღარაა უკვე! იგი დასრულებული მხატვარია, თანაც წლის საშუალო სკოლას ამთავრებს და სამხატვრო აკადემიაში ფერწერის ფაკულტეტზე შესასვლელად ემზადება. მაგრამ ბავშვობაშიაც სხვა ნაირი ბავშვი იყო იგი. მას, თანატოლებისაგან განსხვავებით, არასდროს უხატია ბოროლები და ჭკები, ღრუბლებზე ჩამოკიდებული იალქნაინი კარავლები, ნაძვისხეები, შიღან მოდენილი სხივები და მთვარისკენ მიმქროლავი რაკეტები. მისი ფუნჯი ურბანისტი მხატვრის ფუნჯია. მთაწმინდიდან დანახული სახურავების ნაცნობი ფერი მის სურათებზე გამდიდრებულია იმ სიციცხალითა და ბუნებრიობით, რომლითაც მხოლოდ ბავშვს შეუძლია თავი მოიწონოს. მაგრამ მის ურბანისმს აკლია ეკოლოგიური პრობლემებით გულდამიმჩებული კაცის ბრაზი და სევდა. ესაა ქალაქით გახარებული მხატვარი, ესაა მინისა და რკინის სამეფოს ქება, რომელიც ბავშვური უშუალოობით გზილავთ და გადამდებია, როგორც პატარების გულწებინი სიცილი. იგი გაყვარებთ ქალაქს, და ისეთი რაკურსებიდან ვიჩვენებთ მის ათასგვარ შევენებას, რომ პირდაპირ მოგენატრებათ ქუჩაში გავდა და კიდევ ერთხელ თვალის შევლება იმისათვის, რაც ასე გიმჩნებდათ გულს წელან, გაღივიანებდათ, გაფიქრებდათ. გია მირზაშვილის ქალაქი გაწმენდილია სმოგისაგან, და მისი უსამგისფერო ხაწვიმარებიდან მოჩხრიალებს ღმერთებთან ნამყოფი ღრუბლების ცვარი, მის ქუჩებშია დღიან ღამისა გოგობიკები, ერთმანეთზე შეყვარებული ქალვალები, მის გზაჯვარედინებზე ყიდიან მინდვრის უნაზეს ყვავილებებს, და თუ ზოგიერთ ხუროთზე მაღალხართულიანი ხახლების ფანჯრები მქიღროდ დაგმანულია, ამდენი სიღამაზის მხი-

ლველი თვალი იმ ფანჯრებს იქითაც ხილამა-
ზეს ვარაუდობს.

ასეთი გია მირწაშვილი ვიცოდი მე — დიდი
ქალაქების მომღერალი ბიჭი!

მას მერე, რაც იგი უკანასკნელად ვნახე, გაა
საოცრადაა გაზრდილი და შეცვლილი — ამა-
ღლებული, გალამაზებული, დაქკვიანებული.
თუ აღრე იგი ცდილობდა, ფუნჯის ერთი მოხ-
მით მთელი ქვეყნიერება დაეხატა — უდიდესი
ქალაქები თავისი ყველა გამწირითა და მოედ-
ნით, ახლა იგი უბრალო ნატურმორტიტ ცდი-
ლობს მთელი ქვეყნის წარმოსახვას, პატარა
საგანში აპირებს უკიდვანო ხამყაროს ჩატე-
ვას. მისი ნატურმორტები — ქიქა და ხინი,
დოქი და ვაშლები, ფილი და ჭამი, ბროწეული
და მუშაშა — საგნები და ნივთები კი არ არის
მარტო, არამედ ხელჩადგმული არსებები,
ურომლისოდ ცხოვრებასაც არც აზრი ექნებო-
და და, მით უმეტეს, არც ხილამაზე.

მკითხველისთვის იქნებ ინტერესმოკლებული
არ იყოს ნაწყვეტი ჩემი და გიას დიალოგიდან:

— გია, რომელი მხატვრები გიყვარს ყველა-
ზე მეტად?

— მაწაჩო, ვან დერ ვეიდენი, იან ვან ეიკი,
პიერო დელა ფრანჩესკა, ფიროსმანი.

— კი მაგრამ, მიქელანჯელო? რემბრანდტი?
ელ გრეკო? გოია?

— იცით, მე ისინი ჩამოვთვალე, ვინც ყვე-
ლაზე მეტად მიყვარს! თქვენ ხომ ეს მკითხეთ?

— იმპრესიონისტები? იმპრესიონისტები არ
გიყვარს?

— არა, არ მიყვარს.
— შენი მიწანი!

— ვისწავლო რაც შეიძლება კარგად ხატვა.

— ხომ ვერ დამისახელებდი, გია, ორ მხატ-
ვარს თენგიზ მირწაშვილის თაობიდან, რომ-

ლებიც სხვებზე უფრო მოგწონს?

— მაინცა და მაინც ორს?
— მო, ორს!

— ზურაბ ნიჟარაძე!
— ეს ერთი. მეორე?


— მაპატიეთ, მირწაშვილი რომ დავახე-
ლო, უხერხული იქნება?

— რატომ იქნება უხერხული?

— რა ვიცი, რაკი მამა! მამინ — თენგიზ
მირწაშვილი!

ორივეს გაგვეცინა.
გამეხარდა: ფრესკიდან გადმოხულ ბიჭ

უყვარს ფრესკა!..





გოგონა, როგორც სილაგაზს პეპს

ამ გოგონას ნამუშევრები, ერთი შეხედვით, თითქოს არც გამოირჩევა სხვა ბავშვთა ნახატებიდან, მათივე კუთვნილი ხელოვნების მუწეუმი კედლებზე ასე უხვად რომ არის გამოფენილი: ისეთივე უშუალოა ცხოვრების შთაბეჭდილებათა გადმოცემისას, ფერითა და ხაზით ხასიათის აღქმისა და აღბეჭდვის უნარი, შეუბოროკავი სილადე სახვით საშუალებათა მომარჯვებისას... მაგრამ მოზარდ მხატვრებს ერთიმეორისაგან მინც გამოარჩევს ის, რასაც, ჩვეულებრივ, საკუთარს, სუბიექტურს, ინდივიდუალურს ვუწოდებთ ხოლმე და რაც არა მხოლოდ მხატვრული ინტერესების, მისწრაფებების განსაკუთრებულობით მუდავნდება, არამედ სახვით ენაზე სათქმელის გამოხატვის თავისებურებითაც.

მათ ნახელებს, ცოტად თუ ბევრად, განსხვავებს სამყაროს მოვლენების „სუბიექტური“ აღქმა: ის, რაც ერთს აინტერესებს, აღემატება და იწილავს, მეორის თვალთახედვის მიღმა რჩება. კანონზომიერია — ადამიანური, ინდივიდუალური-პიროვნული შემოქმედებითი ფენომენი აღრეულ ასაკშივე ვლინდება. თუმცა, რა თქმა უნდა, ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს მის სწორხაზოვან განვითარებას.

სწორედ ეს სუბიექტურობა, გულწრფელობა და უშუალოა განსაზღვრავს ნორჩი მხატვრების შემოქმედებითი ინტერესების, გამოხატვის ენის მრავალფეროვნებას; გულწრფელობა — ასე ნიშანდობლივი ბავშვისთვის — საფუძველია საერთოდ ჰემშარტი ხელოვნებისა.

ცამეტი წლის ეკა აბულაძე ერთ-ერთი იმ „ავტორთაგანია“, ვისი „პერსონალური“ გამოფენა ბავშვთა სურათების გალერეაში ყველასათვის, — დიდებისთვის თუ პატარებისთვის, უჩვეულოდ საინტერესო და მიმზიდველ ხანა ხაზობად იქცა. მრავალ და მრავალ ნორჩ მხატვართა ნახელებს შორის, ასე რომ გვხვბლავენ სინამდვილის წარმოსახვის სიცოცხელით და გადაშლები ემოციურობით, გალერეაში დროაღარო გავეცნობით ხოლმე „ერთი მხატვრის“ „მრავალწლიან“ შემოქმედებასაც. ვინც ექსპონატებით დახუნძლულ ამ გულღია და ნათელი გალერეის დარბაზებს სწევია, არ შეიძლება არ დახსომებოდა მთელი

„ბუნადა“ მხატვრობაში აღრეული ასაკიდანვე გაწაფული საბავშვობადელებსა თუ მოსწავდელებს; არ დახსომებოდა მათი ლალი, გაბედულად მოქნილი ფუნჯით წარმოსახული ცხოვრების სურათები, ზოგჯერ პროფესიონალის ოსტატობას გატოლებული, უბრალო ფანქრით შესრულებული ნახატები... სხვადასხვაგვარად მოაზროვნე და სხვადასხვა შემოქმედებითი მიდრეკილებების მოზარდთა ეს უაღრესად წრფელი და მართალი ხელოვნება ახალი სამყაროს აღმოჩენის სიხარულს გვიზიარებს ხოლმე.

ამგვარი განცდა ბევრჯერ გამოგვევა ამ გალერეის სტუმრებს. განა შეიძლება არ დაგვესომებოდა ნინო ჭავჭავაძე თუ გია მირზაშვილი, რუსუდან ფეტიაშვილი თუ ნიკო ჩოჩელი, გია ცინცაძე, ნინო და ლევან ლონდარიძეები... ახლაც, ეკა აბულაძის ნამუშევართა გვერდით გამოფენილია მისი მსოკოეული „კოლფის“ კატა ზაღებთაგან ნახატები. ამ 11 წლის გოგონას შემოქმედება ერთხელ კიდევ მოწმობს, თუ რა სხვადასხვა მხატვრული სამყარო იჩენს თავს ბავშვებში. კატა გამოცდილი ბატალისტის გაწაფულობით გამოსახავს გაქენებულ ბეღაურებს; მოძრაობაში, როდულ რაკურსებში აღბეჭდავს ცხოველებს, მხეცებს. საერთოდ, ცხოველთა სამყარო მისი სიყვარული და გატაცებაა და მთელი ეს ვრცელი პერსონალური გამოფენა ამ სამყაროს ეძღვნება.

ეკა აბულაძესაც სულ პატარას დაუჭერია ხელში ფანქარი და ფუნჯი, მაგრამ, უბრალოდ, თავშესაქცევად როდი მოუმარჯვებია. გოგონას პირველივე ნახატებში ჩანს, რომ მას სურს მეტი ათქმევინოს საკუთარ ნახელებს, ვიდრე ფანქრით თუ საღებავებით ვარჯიში ან გართობაა. ხუთი წლის ეკა უკვე ისწრაფვის გამოხატოს არა მხოლოდ საერთოდ ადამიანი, არამედ კონკრეტული ადამიანი, მისი მახლობელი, საყვარელი ქალი. ასე „გადმოღის“ პატარა გოგონას ნახატებზე ელიენე ახვლიდიანის ფიგურა, მისთვის დამახასიათებელი პროპორციებით, ჩაცმულობით, საერთო იერით, ატრახტებით, იქნება ეს ხელჩანთა თუ უკავილეების თაიგული. პატარა მხატვარი ისე გრძნობს ამ ქალის ფიგურას სიმამლეს და ისე სურს



ხაზი გაუსვას მას, რომ როცა ქალაქის სი-
გრიდ აღარ ყოფნის, ფეხებს მიანდ არ ამო-
კლებს, სურათსგარეთ ტრავებს ნაწილს. სამ-
ჭერ შუახს დახატული გოგონას ელენე და არც
ერთხელ იგი ქალაქის ფორმატს არ ემორ-
ჩილება. ექვსი წლის ეკა გატაცებით ხატავს
ფედის პორტრეტსაც, არჩევს მისი სახის ნაწ-
ურებს, გადმოსცემს თმის ვარცხნილობის
თავისებურებას...

გამოფენაზე შეიძლება თვალი გავადევნოთ
როგორ იზრდება ბავშვში მხატვარი, დავაკვი-
რდეთ „ეტაპებსა“ და საფეხურებს. ყველა ეს
ეტაპი თავისებურად საინტერესოა სინამდვი-
ლის აღქმისა და აღბეჭდვის თვალსაზრისით
და რაც განსაკუთრებით თვალნათლივია ამ
ეკოლოგიაში — ეს არის შემოქმედებითი ხე-
დვის გამდიდრება, აღტაცება ღამაზი ფერე-
ბითა და ხაზებით, მათი ურთიერთმეზობლობის
ეფექტებით. ეკას ბოლოდროინდელი ნამუშევ-
რები ამის ნათელი დანახატურებაა. ნახატები
ნახატში ახალ-ახალი ვარაუდებით გადაღის ეს
აღტაცება და ტკბობა ფერთა მშვენიერებით,
ხაზის, კონტურის მოძრაობით. ალბათ ამი-
ტომაც, ნორჩ მხატვარს ასე უყვარს ორნამენ-
ტული მოტივები, ყვავილები, იტაცებს ნაქარ-
გობის მრავალფეროვნება (სეკონდა ყვავილე-
ბით“, „დელოფალი ოცნებებში“, „ელენე ხა-
ლიჩის ფონზე“). კომპოზიციიდან კომპოზიცი-
აში, იქნება ეს პორტრეტი თუ რაიმე მოვლენ-
ის ამსახველი მრავალფეროვანი სურათი,
ეკა პოულობს საბაზს ფერთა ამ ღამაზი ურ-
თიერთობებში გამოსახატავად. ისიც შეიშ-
ინევა, რომ ეს ურთიერთობებში მის ნახატე-
ბში შემთხვევით თავმოყრილი საღებავები
როლია, არამედ მოქმენილი, ინტუიციით მიგ-
ნებული, საერთო გამის, საერთო შარმონის
ლეკილიან გამოქმენიარა. სწორედ შარმო-
ნიის, კოლორისტული მთლიანობის მხრივ გა-
ნსაკუთრებით გამოირჩევა რამდენიმე ნამუშე-
ვარი („ომის დამთავრება“, „ქრისტე და თორ-
მეტი მოციქული“). პირდაპირ გავაოცებთ
გოგონას გულმოდგინებას, ის, თუ როგორი
სიყვარულით უსადავებს იგი ფერადიან ლა-
ქებს ერთმანეთს, ხან ფართოს, ხანაც ნაირნა-
ირ გეომეტრიულ და ორნამენტულ სახეებად
დაუოფილს. იმისათვის, რომ ამ პატარა, უწყ-
ვილეს სახეებს თითოეულს მიანიჭოს დამოუ-
კიდებელი ძალა, იგი შავი ხაზით შემოუფილს
ირგვლივ. რა თქმაზეც არ უნდა ხატავდეს, ყვე-
ლგან პოულობს ხერხს ფერწერულ-გრაფიკუ-
ლი სილამაზის გადმოსაცემად, განსაკუთრე-
ბით უყვარს ადამიანთა სამოსის მორთვა-მო-
კაშვია, ამოქარგვა ნაირნაირი აურთული თუ
გეომეტრიული სახეებით. საამისოდ მიიღობ
მასალას აწვდის მას სცენა საოპერო სპექ-
ტაკლიდან. „იდიდა“. ოპერის სამი მთავარი პერ-
სონაჟის უჩვეულოდ კოლორიტული სამოსი, ტი-

შავი, სცენური გარემო, გოგონას ლეტაქების
ფაქირი დამუშავებით აქვს გადმოცემული. ზღა-
პრული სამყარო, მოცეკვავეები, მწეოთნისხავე
ქალები, გოგონები... ეკა აბულაშე ყველა მათ-
განში ეძებს სილამაზის წყაროს, ამკობს მათ ლა-
მაზი კაბებით, სამკაულებით... („ესპანელი მო-
ცეკვავე“, „ვარიეტეს მსახიობი“, „საფრანგე-
თის დედოფლის მსახიობი“, „ხევისგანის მწეოთნისხავე“
და სხვ.), ამათთან, როლი უყვარს განმეორება-
ყოველ ნახატში რაღაც ახლებურ ფერმეტ-
ყველებას ეძებს, ახლებურ ორნამენტაციას...

ეკა კარგად გრძნობს კომპოზიციას, რატმ
ამაზე მეტყველებს მისი ადრინდელი ნახატე-
ბები (პეტეინის ქუჩის გაღმასვლედი“, „ოთა-
ხები“, „სახლი და ორი გოგო“ და სხვ.). ცხო-
ვრებისეული დავირვებები, უხვი შთაბეჭდი-
ლებები, ფანტაზია, გონებაშახვილობა და
ერთგვარი იუმორიცი კი გამოსჭევივის რიც ნახა-
ტებში („მოდა“, „ლოთი მეკობრე“, „სახა-
ლის ცხოვრება“ და სხვ.).

ცის კაბადონზე ნარინჯისფრად აბრდვიაღე-
ბული მწე კაშკაშა, ოქროსფერ-ალისფრებით
ღებავს ძველი თბილისის მიღამოებს. საოც-
რად ღამაზი სასახაბაა, ამავე დროს ყოვე-
ლგვარ სიჭრეტეს მოკლებული ინტუიციო ფე-
რთა ურთიერთობის შერჩევისას ეკას ენაბრე-
ბა აცდეს სიჭრეტეს, მთლიანობაში მოიყვაროს
ნახატის გამა, რარიგ არ სჭირდებოდეს
ქა-იქ აქცენტების გაკეთება. ეს ერთგვარი
ფერთი მთლიანობა ახასიათებს გოგონას სხვა
ფერწერულ ტილოებსაც („სამართი ბაქურა-
ნი“, „სხვებცხოველი“ და სხვ.).

მაგრამ როგორც არ უნდა ხიბლავდეს ეკას
ფერთა სამყარო, იგი აზრს და სილამაზეს მა-
ტრო ფერადებში როლი ხედავს. გამოფენაზე
გოგონამ წარმოადგინა ერთ ტონალობაში შეს-
რულებული კომპოზიციებიც („ციცფერი ქალის
პორტრეტი“, „მოსხერი ქალები“), შავი და
ყავისფერი სანგინით განხორციელებული „ხე-
ვლიანი გოგო“, „ელენეს პორტრეტი“, რომ-
ლებშიც ჩანს დაინტერესება პორტრეტული
ამოცანებით, თავისი მოდლების გარეგნობის
თავისებურებებისა და განწყობილების გად-
მოცემით. ეკა მარჯვედ ფლობს ჩვეულებრივ
ფანქარსაც. რთული მოძრაობები და პოზა და-
მაჯერებლადაა აღბეჭდილი ფიგურული სრია-
ლის ოსტატებისადმი მიძღვნილ ნახატებში.
ფანქარი შესრულებულ ძველი თბილისის პე-
იზაჟურ ხედვებში კი ჩანს გოგონას სიყვარული
ხაზების ხვეულებისა და რიტმებისადმი.

ბავშვთა სურათების გაღერაში კიდევ ერ-
თი მიწვიდევი ექსპოზიცია გაიმართა. ძნე-
ლია წინასწარმეტყველება, როგორ წარმარ-
თება გოგონას შემდგომი გზა მხატვრობაში.
იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ გადრმავდება
ყველა ის კარგი მონაცემი, უკვე ასე მკაფიოდ
რომ ჩანს ეკა აბულაშის ნამუშევრებში.



„ლონ კიხოვის“ მეთერთმევა ექვანიუასია

„ჩემი სიცოცხლე ამ ლექსს თან ახლავს“

ტ. ტაბიძე

ბსმ „ბსლავს“ ხელოვანის სიცოცხლე, ნიქა და ენერჯია ყველაფერს, რასაც იგი ქმნის — ლექსი იქნება ეს, ნახატი თუ ქანდაკება. უთუოდ ამასვე უნდა გულისხმობდეს გამსახურდიასეული არსაკიძის სიტყვები: „ხელოვნება გულის სისხლს მოითხოვს საფასოდ, თუ მთელი ჯანი არ შეაღია ამ სახტეკ კერპს, არაფერი გამოვივა ხელიდან“. მაგრამ განსაკუთრებით ეს მაინც ჩვენს დარგზე ითქმის — შემოქმედებითი შთაგონების რეალური განსხეულება ყველაზე მეტად, ალბათ, სწორედ კინემატოგრაფში მოითხოვს სულიერი და ფიზიკური ძალების საოცრად მოქმანცველ მართონს, მით უმეტეს, როცა შედისეირიან მხატვრულ ფილმს იწყებ და ისიც უკვდავი „ლონ კიხოვის“ თემაზე.

მე იმ მილიონთა არმიას ვეკუთვნი, რომელთაც თავიანთ ერთ-ერთ უპირველეს და უსაყვარლეს წიგნად „ლონ კიხოვი“ მიაჩნიათ. ალბათ არც იმით ვიქნები ორიგინალური, თუ ვიტყვი, რომ ბავშვობისას ბევრჯერ მიოცნებია ამ დიდებულ რომანზე. ბავშვობა კი არა, უკვე რამდენიმე ფილმის ავტორი ვიყავი, როცა 1957 წელს ქართულ ენაზე გამოვიდა ჩვენი ძვირფასი ნიკო აგიაშვილის წიგნი „სერვანტისი“ და ვერ წარმოიდგენთ, რა ინტერესით ჩავიკითხებოლომდე, რა ნეტარებით მახარა ეშპრვილკაცური ოცნებების დაუვიწყარ დღეებს.

«Дон-Кихот» — вот это книга! აღფრთოვანებით წერდა მაიაკოვსკი და შეუძლებელია ეს აღფრთოვანება არ ვაიზიარო, რა ეროვნებასა და ასაკსაც უნდა ეკუთვნოდე. თავი და თავი ამ ალტაცებისა ის, შეიძლება ითქვას, წრეგადასული კეთილშობილება, რომლითაც სულდგმულობს და გაცისკროვნებულია საგმირო საქმეთა გამო განუყრელ როსინანტზე დღენიადაგ ამხედრებული მწუხარე სახის რა-

ინდი ღონ კიხოვი. სერვანტისს ღრმად სწამს, რომ ადამიანის ჭეშმარიტი ღირსება მისი წარმოშობის წარჩინებულება კი არ არის, არამედ მისწრაფებათა და საქმეთა კეთილშობილება. ამიტომაც ასე არიგებს მისი მთავარი გმირი ერთგული სანჩო პანსას:

— „ნუ გრცხვნიია, იმის გამხელა, რომ წარმოშობით გლეხი ხარ... ადამიანი სისხლს მემკვიდრეობით იღებს, სათნობა კი უნდა მოიხვეჭოს ადამიანმა და იგი გაცილებით უფრო ძვირფასია, ვიდრე სისხლი...“

რა უნდა იყოს უფრო მეტი კეთილშობილება, ვიდრე მარადიული მოწოდება სიკეთისა და ხათნობისაკენ. ეს არის „ლონ კიხოვის“ ძირითადი აზრი, სწორედ ამითაა იგი ასე თანამედროვე და საინტერესო დღესაც და ჩვენი მომავალი ფილმიც ამაზე უნდა იყოს, ადამიანის მისწრაფებათა და საქმეთა კეთილშობილებაზე.

„ლონ კიხოვს“, როგორც ლიტერატურულ ნაწარმოებს, ზღაბრული წარმატება ხვდა წილად. როგორც ცნობილია, ჩვენი საუკუნის დამდგამდე ესპანეთში 400-ჯერ გამოიცა, ინგლისურად — 200-ჯერ, ფრანგულად — 170-ჯერ, რუსმა მკითხველმა იგი პირველად 1769 წელს მიიღო, ქართულმა კი — 1869 წელს. დოსტოვესკის სიტყვით რომ ვთქვათ, კაცობრიობას მართლაც შეუძლია იაშაყოს იმით, რომ შექმნა „ლონ კიხოვი“. ამდენად, ბუნებრივად გვეჩვენება ის გარემოება, რომ მას იმთავითვე დეხარბა ხელოვნების თითქმის ყველა დარგი. ასე რომ, როცა ქვეყნად ახალი მუზა — კინემატოგრაფი გაჩნდა (1895 წელი), ხელოვნების სხვა დარგებს „ლონ კიხოვის“ თემის ინტერპრეტაციის საქმოდ გამოცდილება ჰქონდათ. პოპულარულ თემებსა და სიუჟეტებს დახარბებულმა კინემატოგრაფმა, რომელიც თავისი მოქალაქე-



ობრვი უფლებებისაკენ ისწრაფვოდა, ცხადია, დაუყოვნებლივ მოისურვა ამ დანაკლისის ანაზღაურება და ჭერ კიდეც მანამ, სანამ ნამდვილ ხელოვნებად იქცეოდა, კერძოდ, 1902-1912 წლებში სამჭერ (საფარანგეთსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში) გადაიტანა სერვანტისხს რომანი ეკრანზე.

მას შემდეგ კი, რაც კინო მხატვრული სუროგატიდან ნამდვილ, დამოუკიდებელ ხელოვნებად იქცა, ცხადია, კიდეც უფრო გაიზარდა ინტერესი „დონ კიხოტის“ მიმართ. პირველი მნიშვნელოვანი ფილმი დანიაში გადაიღეს 1928 წელს. რუსისორი გახლდათ ლაუ ლაურიტიანი-მამა, რომელიც ფართო მაყურებლისთვის იმითაა ცნობილი, რომ სწორედ მან შექმნა პოპულარული კომედიური დუეტი — პატი და პატაშინი (კ. შენსტრომი და ზ. მადენი), რომლებიც ფილმში მთავარ როლებს ასრულებდნენ. 1933 წელს გ. პაბსტმა, რომელიც ნაცისტებს გაეცა გერმანიიდან, საფრანგეთში თ. შალიაპინის მონაწილეობით გადაიღო ფილმი-ოპერა „დონ კიხოტი“, 1937 წელს არგენტინაში შეიქმნა ფილმი ლუის სანდრინის მონაწილეობით, 1947 წელს — სერვანტისის სამშობლოში, 1957 წელს კი გრ. კოზინცევიმა აამეტყველა ეკრანზე „დონ კიხოტი“ ნ. ჩერკასოვის მონაწილეობით. ახლახან ესპანეთში კიდეც ორი ფილმი გადაიღეს, მაგრამ საუკეთესო მანკი გრ. კოზინცევის ფილმია, თუმცა მას, ჩემი აზრით, იუმორი აკლია, ურომლისოდაც ვერც წარმომიდგენია „დონ კიხოტის“ ეკრანისეული სიცოცხლე... ასე რომ, ჩვენი ფილმი „დონ კიხოტის“ რიგით მეოთხეტეც ეკრანისაცა იქნება საერთოდ.

მომავალი ფილმის სცენარის ავტორი ჩემთან ერთად არის ცნობილი ლიტერატორი ვიქტორ შკლოვსკი. რატომ მაინც და მაინც ქართული კინოს წარმომადგენელ მიენლო ამ ფილმის რეჟისორობა? როცა ასეთი კითხვა დავვისვეს მოსკოვში გაზეთ „ლიტერატურნაია გაზეტას“ რედაქციაში, ვიქტორ შკლოვსკიმ უპასუხა:

„თანამედროვე ქართული საბჭოთა კინო, მისი ხასიათი, ძირითადი ტენდენციები იმის უტყუარ გარანტიას იძლევა, რომ ეკრანზე ღირსეულად გადავიტანო სერვანტისის შინაარსით ეს უღრესად ფილოსოფიური, მაგრამ ფორმით კომედიური რომანი. ქართული ხაღდგერძელო არა მხოლოდ რომანტიკულია, არამედ ზოგჯერ რამდენადმე ირონიულიც, იუმორით სავსე და ჩვენც კონტრასტული ფერების ამ საოცარ შერწყმის იშვიათ უნარში, რომლითაც ასე გაოჩნჩევა ქართველი კაცი, ვეძიებთ მომავალი გამარჯვების საწინდარს. ეს რომ სწორი გადაწყვეტილებაა, იქიდანაც ჩანს, რომ რვეა ჩხეიძის ცნობილი გმირი — მახარაშვილიც თავისებური დონ კიხოტია თავისი მხურვალე, სამართლიანობისათვის ანთებული ზულითა და

ცხოვრებასა და ომზე ჭერ კიდეც მიამიტურად გულბრწყვილო წარმოდგენებით“...

ჩვენი დროის ერთ-ერთი უდიდესი და უზუცვიო ლიტერატურათმცოდნის ვიქტორ შკლოვსკის ასეთი შეფასება, მართალი გითხრობ, პირადად მე აღვივიცი, როგორც პირდაპირი მინიშნება იმ უდიდეს პასუხისმგებლობაზე, რომლის წინაშე დადგომა შეიძლება მხოლოდ ერთხელ გზედეს ხელოვანს წილად. ეს კი სწორედ ის დროა, კონსტანტინე გამსახურდიას ზემოხსენებული სიტყვები რომ გავიუმოროთ, როცა ხელოვნება გულის სისხლს ითხოვს და შენც უნდა გაიღო ეს სისხლი, თორემ ამაოდ დაშვრები და საყუთარი თავის რწმენასაც დაკარგავ.

რაც ფეხი დავდგი ესპანეთის მიწაზე და დონ კიხოტის წაკვალეც დავადექი, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, თანდათან მეჭრებოდა ეს შემოქმედებითი თრთოლვა თუ შიში, რადგან შეუძლებელია არ დავაფიქროს იმ პოპულარობის, ასე ვთქვათ, მასშტაბებმა, რითაც სერვანტისის გმირები სარგებლობენ ესპანეთში. აქ მთელი მარშრუტებია სათანადო ნიშნებით აღნიშნული, სიმართლისა და სიყუთისთვის მკლავგმოდელ რაინდ დონ კიხოტსა და მის უერთგულეს მეაზჯრეს სანჩო პანსას რომ გაუვლია. ეს ყველაფერი კი ისეთი ღრმა რწმენითა და პედანტობამდე მისული თავყვანისცემითაა გაკეთებული, რომ ენა როგორ მოგობრუნდება, თუნდაც ზუმრობით უთხარა ვინმეს, ბოლოს და ბოლოს, დონ კიხოტი ზომ ლიტერატურული, ე. ი. გამოვლილი გმირიათქო. არა, ამის თქმა ყოველდ წარმოუდგენელია, მართლაც თუ დონ კიხოტი არა ხარ. არც ერთი ნამდვილი, რვა-ღურად არსებული სახალხო გმირი არ სარგებლობს ალბათ რომელიმე ქვეყანაში ისეთი საყოველთაო სიყვარულითა და პატივისცემით, როგორც სერვანტისის გენიით შექმნილი გმირი — დონ კიხოტი ესპანეთში. ერთი სიტყვით, ეს არის — არც მეტი, არც ნაკლები — ნამდვილი კულტი.

სერვანტისის სამყარო, რა თქმა უნდა, მადრიდიდან იწყება, სადაც დგას უდიდესი ესპანელი მწერლის 1835 წელს აღმართული უზარმაზარი მონუმენტი წარწერით: „მიიგულ დე სერვანტესს, ესპანეთის პოეტთა მეფეს“, წინ კი როსინანტზე რაინდულად ამხედრებული დონ კიხოტისა და სახედარზე საცოდავად დაამჯდარი სანჩო პანსას ფიგურებია. აქედან მიიღის სერვანტისის სახელობის ქუჩა, რომელიც თითქმის მთარახივით გადაუქიმიანთ ესპანეთის მიწაზე და რომლის გავლითაც (სულ მძი კილომეტრია) შედიხართ დამანჩაში და, კერძოდ, სერვანტისის მშობლიურ ქალაქ ალკალაში. აქ კი, ყველა და ყველაფერი ზომ მართლაც „დონ

რემო ჩხეიძე
„დონ კიხოტის“ მემთარბომებტ პარანოზაცია

კიხოტი“ სუნთქავს. ლამინჩელები დაგაფა-
ლიერებინებენ არა მარტო იმ ფუნდუსს, სადაც
რანდად ეკურთხა ღონ კიხოტი ან ციხე კუევა
დე მედრანოს, სადაც დილიგენი ჩააგდეს მრ-
ვალიკრავარამაგოვილი, აფრიკაში მონად გა-
ყდილი, იმში ცალხელდაკარგული, მშვიერ-
მწყურვალე სერვანტისი, არამედ სიამაყითა და
საოცარი რწმენით გაჩვენებენ მემორიალურ
დაფას, რომელზედაც წერია, რომ ღონ კიხოტ-
მა, სწორად აქ მიმართა ხანჩოს თავისი ცნობი-
ლი სიტყვები: „სიჩუმე, ხანჩო, სიჩუმე“, გიფ-
ლით ცოტას და გვხვდება ახალი დაფა: „ხან-
ჩო მოქვეც უდიდესი პატივისცემით...“ — ეს
იმას ნიშნავს, რომ აქ დულსინენას სახლია და
საჩოც შესაფერისი პატივისცემით უნდა გა-
ნიმსჭვალოს ღონ კიხოტის ფიქრთა მპყრობე-
ლის მიმართ.

ეს ორიოდ შტრახი იმითმე გავიხსენე, რომ
თვალნათლივ წარმომდგინა სერვანტისისა და
მისი გმირების პოპულარობის ის მასშტაბურობა,
წემოთ რომ მოგახსენეთ. ამასთან ჩემს პირად
დამოკიდებულებაზეც მიმენიშნებინა, რადგან
ყოველივე აქ ნახულმა შეძრა ჩემი სული და
ნამდვილი შემოქმედებითა იმასულის მომეცა.
მართალია, ახეამად ჩვენი თანამედროვეობის
ამსახვედი ფილმზე ვმუშაობ და „ღონ კიხოტის“
მოსამზადებელი სამუშაოები ჭერ კიდევ შორსაა
(წლის ბოლოს არის დაგეგმილი), მაგრამ მე
უკვე ვფიქრობ, უფრო სწორად არ შემიძლია
არ ვფიქრო, მომავალი ფილმის კონტურებზე,
განსაკუთრებით მის ფორმაზე, გავრცელებულია
აზრი, რომ სერვანტისი თითქოს თავისდროინ-
დელ სათავგადასავლო რომანებს დასცინოდა,
სინამდვილეში კი ეს, ცხადია, ინკვიზიციის
თვალის ასახვევი ფორმა იყო, რომლის თავისე-
ბურების ბრწყინვალედ ფილმის „ღონ კიხო-
ტის“ ავტორი. ყოველივე ეს, ცხადია, გათვა-
ლისწინებულები უნდა იყოს ფილმში.

და ბოლოს გაგაცნობთ ხსრკ-ესპანეთის ამ
პირველი ერთობლივი ფილმის გადაღების ხელ-
შეკრულებას, რომელიც თავისთავად, ასე
ვთქვით, უკომენტაროდ უპასუხებს მრავალ შე-
ხალღებულ კითხვას. ხელშეკრულება დაიღო მა-
დრიდში 1977 წლის 8 დეკემბერს ორ ენაზე—
ესპანურად და რუსულად. საბჭოთა კავშირიდან
ხელი მოაწერა საბჭოთა დელეგაციის ხელმძღვა-
ნელი, სსრკ მინისტრთა საბჭოს რადიომაუწყე-
ბლობისა და ტელევიზიის სახელმწიფო კომი-
ტეტის კოლეგიის წევრმა, სატელევიზიო გაერ-
თიანება „ეკრანის“ დირექტორმა ბ. მ. ხენინმა,
ესპანეთის მხრიდან — ესპანეთის რადიოსა და
ტელევიზიის საერთაშორისო ურთიერთობათა
დირექტორმა ილო იბანიშმა.

ხელშეკრულების თერთმეტი მუხლი ითვალის-
წინებს შემდეგს: მხარეები არსებითად შე-
თანხმდნენ, რომ ერთობლივად დადგან შვიდხე-
რიანი მხატვრული ფერადი სატელევიზიო ფი-

ლმი „ღონ კიხოტი“ სერვანტისის ამავე სახელ-
წოდების რომანის მიხედვით; ფილმს საფუძვე-
ლად დაედება ვიქტორ შვლოვსკისა და რეკვა-
ჩხეიძის მიერ დაწერილი და ორივე მხარის მი-
ერ დამტკიცებული სცენარი, რომლის მიხედვი-
თაც შექმნება სარეჟისორო სცენარი. ესპანე-
თის რადიო და ტელევიზია უზრუნველყოფს
კონსულტატს როგორც სცენარის საბოლოო ვა-
რიანტის მოსამზადებლად, ისე მთელი ფილმის
გადასაღებლად; ფილმის დადგმა ევალება კინო-
რეჟისორ რევაზ ჩხეიძეს, მუსიკის დაწერა —
ესპანეთის ტელევიზიის მიერ გამოყოფილ კო-
მპოზიტორს. ასევე ესპანეთის ტელევიზია და-
ნიშნავს დეკორაციების, კოსტიუმებისა და რეკ-
ვიზიტის სპეციალისტებს. როლების შესასრუ-
ლებლად მოწვეული იქნებიან საბჭოთა და ეს-
პანელი მსახიობები, მოსამზადებელი სამუშაო-
ები დაიწყება 1978 წლის ბოლოს. საბჭოთა კავ-
შირის ტერიტორიაზე წარმოებულ გადაღებებს
დააფინანსებს საბჭოთა კავშირის რადიომაუწყ-
ებლობისა და ტელევიზიის სახელმწიფო
კომიტეტი, ესპანეთის ტერიტორიაზე — ესპა-
ნეთის რადიო და ტელევიზია, ისე რომ, ორივე
ქვეყანამ უნდა გაიღოს ფინანსების ექვივალენ-
ტური რაოდენობა. ფილმის პრემიერისა და გა-
ქირავების საკითხებზე მხარეები შემდგომში მო-
ილაპარაკებენ და ა. შ.

რაც შეეხება ფილმის შემოქმედ კოლექტივს,
ჭირჭერობით იგი არაა დაკომპლექტებული. ერ-
თი კი დანამდვილებით შემიძლია ვითხარათ —
ფილმს გადაიღებს ჩვენი ნიჟერი კინოოპერა-
ტორი ლომერ ახვლედიანი.

ესპანეთში უოფნისას ჩაისახა კიდევ ერთი
კარგი საქმე. გაჩნდა რეალური პერსპექტივა იმ-
ისა, რომ ესპანელ კინემატოგრაფისტებთან ერ-
თად გადავიღოთ დოკუმენტური ფილმი მახვი-
ბისა და ქართველების ურთიერთობაზე. კერ-
ძოდ, ეს წინადადება შემომთავაზა იკაურმა ოპე-
რატორმა ანტონიო ალვარესმა, რომელთანაც
ერთად ვსწავლობდი კინემატოგრაფიის საკავში-
რო ინსტიტუტში.

ასე რომ, წინ მეტად ხანტერესო მუშაობაა
მოსალოდნელი. წამით არ შეიძლება იმის დავი-
წყება, რომ ახალი „ღონ კიხოტი“ პირველი ერ-
თობლივი ფილმია, რომელსაც საბჭოთა კავში-
რი გადაიღებს ესპანეთთან ერთად. ამდენად,
კინემატოგრაფს, დიდი ღონისი კლასიკური შე-
დასებით რომ ვთქვათ, უმინიმედველოვანეს
დაარსებულ ხელგეგმისას, მეტად დიდ და კეთილ-
შობილური მისიის შესრულება შეუძლია ჩვენს
ორ ქვეყანას შორის მეგობრული ურთიერთო-
ბის დასამყარებლად. ეს გარემოება კიდევ უფ-
რო ზრდის ჩვენს პასუხისმგებლობას, მაგრამ
მამულისშვილური ვალი სწორად ისაა, რომ მუ-
დამ მზად უნდა ვიყოთ ამ მიმე ტვირთის ხა-
ზიდავად და ყველგან ღირსეულად შეგვეძლოს
ჩვენი დიდი ქვეყნის წარმოდგენა.

ქართველი შთაბნელები

ს ი მ შ ვ ი ღ ე

მწერან ჯგუზშირან. „მდინარისპირა
პალა“. ბაჰომცემლობა „მწერანი“.
1977 წელი. რედაქტორი
ბრ. ჯუღუშნიძე.

მწერან ჯგუზშირანს ამ ახალ წიგნს „სიმ-
შვიდს“ დავარკმევდი. უამრებამ ამ სიმშვილეში
სევდანარევი აკორდები გაისმის, მაგრამ სიმშვი-
დე, სულიერი და გარეგნული, სუფევს ერთთა-
ვად. სწორედ ეს გახლავთ უმთავრესი ნიშანი,
რითაც მურმან ჭგუზშირა განსხვავდება მისი
თაობის პოეტებისაგან. დამაფიქრებელია, ხმა-
ურიანი ქალაქის ბინადარი პოეტი როგორ ახე-
რხებს სიმუდროვისა და პირველყოფილი მარ-
მონის გათავისებას; ასე ვრძელდება ყოველ წიგ-
ნში, თითქმის ყველა ლექსში. ერთის მხრივ ეს
გარემოება ერთფეროვნების საშიშროებას უქა-
ლის პოეტს. ხოლო მეორე მხრივ გამოაცდკე-
ვებს და განახლებებს მის ლექსებს, რის გამოც
მურმან ჭგუზშირას პოეტური სტილი თავისთა-
ვადია:

ახლა ოქუში წყნარი დილაა
და ფოთოლცვენის ქამია მწიფე,
სადაც ჩრდილია, იქ სივარია,
და იფარება ფოთლებით კიბე.
...
ხან ხალისიან ხეთა შრიალში
გაისმის: ცვივა ეზოში ხილი...
და არის რაღაც კარგი იმამში,
რომ მიწის მიაკვს თავისი წილი!

პოეტის ფიქრი კვლავ ბავშვობის წყნარ და
სამაჟრ წლებს დასტრიალებს. ისეთი შთაბე-
დილება იქმნება, თითქოს იგი ერთსა და იმა-
ვე თემებზე ქმნის პოეტურ ვარაიციებს და ცდი-
ლობს, სხვადასხვა კუთხიდან შეავლოს თვალი
ოღნელად ხილულს. ქალაქის ორომტრიალსა და
ქაოსში მისი მშვიდი ლექსები უჩვეულო შთა-
ბეჭდილებას ახდენენ და მკითხველის გაკვირვე-
ბას იწვევენ.

თუ ასეთი სულიერი სიმშვიდე და სიმუდ-
როვე მრავალი პოეტისათვის მოუღწეველია და
საოცნებო, მ. ჭგუზშირასათვის — პირიქით, იგი
ჭიუტად აგრძელებს სოფლის პეიზაჟების ხატვას
და ნიუანსებში თუ გაუონავს ზოგჯერ მსუბუქი
სევდა, მიუღწევლისკენ სწრაფვა. კვლავ გახ-
სენება სიმაწვილისა „პატარა სოფელი“, რო-
მელიც მოგვას ფიქრების ჭგროს, სადაც
წყლისპირას მდგარი ჭარგვალი ჰგავს კიბორ-
ჩხალას, სადაც ოდის წინა მინდორი „ნოხია
სტუმრისთვის გაფენილი“.

კიდევ ერთი დამახასიათებელი ნიშანი მ. ჭგუ-
ზშირას პოეზიისა: უბრალოება, სიმარტივე. სი-
მარტივე და სინათლე უმთავრესია ლექსისათ-
ვის, თუ, რა თქმა უნდა, სრულქმნილია ნაწარ-
მოები. მაგრამ, თუ „მარტივად წერა“, ისე რო-
გორც „რთულად წერა“, თვითმინაია, მყისვე
საჩოთრო ხდება. მურმან ჭგუზშირას ზოგიერ-
თი ლექსი ეწირება თვითმინურ სიმარტივეს:
„ელავს... და მთაზე ხანდახან მწვეფსის ფაცხა
ჩანს პაწია... იქ ცხოვრობს კობა აფხაზი, ის
ჩემი სახლკაცია“.

მ. ჭგუზშირას პოეზიისათვის დამახასიათებელია
კიდევ ერთი რამ: — მის მრავალ ლექსში მოქ-
მდება იშვიათად ხდება, ანდა სულ არ ხდება.
პოეტი კმაყოფილდება პეიზაჟის ოსტატური აღ-
წერით და მინიშნებებით. მინიშნებებისა და პო-
ეტური ნიუანსების გახსნა პოეტს მკითხველის-
თვის მიუხდვია. მკითხველს კი ზოგჯერ უქმა-
რობის გრძნობა ეუფლება სათქმელის განგებ
მიმალვის გამო.

კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს გრძელი ლექ-
სი „ტყეში“ და პოემა „მდინარისპირა ყანა“.
მ. ჭგუზშირა ჩვეული ოსტატობით აღწერს ბავ-
შვობის პეიზაჟებს, აყურადებს ბუნების იღუ-
მალეხას. „კარგა ვციმა, როს მიწისთვის მიბა-
რებული არის მარცვალა და სხვა საქმე აღბარ
გეგუღვის“, ანდა „იძრა წყვლიადი, გამთენია
შემოდის წყნარი, გამოიღვიძა მიწისშვილმა და
გახსნა კარი, რა სიწყნარეა! რა საყურო არი სი-
ტყევი, მიაყურადე სუნთქვას ჩემსას და შენ
მიხედვები, რომ ყველაფერი ნათქვამია ამ ცის-



ქვეთში“. ბევრი რამა ნათქვამი ამ ცისქვე-
შეთში, მაგრამ, როცა ბაღლი თავიდან აღმო-
აჩენს მილიონჯერ აღმოჩენილს, მაინც უცნაური
სიხარული ეუფლება, შეუცნობელი სიხარული
შემოქმედისა. ასე რომ, რადგან ყველაფერი ნა-
თქვამია, ყმაწვილი კაცი გულზელს ვერ დაიკ-
რებს, გავივებული მარცვალი მაინც ამოიღე-
რება.

მიედინება სინწა ჩაღმა, ქვერი — სველია,
არავინ მოვა აწი სტუმრად, და სიხნელეა,

ჩქეფს სიხნელეში წყალი მარად დაუღებავს
კვირაში ერთხელ ძლივას ჩნდება შორის
შეკარი.

„დღევანდელი სოფელი ჩემთვის დაინებუ-
ლი და პრინციპული თემაა და არა დასასვენე-
ბელი ადგილი და ილილიური სურათები, რო-
მელთა ჩანახატიცა მინდა დავატკობო მკიოხვე-
ლი“. — ასე წერს მურმან ჭავჭავაძე წინათქმა-
ში და ეს ვახლავთ მისი ავტობიოგრაფიის.

გივი კახაბაძე

პირველი დიხანი — პირველი შინაგაქდილება

ლალო მინაშვილი. „ილია
მავზაშვილის ლირიკა“. თბილისის
უნივერსიტეტის გამომცემლობა.
1977 წელი, რედაქტორი მ. ჯანაშიანი.

ილია მავზაშვილის შემოქმედების შესწავლას
დიდი ხნის ისტორია აქვს. ილიას შემოქმედება-
ზე იმდენი დაიწერა, რომ დღის წესრიგში უკ-
ვე თვით ამ კვლევის ისტორიის დახასიათების
აუცილებლობა დგას.

დოცენტ ლალო მინაშვილის წიგნი „ილია
ქავჭავაძის ლირიკა“ მიზნად ისახავს არა მხო-
ლოდ ილიას ლირიკაში განსახიერებული მოტი-
ვების დახასიათებას, არამედ შემოქმედებითი
ასპექტების მიხედვით ამ მწერლის ლიტერატურ-
ული პროდუქციის ანალიზს. ავტორი კვლევის
ტრადიციულ გზას რომ გაჰყოლოდა, მაშინ იგი
უნდა ცდილობდა ილიას ლირიკის თემატიკური
თვალსაზრისით დახასიათებას. მაგრამ მას კვ-
ლევის საგნად გაუხდია სწორედ ის, რაც აქამ-
დე შესწავლილი და დამუშავებული არ ყოფი-
ლა.

შემოქმედებითი ასპექტების თვალსაზრისით
ცალკეული ხელოვანის, ამ შემთხვევაში კი ილი-
ას ლირიკის შესწავლა უშუალოდ დაკავშირ-
ებული მხატვრული შემოქმედებითი პრაქტი-
კისა და თეორიის ურთულეს პრობლემათა
მოქმედ კომპლექსთან. ილია ქავჭავაძის ლირიკა
ავტორისათვის კვლევა-ძიების საყრდენი პუნქ-
ტია, თორემ საერთოდ მის კვლევა-ძიების მჭე-
რით არეში მოქცეულია ილიას მთელი ნაღვაწი.

წიგნის უმთავრესი ღირსება იმაში მდგომარე-
ობს, რომ საკითხის კვლევისათვის მოხმობილ
დიდძალ ფაქტობრივ, ფსიქოლოგიურსა და ლი-
ტერატურათმცოდნეობითი ხასიათის მასალა-
ში ავტორი ახერხებს ილიას პიროვნული ნიშნე-
ბის გამომხატველ ერთეულთა შემჩნევას და
თვალის გადავებას მეტად საინტერესო პრო-

ცესისადმი, — თუ როგორ ხდება პიროვნულ თე-
მებთან პოეტურ თავისებურებებზე კვლევის ფა-
ქტი.

ცხადია, შემოქმედებითი ასპექტების მხრივ
ილია ქავჭავაძის ნაწერები მთელი თავისი მო-
ცულობითა და შინაარსით ვერ გახდებოდა ავ-
ტორის დახასიათების საგანი, რადგან უსაზღვ-
როდ ვრცელია და ღრმა ილიას შემოქმედება,
ამიტომაცაა, რომ ანალიზის ობიექტად ავტორი
ირჩევს მხოლოდ ლირიკას. მაგრამ მიუხედავად
ამისა, ნაშრომის სათაურადანვე ჩანს, რომ ლა-
ლო მინაშვილი ბეჭითად ითვლისწინებს იმ ზო-
გად ბუნებას, რაც ილიას შემოქმედებას ამთ-
ლიანებს, ერთიანი სახით წარმოადგენს.

წიგნის შესავალ ნაწელში ერთის მხრივ, წარ-
მოადგენილია საკითხის დასმა და გარკვეულია
ამგვარად მისი უშუალო დაყენების საფუძველი,
ხოლო მეორეს მხრივ, მიმოხილულია ილიას
ლირიკის შესწავლის მეტნაკლებად ღირებული
უაქტები.

შემდეგ თავებში ავტორი მსჯელობს ილიას
ლიტერატურულ მიმართებაზე აღრინდელ
ქართულ, კერძოდ, რომანტიკოსების პოეზიას-
თან, ილიას ლირიკის ბუნებაზე. ლალო მინაშვი-
ლი არა მარტო პოზიტიურად გვიხასიათებს ამ
დიდი ხელოვანის ლირიკის რაობას, არამედ
სრულად და გარკვევით წარმოგვიადგენს იმ
სიძნელეებსაც, რომელთა გადალახვა აუცილე-
ბელია შემოქმედებითი ასპექტების მიხედვით
ყოველი მწერლის და, კერძოდ, ილია ქავჭავა-
ძის მხატვრული პროდუქციის მეცნიერული
შესწავლისათვის.

ილიას ლირიკის ბუნების განხილვას მკვლე-
ვარი ასრულებს ლირიკის საკუთრივი შინაარ-
სის დაწვრილებითი ანალიზით, რის შემდეგაც
განხილულია ილიას ლირიკის ფორმები.

ნაშრომში ისეთი საკითხებია წამოჭრილი და
პასუხგაცემული, რაც დღევანდელ პირობებში
პრობლემატურად ითვლება ილიას შემოქმედებით
სფეროში.

ავტორი გრძნობს ლიტერატურულ საკითხთა კვლევის სიძნელეს და თავის საბოლოო დასკვნებს კატეგორიულად კი არ აყენებს, ან უპირობოდ კი არ ემხრობა უკვე მოპოვებულ ქმნიშობებს, არამედ დაბეჭდილებითი ანალიზით ცდილობს მკითხველის წინაშე წათლად და გარკვევით წარმოადგინოს ილიას ლირიკის სპეციფიკა.

ღაღო მინაშვილის წიგნში თეორიული მსჯელობანი იმდენად ერწყმის ილიას ლირიკულ ქმნილებათაგან მოტანილ ფაქტობრივ მასალას, რომ ეს უკანასკნელი კვლევის პროცესში ასრულებს არა ილუსტრაციის, არამედ ლოგიკური არგუმენტის როლს.

წიგნში გაცნობიერებულია არა მარტო ილიას ლირიკის მასწარმოებელ მოტივთა და ტენდენ-

ციათა შემოქმედებითი წარმომავლობის სათავეები, არამედ საგანგებოდ შერჩეულ ფაქტობრივ მასალაზე დაყრდნობით შექმნილია და მოცემულია საგულისხმო ანალიზი იმ შეხედულებებისა, რაც ლიტერატურათმცოდნეობაში დღემდე გამოთქმულა. საგანგებო ანალიზის საფუძველზე, პოეტის პიროვნებასთან მიმართების დამყარების შედეგად, სწორედ აქ მოხერხდა ილიას ლექსების ნამდვილი ლირიკული ბუნების დადგენა.

ღაღო მინაშვილის წიგნი, რომელიც დიდი მწერლისა და მოღვაწის დაბადების 140 წლისთავისადმი მიძღვნილი, კარგ დახმარებას გაუწევს ფილოლოგებსა და, საერთოდ, ილიას ლირიკით დაინტერესებულ ყველა მკითხველს.

სპარგი ტოპანიძე

საჭირო წიგნი

ჯანსუღ ლევნჯილია. „წერილები“. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“. 1977 წელი, რედაქტორი თ. აბულაძე.

ლიტერატურულ კრიტიკას განუხაზვრელი როლი აკისრია. გარდა იმისა, რომ კრიტიკოსი ერთგვარ შუამავლად უნდა გვედინებოდეს მხატვრულ ნაწარმოებზე და მკითხველს შორის იგი უშუალო მონაწილე უნდა იყოს ლიტერატურული პროცესებისა. არავინაა დაზღვეული შეცდომებისაგან, მით უმეტეს კრიტიკოსი, რომელიც ახლახან გამოკვეთებულ ნაწარმოებზე თამამად გამოთქვამს თავის აზრს, მთელი მწერლური შეგნებითა და სინდისით იკვლევს მხატვრული ნაწარმოების სიღრმესა და სათავეს. ახალ ნაწარმოებზე კრიტიკული წერილის დაწერა, საკუთარი შეხედულების გააშკარაება, ბეწვის ხილზე გავლას ჰგავს და მეტად საფრთხილია.

დამლომატიურ სიფრთხილეს ან პასიურობას უნდა დავაბრალოთ ის გარემოება, რომ თანამედროვე მწერლობაზე კრიტიკაც არა სძრავს ბევრი კრიტიკოსი და ლიტერატურის ისტორიას ჩაჰკირკიტებს.

ჭანსუღ ლევნჯილია ერთი იმ კრიტიკოსთაგანია, დღევანდელი ლიტერატურული ცხოვრება თავის ღვიძლ საქმედ რომ მიანიხნა და აქტიური, თამამი მონაწილეა მიმდინარე ლიტერატურული პროცესებისა. ამის დასადასტურებლად ის წერილიც გამოდგება, ჩვენი უურნალის პირველ ნომერში რომ გამოკვეთნდა წიგლს („წომიერების გრძნობა თანამედროვე ქართულ ლიტერა-

ტურაში“). აი, რას წერს ჭანსუღ ლევნჯილია ხსენებულ წერილში: „ვერა და ვერა შეიქმნა ქართული ლიტერატურული კრიტიკის სკოლა. მიჩვენება, რომ ამიტომაც არ ატარებს კვლევის მეთოდები და ფორმები უნივერსალურ ხასიათს“. მართლაც, ვერა შეიქმნა ქართული ლიტერატურული კრიტიკის სკოლა, „მამებლური“ ან „მოთხრის“ წერილები ორ უკიდურესობას წარმოადგენს და ობიექტურ მსჯელობას გამოირიცხავს. პერივით ენატრება მკითხველს პირუთენელი კრიტიკა. უამოჟა თუ გაკრთება ლიტერატურული პრესის ფურცლებზე ამგვარი წერილები.

ეს ფიქრები ჭ. ლევნჯილიას ახალმა წიგნმა აღმოძრა. ამ წიგნში გამოკვეთებული წერილები უურნალ-გაზეთებში აღრეც წამოიკითხავს, ასე ერთად თავმოყრილი კი ახლახან გამოიცა.

მრავალი პრობლემა ჩნდება ლიტერატურულ ცხოვრებაში, მწერლის ყოველდღიურობაში. ზოგიერთისთვის პრობლემები არსებობენ გაუცნობიერებლად, ვერ მოუხერხებიათ მათი შემჩნევა და სტიქიურად აგრძელებენ ცხოვრებას. ახალი პრობლემების აღმოჩენა, სწორი კითხვების დასმა და ამ პრობლემების მოწესთა კვლევა ჭ. ლევნჯილიას — როგორც კრიტიკოსის — უპირველესი უნარია („კარგად დაწყებული საქმეები“. „უფრო ახლოს საკამათო საგანთან“, „სია მხოლოდ ერთი შეხედვითაა მომხიბვლელი“). მას არ ავიწყდება არც თეატრის, არც დაცარიელებული სოფლებისა და არც თარგმანის საჭირობოტო საკითხები. ეს წერილები უფრო პუბლიცისტური ხასიათისაა და კრიტიკოსის ინტერესთა სფეროს მრავალმხრიობაზე მეტყველებს.



ამ ახალ წიგნში კიდევ უფრო მეტვითად და სრულყოფილად გამოვლენდა წმინდა ლიტერატურული პროცესების ახსნის, იდეუალის წვდომისა და გააზრების სურვილი. საბედნიეროდ, სურვილი სურვილადვე არ დარჩენილა („ლუჟარდის ხმები“, „ბედლას საგონებელი“, „ერთი კარგი წიგნის შესაქმნელად“).

ლიტერატურული და პუბლიცისტური წერილები ერთმანეთს არ ეწინააღმდეგებიან. პირიქით, ლოკურად ავსებენ და აგრძელებენ ერთმანეთს, რათა ნათლად წარმოვიდგინოთ კრიტიკოსის თვალსაწიერი.

ბუნებრივია, მკითხველს აინტერესებს, რომელ მწერალთა შემოქმედებას მიმოიხილავს ავტორი, როგორი მწერლობა მოსწონს ან არ

მოსწონს ახალ წიგნში ჯ. ლენჩილია მიმოიხილავს ალექსანდრე ყაზბეგის, ვალენტინო ნაწარმოებთა ცალკეულ მხარეებს, სხვა წერილები თანამედროვეთა შემოქმედებას ეხება. შეიძლება ზოგ რამეში არ დავეთანხმო, კერძოდ, რომელიმე ციტირებულ ლექსში, საუკეთესოდ რომ მიუჩნევია კრიტიკოსს, მაგრამ, როგორც იტყვიან, გემოვნებაზე არ დაობენ. მინდა ეს პატარა რევიუნია მისივე სიტყვებით დავასრულო: „კარგ წიგნში ნაკლის ჩხრეკა უტაქტობაა, მით უმეტეს ისეთ წიგნში, ყოველი აზრად რომ გვაგრძობინებს მწერლის თავადებულ ზრუნვას ფრაზაზე, ნიუანსზე, ნაწარმოების არქიტექტონიკაზე“.

გივი ალხაიშვილი

საინტერესო, სასარგებლო...

თამაზ კიკნაძე. „იდეალური სამყაროს ბილიკაბით“. გამომცემლობა „საბავთა საქართველო“, 1977 წელი, რედაქტორი მ. მირისთავი.

ძართულ ენაზე არც ისე ბევრი მოგვეპოვება მეცნიერული ხასიათის წიგნი, მხატვრული ღირსებაც რომ გააჩნდეს და, ამის წყალობით, გატაცებით იკითხებოდეს, გვაღელვებდეს.

თამაზ კიკნაძის „იდეალური სამყაროს ბილიკაბით“, რომელიც ფრიალ მიშვიდელო და მრავალმხრივი მეცნიერების — სპეულიოლოგიის — სხვადასხვა საკითხს ეძღვნება, ასეთ ბედნიერ გამოცდილსად უნდა მივიჩნიოთ. წიგნი ორ ნაწილად იყოფა. პირველ ნაწილში მოთხრობილია, თუ რა როლი ჰქონდა მღვიმეებს პრეისტორიული ადამიანის ცხოვრებაში, ევოლუციისა და პირველად ჩამოყალიბების რართული ეტაპები განვლო სტიქიის ძალებისა და ათასი ხიფათის წინააღმდეგ მებრძოლმა, გამოკვაბულის კედლებს შეხიზნულმა გონიერმა არსებამ. აქვე ძალზე შთაბეჭდილად, მოხდენილად არის დახასიათებული სპეულიოლოგია-მღვიმეთა და გამოკვაბულთა შემსწავლელი მეცნიერება, რომელმაც განვითარების ძალზე საინტერესო გზა გაიარა და რომელსაც უფრო დიდი პერსპექტივები გააჩნია მომავალში.

წიგნის მეორე, საქმიოდ მოზრდილი განყოფილება, სხვადასხვა წლებში მოწყობილი ექსპედიციების ანგარიშია, თავისებური დოკუმენტური პროზა, ავტორის დახვეწილ გემოვნებაზე რომ მეთყვედებს.

ცალკეულ მონაკვეთებს ზოგან დღიურის ფორმა აქვს, ზოგან — მხატვრული ნარკვევისა. ავტორი ყველა შემთხვევაში აღწევს დასასულ

მიზანს, დამაჩერებლად, ზუსტად გადმოგვიცემს ნაწახს და ვანცილს, რაშიც დიდად უწყობს ხელს ბელეტრისტის ნიჭი (თამაზ კიკნაძე არაერთი ოსტატურად დაწერილი მოთხრობის ავტორიც გახლავთ). ძალზე ბუნებრივად, ლაღად იკითხება ის ადგილები, სადაც მოთხრობილია რუს, პოლონელ, ფრანგ სპეულიოლოგებთან ქართველი კოლეგების შეგობრობაზე.

თავიდანვე უნდა ითქვას უმთავრესზე, ურობლიოდაც ეს წიგნი ასეთი კარგი საკითხავი და სასარგებლო ვერ იქნებოდა. რაზედაც არ უნდა წერდეს თამაზ კიკნაძე — მღვიმეების იდეუალებით მოცული სამყარო იქნება, ბუნების იშვიათი მოვლენები, თუ გამოკვაბულთა მხატვრობა, იგი მუდამ ამუღვენებს ერუდიციას, ხელოვნებისა და მეცნიერების სხვადასხვა დარგების ღრმა ცოდნას, უხვად და თავის ადგილზე მოაქვს, როგორც მშობლიური კულტურისა და მწერლობის მაგალითები, ასევე უცხოელ ავტორთა გამოანთქავეები, საყურადღებო ფაქტები.

ხელსაყრელი გეოლოგიური პირობების გამო, საქართველოში ბლომადაა სხვადასხვა სიღიღისა და სილამაზის მღვიმეები. ბუნებრივია, წიგნის მრავალი გვერდი მათი ფანტასტიური მორთულობისა და მდებარეობის აღწერას ეთმობა. შეუძლებელია, არ გავიზაროთ ავტორის გული-სწყრომა იმის თაობაზე, რომ ახალი ათონის (ივერიის) მღვიმის ზღაპრული მიწისქვეშა დარბაზები კეთილმოწყობისას ძლიერ დაზიანებულა, ხლო მანამდე მოხალისეებს გაუნადგურებიათ, ყუთებიც გაუზინდათ თვითნათი საოჯახო „მუზეუმებისათვის“ უმშვენიერესი ქვის ყვავილები, იშვიათი კალციტური წარმონაქმნები, რომელთა დახვეწა-დაკრისტალებას მღვიმეთა მარადიულ მდუმარებაში მილიონობით წლები დასჭირდა.



განსაკუთრებით დიდ ცოდნას ამჟღავნებს წიგნის ავტორი უშორესი ეპოქების გამოქვაბულთა მხატვრობაზე მსჯელობისას. სხარტადა მოთხრობილი სხვადასხვა ქვეყნებში ასეთი ნახატების აღმოჩენათა ისტორია და არცთუ უსაფრთხოოდ არის გამოთქმული იმის რწმენა, რომ მომავალში საქართველოშიც უნდა გამოვლინდეს ასეთი უძველესი ხელოვნების ნიმუშები. მეცნიერთა განცვიფრებას იწვევდა და იწვევს ის გარემოება, რომ დედამიწის სხვადასხვა კუთხეში, გამოქვაბულთა მხატვრობაში ძირითადად გამოყენებულია ოთხი ფერი: ყვითელი, წითელი, შავი და თეთრი. ამან ზოგიერთი ცნობილი მეცნიერი იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ შორეულ წარსულში ადამიანები მხოლოდ დასახელებულ ოთხ ფერს აღიქვამდნენ და ფერთა უმდიდრესი გამა განვითარების ხანგრძლივ პროცესში, თანდათანობით აითვისა კაცის თვალმა. წინამდებარე ნაშრომში ამ მოვლენის შესახებაც ბევრ საინტერესო მოსაზრებას იპოვის მკითხველი.

წიგნის ავტორი უუყურადღებოდ არ ტოვებს კულტურისა და ხელოვნების არც ერთ მნიშვნელოვან დარგსა და ნაწარმოებს, მღვიმეებთან რომ არის დაკავშირებული — პოეზია იქნება, ფერწერა და ქანდაკება თუ მუსიკა. გახსენებულია უკვდავი ლეგენდები, ხალხის ფანტაზიით

ნასაზრდოები პოეტური ქმნილებანი, რასაც გამოქვაბულთა ღვთებრივ წყვილაღში მიეჭრება საბაში.

უნებურად გადაგვდება უცნაური განწყობილება, გამოქვაბულთა პირქუში, „იციო სილიადის“ დანახვაზე რომ ეუფლებოდა ადამიანს, ისმენ ენით აუწერელი მელოდის რხევას, უწენავს „მღვიმურ სიმფონიას“, ქვეყნულში ჩაკარგული ნაკადები რომ გამოცემენ... კიდევ ერთხელ ვრწმუნდებით, რომ ამ ქალღმერთად გაბრწყინებული კანონების ხილვა მამაცი და მეოცნებე ადამიანების ხვედრია, სპელეოლოგობა ისეთივე უნიანი და რაინდული გატაცებაა, როგორც მთამსვლელობა და, სამწუხაროდ, მსხვერპლიც არანაკლები მოსდევს.

მცირე რეცენზიაში იმ თვალსაზრის ღირსებების უბრალო აღწერაზეც კი არ ხერხდება, რითაც ასე მდიდარია ეს მშვენიერი წიგნი. ვფიქრობთ, თამაშ კიქნაძე არ დაიზარებს და სამერძისოდ ამავე თემაზე დაწერილ უფრო ვრცელ ნაშრომს მიაწოდებს ჩვენს მკითხველს, კვლავაც მარჯვედ, ოსტატურად გვატარებს „იღუმალი სამყაროს ბილიკებით“, კეთილ მეგზურობას გაგვიწევს სტალაქტიტების ვიება ლოლუებით მორთულ მიწისქვეშა დარბაზებში.

მამზარ კვიციანი

როსა დანურული წიგნი გადაშლილი რჩება

„ქვეყნობის უნდათ შემოსვლა სახლში“ დემიტრე იონი. თარგმანი მ. ფონცინოვილისა და ი. შალაგბერიძისა. გამომცემლობა „მერანი“, 1977. ფული, რედაქტორი ი. ნონაშვილი.

წაკვირებით. გავიარეთ. დავხრეთ წიგნი...

სინამდვილეში კი ახალგაზრდა რუმინელი პოეტის დემიტრე იონის ლექსთა კრებული მკითხველის გონებაში ისევ გადაშლილი რჩება.

მეათედ ეუბრუნდებით იონს და პირველად ვაჩნევთ მის მეათე სიმაღლეს. სხვანაირად არც შეიძლება მომხდარიყო, რამეთუ არ არის სიმაღლე თვალის ერთი შევლებით გაწომილი და აწონილი. იონის პოეზიის წვდომა ერთი გადაკითხვით შეუძლებელია. მისი ხედვა სხვა ხედვაა, მისი სიმაღლე — სხვა რანგის, მისი ფანტასტიური სინამდვილე რამდენადაც

უცხო, იმდენად რეალური და ხელშესახები. მის ტკივილებსა და „სამყაროს პირველ ხილვის სიხარულს“ იღუმალების შავი გრიმანები ნიღბავს, რომლის მიღმაც იშლება პოეტის, ერთის შეხედვით, უცხო და უცნაური სამყარო, ერთთავად თავისკენ რომ გვიხიზნოს და მის სიღრმეებთან ზიარებისაკენ რომ გვეწვია:

მე გთხოვთ უბრალოდ: მომიხსლოვდით და სულის კარზე დამიკაქუნეთ!

განცდათა უნატიფესი ვიბრაციები, შემოქმედების ტროპეული ცხელება, უხელო ლივი უსასრულობაში, აღტინება და იავარქმნა, გაორება და ტრაგიკული დუუმივირატის ერთ სახეში ინტეგრირების მაგია — აი, მისი სტიქია, მისი სარბიელი, შემოქმედებითი ამალუა.

იონის მხატვრული ტემპერამენტი ემპირიული სამყაროს უსაზღვრო წინააღმდეგობათა შეჭაბვების სინთეზს წარმოადგენს; ჰარმონია და დისჰარმონია, მიწორი და მუწორი, ღაცემა და აღწევა. ნაცვლად იმისა, შეარვიგოს ეს



ორი მხარე, იგი პირიქით, დემონურად მისწრაფვის მათი ურთიერთობის შემდგომი გაშვებებისაკენ:

მე ორი გული უნდა მქონდეს, მერანო ჩემო, მე ორი გული უნდა მქონდეს, რომ ერთის ძალით შემეძლოს ქვეყნად სიყვარული და სიძულელი.

ცხოვრებისეული განხეთქილების ამ ორომტრიალში, სიკვდილისა და სიცოცხლის გასაყარზე იონს არასოდეს მოუღრცეია ქედი. იგი ყოველთვის აიძულებდა საკუთარ თავს უოველ წაშში ეგრძნო სიამისა თუ ტანჯვის, ძლიერებისა თუ შიშის სიღაღად და სავსებობა:

მსურდა მქონოდა გაქრობის შიში: ჭერ უღაბნოში შორი გზა მედო... ვიჭექით ორნი ვულკანების ზორხში და გვგრძნობდი სხეულს სიკვდილი რთვორ მითბობდა.

სიკვდილის იონისეული გაგება არ ატარებს იუღიზმისა და გილგამეშის ეპოსისათვის დამახასიათებელ ტრაგიკულ ხასიათს. იგი მშვიდად უშფერს სიკვდილის უცნაურ როკვას, თუმცა ეს სულაც არა ჰგავს რელიგიური ექსტაზით ნაკურებ ქრისტიანულ და ეპიკურეს ლოგიკანაზიარე სიმშვიდესაც. სიკვდილის ხედვა აქ არაა სეფსისისა და მელანქოლიის შემაძრწუნებელი წყარო. აქ იგი გაგებულია მარადი და დაუსრულებელი მეტამორფოზის კიდევ ერთ ფორმად, კიდევ ერთ ნაბიჯად duende-ს — ფუძის, არსისა და პირველსაწყისთან მიახლოებისათვის.

1930 წელს წაკითხულ მოხსენებაში, „duende-ს თეორია და თამაში“ გარსია ლორკა იტყვის: „duende არ ვლინდება, სანამ არ წარმოიშობა სიკვდილის წინათგრძნობა და სანამ იგი არ დარწმუნდება, რომ მას ხშირად მოუხდება სიკვდილის სამყოფელთა მონახულება“.

ასეთ სამყოფელთა მონახულება ახალგაზრდა პოეტს ხშირად ზვდომია წილადა:

ეს მე ვარ, მე კვლავ გიახლოვდები, საკმარისია ერთი სიტყვა, გქრები და ვხარობ.

შემოქმედების ეს პოეტური ფანტასმაგორია თვითეული ჩვენთაგანისათვის იმდენადაა ნაცნობი, რამდენადაც უცნობი. ეს არის duende,

რომელსაც ყველა გრძნობს, მაგრამ მისი არც ერთ ფილოსოფოსს ძალუძს:

სიხარულით ეცემა ბაღში ჩვენი ცხოვრების თბილი ფოთოლი.

აპრიორული თუ ლოგიკური ანალიზის საფუძვლები ერთობ უძლურია ამ ორი სტრიქონის გასაგებად. მისი აღქმა მხოლოდ ქვეცნობიერით თუა შესაძლებელი. ის უნდა იგრძნო და არა ახსნა, რადგან არასოდეს აიხსნება იგი.

შეიძლება ასეთი სიღრმეების გამო გვიჩვენება იონი მეტად უცნაურ და თავისებურ პოეტად, რომელსაც განხვავებული ხმა, რადიკალურად შეცვლილი ფორმა და მარად დაუსრულებლის შეგრძნება წერტილის შემდეგაც რომ სდევს. მისი სიტყვის უკან სხვა სიტყვაა, აზრს იქით — აზრი, ხედვის მიღმა, — ხედვა. მასთან „საგანი უდრის საგანს და კიდევ რაღაცას. იგი მუდამ გრძნობს სამყაროს ზედაპირული ხედვის არასრულყოფილებას. ამიტომაცაა, სიღრმისეული ქვრეტის აუცილებლობისა და საკუთარი სამყაროს შექმნის გოჟური მცდელობის, საგნისა თუ მოვლენის არსის ძიებისა და „ხილულის“ უადრესად თავისებურ ფორმებში ინტერპრტირების წინა პლანზე წამოწვევისაკენ რომ მიისწრაფვის:

ვერ შევაძინე რომ გაზაფხული ამ ხეთა მიღმაც არსებობს თურმე.

ექსპრესია და დინამია, მოთენთვა და მოულოდნელი გახვევა, განუთვორებელი, იღუმალი და „ალოგიკური“ ექსტაზები, ზოგჯერ ძრწოლას რომ განგვაცდევინებენ თავიანთი ბუნდოვანებით, ხშირია რუმინელი პოეტის ამ პატარა კრებულში, რისი წაკითხვის შემდეგ შესაძლებელია ამ ლექსთა პოეტური რეფრენები ლოგიკის კონტროლის გარეშე, ქვეცნობიერი ზმანებების ასახვად მივიჩნიოთ. ასეთი მოსაზრება ქეშმარიტებას მოკლებული იქნებოდა. არც ის იქნებოდა სწორი, მისი პოეზია სიცოცხლესთან აბსურდული თამაშის დემონსტრირებად რომ მიგველო.

სასიამოვნოა, ასეთი თავისებური და ღრმა-აზროვანი პოეტის დემიტრუ იონის შემოქმედება შესანიშნავად რომ თარგმნეს და გაგაცნეს პოეტებმა მორის ფოცხიშვილმა და ოთარ შალამბერიძემ.

ალექსანდრე გაბელია

მშენებელი მამიკონის სამაჟი რკინიგზი

იანის რიცოსი. „შენიშვნები
დროის მინდვრებზე“. თარგმანი
იზა ორჯონიკიძისა. გამომცემლობა
„მმრანი“. 1977 წელი, რედაქტორი
ბ. თურქიძე.

...„ხალკმენებს ყოველთვის ჰქონდა მიმარ-
თება რაღაც სიწმინდესთან, ტრანსცენდენტურ
და ლმერთა სამყაროსთან, სამყაროსთან, მუ-
დამ რომ აღგვემატებოდა ჩვენს“.

შემთხვევით არ დაგვიწყია ემრიკ ვილჰელმის
ამ სიტყვებით ჩვენი რეცენზია თანამედროვე
ბერძენი პოეტის იანის რიცოსის წიგნზე „შე-
ნიშვნები დროის მიღვრებზე“.

შეიძლება ვილჰელმის ზემოთ მოყვანილი მო-
საზრება და რიცოსის შემოქმედების ჩვენიული
ინტერპრეტაცია ერთგვარ დუალიზმად მოეჩ-
ვენოს მკითხველს. სულაც არ ვცდილობთ უარ-
ვეყოთ დიდი კრიტიკოსისა და ლიტერატურათ-
მცოდნის ეს კონცეფცია, თუმცა ხელოვნების
მართა ამაღლებულით საზრდოობა მაინც ერთ-
გვარ ცალმხრივობას უნდა ნიშნავდეს. ასე რომ,
მშვენიერებად ქცევა ყოველდღიური ცხოვრ-
ების წუმბესა და დაცემასაც ძალუძს. ამის საბუ-
თად „ბოროტების უკავილები“ და დოსტოევს-
კიც კმარა.

ჩვენი აზრით, რიცოსის შემოქმედებას ასეთი-
ვე თვალთ თუ გავხედავთ...

იანის რიცოსი არ არის ისეთი პოეტი, რომ-
ლის ხედვა ექსტერიერიდან შინაგანი სამყარო-
საკენ იყოს მიქცეული. იგი მუდამ ინტერიერ-
ში რჩება და იქიდან ჭერებს ცხოვრების შინა-
განობას, ადამიანებს, მათ „შეშლილ“ ვნებებს.
წყურვილისა თუ ცხოვრების ციკაბო გრები-
ლებზე მოცურების კომპარულ სევდას;

„მანდ რას აკეთებ, მალა რა გინდა?“
მან უბასუხა: უკანასკნელი ამ ტოტს აბია
მწიფე ნაყოფი,

მომცერევის ვლამბ.“
ეს თქვა და ტოტიე ჩამოუტყდა.
ჩამოენარცხა.
როცა ასწიეს და ძლიეს გაუსხნეს
მუშტად შეკრული მარჯვენა ხელი,
ვერაფერი აღმოუჩინეს.

ბერძენი პოეტის მინიატურულ ლექსებში
(„სადაგი დღე“; „ქვები“; „ხე“; „დაგვიანება“;
„ბოცვი“, „შიში ცხოვრებისა“ (და პოემებში)
„მთვარის სონატა“ „გამოთხოვება“, „ხილი“,
„ფანჯარა...“) მუდამ იგრძნობა რიცოსის პირ-
ოვნული და პოეტური პროფილი. ცივი ანტარ-
ქტიდული სიღიღე და ამაჟი სასოწარკვეთა მი-
სი პოეზიის კონტრაპუნქტია, მისი შემოქმედ-
ების ლაიტმოტივი.

...„შიში, სუნთქვა, წყალი — ცხოვრება“, „ში-
შობ ვაითუ აღარ მოცვდებ...“ — ასეთია რიცო-
სი, მოკალაქე და შემოქმედი, რომლის ლირი-
კული გმირი ბედისწერის ძნელ თამაშს ადევ-
ნებული, ქვეშეცნეული შიშით შეჭურვებს რუ-
ლეტის მწვანე მაგიდას, სადაც სიცოცხლის მი-
სტაკური ხელით მისი ყოფნა-არყოფნის ბეღია
შეგდებული.

მიუხედავად ასეთი განწყობილებისა, რიცო-
სის ქარვისფერი მელანქოლია სევდისამდე არ-
ასოდეს დასულა. მას ჰქონდა დისტანციური
ჭურტის შეუდარებელი ნიჟი, გრძნობათა სის-
ხლიან მორევში — საოცარი სიმშვიდე და
„დროის მინდვრებზე“ წაქცეულთა განკითხვის
გრძნობათა წარმოდგენელი მომჭირნეობა (ეს
ხომ თომას მანის სტილია). ალბათ ამან თუ გა-
ნაპირობა მისი შემოქმედების საოცარი ლაკო-
ნურობა, მიმწიდელოება და ღრმა საზრისობა.

იანის რიცოსის შემოქმედებას ახლახან გაე-
ცნო ქართველი მკითხველი საზოგადოება მშო-
ბლიურ ენაზე, რაც იზა ორჯონიკიძის წყა-
ლობად და ეროვნული კულტურის დიპაზონთა
გაფართოების კიდეც ერთ დასტურად უნდა
მივიჩნიოთ.

მალხაზ გაბაშვილი





დიდი ჭადრაკის პატარა პრინციპსა

მარჩხალს მულამ სიმშვიდე მოხდეს. ეს სიტყვები, ალბათ საქმაოდ. გაცეთილი და ბანალური, გამახსენდა, როცა სასტუმრო „აპარის“ მყუდრო, ნმშ-ე ნომრის კარი შევადე. იმ წუთში ისიც ვავიქრე, რომ ქარჩხალმა გააღუარა არა მარტო ნორჩი მათა ჩიბურდანიძის საქადრაკო სამფლობელოს, არამედ თითოეულ გულშემატყვიარს, რომლებიც, არჩილ სულაკაძის მოხდენილი თქმისა არ იყოს, კუშნირთან მათა ჩიბურდანიძის უნძაფრესი მატჩის დღეებში ტელევიზორებთან და რადიომიმღებებთან „ვალდიოლებით“ იბრუნებდნენ აფორიექტულ გულს. საქართველოში ყველანი ამ დიდი მატჩის უშუალო მონაწილენი იყვნენ, უკლებლივ ყველამ გაიზარა მისი დამაბულობა და სიმძაფრე. ჩვენ თითქოს საკუთარ თავზე გამოვცადეთ, როგორია უმძიმესი საქადრაკო სტრესი, რომელიც ულმობლად დრეკავს ღვთ ყველაზე ძლიერი მოქადრაკეების ფსიქიკას. ამიტომ ჩვენთვის ზედმიწევნით ახლობელი და ძვირფასი ვახდა მათა ჩიბურდანიძე, ქალთა შორის ერთ-ერთი უდიდესი საქადრაკო ბატალიის მონაწილე. ჩვენ მას თანავუგრძნობდით, ჩვენ მასთან ვიყავით, ჩვენ გვეჭროდა მისი. და, რაოდენ საკვირველიც უნდა იყოს, ასეთი უხილავი კონტაქტის მიუხედავად, თურმე მათაც ყოველ წუთს გრძობდა მშობლიური აუდიტორიის მსურველდ მხარდაჭერას და მუღვივ თანადგომას. დახს, სპორტსმენს, კეროდ, მოქადრაკეს შეიძლება შეუქმნა იდეალური პირობები ვარჯიშისა და თამაშისათვის. დაწვეწო ზღაპრული სილაშაის კურორტებზე, მწვრთნელეზად და დამრიგებლებად მიუჩინო საუკეთესო სპეციალისტები. მაგრამ უარმპაზარი, კეთილგანწყობილი აუდიტორიის მხარდაჭერას მაინც ვერაფერი შეცვლის. ყველაფერთან ერთად ესეცაა ის დიდი ემოციური

იმპულსი, რომელიც მათს ეხმარებოდა მსოფლიო ჩემპიონის გვირგვინისაკენ მიმავალ გზაზე. მინდა, გაგიზიაროთ ის შთაბეჭდილება, რომელიც გამოიყვა მათსთან და დელამისთან — ქალბატონ ნელისთან საუბრის შემდეგ. სასტუმროს მყუდრო ატმოსფეროში მათა მგავს და არცა მგავს იმ მოქადრაკეს, რომელსაც გაშუღმებით ვხედავთ ეურნალეებისა და გაზეთების ფურცლებზე, ტელეეკრანებზე. ტურნირებში, მრავალრიცხოვანი შეხვედრების დროს, შინაურ გარემოში იგი ოდნავ სხვაგვარი მერჩენა: მას დაუბრუნდა თავისი ასაკის შესაფერი უშუალობა, სილაღე და, თუ გნებავთ, უწყინარი ანცობა. იქნებ ამიტომაც, საუბრის დიდი ნაწილი დაიკავა მათს ბავშვობის ასოციაციებში, მართალი გითხრათ, მათს ბიოგრაფიის ეს ნაწილი თითქმის არ ვიცოდი და იმდენად საგულისხმოდ მერჩენა, რომ გადავწყვიტე მხოთხედელებისთვისაც ვამეზიარებინა. არ ვიცოდით თქვი ვამბობ, თუმცა სავსებით გამართლდა ჩემი ნაფიქრი საქადრაკო ვუნდერკინდის ბავშვობაზე. ამ პატარა გოგონაში მულამ ყოფილა ჭანსალი პატივმოყვარეობის გრძნობა, სურვილი — ყველგან და ყველაფერში უთუოდ პირველი ყოფილიყო. დამახასიათებელი დეტალია: მათა სულ ხუთი წლისა ყოფილა, როცა სკოლაში მიუყვანათ და პირველ კლასში დაუსვამთ. დედამის, წვრილშვილის პატრონს, უნდა ემუშავა, სხვა გზა არ იყო. ამიტომ საშუალო სკოლის მასწავლებელს (ქალბატონი ნელი პროფესიით პედაგოგია, რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი) იმავე სკოლაში მიუზარებია ბავშვი, სადაც თავად ასწავლიდა. „ბავშვს შინ ვერავის დავუტოვებდი. — ამბობს ქალბატონი ნელი, — ერთი ხანობა სა-

ბავშვო ბაღში გადაწვევით მიხი მიბარება. მაგრამ არაფრით არ გაჩერდა, ტირილდა, შინ წამიყვანეთო. მეტი რა გზა იყო: ან სკოლაში უნდა მიმიყვანა, ან სამუშაო მიმიტოვებინა. საკვირველია, რომ მათი უცებ გაუშინაურდა სასკოლო გარემოს, მით უმეტეს, რომ ოთხი წლისამ უკვე წერა-კითხვა იცოდა. ამიტომ სწავლა არ გასკივრებია. ახლა რომ უყურებთ, საჭარო გამოსვლებისა და შეხვედრების დროს მორიდებულსა და „დამუწეებულს“, ასეთი როლი იყო ბავშვობაში. ერთიანად ენად იყო გაკრეფილი. თავიდანვე საოცარი მახსოვრობა ჰქონდა: ხუთი წლისამ ზეპირად იცოდა მსოფლიოს ქვეყნების დედაქალაქები, რითაც აღტაცებაში მოჰყვანდა ჩემი კოლეგები. მაგრამ მათა „სრულფულდებიან“ პირველკლასელად მინც არ ითვლებოდა. იგი, თუ შეიძლება ასე ითქვას, თავისუფალი მსმენელი გახლდათ. ვაკეთილებს აშავდებდა, პასუხობდა კიდევ, მაგრამ თურნალში ნიშნებს არ უწერდნენ. მათს ეს ამბავი არ გამოჰაჭავია, ტირილით ამიკლო: სად არის თურნალში ჩემი გვარიო. ვიცოდი მისი სიჯიუტის ამბავი და გადავწყვიტე უწყინარი ეშმაკობით დამეშოშინებინა. ავიღე მისი კლასის თურნალი, ბოლოში ვუჩრევდი ასო „ჩ“, დანარჩენ ასოებს ხელი დავაფარე და ვუთხარი: აი, აქ წერია ჩიბურდანიძე-მეთქი. არ ვიცი, დავარწმუნე თუ არა, მაგრამ ჩემმა პასუხმა იგი დააკმაყოფილა. ახლა სხვა რამე აიტება: რად ვდგავარ ფიჭულტურის გაკვეთილზე უველაზე ბოლოსო. ამა, სად უნდა მდგარიყო, როცა ასაბით ვველაზე პატარა ვახლდეთ. მაგრამ მათს ამის გავგონება არ უნდოდა...

სულ პირველი უნდოდა ყოფილიყო. ფიშეტი ტირილი ბავშვობაში, როცა აგებდა, მაგრამ მათ ხომ გოგონაა — ვერ აჯობებდა ამერიკელთა ვუნდერკინდი ტირილიში... ცრემლებად დაიღვარა ნონა გაფრინდაშვილთან ერთ-ერთ ტურნირში დამარცხების შემდეგ; ნონასთან, მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონთან, ვისთან წაგებად მსოფლიოს არც ერთი მოჭადრაკისათვის სათავედ არ ითვლება არ, თავიდანვე სხვა ხასიათი დაჰყვა მათს, ჩემპიონის ხასიათი.

ჭადრაკი მოულოდნელად შემოვიდა მის ცხოვრებაში. მსოფლიო ჩემპიონობის მომავალმა პრეტენდენტმა ჭადრაკის თამაში რვა წლისამ ისწავლა. მეორეკლასელი გოგონა არჩევანის წინაშე დადგა: ცეკვა, ჭრა-კერვა, მუსიკა, ჭადრაკი. რომელს გაყოლოდა?

„ჩემი ბებიე ჭადრაკით იყო გატაცებული და მირჩია, მათაც ჭადრაკის სექციაში მიგვებარებინა. კარგად მახსოვს: ეს იყო 1969 წლის ნოემბერი. მანამდე ორი თვე ვუყუანობდით, მათა ჭადრაკს გაყოლოდა თუ არა. საოჯახო ბჭობისა და მსჯელობის შემდეგ მათს ბედი ხამულდოდა. დაუკავშირდა — ახლა ეს კარგად მესმის — მის ქეშმარიტ მოწოდებას. ტრანზისში

ნუ ჩამომართმევთ: ვიცოდი მათს ხასიათი და დარწმუნებული ვიყავი ჭადრაკშიც პირველნი იქნებოდა. ჭადრაკი რომ არ ყოფილიყო, მათა უთუოდ გაიკაფავდა გზას სპორტშიც. მაგალითად...“

— კარგად ვცურავდი და მწვრთნელებიც მირჩევდნენ, ცურვას გავყოლოდი. ახლა ვფიქრობ, რომ ამით გამოუსწორებელი შეცდომაა დავეუბნებდი, თუმცა მაშინ სხვა აზრისა ვიყავი. რაღაც უშინველური შემთხვევას რომ არ შემეშალა ხელი, დღეს ალბათ მოცურავე ვიქნებოდი.

საბედნიეროდ, ეს არ მოხდა. მწვრთნელმა დავით ჩირაქემ ქვა ააგდო და თავი შეუშვია: ჭადრაკისათვის ასეთი ტალანტის დაკარგვა დაუძალადეაო. მან დაარწმუნა პატარა მათა მისი მშობლები, რომ ნორჩ მოჭადრაკეს დიდი მომავალი ჰქონდა. ამისათვის ჭადრაკის გულშემატკივრები მუდამ მადლიერების გრძნობით იქნებან გამსჭვალული ვამპირისა და კეთილშობილი მწვრთნელისადმი. ეს კი არა, ჩირაქემ ჩიბურდანიძის მშობლებს ურჩია, ქუთაისში ამ საოცარი ნიჭის ბავშვს შემდგომი წრდის პერსპექტივა შეეღუფებდა და საჩქაროდ თბილისში უნდა წაიყვანოთო. მწვრთნელი აღრეულ ასაკშივე შეეღია უნიჭიერეს მოწვევას... ეს კეთილშობილური გადაწყვეტილება არცთუ ხშირი შემთხვევაა სპორტულ სამყაროში...

თუ თვალს გადავავლებთ ნორჩი მოჭადრაკის ბიოგრაფიას, დავინახავთ, რომ მისი ცხოვრების სიმბოლური სიბრალი სულ მაღლა და მაღლა მიიწევს. არც ერთი ნაბიჯი უკან — მხოლოდ წინ! ასეთია მისი დინამიური ცხოვრება, ასეთია ჩემპიონის ბუნება.

ბედმა იხნება, რომ მათა ყოველმხრივ შემეყული მოჭადრაკე ყოფილიყო. არა, იგი ჯერ კიდევ ხშირად, შესაძლოა წომაზე მეტად ხშირად, აუჯარღებს ინტუიციის იდუმალ ხმას („არ ვიცი, ნამდვილად არ ვიცი, რად ვფიქრობდი კუშნიერთან მატჩში ასე ცოტას“), მაგრამ მათა, განსაკვირებელი მიღწევების მიუხედავად, ჯერ ხომ წრდადარსებული მოჭადრაკე არ არის. მთელი თავისი არსებით იგი ისწრაფის მომავლისაკენ. ოღონდ არა „ბრმადა“, არამედ შესაშური მიზანსწრაფულობითა და სიჯიუტით, უღვივი ოპტიმიზმითა და საოცარი მუყაითობით. იქნებ ამიტომ, სიმბოლურია ბადაკისინგვისი ამ სასტუმროს სახელწოდება, სადაც იგი კუშნიერთან მატჩის თამაშობდა — „2002“. მათა ისწრაფის ოცდამეერთე საუკუნისაკენ. ჩვენ საქმე გვაქვს ახალი ტალღის ზედმიწევნით ტიპური წარმომადგენელთან, რომელმაც ახლანდელი საჭადრაკო კლასიკა ახალი ფერებით უნდა გაამდიდროს. საჭადრაკო სამყარომ მათს ანდო უდიდესი მისია — თავი-

ბრილ გომელიძე
დირი მადრაპის პატარა პრინცესა

სი თამაშით და ჰადარაკისადმი დამოკიდებულ-
ბით შექმნას მოქადრაკის ახალი ფეროშენი.

იგი ვერ შეაერთო პირქუშმა ბად-კისინგენში.
ჩვენ კარგად ვიცით, რომ ამ ბოლო ხანებში
ჰადარაკის თამაში უმაღლეს დონეზე მეტისმეტ-
ტად გართულდა. ეს სიძნელეები მხოლოდ სა-
ჰადარაკო ბრძოლის სიმძაფრით არ აიხსნება.
სხვადასხვა მიზეზის გამო, ეს ორგანიზაციული
თვალსაზრისითაც სამაიმო საქმე გახდა. კუშ-
ნინრთან მოთამაშე ჩიბურდანიძის შეუძლია ეს
არ ეგრძნო. თვით ბად-კისინგენიც იდეალურ
ქალაქად როდი დარჩებოა მაიას მახსოვრობაში,
თუმცა სწორედ აქ მოიპოვა მან თავისი ყვე-
ლაზე დიდი გამარჯვება.

— როცა ბად-კისინგენში ჩავედით და სას-
ტუმროში დაბინავება დავაპირეთ, გაგვაკვირვა
მატჩის ორგანიზატორების, თუ შეიძლება ასე
ითქვას, უხერხულობამ. იქნებ ეს იმითაც აიხს-
ნას, რომ ამ პატარა საკურორტო ქალაქს არა
აქვს დიდი მატჩების გამართვის გამოცდილება.
ჭერ ერთი, ჩვენი დელეგაციის ჩასვლა ორგანი-
ზატორებისათვის რატომღაც მოულოდნელი აღ-
მოჩნდა — ასე ადრე არ მოგელოდითო. მერე
გვიჩვენეს დარბაზი, სადაც მატჩი უნდა ჩატარ-
ებულყოფილი. დარბაზს პირობითად ვამბობ, თორ-
ემ იგი საკუქნაოს უფრო წააგავდა, ვიდრე
პრეტენდენტთა მატჩის ადგილს. თანაც, ამ ოთა-
ხისაკენ მიმავალი კიბე ვიწრო, მიხვეულ-მობხვეუ-
ლი და მოუხერხებელი იყო. დავიწუნეთ ოთახი,
თურქე კუშნირიც ამავე აზრისა ყოფილა და
მასანძლებმა შემოგვთავაზეს სხვა ადგილი.
მართალი ვიბრათ, არც ის ოთახი იყო შესა-
ფერისი, მაგრამ უკეთესი არ ჩანდა და გადაწყ-
და მატჩი გამართულიყო სასტუმროს პაწაწინა
ოთახში, სადაც თავი კულს ვერ მოიქნებდა. ამ
ოთახის გვერდით გამოყვეს კიდე ერთი ოთახი,
რომელშიც სადემონსტრაციო დფა ეკიდა და
მასურბლისთვის იყო განკუთვნილი.

აი, ამ მოწყენილ (ბად-კისინგენში იანვარი,
ისევე როგორც ზაითრის სხვა თვეები, საკუ-
რორტო სეზონად არ ითვლება), პირქუშ ქალაქ-
ში, არანაკლებ პირქუშ შენობაში მოხუდა მატ-
ჩის თამაში ნორჩ პრეტენდენტს. ეს იყო არა
მარტო მისი საქადრაკო ძალის, არამედ ხასია-
თის გამოცდაც. აი, სად დებმარა მაიას შორე-
ული, მაგრამ ესოდენ ახლობელი მოშობიური
აუდიტორიის მძლავრი თანადგომა, გერმანელი
ტელეფონისტები ვერ დაემდურებოდნენ მოწ-
ყენილობასა და სამუშაოს უპირობას: გამოუდმე-
ბით რედა ზარი საქართველოდან, საიდანაც
მაიას ესმოდა მოშობიური ხმები...

„ჩვენთან დიდი მატჩები მუდამ საქადრაკო
დელსასწაულად იქცევა ხოლმე. ასეთთა ტრადი-
ცია, რომელსაც დიდი ხანია შეჩვივინენ ჰადრა-
კის თაყვანისმცემლები. მიააც, მეც, ჩვენი დე-
ლეგაციის წევრებიც ძალზე განგვაკვიფრა
მატჩის გარშემო შექმნილმა უცნაურმა ატმოს-

ფერომ. მატჩის გახსნის ცერემონიალმა უფერუ-
ლად ჩაიარა, მას დესწრნენ ფილეს წარმომად-
გენელი, მთავარი მსაჯი და თითო-ორილა მასუ-
რებელი. ჩვენთვის საკვირველი იყო ისიც, რომ
მასპინძლებმა მატჩის გახსნა რომელიღაც იტა-
ლიური გასტრონომიული ფირმის გამოფენის
დახურვას დაამთხვეს. დამეფიწა იმის თქმა,
რომ ოთახში, სადაც მატჩი ტარდებოდა, ფანჯ-
რები ფარდებით იყო დაფარული. როგორც გა-
იკვია, ეს კუშნირის სურვილი ყოფილა. უჩვეუ-
ლო იყო ისიც, რომ კუშნირის ბად-კისინგენში
ჰყავდა პირადი დაცვა...

თვით მატჩი მართად კორექტული გამოდგა.
ამ მხრივ მან მერტლაც გადააპირბა მოლოდინს.
კუშნირი თავაზიანად ესალმებოდა დაფასთან მე-
ტოქეს, ხოლო დამარცხების შემდეგ წარმატე-
ბას ულოცავდა. თუ მოიგებდა, მაიას ტყუილა
ერთადერთ სიტყვას: „გამადლოთ!“ არც ერთ
უსიამოლო კაუსუს არ შეუშლია ხელი თამაშო-
სათვის“.

— კუშნირის მთელი მატჩის მანძილზე ერთხე-
ლაც არ გაუღიმილა. მხოლოდ ბოლო, მეთოთხმე-
ტე პარტიის დაწყების წინ მოვიდა მეტისმეტად
მხიარული, საზეიმოდ გამოწყობილი. თუ მანამდე
იგი უარს ამბობდა ფოტო და ტელეგადაღებე-
ზე, ამაჯერად ცაცოლებით ლმობიერი აღმოჩნდა.
ამას ჩემზე მაინც და მაინც შთაბეჭდილება არ
მოუხდენია, მაგრამ, სამაგიეროდ, ხელი შემეშა-
ლა ტელეოპერატორების აქტიურობამ. ამ გა-
მუდმებულ აღიაქმოსა და აპარატების ჩსაკუნ-
ში სერიოზული შედეგმა დაფუძვი მერვე სელა-
ზე, თუმცა ამ დროისათვის პარტია ავკარად
ჩემს სასარგებლოდ მიმდინარეობდა. კუშნირმა
(უკვე მერამდენელ ვერ გამოიყენა თავისი ბო-
ლო საუკეთესო შესანი, დეკარგა უპირატესობა და
იძულებული გახდა თავისთვის უარს მდგომარე-
ობაში უკანა შემოეთავაზებინა. უკანა ჩემთ-
ვის გამარჯვების ტოლფასი იყო და ამიტომ
ბრძოლა აღარ გამიგრძელებია. კუშნირმა სწრა-
ვად მომილოცა გამარჯვება მატჩში და ასევე
სწრაფად გაუჩინარდა.

მატჩის პროფესიული ანალიზი საქადრაკო
სტეკალისტების საქმეა. თვით მაია კი ასე მიიჩ-
ნევს:

— თამაშის ხარისხით ქმაყოფილი არა ვარ, სა-
ბედნიეროდ. კუშნირი არ აღმოჩნდა ისეთი მრი-
ხსან მეტოქე, როგორც მატჩამდე მეგონა. მე
იმასაც ვი ვფიქრობ, რომ კუშნირმა თავისი სუს-
ტი თამაშით (განსაკუთრებით გადაღებული პარ-
ტიების დამთავრებისას) ხელი შემეწყო გამარ-
ჯვებაში. იქნებ ამის თქმა არ იყოს მთლად მი-
ზანშეწონილი, მაგრამ მე ვამბობ იმას, რასაც
სინამდვილეში ვფიქრობ. ჩემს გამარჯვებაში
უდიდესი წვლილი შეიტანეს დიდოსტატებმა
ედუარდ გუფილდმა და ბუხუტი ბუხუტიანმა.
ამაზე ბევრი ითქვა და სიტყვას აღარ გავაგრძე-
ლებ. ასევე დიდად მადლიერხ ვარ ჩვენი დელე-

გაციის ხელმძღვანელის გიორგი გაჩეჩილაძისა. და საერთოდ, უდიდესი ბედნიერებაა, მუდამ თვალნათლივ ხედავდე და გრძნობდე, როგორ გიჭერს მხარს შენი სამშობლო.

ვიცი, ბევრს აინტერესებს ის პრინციპული გადაწყვეტილებები, რომელიც ჩვენ მივიღეთ მატჩის მსვლელობისას, როცა ანგარიში 4:1 იყო. პირადად მე ვფიქრობ, რომ ტაიმ-აუტი არ უნდა აგველო, რომ უნდა გვეხარებოდა კუშნირის დაბნეულობით, თუმცა, კატეგორიულად არც იმ მოსაზრებას უარვეყოფ, რომელმაც გაიმარჯვა. ალბათ, ასეთი წარმატებული, მაგრამ დაძაბული სტარტის დროს მე ცოტა ხანს დასვენება მჭირდებოდა.

ასევე ჩემი შეხედულება მაქვს იმის შესახებაც, უნდა მეთამაშა თუ არა მატჩის წინ საკავშირო ჩემპიონატში. ამ პირველობას მე სპორტული შედეგის თვალსაზრისით არ ვუუარებდი. არც მიიჭრია ჩემპიონობაზე. ვთამაშობდი თავისუფლად, ძალდაუტანებლად, ხოლო გამარჯვება თითქოს თავისით მოვიდა. ასე რომ, ჩემპიონატს კი არ დაუფლივარ, პირიქით, ხალისი და რწმენა შემმატა. ჩემპიონატი დამეხმარა კუშნირთან მატჩის მოგებაში...

ახლა წინ არის ყველაზე მთავარი მატჩი, რომელსაც ველოდით, რომელიც გვინდოდა. იმედია, „ეგოიზმი“ არ ჩამოგვერთმევა, თუ მოწადინებული ვიყავით და ვართ, რომ მსოფლიო ჩემპიონის საქადრაკო გვირგვინი საქართველოში დარჩეს. ჩვენდა საბედნიეროდ, ეს „პროგრამა-მაქსიმუმი“, როგორც იტყვიან, შევასრულეთ...

„როცა მაიამ თავისი პირველი მოკრძალებული წარმატებები მოიპოვა, იგი ქუთაისის ერთ-ერთი გაზეთის რედაქციაში მიიწვიეს. მაშინ მას ნონა გაფრინდაშვილის ფოტოსურათი აჩუქეს. ეს სურათი დღევანდლამდე მისი ყველაზე ძვირფასი რელიკვიაა“.

— ნონა უფრო მეტია საქართველოსათვის, ვიდრე, უბრალოდ, შესანიშნავი მოქალაქე. ის რომ არ ყოფილიყო, არ იქნებოდა ქართველ

ქალთა საქვეყნოდ განთქმული საქადრაკო სკოლა. ვინ იცის, ნონა რომ არა, ვითამაშებდი თუ არა ქადრაკს. ნონა გაფრინდაშვილი მუდამ იქნება ჩემთვის დიდი მოქალაქის იდეალი. სად, როგორ და როდის გაიმართება მატჩი? როგორც ნონა გაფრინდაშვილი ინებებს, იგი ხომ ცხოვრებაშიც და სპორტშიც უაღრესად სამართლიანია. თუ მატჩში დავმარცხდები, არ იქნება ცრემლები (მაიას ეიღებება), დიდი სიამოვნებით მივულოცავ მსოფლიოს სუთგვის ჩემპიონს მეექვსე გამარჯვებას. ნონას შემდეგ სამყაროს მეორე მოქალაქედ ყოფნაც, ვფიქრობ, დიდად სასახელია.

აკი ვამბობდით, ქარიშხალს მუდამ სიმშვიდე მოსდევსო. მაია ჩიხურდანიძის საქადრაკო ბანაკში სრული შტილია, თუმცა საქადრაკო ოლინპეა მაიასათვის ჭერ არ დამთავრებულა. მან უკვე შიდაწინა მიულწვევებს, რადგან არავის უნახავს ჭერაც 17 წლის მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტი.

დამშვიდობების წინ დავხედე მაიას სამუშაო მაგიდას. დაფაზე პოზიცია იმ ადგილზეა „გაუპი-ნული“, სადაც მან ბოლო პარტიის მერვე სვლაზე შეცდომა დაუშვა. დიახ, კეშმარტებაა, რომ გონიერნი სწორედ შეცდომებზე სწავლობენ... იქვე დევს ბელგრადის საქადრაკო ბიულეტენი, ძალზე ლამაზი გამოცემა, ერთიანად აპურელიებული საქადრაკო ფიგურებით...

მე მიჭირს სტუმართმოყვარე მასპინძლების მიტოვება. კიდევ ბევრი რამ მინდა შევიტყო პირველწუაროდან, ბევრი შეკითხვა მაქვს, მაგრამ ხომ უნდა დავინდოთ პრეტენდენტის დრო, ენერგია, ნერვები. მაია კი იღიშება, დააღლილობის კვალიც არ ეტყობა, და უცებ ღიმილი ქრება, მაიას რაღაც უსიამო ამბავი გაახსენდა:

— მართლა მოკვდა სპილო?.. მე ძალიან მიყვარს თბილისის ზოოპარკში სიარული...

მაია მოთმინებით, თითქოს მუდარით ელის პასუხს. მე არ ვიცი, მართლა მოკვდა თუ არა სპილო, მაგრამ იმ წუთში ვფიქრობ, რომ პრეტენდენტი თურმე ადვილად გულდასაკოდი ადამიანს ყოფილა.



სატირა

იყმღნი

ქაროღნი

ნომადი ბართაია

ტოდემდე გასტანს ასე?!

გმგრი დაიწერა და იქვე ტრადიციის გაყა-
ლებების თაობაზე, ამ მხრივ წარმოებული
ბრძოლა ყოველი ჭეშმარიტი ქართველის თა-
ნაგრძობის ღირსია. ერთი საკითხი მინდა გა-
მოვყო, ესაა ქართული სუფრა და მისი დღევან-
დელი იერსახე. რა გზით მიდის ოდიტგანვე
განთქმული ქართული სუფრა? რა არის მიზეზი
მისი დღევანდელი მსჯელობის საგნად ქცევი-
სა? ტრადიციის გაყალბება, საზოგადოებრი-
ვი აზრის მოღუწება, — აი, ყველაფერი ის,
რაც იწვევს ქართული სუფრის გადაგვარებას.
განა ყველასათვის ნათელი არ არის, რომ ამ
ბოლო დროს ქართულ სუფრაზე საგრძნობლად
დაექა ხმის ეფექტიანობა, რომ ადგილი აქვს
ჭიქსო ღვინის ჩატრევის ფაქტებს, სადღე-
გრძელოთა რიგის დარღვევას? უეჭველია, მე-
ტად სერიოზული საფრთხის წინაშე ვდგევართ.
საგანგებოდ გამოყოფილმა კომისიამ, რომელმაც
შეამოწმა რესტორნების მუშაობა, ბევრი სა-
მწუხარო ფაქტი გამოავლინა:

საჯვების № 5 რესტორანში შემოწმების
შედეგად გაირკვა, რომ სრულიად უმიზეზოდ
ადგილი აქვს სასმისში ღვინის ჩატრევის აღმა-
შფოთებელ ფაქტებს. 4 ოვლის, ღვინის 12
სათაზე, აღნიშნულ რესტორანში, ხადაც თა-
ვი მოეყარათ ერთ-ერთი ორგანიზაციის წა-
რმომადგენლებს, 25 ჭიქიდან 16 თუ იყო
ბოლომდე დაყლილი. თამადა უსირცხვილოდ
თავის მართლებაც კი სცადა: ზოგი ავად
არის და ღვინოს ვერ ვაძლებო. ავადმყო-
ფობის ცნობა კი არც ერთს არ აღმოაჩნდა,
თუ არ მივიღებთ მხედველობაში ერთ-ერთ

„ავადმყოფს“, რომელიც ყალბი სამედიცინო
დოკუმენტით ცდილობდა კომისიის წევრთა
თვალის ახვევას. მაგრამ, როგორც სამედი-
ცინო შემოწმების შედეგად გაირკვა, აღნი-
შნულ „ავადმყოფს“ თავისუფლად შეეძლო
20-დან 25 ჭიქამდე ღვინის მიღება.

ასევე აღმაშფოთებელი ფაქტი გამოვლინდა
8 ოვლის ღვინის 10 საათზე № 9 რესტორან-
ში: აქ თამადამ ყველას თვალწინ დაარღვი-
ა რიგი და საქართველოს სადღეგრძელო მშობ-
ლებისა და დედ-მამიშვილების სადღეგრძელოთა
შორის მოაქცია. ასე თუ ვაკვებთ თავისუფალი
სადღეგრძელოები ძირითადად კარგად წაგ-
ვივა საქმე! სხვათა შორის, ამ რესტორანში
ადრეც ჰქონია მსგავს შემთხვევას ადგილი:
დიდ სამამულთა ომში დაღუპულ გმირთა
სადღეგრძელო ღვინებისა და მამიღვინის ხა-
დღეგრძელოთა შორის დაღუღულა. ჩვენში იყო
ცდები ზოგიერთი თავისუფალი სადღეგრძელოს
ძირითად სადღეგრძელოთა შორის მოქცევისა,
მაგრამ ამ წამოწყებამ საერთო მხარდაჭერა
ვერ ჰპოვა. ასე რომ, სადღეგრძელოთა რიგის
დარღვევა, სხვა თუ არაფერი, ტრადიციის
აბუჩად ავადებას ნიშნავს.

ამ ბოლო დროს ერთი მავნე ჩვევაც იკადებს
ფეხს. ეს გახლავთ დროის მოგების მიზნით ხა-
დღეგრძელოთა გაერთიანება. მოგებსხენებათ,
აღამიანს ძირითადად სამუშაო საათებში უხ-
დება სუფრასთან ყოფნა. ამიტომ ბუნებრი-
ვია, ეჩქარება მას და სადღეგრძელოთა გაერ-
თიანებით ცდილობს დროის მოგებას. ის კი
ავიწყდება, თუ რა ზიანს აყენებს ეს ერთი

კულტურას. № 29 რესტორანში 5 აგვისტოს. დღის 12 საათზე, დროის მოგების მიზნით ერთი სასმისით შეისვა ორი სადღეგრძელო. შემოწმებამ კი გვიჩვენა, რომ იმ სასმისში წესიერად ერთი სადღეგრძელოც ვერ თავსდებოდა.

ალბათ, უველას გვახსოვს სულ ახლახან პრესის ფურცლებზე გამართული კამათი სასმისებზე. კონკურსიც კი გამოცხადდა თანამედროვე სტილის ეროვნულ სასმისზე. მოკამათთა ერთი ჭგუფი მტკიცედ იცავდა აზრს იმის შესახებ, რომ ქართულ სუფრაზე უკეთესი სადღეგრძელო განსხვავებული სასმისით შესმულიყო. მეორე მხარე კი, სმის პროცესში განსხვავებულ სასმისთა როლს გადამწვეტ ფაქტორად არ თვლიდა და გვათავაზობდა ერთი და იმავე სასმისით ორი ან სამი სადღეგრძელოს მიღებას, რამაც საერთო მხარდაჭერა ვერ ჰპოვა. ამ საკითხთან დაკავშირებით სპეციალური დადგენილებაც კი გამოვიდა. მიუხედავად ამისა უველგან ერთნაირი გულიწყურით როდი ეკიდებოდა ამ საკითხს. № 22 რესტორანში შემოწმების შედეგად მხოლოდ 8 განსხვავებული სასმისი აღმოჩნდა საზეზე (აქედან ერთი ავარიულ მდგომარეობაში) მაშინ როდესაც სადღეგრძელოთა რაოდენობა აღნიშნულ რესტორანში 22-დან 28-მდე მერყეობს.


გულისტკივილით უნდა აღინიშნოს, რომ ერთი მანერ ჩვევაც კი იკიდებს ფეხს ამ ბოლო ხანებში ქართულ სუფრაზე: ეს არის მუსიკის როლის გააქტიურება, რაც თავის მხრივ მკვეთრად აქვითებს სმის პროცესსა და

ეფექტურობას. საქეიფოდ განკუთვნილი დროტაშფანდურას მიაქვს. მაგალითად. № 14 რესტორანში მიმდინარე წლის 10 ივლისს, დამის 10 საათსა და 30 წუთზე დედმაშიშვილების სადღეგრძელოც არ იყო შესმული, მაშინ როდესაც ამ დროს სუფრაზე თავისუფალი სადღეგრძელოების ტექა-ქუსილი უნდა უკოფილიყო, ძალიან ცდება ის, ვისაც ქართული სუფრა გასართობ ადგილად მიაჩნია.

ალბათ, დამეთანხმებით, თუ რამდენად არის დამოკიდებული სმის ხარისხი სუფრის ხელმძღვანელზე. სწორედ ამიტომ დიდი სიფრთხილით უნდა მოხდეს სუფრაზე თამაღის არჩევა. თამაღას სუფრაზე ტოლი არ უნდა ჰყავდეს სმაში. ის პირადი მაგალითით უნდა აღაფრთოვანებდეს სუფრის წევრებს. მაგრამ რა პირად მაგალითზე უნდა ვისაუბროთ, როცა ერთ-ერთ რესტორანში თამაღამ უანწის დაღვეისას ორჯერ შეისვენა.

ამ წერილში ფაქტები მხოლოდ რესტორნებიდან მოვიტანეთ. მაგრამ ეს როდღე ნიშნავს იმას, რომ სასდილოებში, სასაუშმეებში, სამწვაღეებსა თუ სახინკლეებში და სხვა მსგავს ობიექტებზე სასუგეშო მდგომარეობა იყოს. არას ვამბობთ ოჯახურ ქეიფზე, სადაც თურმე ხშირი სმის მუედრო პროცესი ცისფერი ეკრანის ციმციმი არღვევს.

არ უნდა დაგვაიწუდეს ერთი პოეტის ქეშარიტი დებულემა „ტელევიზორი, — ეს არის ქართული სუფრის დაუქინებელი მტერი! იმედია, დაფიქრდებით არსებულ ვითარებაზე და დროულად მივიღებთ გადამწვეტ ზომებს.





კულტურული ცხოვრების ქ რ მ ნ ი კ ა

გერმანიის ფედერაცი- ული რესპუბლიკა

ერთი ციციანა წიგნი

წიგნის გამოფენაზე, რომელიც მაინის ფრანკფურტში მოეწყო, მნახველთა განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო ექსპოზიციაში, სადაც გამოფენილი იყო ყველაზე პატარა წიგნი. იგი შეიცავს გალილეო გალილის წერილებს. წიგნი გამოცემულია 1869 წელს ოთხად ოთხ ცალიდ.

ესპანეთი

გაგიტარე — პაბლეშირო-სი

ანდრეს სამოვიდა სწორად ხუმრობით იტყვის ხოლმე: მე იმ სახლში დავიბადე, სადაც პირველ სართულზე გიტარის სახელოსნო იყო მოთავსებული. სწორედ ამან განსაზღვრა ჩემი მომავალი.

სეგოვია ჯერ კიდევ ოციან წლებში გახდა ცნობილი მეგიტარე. მან აღიარება პოვა არა მარტო მშობლიურ ესპანეთში, არამედ მთელ მსოფლიოშიც. ანდრეს სეგოვია ბრწყინვალედ ასრულებს როგორც ანდალუსიურ ხალხურ მელოდიებს, ისე ბახისა და სხვა დიდ კომპოზიტორთა ნაწარმოებებს. ამას წინათ მან უჩვეულო კონცერტი გამართა მადრიდში იმასთან დაკავშირებით, რომ 84 წლის ვამონიენი მეგიტარე ესპანეთის სიტყვაკმული ხელოვნების აკადემიაში აირჩიეს.

ინგლისი

„კეთილშობილი მანან-წალა“

„კეთილშობილი მანან-წალა“ ახლანან გარდაცვლილი გენიალური ჩარლი ჩაპლინის უკანასკნელი კინოსურათია. რიჩარდ პატერსონმა თავი მოუყარა ცნობილ და უცნობ დოკუმენტებს, აღრინდელი ნაწარმოებების ციტატებს და ერთ ფილმად გააერთიანა.

ეს ფილმი ეპოპეაცა და ეპიტაფიაც დიდ სახია ლენგენდალ ქვეული ცხოვრებისა. ეს ცხოვრება ლონდონის ლატაოა უბნებში დაიწყო და ევროპის მიუხედავად სცენებზე გაგრძელდა, სადაც 18 წლის ჩარლზ სენსერ ჩაპლიანმა, ალკოჰოლიკისა და ფსიქიურად მოშლილი დედის შეიღმა გამოსვლა დაიწყო. მაგრამ ნამდვილი მოწოდება ჩაპლიანმა მაინც ოკეანის გადაღმა, პოლიფუნდში პოვა. აქ, 1914 წელს პირველად დადგა იგი კინოკამერის წინ. მაშინ 25 წლისა გახლდათ. ამ დროინდელ მოკიდებული იგი დღემდეა მოთმინებით აგებდა საკუთარ ძეგლს. 65 წელიწადს გაგრძელდა ეს შემოქმედებითი ცხოვრება — შეიქმნა 40 ფილმი, მათ შორის რამდენიმე შედევრი და შესაბრაღისი პატარა კაცის — ჩარლის დაუფიქარი სახე.

ჩაპლინი იყო სცენარისტი, მსახიობი, კომპოზიტორი, რეჟისორი, პროდიუსერი. ამერიკა რომ დატოვა, შვეიცარიის პატარა ქალაქ ვევეში დასახლდა

და და ერთგულ ცოლთან ერთად ახალ ცხოვრებას შეუდგა. ასე ცხოვრობდნენ ბოლომდე. თუმცა ჩაპლინი უნაზე (თავის მეუღლეზე) 34 წლით იყო უფროსი. ცხოვრობდნენ შვილებთან და შვილიშვილებთან ერთად.

ფილმი, რომელიც ეკრანზე ჩაპლინის სიკვდილამდე გამოვიდა, არდევს კინოს უდიდეს კომიკოსებზე დამკვიდრებულ ტრადიციებს — განა სიცოცხლეში ფეტიშად ქცეული ბესტერ კიტონი, მაკ სენეტი, ლოურელი, პარდი ან ჰენრი ლენგდონი, ყველასაგან მივიწყებული, სიღარიბეში არ გარდაიცვალნენ, რათა მომდევნო თაობებს მაინც დაეფასებინათ მათი გენია?

ჩაპლინის ცხოვრებაზე, შემოქმედებასა და ამჟღად თავდადასავალზე თითქოს ყველაფერი ცნობილია. გამოაქვეყნა შემუშარები, მიქმდვა უთვალავი მონოგრაფია, ყველა ენოვლოგედაში ნახავთ მის ციტატებს. პოლიფუნდში, ჩამავალი მშის ბულვარზე დიდი ხელოვანის საბატოცემულოდ გამოკრულია მემორიალური დაფა, სამჭერი მერნიჟ ოსკარი (პირველად „ბატონი ვერდუსათვის“, შემდეგ მუსიკისათვის, რომელიც მან „რანპის ჩირადღებისათვის“ დაწერა, და ბოლოს, ხუთი წლის წინათ ამერიკის კინოაკადემიამ ჩაპლინს „ოსკარი“ გადასცა მთელი შემოქმედებისათვის. ამით ამერიკამ ერთგვარი ბოღიში მოუხადა დიდ ხელოვანს ყველა იმ ვნებისათვის, რაც მან ამ ქვეყანაში იწვნია).



იტალია

რომის მარადიული ძეგლი

ლათინური ანღაზა ამბობს: თუ დაინგრევა კოლიზეუმი, მაშინ რომიც დაინგრევა; და თუ რომი დაინგრევა, მაშინ ქვეყნიერების აღსასრულიც დადგება. მაგრამ ისტორიკოსები არსებითი შესწორება შეიტანა ამ ლოგიკურ წყობაში. რომის იმპერია ბარბაროსების შემოსევებში დაამხო მე-5 საუკუნეში (ჩვენი წელთაღრიცხვით), ხოლო ძველი რომაული არქიტექტურის უდიდესი ძეგლი კოლიზეუმი აქამდე დგას.

მიუხედავად ამისა, გრანდიოზული შენობის ბედი აი, უკვე რამდენიმე წელია აწუხებთ იტალიელ ხუროთმოძღვრებსა და მშენებლებს.

იმპერატორების ტიტუხისა და ვესპასიანე ფლავიუსის დროს, ჩვენს ერამდე 75-80 წლებში აგებული კოლიზეუმი წარმოადგენს 156 მეტრი სიგანისა და 188 მეტრი სიგრძის გიგანტურ ელფუს შენობის სიმაღლე 48,5 მეტრია. გარეთა კედელი ოთხ პორიფირტალურ იარუსად იყოფა. სამი ქვემო იარუსი გამჭოლი თაღეღია. კოლიზეუმის პირველ სართულზე 80 თაღი-შესასვლელია. თითოეულ მათგანს თავისი ნომერი ჰქონდა. მაყურებელი, თაღში რომ შევიდოდა, მიწისქვეშა დერეფნებში ხვდებოდა, შემდეგ კი კიბებს აივლიდა და თავის ადგილზე ჯდებოდა. ამფითეატრი შიგნით ერთმანეთისაგან მკაცრად განცალკევებულ სამ ნაწილად იყოფოდა — რომაული საზოგადოების ყველა წოდებისათვის.

ძველრომაული ჩხუროთმოძღვრების დიდებული ძეგლი მნიშვნელოვნად დაზარალდა მე-4-5 საუკუნეებში ქალაქის გამარცხის დროს, აგრეთვე მიწისძვრებისაგან. შუა საუკუნეებში იგი ციხე-

სიმაგრედ გადაიქცა. მაგრამ უველაზე მეტად კოლიზეუმი მაშინ გაჩანაგდა, როცა იგი თავისებურ უდიდეს ქვის სამტენლოდ გამოიყენეს. ძეგლის რბილი სვრეტეიანი ქვებით აშენებულია პალატი ვინეტია, კანჩელიერია-ვარნეზე, სენატორთა სასახლე კაპიტოლიუმზე, წმინდა პეტრეს ტაძარი. ქანდაკებები, მას რომ ამშვენებდა, დაიტაცეს დიდებულთა და რომის პაპის სასახლეთა მონსართავად.

მე-16 საუკუნის დამდეგს რაფაელმა, რომის მაშინდელმა მთავარმა ხუროთმოძღვარმა, იხოვნა აღძრა პაპის წინაშე, კოლიზეუმის დაცვის აუცილებლობის შესახებ. მაგრამ მხოლოდ მე-18 საუკუნეში შექმნა მისი ნგრევა.

ძალიან დაზარალდა კოლიზეუმი მეორე მსოფლიო ომის დროს, მიტლერელების მიერ იტალიის ოკუპაციის წლებში. გერმანელებმა ქვეყნიდან გაიტანეს დაუზიანებელი მარმარილოს სვეტები; მათი ახვალდა-სავალი დღემდე უყნობია. ახლა კოლიზეუმი ხარაჩოებშია ჩასმული და გახსნული სარესტავრაციო სამუშაოების დღეებია.

— საუკუნეების მანძილზე მიყენებული ნგრევის მიუხედავად კოლიზეუმი მარად იცოცხლებს, — აცხადებს პროფესორი მუურიციო პაროტო, რომელიც ინჟინერთა ჯგუფს ხელმძღვანელობს, სარესტავრაციო სამუშაოებს რომ ასრულებს. საქმე ის არის, რომ შენობა, როგორც ამას წინათ დავრწმუნდით, ეყრდნობა კირის ხსნარით შედუღებული ქვის ბლოკების მიწისქვეშა საძირკველს, რომლის ქვემოთ თიხის სქელი შრეა. ეს კი იმის საწინდარია, რომ ძლიერი მიწისძვრაც კი ვერაფერს დააკლებს კოლიზეუმს. კულტურის ფხეღელთუქმენი ძეგლია შეურუველი დარჩება.

დაბოლოს, ამდენი დევნის შემდეგ ამ ლონდონელმა, ვინც ვერასოდეს გახდა ამერიკელი, სამუდამოდ შიატოვა შტატები და ლემანის (ენეის) ტახთან დასახლდა.

„კეთილშობილი მაწანწალა“ იწყება „ბიჭუნას“ კადრო, რომელიც თვით ჩაპლინის ბავშვობის რემინისცენიაა; გამოყენებულია დიდძალი დოკუმენტური მასალა. მაგალითად: ჩაპლინი, დუგლას ფერბენქსთან ერთად მოაკრობატე; ჩაპლინი, გრუშო მარქსთან ერთად ჩოგბურთის მოთამაშე; ჩაპლინი, უინსტონ ჩერჩილის წინაშე მოცეკვავე. სურათში შესულია აგრეთვე კადრები ოჯახური ფილმებიდან, რომელთა ავტორი უპირატესად უნა ონილი გახლავთ. „კეთილშობილი მაწანწალა“ მთავრდება გამოაგნებელი კადრით, როდესაც მცხოვანი ჩაპლინი ვასცქერის ვივის პარკში მოთამაშე ბავშვებს და ეძებს მელდის ხელს, რათა მადლიერება აგრძნობინოს.

მაგრამ ფილმი, ლიგენდას რომ წარმოსახავს, ახე თუ ისე, თავად ლალატობს მას, რადგან ჩაპლინის პაროვნება, დღეს მემუარებლად რომ არის ცნობილი, ნაკლებად შეტყველია, ვიდრე საკუთარი ცხინისტენციის კინოვერსია. როგორც ერთი მისი თანამედროვე წერს: ჩაპლინი, გენიალური და სასტიკი, მერყევი და უმადური, უჩვეულო და ეგოცენტრული, ფრომენალური და მონანი, რათა წარმოგვიდგეს იმ განწომილებით, რაც მასში განსაკუთრებული, გამორჩეული და იშვიათია, ეს აღმათიანი სამუდამოდ ამოეფარა თავის მეორე „შეს“ — ჩვენი ცივილიზაციის კომედიად დღეღარტეს ერთადერთ ჭეშმარიტ და რეალურ იერსახეს.

ნორვეგია

პრივის სიმფონია

ნორვეგიის ქალაქის ბერგენის საქალაქო ბიბლიოთეკაში რამდენიმე წელია ინახება ეღვარდ გრიგის სიმფონიის პარტიტურა, რომელიც ჯერ არ შექმნილიყო. სატიტულო ფურცელზე თვით ვრიგის ხელიწერილია, სიმფონია არასოდეს არ შესრულდესო. საქმე ისაა, რომ ეს სიმფონია კომპოზიტორის სიყმაწვილეში დაწერილი ნაწარმოებია და მასზე ავტორი დიდი წარმოდგენას არ გახლდათ.

ნორვეგიის მუსიკალური საზოგადოების თვალსაჩინო წარმომადგენლები კი სხვა აზრისა არიან და ამზობენ, სიმფონია უთუოდ საინტერესოა და დაგვიწმარება უკეთ გავცნოთ ვრიგის ადრეულ შემოქმედებასო.

ოსლოში გამოშვადი სანფორმაციო ბიულეტენი „ნორინფორმი“ გვატყობინებს, ევრიგის „ახალი“ სიმფონია შეიძლება პირველად ბერგენის მორიგ მუსიკალურ ფესტივალზე შესრულდესო.

სკანდინავია

პანელტის ცინე-დარბაზი

პანელტის დგას დანიის სამეფოში ელსინორის ცინე-

დარბაზი? არა, მაგრამ კუნძულ ზელანდიის სამხრეთ ნაწილში, შვეციის ჰელსინგორგიდან ოთხიოდე კილომეტრზე ზუნდის უურეს გადმოშუტრებს ჰელსინგორი.

მე-15 საუკუნის პირველ ნახევარში იქ ააშენეს ცინე-სიმაგრი, რათა ბაჟი დაედოთ გამვლელი გემებისათვის. 1574-1585 წლებში სახელგანთქმულმა ფლამანდიელმა ხე-როთომოდვარმა ანტონიუს ვან ოპბერგენმა ამ ცინე-სიმაგრის ნანგრევებზე ააგო უზარმაზარი რენესანსული კრონბერგის ცინე-დარბაზი. 1585 წელს, ცინე-დარბაზის გახსნის დღეს, აქ გამოვიდა ინგლისელი მსახიობების დასი, მაგრამ შექსპირისა იყო ეს დასი თუ სხვისი, ამის თაობაზე შეისტორიები სხვადასხვა აზრისა არიან.

დანამდვილებით არც კი ვიცით, ინახულა თუ არა შექსპირმა კრონბერგის ცინე-დარბაზი. შესაძლოა, თავის მსახიობებთან ერთად ჩავიდა იქ, ისე როგორც კლაუდიუსის კარზე ჩამოდის სათეატრო დასი წარმოდგენის გასამართავად, მაგრამ ის ადგილები, სადაც „ჰამლეტის“ სცენები თამაშდებოდა, მართლაც არსებობს

კრონბერგის ცინე-დარბაზში, მაგალითად, არის ტრეპები, რეჟე რომ ეშვება, სადაც ჰამლეტი მამის სულს ელაპარაკა. არის რაინდთა დარბაზი, სადაც დასს შეეძლო წამდარიყო გერტრუდასა და კლაუდიუსის წინაშე, შემდეგ კი ერთმანეთს სასიკვდილოდ შეპრობოდოდენ ჰამლეტი და ლაერტი. მდინარე თემცა ახლომახლო არ მიედინება, მაგრამ ცინე-დარბაზს ვარს არტყია. მწვანით დაფარული თხრილი, სადაც შეეძლო თავი დაესტოო უბედურ ოფელიას. ერთი სიტყვით, ყველაფერი ერთმანეთს ემთხვევა, და ჰელსინგორის ცინე-დარბაზი ჰამლეტის ცინე-დარბაზი გახდა ეს კიდევ ერთხელ მენტყველებს ლიტერატურის დიდ შემოქმედებით ძალაზე. ყველას გვჭერა, რომ ზუნდის უურის ზემოთ, კრონბერგის ცინე-დარბაზში ნამდვილად ცხოვრობდა უფლისწული ჰამლეტი.

ცინე-დარბაზი უამრავ ტურისტს იზიდავს. ყოველ წელიწადს ავგისტოში დიდი გამოცოცხლება ივრძნობა დანიის პრინცი ცინე-დარბაზის ეხოში, სადაც სადამოობით თეატრალური წარმოდგენები იმართება.

კრიტიკისა და პუბლიცისტიკის განყოფილება მასალებს მიიღებს არა უმეტეს ერთი საავტორო თაბახხა.

რედაქციის მისამართი: თბილისი, შალვა დადიანის ქ. № 2.

ტელეფონები: მთავარი რედაქტორი — 72-26-35, მთ. რედაქტორის მოადგილე — 72-26-32, მდივანი — 72-44-78, განყოფილებათა გამგეები — 99-85-81, პარკის — 72-26-30, ლიტერატურული თანამშრომლები — 72-47-62, „ციხის“ დამატება — 72-17-01, ხაკორეკტორი — 72-43-75.

გადეცა ასაწიხობად 15. 2. 78 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 4. 4. 78 წ., ქალაღლის ზომა 70X108. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 10. პირობით ფორმათა რაოდენობა 14. საღარ-საგ. თბილისი 15,35. შეკვ. № 555. უე 00689. ტირაჟი 34,300.

3260 60 333.



22411

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-
ХУДОЖЕСТВЕННЫЙ И
ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ
ЖУРНАЛ

«ЦИСКАРИ»

ИЗДАТЕЛЬСТВО
ЦК КП ГРУЗИИ
ИНДЕКС 76236